ა. ბურთიკაშვილი

# თეატრალური ეთიუდები

1958

# სიღა სანდუნოვი

1756—1820



1820 წლის მარტის უკანასკნელი დღეა. მოსკოვი ჯერ კიდევ თოვლით არის დაფარული. ყინავს. ძვირფას ქურქებში გამოწყობილთა მცირერიცხოვანი პროცესია მოადგა ლაზარევის სასაფლაოს. მოასვენეს ნეგლინის გასავალში და სანდუნოვის შესახვევში ახლად აგებული აბანოს პატრონი სილა სანდუნოვი. სასაფლაოზე ცხარე ცრემლები არ იღვრება, დამტირებელნი არ ჩანან. ან ვინ უნდა დაიტიროს ხანდაზმული სილა? მშობლები დიდი ხანია დაეხოცა, ხოლო მეუღლე ელისაბედი (ლიზანკა) უკვე კარგა ხანია გაშორდა ქმარს და მიცვალებული სასაფლაოს ჭიშკრამდეც არ მიაცილა. მღვდელმა ანდერძი აუგო, გუნდმა საუკუნო ხსენება უგალობა, ნათესავებმა და მეგობრებმა თითო მუჭა მიწა მიაყარეს და დაიშალნენ. წინასწარ გამზადებული ჯვარი წარწერით: „სილა სანდუნოვი. დაიბადა 1757 წელს, გარდაიცვალა 1820 წ. 27 მარტს“ აღმართა დარაჯმა საფლავზე და ამით სილა ცოცხალთა რიგებიდან ამოიშალა. აბანოს პატრონი სილა მოკვდა, მაგრამ რუსეთის თეატრის XVIII საუკუნის გამოჩენილი მსახიობის, მსახიობ-მეამბოხის სილა სანდუნოვის სახელი არასოდეს არ ამოიშლება თეატრის ისტორიიდან და ვერც ერთი მკვლევარი მას გვერდს ვერ აუვლის. ეს ხომ ის სანდუნოვია, რომლის გამოჩენასაც თეატრში აღტაცებით მიეგება მთელი მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრიობა. ეს ხომ ის სილაა, რომელიც მაშინდელი პეტერბურგის სცენის საყვარელი მსახიობი გახდა. ეს ის მსახიობია, რომლის პლასტიკურობას, ლაპარაკის კილოს, მიხრა-მოხრას პეტერბურგის და მოსკოვის ახალგაზრდობა ბაძავდა. ეს ხომ ის მეამბოხეა, რომელიც წინააღუდგა დედოფალ ეკატერინე მეორის დიდ მოხელე ბობოლებს და ძალით გამოგლიჯა მათ ხელიდან საყვარელი არსება.

რუსეთის თეატრის მემატიანენი, მეშუარისტები — პიმენ არაპოვი, სერგეი გლინკა, ფ. კონი, ს. ჟიხარევი, ი. გორბუნოვი და სხვები რუსეთის სცენის სახელოვანი მსახიობის სილა სანდუნოვის ცხოვრების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან.

სილა სანდუნოვის მამა ნიკოლოზი საქართველოდან 1724 წელს რუსეთში მეფე ვახტანგთან ერთად გადახვეწილი აზნაურის მოსე ზანდუკელის შვილი იყო. საყურადღებოა 1801 წელს მოსკოვში მყოფ გიორგი მეცამეტის ძის, იოანე ბატონიშვილის ამალის მონაწილის მწერალ გაბრიელ რატიშვილის ცნობა ნახული წარმოდგენების შესახებ: „მოთამაშეთა შინა ექვსი კაცი და ქალი იყო პირველ მოთამაშედ, მომღერლად, მოლაპარაკედ, მოსაცილედ და სხვად. ამათაც შინა იყვნენ პირველნი ორნი ცოლქმარნი: სილა ნიკოლაიჩი სანდუნოვი, რომელიც არს იგი ზანდუკელი და პაპა მისი გადაყოლია მეფესა ვახტანგსა და ცოლი მისი ელისავეტ სიმონოვნა პოლშისა აზნაურის ქალი. ასე ქებულნი არიან იგინი რომელ თავით თვისით მოიგებენ მრავალთა სხვადასხვა გვართა თამაშობათა, სიმღერათა და ვარჯიშთა...

ვინაიდან იყო ქართველისა კაცის შვილი, უყვარდით მას, გვეწვეოდა ჩვენ ხშირად და თვითაც გვიმასპინძლდებოდა—მარად...

რა სცნა ჩვენი ქართველობა,
მან შეგვიტკბო ვითა თვისი“
(საქ. მუზეუმი 2910).

მოსე ზანდუკელის შვილს ნიკოლოზს, ახალგაზრდობაში საკმაო შეძლებისა და მამულების პატრონს, საქმე აეწეწ-დაეწეწა და ქონება თანდათანობით გამოეცალა ხელიდან. მიუხედავად ამისა, მან შეძლო შვილებისათვის თავისი დროის შესაფერი საკმარისი განათლება მიეცა. უფროსი ვაჟი სილა დაიბადა ქ. მოსკოვში 1756 წელს, ხოლო ნიკოლოზი (შემდეგში სენატის ობერ-სეკრეტარი და სამოქალაქო სამართლის გამოჩენილი პროფესორი მოსკოვის უნივერსიტეტისა) —1769 წლის 13 ოქტომბერს. 16 წლის სილას მამა გარდაეცვალა (1772 წელს) და ოჯახზე ზრუნვა მას დაეკისრა. სრულიად ახალგაზრდა სილა მამამ სიცოცხლეშივე მოაწყო კანცელარიის მოხელედ მანუფაქტურ-კოლეგიაში. მკვირცხლი სილა, ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებული, ბავშვობიდანვე ყველას ყურადღებას იპყრობდა.

„ბავშვობის წლებშივე სანდუნოვი იჩენდა არაჩვეულებრივ ნიჭს, მეტად გამჭრიახ გონებას, სწრაფ საზრიანობას და მეტყველების გასაოცარ უნარს, მეტად ოხუნჯი და მოსწრებული სიტყვის პატრონი, კითხვისა და ლიტერატურის მოყვარული იყო“. (ა. სპროტინინი. „ისტორიჩესკი ვესტნიკ“, 1889 წ. სექტემბერი).

მანუფაქტურ-კოლეგიის ახალგაზრდა მოხელე სილა შემთხვევით

თავის ნაცნობმა იუდიწმა თეატრში წაიყვანა. დგამდნენ კომედიას „მემკვიდრეობას".

ახალგაზრდა სილას ყურადღება შინამოსამსახურის როლის შესრულებამ მიიპყრო. აქ პირველად იგრძნო სილამ თავისი შემოქმედებითი უნარი და წამოიძახა: „მაგაზე უკეთ შევასრულებ მაგ როლსაო". სილას „ძალა შესწევდა ქადილსა". მანუფაქტურ-კოლეგიის პატარა მოხელე ამ დღიდან თეატრის მუდმივი სტუმარი გახდა, გაეცნო აქტიორებს და დაუახლოვდა მათ. სილას პირველი თეატრალური მასწავლებელი მსახიობი იაკობ შუშერინი იყო.

სილა სწავლობს როლებს, უკითხავს შუშერინს და მისგან რჩევა-დარიგებას იღებს. სულ მალე სილას ნატერა აუსრულდა. პ. ურუსოვის და მისი კომპანიონის ვ. მედოქსის „თავისუფალ რუსულ თეატრში" სილას დებიუტი მოეწყო კნიაჟნინის პიესა „უცნაურში" მსახურის როლში.

აქტიორის ცხოვრებაში იშვიათი შემთხვევაა, რომ დებიუტშივე ელირსოს ისეთ დიდ წარმატებას. როგორიც წილად ხვდა სილას. მისმა თამაშმა ისეთი აღფრთოვანება გამოიწვია, რომ თეატრის მემატიანის პიმენ არაპოვის თქმით, მედოქსმა მაშინვე წლიურად 1200 მანეთი დაუნიშნა. ეს ისეთი დიდი გასამრჯელო იყო, რომ მაშინდელ პეტერბურგის სცენაზე მხოლოდ გამოჩენილი ი. დმიტრევსკი (1734-1821) იღებდა ასეთ ხელფასს. დიდი შესაძლებლობის და ნიჭის პატრონი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ თავიდანვე ყურადღება მიეპყრო ისეთ ბუმბერაზ აქტიორებს შორის, როგორიც მაშინ ჰყავდა თავის თეატრში მედოქსს: დრამატული აქტიორი ვასილ პომერანცევი, ნადეჟდა კალაგრაფი, კომიკოსი-ბუფი ანდრეი ოგოჟინი, რომლის სანახავადაც, სპროტინინის თქმით, შორეული კუთხეებიდან სპეციალურად მოდიოდნენ მოსკოვში. აი ასეთ აქტიორებში სილა სანდუნოვის ნიჭმა თეატრალების ყურადღება მიიპყრო, და ახალგაზრდა აქტიორის სახელმა პეტერბურგსაც მიაღწია. სილა სანდუნოვამდე მედოქსის თეატრში პირველ მსახურთა როლებს ნიჭიერი ბაზილევიჩი თამაშობდა. მაგრამ სილას სცენაზე გამოჩენისთანავე ბაზილევიჩი დავიწყებას მიეცა და მისი ადგილი ახალმა ქურუმმა დაიკავა. მანუფაქტურა-კოლეგიის მოხელე მოსკოვის თეატრის წამყვან მსახიობად გადაიქცა.

სერგეი გლინკა (1776-1847) თავის წერილებში, ეხებოდა რა სილა სანდუნოვს, როგორც აქტიორს, წერდა: „სიფიცხით, სიმ-

კვირცხლით, მოქმედებით და საზრისიანობით მას შეიძლება რუსეთის ბომარშე ვუწოდოთ". იმავე წერილებში, ეხება რა დრამატურგ კნიაჟნინის შემოქმედებას, გლინკა წერს: „ოცდაათი წელიწადია თეატრში არ დავდივარ. არ ვიცი, ხშირად თამაშობენ თუ არა მათ (ლაპარაკია კნიაჟნინის პიესებზე), მაგრამ ვისაც უნახავს პოლისტაში ჩერნიკოვი და სანდუნოვი, ის ახლაც მადლობას გადაუხდის კნიაჟნინს ამ როლის შექმნისათვის".

ცნობილი ავტორი პიმენ არაპოვი „რუსული თეატრის მატიანეში", ეხება რა სანდუნოვს, წერს: „სანდუნოვი, ქართველი აზნაურის შვილი, მეტად ჭკვიანი და ნიჭიერი აქტიორი, განსაკუთრებით კარგი იყო პოლისტას (კომედია „ბაქია") და სემიონის („დამნაშავე ყმარბაზობის გამო") როლებში".

სანდუნოვის თანამედროვე ცნობილი თეატრალი ს. ჟიხარევი თავის მემუარებში ხშირად იხსენიებს სანდუნოვს და ხოტბას ასხამს მას როგორც გამოჩენილ აქტიორს.

აი რასა წერს ცნობილი ვოდევილისტი და თეატრალური მოღვაწე ფ. კონი (1809-1879) სანდუნოვის მნახველთა გადმოცემით: „სანდუნოვი მართლაც არაჩვეულებრივი აქტიორია თავისი ჭკუით, სცენიური ნიჭითა და ხასიათის სიმტკიცით; ყოველივე ის, რაც გვხიბლავს ბომარშეში, წილად ხვდა სანდუნოვს — ასეთივე მგზნებარე სული, ასევე დაუშრეტელი ფანტაზია, გესლიანი დაცინვა და საღი გონება. სცენაზე ისე გრძნობდა თავს, თითქოს შინ არისო — გაბედულად, თამამად და მარჯვედ. სანდუნოვი იყო en vogue მოდის აქტიორი, ცდილობდნენ მისთვის მიებაძათ საზოგადოებაში, რადგანაც მისი მიხრა-მოხრა კეთილშობილი და სასიამოვნო იყო. არაჩვეულებრივმა ჭკუამ მას იმდენივე მეგობარი მოუპოვა საზოგადოებაში, მეტადრე წარჩინებულთა შორის, რამდენიც მისმა ნიჭმა დაიპყრო ადამიანთა გული სცენიდან. ის დაბალი ტანისა იყო, მაგრამ მკვრივად ჩასხმული. ლაპარაკობდა თვალების მოსუჭვით, მაგრამ ამ თვალებიდან ეშმაკური სხივები გამოკრთოდა..."

სანდუნოვი ყოველ როლს თავის იერს აძლევდა და საუცხოოდ აჰშკარავებდა ხასიათებს. ის იყო მხიარული, ცოცხალი, გიჟმაჟი, ყოველივის მოძრავი სცენაზე. ღრმად ითვისებდა თავისი როლების ხასიათს. როლი მას იმდენად იპყრობდა, რომ შესრულებისას ყველაფერს ივიწყებდა — მისთვის ამ ქვეყნად არაფერი აღარ არ-

სებობდა. შეპყრობილი იყო იმ პირის მიერ, რომელიც ავტორმა დაუსახა სცენაზე განსახორციელებლად".*

სანდუნოვის ამპლუა განსაზღვრული როლებით რომ არ იყო შემოფარგლული და რომ იგი ერთნაირი სიძლიერით ახორციელებდა სხვადასხვა ხასიათის როლს და ტრანსფორმაციის ნიჭითაც იყო დაჯილდოებული, ამას მოგვითხრობს ს. ჟიხარევი თავის „მოხელის დღიურში: „დგამდნენ „ოიდიპოსს" და კომედია „ალქიმიკოსს" მოჩალოვის** ბენეფისში. პლავილშჩიკოვი უკეთ თამაშობდა, ვიდრე სხვა დროს, ვორობიოვას ანტიგონას როლში არა უშავდა რა. კომედიაში სანდუნოვი შვიდ როლში მოგვევლინა და ძლიერ აცინა ხალხი. აი ნამდვილი პროთეოსი. საკვირველია, რა სწრაფად იცვლის ტანსაცმელს და ოსტატურად იკეთებს გრიმს. რასაკვირველია, სხვების დახმარებით ქურთუკისა და პარიკის გამოცვლა სწრაფად შეიძლება, მაგრამ როგორ ახერხებს ახალგაზრდა წითური ბიჭი უცბად გარდაიქმნას დაძაბუნებულ დანაოჭებულ სახიან მოხუცად და, რაც საკვირველია, მამაკაციდან ქალად გარდაქმნას მე ვერ მივმხვდარვარ".***

ტრანსფორმაციის იშვიათ ნიჭთან ერთად სანდუნოვი გრიმის დიდი მცოდნე ყოფილა... დგამდნენ სანდუნოვის ბენეფისში „ალს", მსახიობი პონომარცევა უცბად ავად გახდა, ხალხს არ გამოუცხადეს. სანდუნოვმა ლისიცინას გაუკეთა გრიმი და ისე დაამსგავსა პონომარცევას, რომ ხალხმა ვერ იცნო.

რამდენი მემუარისტი გავიხსენეთ და ყველა ერთხმად აღიარებს, რომ სანდუნოვის სახით რუსულ სცენას ნამდვილი ოსტატი ჰყავდა. ხოტბა, რომელსაც უძღვნიან სანდუნოვის შემოქმედებას ავტორები, მით უფრო ყურადსაღებია, რომ ბევრი მათგანი სანდუნოვისადმი მტრულ განწყობილებაში იყო. ს. ჟიხარევი, სანდუნოვის აქტიორული შემოქმედებით აღტაცებული, მისი ნიჭის თაყვანისმცემელი, ბევრ მწარე სიტყვასაც ხარჯავს თავის დღიურში სანდუნოვის მიმართ: უწუნებს საქციელს, არ მოსწონს მისი ხასიათი, მაგრამ მისი ნიჭის წინაშე ქედს იხრის.

1783 წელს მოსკოვში ჩამოდის ეკატერინეს მიერ ახლად დანიშნული სანახაობათა და მუსიკის მმართველობის კომიტეტის

---

* „პანთეონი", 1840 წ.

** გამოჩენილი ტრაგიკოსის პაველ მოჩალოვის მამა.

*** ს. ჟიხარევი „მოხელის დღიური", I ტ., გვ. 343.

თავდაჯდომარე ა. ვ. ოლსუფიევი და წინადადებას აძლევს სანდუნოვს გადავიდეს პეტერბურგის სასახლის სცენაზე „პირველ მსახურთა და სხვა ღირსეული როლების სათამაშოდ კომედიებსა და ოპერებში“. სანდუნოვის მიწვევამდე მსახურთა როლებს ასრულებდა სასახლის თეატრის პირველი კომიკოსი იაკობ შუმსკოი. ეს უკანასკნელი მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში სასახლის სცენის მშვენება იყო და კომედიებში მას მეტოქე არა ჰყავდა.

აი ეს შუმსკოი შეცვალა სასახლის სცენაზე სანდუნოვმა და პირველი გამოსვლისთანავე მოინადირა მაშინდელი პეტერბურგის თეატრალების გული. მალე შუმსკოი დავიწყებას მიეცა და სცენის ახალი ჯადოქარის სილა სანდუნოვის სახელი ყველას პირზე ეკერა. იმდენად ძლიერი იყო მისი აქტიორული მომხიბვლელობის ზეგავლენა, რომ ახალგაზრდობა მას ბაძავდა, ცდილობდნენ საზოგადოებასა და სალონებში ისე დაეჭირათ თავი, როგორც ამას სცენაზე სილა სანდუნოვი აკეთებდა.

სანდუნოვი უკვე სახელმოხვეჭილი აქტიორია. ნიჭიერი მსახიობი, საუცხოო მოსაუბრე, ლამაზი გარეგნობის პატრონი ბევრ ბანოვანს თავბრუს ახვევს. მისი ბიოგრაფი სპროტინინი აღნიშნავს. რომ სანდუნოვი არ გაურბოდა ქალებთან ტრფიალს. მაგრამ წუთიერ გატაცებებს ბოლო ეღება და სანდუნოვი სიყვარულმა შეიპყრო. თეატრალურ სასწავლებელში იტალიელ მარტინის კლასში სცენისათვის ემზადებოდა მოსწავლე ელისაბედ ფეოდოროვა, შემდგომში ურანოვად წოდებული. იმ ხანებში ახლად აღმოჩენილ პლანეტა ურანის სახელი ეკატერინემ დაარქვა თეატრალური სკოლის ამ მოსწავლეს. თახარელოვეთა გადმოცემით ბუნებას თავისი კალთა უხვად დაებერტყნა ამ ქალზე. იშვიათი გარეგნობით, დიდი სცენიური ნიჭით და განსაცვიფრებელი ხმით იყო დაჯილდოებული ეს მოსწავლე. ნ. პოლევოი თავის საინტერესო მოგონებებში რუსულ თეატრზე, ეხება რა უკვე ხანდაზმულ ურანოვას, აღნიშნავს: „თავისი სასცენო მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდშიც მას კიდევ აღტაცებაში მოჰყავდა ყველა. დიდი მსახიობი იყო. არაჩვეულებრივი ხმის პატრონი, საუცხოო მიმიკით დაჯილდოებული“. და აი ამ ორმა ნიჭიერმა ადამიანმა ერთმანეთი შეიყვარა. ეს სიყვარული ახალგაზრდებს ქორწინებით უნდოდათ განემტკიცებინათ.

მაგრამ განა ეს ადვილი იყო? მეთვრამეტე საუკუნის აქტიორი ხომ თავისი მდგომარეობით დიდად არ განსხვავდებოდა სხვა ყმისაგან. აქტიორთა დიდი უმრავლესობა ყმებისაგან შედგებოდა.

თუ პირველად თეატრები • უმთავრესად მეფის სასახლეში იყო მოწყობილი მეფის საგვარეულოს გასართობად, მალე ისინი მთელ რუსეთში ვრცელდება. ყველა დიდი ფეოდალი ცდილობდა არ ჩამორჩენოდა მეფეს და თავის სასახლეში მოეწყო საკუთარი თეატრი. აპრაქსინების, ვორონცოვების, გოლიცინების, პოტიომკინების, რაზუმოვსკების, სტროგანოვების და ძმათა მათთა თეატრები კარის თეატრს არ ჩამოუვარდებოდნენ. ყმა აქტიორი ფასობდა როგორც ნივთი. იგი მებატონის საკუთრება იყო. მაგალითად, ფელდმარშალმა რაზუმოვსკიმ თავისი თვითეული ორკესტრანტი პოტიომკინს 800 მანეთად მიჰყიდა. აქტიორს—მუსიკოსს მებატონე ძვირად აფასებდა. მაგალითად, გრაფმა კამენსკიმ 250 ყმით დასახლებული სოფელი ორ აქტიორში გაცვალა. 1797 წელს „მოსკოვსკიე ვედომოსტში" დაიბეჭდა განცხადება: „იყიდება სამი ცხენი, წაბლისფერი ორი ულაყი, თვითეული ოთხი წლისა... იყიდება მუსიკოსი, რომელიც უკრავს ფაგოტს და იწყებს სიმღერას ბანით, კარგად იცის წერა-კითხვა, 15 წლისაა". მოსკოვში საიმპერატორო თეატრის დაარსებისას მებატონე სტოლიპინისაგან შეიძინეს დასი 32000 მანეთად. „დირექციის მიერ ნაყიდი და საჩუქრად მიღებული ხალხი,—ნათქვამი იყო დირექციის ოფიციალურ განცხადებაში,—გადადის დირექციის განკარგულებაში როგორც საკუთრება". მართალია საიმპერატორო და კერძო ანტრეპრენიორების თეატრებში, მაგალითად მედოქსის თეატრში, თავისუფალი მოქალაქენიც იყვნენ და ზოგი აქტიორი მებატონეთა წრიდანაც კი იყო, თუნდაც სანდუნოვი—იგი ქართველი აზნაურის შვილი იყო. მემუარისტი ს ჟიხარევი ეხება რა სანდუნოვის მიერ შესრულებულ როლს, წერს: „განსაკუთრებით გამოირჩეოდა სანდუნოვი, რომელიც, როგორც ამბობენ, ამ უკანასკნელ ხანში მეტად ამაყობს თავისი წარმოშობით, თითქოს ის უძველესი ქართველი ბატონიშვილის შთამომავალი იყოს..." (ს. ჟიხარევი „სტუდენტის დღიური", ტომი I, გვ. 235). სანდუნოვის მეგობრებს შორის რომ ბევრი იყო ყმა აქტიორი, ამაზე მოგვითხრობს ს. გლინკა: „სანდუნოვმა მხურვალე მონაწილეობა

მიიღო ჩვენს წამოწყებაში -- გაგვეთავისუფლებინა კაშინი გ. ი. ბიბიკოვის ყმობისაგან. საერთო წერილი მივწერეთ ბიბიკოვს“ (ს. გლინკა. „წერილები“, გვ. 178). ყმაც რომ არ ყოფილიყო აქტიორი, მაინც მას უფლება არ ჰქონდა დირექციის ნებადაურთველად შეერთო ცოლი. აქტიორმა სტროჟევმა დირექციის ნებადაურთველად შეირთო ცოლი, და ასეთი „ურჩი“ აქტიორი დამწყვდეულ იქნა თეატრის კანტორაში.

მომხიბლავი და ნიჭიერი ლიზა ურანოვა სასახლის საყვარელი მსახიობია, დედოფალი ეკატერინე აღტაცებულია მისი თამაშით. თეატრის დირექციამ ნება დართო დაქორწინებულიყო სანდუნოვთან. ეკატერინემ, როგორც ამას თავის დღიურში ა. ხრაპოვიცკი აღნიშნავს, ძვირფასი ბეჭედი და სამასი მანეთი აჩუქა ლიზას.

ახალგაზრდებს ზეიმი აქვთ. ქორწინების ნებართვა მიღებულია. მაგრამ სანდუნოვს დიდი მეტოქე გამოუჩნდა, ბრწყინვალე თავადი სახელმწიფო კანცლერი ალექსანდრე ბეზბოროდკო მეტად სახიფათო შეიქნა სანდუნოვისათვის ეს მეტოქეობა, რამდენადაც თეატრის დირექტორი გენერალ-მაიორი ნ. ა. საიმონოვი და ეკატერინეს პირადი მდივანი ა. ფ. ხრაპოვიცკი ბ. ბეზბოროდკოს მხარეზე იყვნენ და ყოველ ხრიკს მიმართავდნენ, რომ ჩაეშალათ სანდუნოვის და ლიზას ქორწინება. კანცლერი ბეზბოროდკო ურანოვას მონაწილეობით გამართულ ყველა წარმოდგენას ესწრებოდა და ძვირფასი ბრილიანტებითა და ალმასებით ასაჩუქრებდა მას. ბეზბოროდკოს მიზნისათვის რომ მიეღწია, საჭირო იყო საქმროს ჩამოცილება, და სცენის ასეთი გამოჩენილი აქტიორი დირექციამ თეატრიდან დაითხოვა.

ა. ბეზბოროდკომ მიზანს მიაღწია. სანდუნოვი თეატრიდან დაითხოვეს და ამით ლიზანკას ჩამოაშორეს. მაგრამ სანდუნოვი ასე ადვილად ფარხმალს არ ყრის. ბიუროკრატების ხროვას მან ისეთი ბრძოლა გაუმართა, რომ თეატრის ვერც ერთი მემატიანე ამ ეპიზოდს გვერდს ვერ აუვლის. მოსკოვში გამგზავრების წინ სანდუნოვი უკანასკნელად ასრულებს ქალაქის თეატრში კლუშინის პიესაში „სიცილი და მწუხარება“ მსახურ სემიონის როლს. პიესის მსვლელობისას სანდუნოვმა მიმართა დამსწრეთ შემდეგი სიტყვებით:

— დღეს უკანასკნელად მაქვს პატივი ჩემის ძალღონით ვემსახურო აქაურ საზოგადოებას; მოვალედ ვთვლი ჩემს თავს, ქალბატონებო და ბატონებო, გულითადი მადლობა მოგახსენოთ იმ ყურადღებისათვის, რომელსაც ჩემდამი იჩენდით.

ბიუროკრატების მიერ თეატრიდან განდევნილი მსახიობი ამ მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ მიმართავს ხალხს ლექსით, რომელიც ფარდას ხდის ხრაპოვიცკების, საიმონოვებისა და მათი დამქაშების ოინბაზობას. მთელი დარბაზი ახმაურდა. მსახიობმა ბრძოლის არაჩვეულებრივი მეთოდი გამოიყენა. უშუალოდ მიმართა მსმენელს, ამ უკანასკნელმა მსახიობისადმი სიმპათია და თანაგრძნობა მჭიხარე ოვაციით გამოხატა. თეატრში მღელვარებაა. წარმოდგენას დედოფალი არ დასწრებია, მაგრამ თეატრში მომხდარი ამბავი დაუყოვნებლივ აცნობეს. დედოფლის პირად მდივანს და თეატრის მმართველს ალექსანდრე ხრაპოვიცკის იმავე დღეს შეაქვს დღიურში: „10 იანვარი 1791 წ. სანდუნოვმა ქალაქის თეატრში თავის ბენეფისში წარმოთქვა სიტყვა („рацея“) დირექციის შესახებ. „Voilà ce que fait l'injustice“*.

მეორე დღეს ხრაპოვიცკი აღნიშნავს—ნაბრძანებია პოლიციის მეშვეობით ჩამოართვან სანდუნოვს წარმოთქმული სიტყვა. მესამე დღეს კვლავ უბრუნდება ამ ინციდენტს და აღნიშნავს—„განრისხებულია სანდუნოვზე. მე გავახსენე, რომ ის ცხოვრობდა მსახიობ ქალ მიხაილოვასთან, დააორსულა ქრისტინე ლოგინოვა, თავი შეაყვარა ლიზას დედას და ვითომდა ქორწინების მიზნით უნდოდა სკოლიდან მისი (ლიზას) გამოყვანა. მიმიღეს ცივად, ებრძანა გრაფ ბრიუსს** ეს საქმე დატოვებულ იქნას „comme non avenue“.***

ბეზბოროდკო არ ცხრება. მეტოქე დათხოვნილია თეატრიდან. ხრაპოვიცკი ყოველნაირ ხრიკებს მიმართავს, რომ ლიზანკა სანდუნოვს ჩამოაშოროს და ბეზბოროდკოს ჩაუგდოს ხელში.

ურანოვას ყოველი გამოსვლა სცენაზე მისი ტრიუმფია, მსახიობს საჩუქრებით აჯილდოებენ. ამ მხრივ ყველაზე უხვად ბეზბოროდკო ირჯება—ძვირფასი თლებით მოჭედილ ბეჭდებს, სამაჯურებს არ იშურებს და ქალის გადაბირებას ლამობს. მაგრამ არც

---

* აი რა მოსდევს უსამართლობას.

** პეტებურგის ობერ-კომენდანტი.

*** თითქოს არ მომხდარა.

ანდრეოვს სძინავს. 10 იანვარს მომხდარ ამბავს სწორედ ერთი ღამის შემდეგ ახალი გამოსვლა მოჰყვა... 1791 წლის 11 თებერვალს ერმიტაჟში წარმოადგინეს ოპერა „ფედულა შვილებით“. ეს ოპერა ერთმოქმედებიანი ხუმრობაა, რომელიც საარშიყო და სამხიარულო ხალხურ ჰანგებზეა აგებული. ოპერის ტექსტი დამუშავებული იყო ხრაპოვიცკის მიერ. ოპერის მთავარ მოქმედ პირს ფედულას 15 შვილი ჰყავს... დაქვრივებულ ფედულას საღერღელი აეშალა და ცოლის შერთვას აპირებს, შვილები ამის წინააღმდეგი არიან და ცდილობენ ქორწილის ჩაშლას... ფედულას ერთ-ერთ ქალიშვილს დუნიაშას სოფლელი ბრგე ვაჟკაცი ეარშიყება. შეყვარებულთა სცენებში მრავალი კომიკური ადგილია.

ოპერას დედოფალი ესწრება. დუნიაშას პარტიას მღერის ლიზანკა. ეს როლი თითქოს განგებ ურანოვასთვის დაწერესო. რა იცოდა მაჭანკალმა ხრაპოვიცკიმ, რომ თავისი შეთხზული ტექსტი მასვე მოხვდებოდა ისარივით გულში. ლიზანკას პირად ცხოვრებას როლის ტექსტი ძალიან ემსგავსებოდა. ერთ ადგილას დუნიაშა მღერის არიას:

„Приезжал ко мне детина
Из Санктпитера сюда,
Он меня красну девицу
Подговаривал с собой,
Он и золото сулил:
„Поезжай со мной, Дуняша,
Поезжай“,—он говорил.

და განაგრძობს სიმღერას

Нет, сударик, не поеду.
Я советую тебе
Иметь равную себе.
В нашем городе обычай
Я слыхала ото всех,
Что всех любите словами,
А у нас-то ведь в деревне
Здесь прямая простота.

მკუხარე ტაშით დააჯილდოვეს ურანოვა, რომელიც, სარგებლობს რა ამ მომენტით, ავანსცენას უახლოვდება, დაიჩოქებს და სანდუნოვის მიერ შედგენილ წერილს მიართმევს დედოფალს. წე-

რილში მოთხრობილია ის დაბრკოლებები, რაც წინ ეღობება ორი მოსიყვარულე ადამიანის შეუღლებას. ურანოვა დედოფალს სთხოვს დახმარებას. სანდუნოვის 10 იანვრის გამოსვლამ, ურანოვას მიერ 11 თებერვალს საჯაროდ მირთმეულმა თხოვნამ მიიპყრო ეკატერინეს ყურადღება, და ორი მოსიყვარულე ადამიანის ტანჯვას თითქოს ბოლო მოეღო. ეკატერინე გამოესარჩლა ლიზანკას და მისი შემავიწროებელნი დასაჯა. ხრაპოვიცკი და საიმონოვი 1791 წლის 12 თებერვალს, ე. ი. ურანოვას პეტიციის მეორე დღესვე, ეკატერინეს ბრძანებით განდევნილ იქნენ თეატრიდან. ხრაპოვიცკი პირად მდივნად და მთხოვნელთა მიმღებად მაინც დარჩა. 14 თებერვალს ხრაპოვიცკის შეაქვს დღიურში: „სასახლის პატარა ეკლესიაში ჯვარი დასწერეს ლიზანკას და სანდუნოვს". ქორწინების რამდენიმე დღის შემდეგ დგამდნენ დიმიტრევსკის გადაკეთებულ პიესას „იშვიათ ნივთს".

ლიზა ასრულებდა გიტას როლს, დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. განაპირა ლოჟაში ზის ბეზბოროდკო. როდესაც ჯერი მიდგა არიაზე, ლიზანკამ ამოიღო ჯიბიდან ქისა, ეშმაკურად თვალები მიაპყრო ბეზბოროდკოს და დაიწყო სიმღერა:

Перестаньте льститься ложно,
И мыслять так безбожно,
Что деньгами возможно
Любовь к себе склонить.
Нам нужно не богатство.
Но младость и приятство
И еще что—то такое ..

შედგა მომღერალი, მნიშვნელოვანი პაუზა გააკეთა და ეშმაკურად განაგრძო:

Что может нас прельщать,
Что может уловлять...

შეყვარებული ბეზბოროდკოს თავგადასავალი მთელმა დარბაზმა იცოდა და ამიტომაც ლიზანკას ამ არიას მჭუხარე ოვაციები მოჰყვა. ბეზბოროდკო არ შეშფოთებულა, პირიქით მხურვალე ტაშით მიეგება ლიზანკას ასეთ გამოსვლას. ამ ინციდენტმა შთააგონა არაპოვს დაეწერა ვოდევილი „ლიზანკა", რომელიც 1858 წელს გამოიცა ელისაბედ სანდუნოვის სურათით.

სანახაობათა და მუსიკის მთავარ დირექტორად და თეატრების მმართველად დაინიშნა თავადი ნიკოლოზ ბორისის-ძე იუსუპოვი. 1791 წლის 18 მარტს სილა სანდუნოვი კვლავ მიღებულ იქნა სასახლის სცენაზე. მმართველი წრეები კი ვერ ინელებდნენ გამბედავ, თავისი ღირსების დამცველ ამაყ მეამბოხეს სილა სანდუნოვს.

უკანასკნელმა თეატრში დაბრუნებისთანავე ლოჟბარდში გაგზავნა ღარიბებისათვის დასარიგებლად ყველა ის საჩუქარი, რაც ოდესმე მიეღო მის ცოლს თაყვანისმცემლებისაგან. საჩუქრები სანდუნოვის თქმით „უპატიოსნებისა და შეურაცხყოფის სასყიდელი იყო" და იგი მათ არ მოიხმარდა. თეატრის მმართველთ არ მოეწონათ სანდუნოვის ასეთი გამოსვლა და თეატრისათვის მეტად თვალსაჩინო მსახიობს, მაგრამ ამასთან მეტად მოუსვენარს, „რუსეთის ბომარშეს", როგორც მას უწოდებენ, მტრად გაუხდნენ. იუსუპოვმა ისეთი პირობები შეუქმნა ამ ნიჭიერ ცოლ-ქმარს, რომ ხრაპოვიცკი და საიმონოვი უკვე სანატრელი გახდნენ. იუსუპოვს ვერ მოენელებინა ისეთი აქტიორი, რომელიც თავის პირად „მესაიდუმლეს" გააქელინებდა, მლიქვნელობას არ იყო დაჩვეული და ყოველგვარ შეურაცხყოფას სათანადოდ უპასუხებდა. ს. ჟიხარევი თავის დღიურში ასე ახასიათებს სანდუნოვს: „Бойкий талант, ума палата, язык бритва, но неуживчив".

ს. ჟიხარევის გადმოცემით იური დოლგორუკოვი სანდუნოვს მწარე ენისათვის ასე ეძახდა: „Сахар Медович Патокин" (შაქარი თაფლის-ძე ბადაგაძე"). დამცინავი და მწარე ენის პატრონი სანდუნოვი, ეპიგრამებისა და ექსპრომტების დიდი ოსტატი, არც თავის უფროსს ინდობდა და მასზე ბევრ მწარე და მოსწრებულ ეპიგრამებს თხზავდა, რაც იუსუპოვის ყურამდე აღწევდა. ცხადია, ასეთი ბასრი ენის პატრონს იუსუპოვი ვერ მოითმენდა და აკი ამიტომაც იგი ყოველ ხრიკს მიმართავდა, რომ თავიდან მოეშორებინა, ი. გორბუნოვის თქმით, „მოუსვენარი ქართველი".

1791 წლის 21 იანვარს სანდუნოვის მეუღლე, ევრეთწოდებულ „ქვითკირის თეატრში" გაემგზავრა და ადგილი დაიკავა მსახიობებისათვის განკუთვნილ ლოჟაში. თეატრის კონტროლიორმა იტალიელმა, გვარად კაზაკმა, უხეშად გამოდევნა ლოჟიდან სანდუნოვა და მიუთითა ქანდარაზე. პროტესტზე განუცხადა, ნაბრძანები მაქვს რუსი მსახიობები ქანდარაზე მოვათავსოო და სხვ. სანდუნოვა თეატრიდან წავიდა და წერილობით აცნობა ეს ინციდენტი იუსუპოვს. უკანასკნელმა ნაცვლად გამოძიებისა, ოთხი შეიარაღებული ჯარის-

კაცი გაგზავნა სანდუნოვების ბინაზე, და უბრძანა მათ არსად არ გაეშვათ ცოლ-ქმარი სანდუნოვები. მეორე დღეს ისინი კანტორაში დაიბარა. გათავხედებული ბიუროკრატი ცოფმორეული უშვერი სიტყვებით მიმართავს ლიზა სანდუნოვას, უყვირის: „გაეთრიე აქედან, შენ თავისუფალი ხარო. ქმარს კი მიუბრუნდა: „შენ აქ დარჩები, დაპატიმრებულს ცარიელ პურზე და წყალზე გამყოფებ“. შეკითხვაზე, რით დაიმსახურა ეს, ცინიკურად უპასუხებს: „მე ასე მსურს, ვიცი რასაც ვაკეთებ. გაათრიეთ ცოლი კანტორიდან“. ლიზა სანდუნოვამ უარი განაცხადა განთავისუფლებაზე და ქმართან დარჩა დაპატიმრებული ორ დღე-ღამეს.

იშვიათი გარეგნობის მქონე ლიზანკას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ბეზბოროდკოც არ ცხრება. საჭირო გახდა ჩამოეშორებინათ ქმარი, და აი იუსუპოვი ცოლ-ქმრის განცხადებაზე სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ აჭვეყნებს ბრძანებას,—სილა სანდუნოვი განთავისუფლებულია სამსახურიდანო. პროტესტზე, ცოლს რატომ აღარ ათავისუფლებთო, განაცხადა, თეატრალურ სკოლაშია აღზრდილი და მისი განთავისუფლება არ შეიძლებაო. მოთმინების ფიალა აივსო და 1794 წლის მარტში სანდუნოვები დედოფალ ეკატერინეს მიმართავენ ვრცელი თხოვნით, რომელშიც დაწვრილებით აღწერილია ის შევიწროება. რაც ამ ორმა მსახიობმა განიცადა. დედოფალმა შეიწყნარა თხოვნა და 1794 წლის 1 მაისის უმაღლესი ბრძანებულებით გაათავისუფლა ცოლ-ქმარი სამსახურიდან.

მეუღლენი გადასახლდნენ მოსკოვში, რომლის თეატრის კარი ფართოდ გაიღო ამ ორი ნიჭიერი მსახიობისათვის. სილა სანდუნოვი დაუბრუნდა იმ თეატრს. სადაც მისი ნიჭი პირველად გაიფურჩქნა, სადაც სცენის პირველი სიტკბოება იგრძნო. მოსკოვმა გულღიად მიიღო მსახიობი სილა. ყოველი მისი გამოსვლა მჭუხარე ოვაციებით მთავრდებოდა. დიდ სცენიურ ნიჭთან ერთად სილა იშვიათი იმპროვიზაციის უნარით იყო დაჯილდოებული. უცბად ექსპრომტის თქმა მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რაც დასტურდება ერთ-ერთი ეპიზოდით მისი თეატრალური ცხოვრებიდან. სანდუნოვის ბენეფისია. დგამენ ძველ ოპერას „რაულ სირ დე კრეკი“. სანდუნოვი სატუსაღოს დარაჯის როლს ასრულებს. ეს იშვიათი ნიჭის პატრონი მსახიობი მუსიკალური სმენით ნაკლებად იყო დაჯილდოებული და სიმღერის უნარი არ ჰქონდა. როლით კი პატარა არია უნდა დაეწყო გა-

მოჩნდა ბენეფიციანტი. მთელი დარბაზი მხურვალედ ეგებება საყვარელ მსახიობს, მაგრამ დაიწყო თუ არა არია.

„Лишь взойдет заря багряная,
В гости к бочкам я хожу."

ატყდა სიცილი. სიმღერა შეეშალა. ორკესტრი გაჩერდა, მაგრამ სანდუნოვი არ შეშფოთებულა. უაკომპონიმენტოდ დაასრულა სიმღერა, ავანსცენასთან მოვიდა და ვითომ საიდუმლოდ მიმართა ხალხს:

„Пусть себе театр смеется,
Что успел певца поддеть.
Сандунов сам признается
Что плохой он мастер петь".

მთელი დარბაზი ტაშმა მოიცვა. მოსწრებულმა ექსპრომტმა ხალხს დაავიწყა სანდუნოვის მარცხი სიმღერაში და ოპერის არც ერთ მსახიობს არა ჰქონია ისეთი მოწონება, როგორც იმ ღამეს სანდუნოვს ხვდა წილადო, ამბობს მისი ბიოგრაფი სპროტინინი.

ანტრეპრენიორ მედოქსის თეატრი 1796 წელს სახელმწიფოს ხელში გადავიდა. სილა სანდუნოვი ამ ხნიდან კვლავ სახელმწიფო თეატრის წამყვანი მსახიობი და რეჟისორია. სანდუნოვის დროს თეატრალური სასწავლებლები ისე ხშირი არ იყო. აქტიორები თვითონ ამზადებდნენ თავიანთ ცვლას, და სანდუნოვის ბევრი მოსწავლე ამშვენებდა სცენას. სანდუნოვის მტერ-მოყვარე ს. ჟიხარევი აღნიშნავს, სანდუნოვი თავის საუკეთესო როლებს დამწყებ მსახიობებს უთმობსო. „ეს კეთილშობილური და მისაბაძია" (ს. ჟიხარევი, ტ. I, გვ. 131).

1810 წლის 17 თებერვალს გამოცხადებულია სილა სანდუნოვის ბენეფისი. განზრახულია დაიდგას დრამა „კლადომირი" და ოპერა „გოსტინი დვორ" („ქარვასლა"). წარმოდგენის წინა დღეს უეცრად გარდაიცვალა მსახიობ კონდაკოვის ცოლი. კონდაკოვს პასუხსაგები როლი ჰქონდა დაკისრებული და „კლადომირი" უიმისოდ ვერ შედგებოდა. დირექციამ გადაწყვიტა პიესის შეცვლა და წარმოდგენის დაწყებისას დაავალა აქტიორ ზლოვს დამსწრეთათვის ეცნობებინა ეს ამბავი. დირექციას სრული იმედი ჰქონდა, რომ ეს აურზაურს არ გამოიწვევდა, რადგან „კლადომირის" ნაცვლად დგამდნენ ნ. ილინის „სტარიჩკოვების ოჯახს",

რომელშიც გრაბლინის მთავარ როლს დიდი ოსტატობით ახორციელებდა სანდუნოვი და ყოველთვის აღტაცებას იწვევდა მაყურებელში. გამოვიდა თუ არა ზლოვი და აცნობა ხალხს პიესის გადადება, ატყდა სტვენა და ხმაური. ვის ეხებოდა ეს სტვენა, ხმაურში ძნელი გასარჩევი იყო. პიესა დაიწყო. ორკესტრი უკრავს, ხალხი წყნარად არის. სანდუნოვი დამშვიდდა, ეგონა ქარიშხალმა გადაიარა და ჩვეულებისამებრ თამამად გამოვიდა სცენაზე. გაისმა სტვენა, აქა-იქ ყვირილი, ხმაური. აქტიორი შეშფოთდა. არ ეგონა, რომ თეატრი საყვარელ მსახიობს ასე შეხვდებოდა. მაგრამ სანდუნოვი რის სანდუნოვი იქნება, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი ვერ მონახოს. თუ 1791 წელს ბიუროკრატების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდად ექსპრომტად შეთხზული ლექსი გამოიყენა და მაყურებლისაგან მოითხოვდა განსჯას, ახლა თვით მაყურებელს მიმართავს საყვედურით და მწარე სიტყვებით უხდის მადლობას იმათ, ვინც მანამდე გუნდრუკს უკმევდა სათაყვანებელ მსახიობს. აი როგორ ასწერს თავის მოგონებაში 1810 წლის 21 თებერვლის ამ ინციდენტს თეატრის სამეურნეო ნაწილის გამგე ა. სუხოპრუდსკი: „ის (სანდუნოვი) მიუახლოვდა ორკესტრს, მიმართა ხალხს, რომ მისი 27 წლის სამსახური თეატრში, სადაც ის ყოველთვის მაყურებლის მოწონებას პოულობდა და მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო პიესის შეცვლისათვის დაუმსახურებლად შეურაცხყოფილია. არ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი გამოსვლა უმრავლესობის აზრს გამოხატავდეს, არამედ ეს შედეგია ჩემდამი მტრულად განწყობილ ზოგიერთ პირთა გავლენისა. ასეთი გამოსვლა აიძულებს მას და მის ცოლს დასტოვონ თეატრი. „არ გეგონოთ, რომ ეს ჩემი განცხადება შედეგი იყოს წუთიერი მღელვარებისა და აღშფოთებისა“. ამის შემდეგ, განაგრძობს სუხოპრუდსკი, სანდუნოვმა დაიწყო თამაში და ხალხის მოწონება და მხურვალე ტაში დაიმსახურა. წარმოდგენა სავსებით კარგად დამთავრდაო, მოახსენებს თავის უფროსებს სუხოპრუდსკი. სანდუნოვის ნიჭმა კვლავ გაიმარჯვა. მაგრამ ხალხისგან გალაღებულ, ამაყ, თავისნათქვამ სანდუნოვს რაღა დაამშვიდებს. 27 წელიწადს ხალხი ვარდ-ყვავილებს უფენდა, ერთხელ უსტვინა, და ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გადაწყვიტა „დაეწვა ის, რასაც ეთაყვანებოდა“.

17 თებერვალს სანდუნოვმა საჯაროდ განაცხადა, რომ თეატრს ტოვებს, და განა თავის სიტყვას უკან წაიღებს! დირექციას ეგონა, რომ სანდუნოვის განცხადება წუთიერი აღელვებით იყო გამოწვეული. ასე არ ფიქრობდა მხოლოდ სანდუნოვი. 21 თებერვალს მას შეაქვს განცხადება და თხოულობს თეატრიდან განთავისუფლებას. მოსკოვიდან მისი განცხადება გაგზავნეს თეატრების დირექტორთან ა. ლ. ნარიშკინთან. ამ თხოვნაზე მოსკოვის თეატრის დირექციას მოსდის მიწერილობა: სანდუნოვს სამსახურიდან განთავისუფლებაზე უარი ეთქვას, ვინაიდან არსებული წესების თანახმად აქტიორის განთავისუფლება წინასწარი განცხადების დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ ხდებაო. ამასთანავე საყვედური გამოუცხადეთ სანდუნოვს, მას უფლება არ ჰქონდა უშუალოდ მიემართა სიტყვით ხალხისათვისო. სანდუნოვს კვლავ შეაქვს განცხადება რომელშიც აღნიშნავს, რომ თეატრში დავიწყეთ სამსახური ჩვენი ნება-სურვილით, არავითარი პირობა, რომ ექვსი თვით ადრე უნდა განვაცხადოთ დირექციაში წასვლის შესახებ, არ გვიკისრია და არც გაქვთ უფლება დაგვაკავოთო.

ამ მეორე განცხადებამ წონასწორობა დააკარგვინა მმართველს. მან განკარგულება გასცა არავითარი ლმობიერება არ გამოიჩინოთ და თუ უარს განაცხადებს, დააპატიმრეთო. დირექციას თეატრის მმართველის განკარგულება ოფიციალურად უნდა ეცნობებინა სანდუნოვისათვის, ხოლო უკანასკნელს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არავითარ დათმობაზე არ წავიდეს. ოფიციალურად აცნობებენ სანდუნოვს გამოცხადდეს კანტორაში. იგი განგებ ისეთ დროს ცხადდება, როცა დირექციის არც ერთი წარმომადგენელი ადგილზე არ არის. უტოვებს ამბავს, ვიყავი, არ დამხვდით და შინ მივდივარო. გადაწყვიტეს მთელი დღე კანტორაში გაეტარებინათ, რადგან რადაც უნდა დასჯდომოდათ ოფიციალურად გადაეცათ ნარიშკინის ბრძანება. მიმართავს მოსდით პასუხი, სამჯერ ვიყავი, ვერ გნახეთ, ახლა ავადმყოფობა არ მაძლევს საშუალებას გამოვცხადდეო. შინ ეახლენ და თეატრის მმართველის ბრძანება გადასცეს. ამასთანავე სამხედრო მკურნალს მოლიანსკის დაავალეს თავლურად ადევნოს ავადმყოფს და რა წამსაც მორჩება, აცნობოს კანტორას, რათა „სარეპერტუარო ნაწილის გამგემ იმავე წუთს მაიღოს ზომები გამოიყენოს ისინი (სანდუნოვები) თავიანთი თანამდებობითი საქმიანობისათვის". სანდუნოვმა ექვს თვეს აწვალა დირექცია და უკანასკნელი იძულებული გახდა გაე-

თავისუფლებისა სამსახურიდან უნიჭიერესი მსახიობი, გოროზი და ამაყი სილა სანდუნოვი—ზანდუკელი. ჯერ კიდევ მრავალი შესაძლებლობის მქონე 54 წლის სილა სამუდამოდ შორდება სცენას. ამასთან თავს ანებებს მეუღლესაც, რომლის შერთვისათვის დიდი ქარტეხილი გადაიტანა. ჯერ კიდევ 1806 წლის 12 ნოემბერს ს. ჟიხარევი „მოხელის დღიურში“ აღნიშნავდა: „სანდუნოვებს უკმაყოფილება აქვთ, უსაყვედურებენ ერთმანეთს ღალატს... ყურადსაღებია, რითი გათავდება, მათ ხომ სიყვარულით შეირთეს ერთმანეთი“. უკმაყოფილებამ მწვავე ხასიათი მიიღო, მეუღლენი დაშორდნენ ერთმანეთს და ატყდა დავა ქონების განაწილებაზე. მოსკოვის მთავარსარდლის გენერალ-ანშეფ თავად იური დოლგორუკის დახმარებით, რომლის უკანონო შვილადაც თელიდნენ ლიზა ურანოვას, ცოლმა პროცესი მოუგო სილას და სანდუნოვის მიერ აშენებული კომფორტაბელური აბანოს ნახევარი წაართვა ყოფილ ქმარს. ყოველივე ამან მოტეხა სილა და 1820 წელს მარტის უკანასკნელ დღეებში სამუდამოდ დახუჭა თვალი რუსეთის თეატრის გამოჩენილმა მსახიობმა, შეუდრეკელმა სილოვან ზანდუკელმა.

ლაზარევის სასაფლაოზე ჟამთა ვითარების გამო სანდუნოვის ძეგლზე წარწერის ამოკითხვას კარგა დრო სჭირდება. ვაიეაგლახით გაარჩევთ შემდეგს.

„Я был актер, жрец Талии смешливой,
И кто меня в сем жречестве видал,
Тот мне всегда рукоплескал.
Но я не знал надменности кичливой!
В смысл надписи, прохожий проникай,
Тщеславься жизнию, но знай,
Что мира этого актеры и актрисы,
Как, я уйдут все за кулисы,
Кто ролю выдержать умет до конца
Тот воздаяние получит от творца“

მისი ბიოგრაფების გადმოცემით ეს ეპიტაფია სიცოცხლეშივე დაწერა თავისთავზე ამ მეტად ორიგინალურმა, მოუსვენარმა და ნიჭიერმა ადამიანმა.

# გიორგი დვანაძე

1829—1886



პრესნის საყარაულოსთან ვაგანკოვის სასაფლაოს მახლობლად, 1850 წლის 9 ნოემბერს ღამით პოლიციამ ძვირფასად მორთული ლამაზი ქალის გვამი აღმოაჩინა. ლურჯი აბრეშუმის უჯრედოვანი კაბა, ცისფერი ხავერდის კოფთა, ლურჯი ატლასის ქუდი, ჰოლანდიური ტილოს პერანგი, აბრეშუმის წინდები, ყურებზე ბრილიანტებით მოჭედილი ოქროს საყურეები, უსახელო თითზე ორი ოქროს ბეჭედი მოწმობდა, რომ მოკლული მდიდართა წრიდან იყო და ევროპული მოდის მიმდევარი. გვამთან არავითარი იარაღი არ აღმოჩნდა. მხოლოდ მახლობლად თოვლზე მოჩანდა ცხენებისა და ეტლის ნაკვალევი. გვამის თავთან თოვლზე რამდენიმე წვეთი სისხლი იყო დაქცეული. ყოველივე ეს ააშკარავებდა, რომ მკვლელობა მოხდა სხვაგან ხოლო კვალის დასაფარავად გვამი ეტლით გადმოიტანეს და დააგდეს.

ამ საიდუმლო მკვლელობამ მთელი მოსკოვი აალაპარაკა. სენსაციური ამბები მით უფრო გაძლიერდა, როცა შეიტყეს მოკლულის ვინაობა. მოსკოვის არისტოკრატიამ კარგად იცოდა. რომ მოკლული ულამაზესი ფრანგი ქალი ლუიზა სიმონ-დემანში დიდი მებატონის, განთქმული დონჟუანის და თეატრალის ალექსანდრე სუხოვო-კობილინის საყვარელი იყო. გამოძიება 7 წელიწადს გრძელდებოდა. ამ პროცესის მთავარმა მონაწილემ ა. სუხოვო-კობილინმა მთელი ეს ამბავი აწერა თავის სატირიკულ პიესაში „საქმე“ და ამით დიდი ლახვარი ჩასცა მეფის ბიუროკრატიულ სასამართლოს.

„კრეჩინსკის ქორწინების“, „ტარელეკინის სიკვდილის“ და „საქმის“ ავტორის ა. სუხოვო-კობილინის პროცესი მეტად ემსგავსება გიორგი ერისთავის თეატრის გამოჩენილი მსახიობის გიორგი დვანაძის თავზე დატეხილ უბედურებას. ამიტომაც ეს პორტრეტი ერთის შეხედვით დვანაძისათვის უცხო ამბით დავიწყეთ. რა არის საერთო მათ შორის? ორივე ერთი ეპოქის შვილია. ა. სუხოვო-კობილინი მხოლოდ 12 წლით იყო უფროსი დვანაძეზე, ორივე დიდი თეატრალი. ა. სუხოვო-კობილინი მთელ რუსეთში

გახთქმული დრამატურგი. გ. დვახაძეც დრამატურგი და ამასთან გ. ერისთავის თეატრის წამყვანი მსახიობი. ორივეს სიცოცხლე სიხარულად მიაჩნდა და უხვად იმკიდნენ ყოველივე კარგს. იცოდნენ ძლიერი სიყვარული და დიდი სიძულვილიც. ორივეს მკვლელობაში დასდეს ბრალი და აგემეს მეფის სასამართლოს „მართლმსაჯულება". ორივემ თავისი გულისწყრომა წერილობით გამოთქვა. პირველმა, როგორც აღვნიშნეთ, მძაფრი სატირიკული პიესით, მეორემ ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებით რასაც „სიყმაწვილიდან ჩემი ცხოვრება" შეარქვა.

რა განასხვაებდა მათ? ა. სუხოვო-კობილინი მდიდარი მებატონე იყო, დვანაძე კი ბატონების მხოლოდ მოურავი, პირველი თვით იმ წრის შვილი იყო, რომელმაც ის გაასამართლა. გ. დვანაძე კი მშრომელთა წიაღიდან წარმოშობილი. აკი ამიტომაც სუხოვო-კობილინის საქმე, მიუხედავად აშკარა მხილებისა, მიჩქმალეს. მის მაგივრად უდანაშაულოდ 4 შინაყმა 7 წელიწადს ამყოფეს საპყრობილეში. გ. დვანაძე კი უდახაშაულოდ დასაჯეს და საკატორღო ციხის კედლებში გამომწყვდიეს. სიკვდილის წინ სახელოვანმა დრამატურგმა ს. სუსონინთან საუბრისას განაცხადა: „რომ არ მცნობოდა გავლენიანი პირები, ფული რომ არ მქონოდა, მე უეჭველია სადმე ციმბირში ჩავლპებოდი". გიორგი დვანაძე გავლენიან პირებს არ იცნობდა, ფული არ ჰქონდა და ამიტომაც ძველი სასამართლოს მსხვერპლი გახდა. გიორგი დვანაძის ცხოვრების აღწერა ხომ მისი დროის დამახასიათებელი სურათებია. ამიტომ პორტრეტს ბიოგრაფიული დეტალებით ვტვირთავთ.

გიორგი დვანაძის მამა სვიმონი იმერეთიდან ქართლში ბერმა ბიძამ წამოიყვანა და თავისთან შიო მღვიმის მონასტერში ამყოფა. ბავშვს წერა-კითხვა და სამღვთო წერილი ბიძამ შეასწავლა. ბერი გარდაიცვალა. ჭაბუკი უპატრონოდ დარჩა. აზნაურმა ზაალ მარუჩაშვილმა მამობრივი მზრუნველობა გაუწია ბავშვს, წამოიყვანა თავის სოფელში და აღზარდა. სვიმონს ცოლად შერთეს აზნაურ ზანდუკელის ქალი და სოფელ ჭალაში დაასახლეს.

თვითონ გიორგი დვანაძის ცნობით, როცა ის 10 წლისა გახდა, მამამ სასწავლებელში მიაბარა და მესამე განყოფილებამდე წარჩინებით სწავლობდა. მეოთხეში რომ გადავიდა, ავად გახდა და დიდხანს სასწავლებელში ვეღარ წავიდა. გამოჯანსაღებისას დაიწყო სიარული სკოლაში, მაგრამ იმდენად ჩამორჩა ამხანაგებს,

რომ ვერასგზით ვეღარ დაეწია. ჩაბორჩენილმა ბავშვმა ცოტა გუ-
ლიც აიცრუა სწავლაზე. ლახტის თამამმა და ბურთაობამ გაიტაცა.
მეოთხე კლასიდან გამოაგდეს გიორგი და ამან ისე გააბრაზა სეიმო-
ნი, რომ სკამი სტყორცნა ბავშვს. სკამი ასცდა და ბავშვმა გაქცე-
ვით უშველა თავს. ამაყი იყო გიორგი და მამის საქციელმა ისე
იმოქმედა მასზე, რომ გადაწყვიტა სამუდამოდ გასცლოდა დედ-
მამის სახლ-კარს. მამა-შვილი ისევ დედამ შეარიგა. ოჯახის კონ-
ფლიქტი დამთავრდა და ზაფი ჩამოვარდა.

მობეზრდა გიორგის უსაქმოდ ყოფნა, ტოლ ბიჭებში ხეტიალი.
მამის ბუზღუნი. შეუჩნდა მშობლებს, გორში ჩამიყვანეთ და სასა-
მართლოში მწერლად დამაყენეთო. მართალია სასწავლებელი არ
ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ რუსული და მშობლიური ენა ისე
კარგად შეითვისა, რომ თავისუფლად შეძლებდა სამსახურს. რო-
გორც კალიგრაფისტი, ხომ პირდაპირ შესანიშნავი იყო. ძველად
როცა საბეჭდი მანქანების ჰაჰანებაც კი არ იყო, კარგ ხელს
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ ხელი არ უკანკალებდა, მო-
ხელედ სამსახურში ვინ მიიღებდა. 16 წლის გიორგი მამამ გორ-
ში ჩაიყვანა და მდივანბეგთან მოაწყო გადამწერად. ეს მდივან-
ბეგი, რა თქმა უნდა მექრთამე იყო.

„ვისაც ჯიბე სქელი ჰქონდა, უწოდებდნენ მას მართალსა".

წერს გიორგი დვანაძე თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში
„სიყმაწვილიდან ჩემი ცხოვრება".

იშვიათად შეეხვედრივართ ისეთ მემუარისტს, რომ თავისი
აუგი არ დაეფაროს და არ შეელამაზებინოს. გიორგი დვანაძე
გულწრფელია და თავის აუგს არ ჩქმალავს. მაგალითად, გიორგი
ამბობს, რომ ის მდივანბეგის თაღლითობის მონაწილე იყო:
„როდესაც ქრთამს აიღებდა, მეცა მქონდა ცოტა წილი".

ორ წელიწადს ვყელფავდით ხალხს და მდივანბეგი თუმანში
მანეთს მაძლევდაო. მდივანბეგი შეცვალეს. ახალმა ახლოსაც არ
გაიკარა ჩვენი ჭაბუკი და თარჯიმანის მეშვეობით იღებდა ქრთა-
მებს. როდესაც გაიხსენებთ გიორგი დვანაძის ზემოთ მოხსენებუ-
ლი ავტობიოგრაფიული ნაწარმოებს, არ გაგიჭირდებათ მას შე-
არქვათ აღსარება. აღსარების ნიშანდობლივი თვისებაა სიმართლე.
ამ ნაწარმოების ყოველი სტრიქონი კი სიმართლით არის გამსჭვა-
ლული და ამიტომ დამაჯერებელია.

გიორგი ერისთავის მიერ 1850 წლის 2 იანვარს დადგმულმა სპექტაკლმა საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შემდეგმა სპექტაკლებმა ეს შთაბეჭდილება არ შეანელეს. გადაწყდა დაარსებულიყო პროფესიული თეატრი, რომლის ხელმძღვანელობაც გიორგი ერისთავსვე დაეკისრა. დასის შეგროვება თბილისში შეუძლებელი გახდა. გიორგი ერისთავის მიერ წარმოდგენილ სპექტაკლებში არისტოკრატთა წრის წევრები იღებდნენ მონაწილეობას და რაღა თქმა უნდა, რომ ეს წარჩინებულნი არ დათანხმდებოდნენ პროფესიონალები გამხდარიყვნენ. გიორგი ერისთავი კარგად იცნობდა თავისი კლასის წარმომადგენლებს, იცოდა მათი შეხედულება თეატრზე. ამიტომ არც ცდილა დედაქალაქში მოეძებნა დასის წევრები. გიორგი გაემგზავრა გორის მაზრაში და იქ შეუდგა დასის შეგროვებას. მას მოახსენეს, რომ გორში მდივანბეგთან მსახურობს მწერლად ვინმე დვანაძე, რომელსაც სასცენო ნიჭი ეტყობა. გიორგიმ ინახულა დვანაძე, მოიხიბლა მ-სი გარეგნობით, მიხრა-მოხრით, მახვილგონიერებით. გამოცდილმა თვალმა შეატყო, რომ გიორგი დვანაძის სახით თეატრს საიმედო ძალა ეყოლებოდა.

დვანაძემ სიამოვნებით მიიღო ერისთავის წინადადება, გამოეთხოვა ხალხის მყვლეფელ მდივანბეგს და გიორგის სოფელში გაემგზავრა. აქ გიორგი ერისთავის სახლში ახლად შეკრებილი დასი სეზონისათვის ემზადებოდა.

შვილივით ეპყრობოდა გიორგი ერისთავი დვანაძეს და თეატრის ლიკვიდაციამდე არ მოუშორებია. მაგრამ მამობრივი სიყვარული ხელს არ უშლიდა ერისთავს სასტიკად დაეგმო როგორც დვანაძე, ისე დასის სხვა წევრები, თუ მათ რაიმე ცუდ საქციელს შეამჩნევდა.

ერთხელ თურმე გიორგი დვანაძე და სხვა მსახიობები პურს ჰამდნენ. ბახუსმა თავისი გაელენა იქონია და ტკბილი მასლაათი აყალმაყალად გადაიქცა. გ. ერისთავმა ეს ამბავი, რომ შეიტყო, სასტიკად დატუქსა ჩხუბის ამტეხნი და თეატრიდან გაძევება დაუპირა მათ. მაგრამ გიორგი ერისთავმა მალე გული მოიბრუნა და მათ შორის მამა-შვილური დამოკიდებულება განახლდა.

გ. ერისთავი დიდ ყურადღებას აქცევდა დასის წევრთა მორალურ მხარეს. იგი თეატრს წმიდათა წმიდად თვლიდა და ამიტომაც მის მსახურთაგან მოითხოვდა ზნეობრივ სიფაქიზეს და კდემა-

მოსილებას. გ. დვანაძემ დაუწყო ტრფიალი ერთ მსახიობ ქალს, მაგრამ მისი ცოლად შერთვა კი არ უნდოდა. ეს რომ შეიტყო გიორგი ერისთავმა, საშინლად აღელდა და აიძულა გიორგი დვანაძე ჯვარი დაეწერა ამ მსახიობ ქალზე.

როგორც მსახიობი, გიორგი დვანაძე თვალსაჩინო ძალას წარმოადგენდა და დასის პრემიერად ითვლებოდა. იგი ამპლუათი შეზღუდული არ იყო და ასრულებდა როგორც კომიკურ-სახასიათო, ისე ჟენ-პრემიერის როლებსაც. მიხეილ თუმანიშვილის შეფასებით „დვანაძე საუკეთესოდ ადგენს მემამულეებს, რომელთაც სოფლური ჩვეულებისაგან თავი ვერ დაუღწევიათ".

გიორგი დვანაძე პიესებსაც წერდა. მისი „სახლი კუკიაში", რომელიც დაკარგულია, წარმოდგენილ იქნა სცენაზე 1852/53 წლის სეზონში.

ეს ნიჭიერი მსახიობი თავის დროზე საკმაო პოპულარობით სარგებლობდა როგორც პოეტიც. მის ნაწერებს ახასიათებს სიმძაფრე და ტემპერამენტი. ამასთან მისი მსოფლმხედველობა პროგრესულია. იგი მაშინდელ სოციალურ უკუღმართობას მედგრად ებრძვის როგორც სიტყვით, ისე კალმით. საკმარისია გავიხსენოთ ერთი ფაქტი. მთელი პროგრესული რუსეთი იბრძოდა ბატონყმობის მოსპობისათვის. მებატონეები გრძნობდნენ, რომ მათს თარეშს ბოლო ეღებოდა, და ათასგვარი პალიატივებით ცდილობდნენ ამ ინსტიტუტის შენარჩუნებას. ამ შემთხვევაში საკმარისია გავიხსენოთ ერეკლე II შვილიშვილი დრამატურგი ალექსანდრე ორბელიანი. ამ უკანასკნელმა 1859 წლის „ცისკარში" გამოაქვეყნა საპროგრამო წერილი „ჩვენი საქართველოს საზოგადოება". ალექსანდრე ორბელიანი ბატონყმური საქართველოს ხსნას ვაჭრობის შექმნაში ხედავს. ქადაგებს რა კლასთა შორის სიყვარულს, იგი ურჩევს თავადაზნაურობას მიბაძოს დიდ ფეოდალ ივანე მუხრან-ბატონს, რომელმაც ვაჭრობით ერთიათად გაზარდა ქონება და ევროპულ ყაიდაზე მოაწყო თავისი სასახლე. ა. ორბელიანის წერილმა პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ალექსანდრე ორბელიანის წინააღმდეგ პირველმა ამოიღო ხმა გიორგი დვანაძემ, რომელმაც ლექსით უპასუხა ბატონყმობის მოტრფიალეს.

საყურადღებოა, რომ ეს ლექსი დაწერილია იმ პერიოდში, როცა გიორგი დვანაძე თეატრს ჩამოშორდა და დიდი ფეოდალის რევაზ ერისთავის მოურავი იყო. რასაკვირველია, გიორგი კარგად

ერკვეოდა, რა „ქამაშვილური“ დამოკიდებულება არსებობდა ბატონებსა და ყმებს შორის.

გიორგი დვანაძე რომ ხელწამოსაკრავი პოეტი არ იყო, ეს თუ გინდ ჩანს მისი პოპულარული ლექსიდან „დილა“. ვის არ მოუსმენია ხალხის საყვარელი სიმღერა:

ახ. დილავ! დილავ! კვლავ სანატრელო
ჩემის გულისა დამატკბობელო.

გ. დვანაძის „დილა“ მტკიცედ დამკვიდრდა ხალხში და მას ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა. იოსებ გრიშაშვილის გამოკვლევით, გ. დვანაძის ამ ერთ ლექსს იმდენი მიმბაძველი გამოუჩნდა, რომ ჩამოთვლაც კი გაუჭირდება ადამიანს. მკვლევარის დასკვნით, ამ ყაიდის ლექსებიდან მტკიცედ დამკვიდრდა ხალხში მხოლოდ გ. დვანაძის „დილა“ და მისი მიბაძვით დაწერილი „ახ, მთვარევ, მთვარევ“.

გიორგი დვანაძეს აღნიშნული ლექსი დათარიღებული აქვს 1857 წლის 15 იანვრით.— „დილა“ ავტორის სიცოცხლეში 1860 წელს დაიბეჭდა „ცისკარში“ და მოწერილი აქვს თ. გ. ო. (თავადი გრიგოლ ორბელიანი). „ცისკრის“ რედაქციის ეს შეცდომა გრიგოლ ორბელიანის კრებულის სხვა რედაქტორებმაც გაიმეორეს და მის თხზულებაში შეიტანეს ეს ლექსი. ძველად ლექსების დიდი უმრავლესობა ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა. გრიგოლ ორბელიანს ნიკოლოზ ბარათაშვილისეულ ხელთნაწერ კრებულში მოთავსებული ლექსის „დილას“ ხელმოწერა თ. გ. ორბელიანი წაუშლია და მიუწერია ფანქრით „ტყუილია“. ეტყობა რედაქტორებს ეს კრებული გამორჩათ და გ. დვანაძის ლექსი შემდეგ გამოცემებში გამოჩენილ პოეტს გრ. ორბელიანს მიაკუთვნეს. ამის შესახებ გ. დვანაძე მოსთქვამს:

ერთხელ დავწერე ლექსი „დილა“
და მომეწონა ..
უნდა გსმენოდეს ეხლა „დილას“
რომა მღერობენ
ის მე დავწერე, თუმცა ტყუილად
სხვანი სჩემობენ.
ჯიბეშიაც მაქვს დაწერილი
ამ „დილის“ ლექსი,
აჰა, გიჩვენებ რზოგორ არის
გულის საკვნესი...

1956 წელს გიორგი ერისთავის თეატრი დაიშალა. აქტიორები თავიანთ სოფლებში წავიდნენ. გიორგი დვანაძე და მისი მეუღლე სოფელს დაუბრუნდნენ. დიდხანს არ დარჩენილა შინ გიორგი დვანაძე. გ. ერისთავმა თავისი საყვარელი აქტიორი მოურავად მიიწვია. და მთელი მამული გამგებლობა მას ჩააბარა. გ. ერისთავს კარგა დიდი მამული ჰქონდა და სამასი ყმა ჰყავდა.

გულმოდგინედ შეუდგა გიორგი თავისი მოვალეობის შესრულებას. ქიშპობა და მტრობა მომიჯნავე ბატონებს შორის ხომ ჩვეულებრივი ამბავი იყო. დვანაძე მედგრად იცავდა თავისი ბატონის ინტერესებს და მამულის ერთ მტკაველ მიწასაც არ ანებებდა მოქიშპეებს. ერთხელ დულჭნის საზღვარზე გრემის ხევიდან კეტებით შეიარაღებული ორმოცი კაცი დაესხა თავს. მას თან ახლდა ხუთი თოფიანი ბიჭი. შეიქნა ხელჩართული ბრძოლა. დვანაძის ბიჭებმა სძლიეს ორმოც კაცს, ყველანი გაფანტეს. ექვსი მოთავე შებოჭეს და მდივანბეგს ჩაუყვანეს. სადაო მამული გიორგი ერისთავს დარჩა.

ოთხ წელიწადს გიორგი ერისთავთან ყოფხით გ. დვანაძემ ბევრი მტერი გაიჩინა. სამაგიეროდ ერისთავი ძლიერ აფასებდა მას და შვილივით ეპყრობოდა. გ. დვანაძისა არ იყოს

მაგრამ ენა რას არა იქს, თუ იპოვნა კაცის გული,
გაჰყრის ცოლ-ქმარს, მამა-შვილსა, ენა შხამით მოწამლული.

შეუჩნდნენ გიორგი ერისთავს, დვანაძე ხათაბალას შეგყრის, მოიშორე, ყმებს მახტა* გაუკეთეო. გიორგი ერისთავი თვითონაც აპირებდა მახტის დადგენას. მოსწერა წერილი დვანაძეს—მოურავი აღარ მინდა, ახალი წესი დავიწყე, ყმები მახტაზე გავუშვი, შენ ამაგს არასოდეს არ დავივიწყებო.

დვანაძე შინ დაბრუნდა და თავისი დანგრეული სახლკარის აღდგენას შეუდგა. მალე ცნობილმა ფეოდალმა რევაზ ერისთავმა მიიწვია მოურავად. ჯამაგირი დაუნიშნა წელიწადში 600 მანეთი და ამასთან შვიდი ღღიური ნახნავი. რევაზ ერისთავი დიდი მწიგნობარი და მჭევრმეტყველი კაცი იყო. გ. დვანაძე ძლიერ შეუყვარდა, დიდად აფასებდა მის ერთგულებას. სამი წლის შემდეგ, როცა დვანაძემ განიზრახა თავისი სახლკარისათვის მიეხედა, არ უშვებდა ასეთ ერთგულ ადამიანს. ძლივ-ძლივობით თავი გაითავისუფლა. სოფელში დაბრუნებისას აიშენა ქვითკირის სახლი, გააშენა ვენახი, ხეხილის ბაღი, შეეძინა ერთი ქალი და სამი ვაჟი.

* წლის გამოსაღები ფული კომლზე.

ცისმა ბედნიერმა ცხოვრებამ დიდხანს არ გასტანა. მოულოდნელად 14 წლის ვაჟი გარდაეცვალა, რამაც მთლად მოშალა ბუნებით მხიარული გიორგი. მაგრამ ნათქვამია, მიწა გრილიაო, და პირშუშის სიკვდილით მიყენებული ჭრილობა თანდათან მოიშუშა. ბევრი მეჯობარი გაიჩინა და მტერიც საკმაოდ ჰყავდა. სიმართლის მოყვარულ ადამიანს მტერი როდი დაელევა. გიორგის შინ გასათხოვარი და ჰყავდა. ეს და დაუმეგობრდა კარის მეზობელს ვინმე აზნაურ კ - ს. ეს უკანასკნელი კი შეუჩნდა გიორგის და შვილი მოანათვლინა. კ--ი ქალების დიდი მუსუსი იყო. სათნო და მშვენებით სავსე ცოლი ჰყავდა, მას ყურადღებას არ აქცევდა და მეზობლის ცოლებში დანავარდობდა. ბევრ ქალს სახელი გაუტეხა, ქმრებს ლეჩაქი დაახურა. ამ ვაჟბატონმა განიზრახა დვანაძის დასთან მრუშობა. შეიტყო გიორგიმ ეს და ნათლიმამა სახლიდან გააგდო.

ვინ მოთვლის რამდენი შერცხვენილი და თაყლაფდასხმული ქმარი შურისსაძიებლად ეზადებოდა. ერთ ღამეს ვიღაცამ ქურდულად ესროლა თოფი კ—ს და მოჰკლა. ეჭვი დვანაძეზე მიიტანეს და დააპატიმრეს. დაიწყო გამოძიება. გიორგი დვანაძის მიმართ არავითარი მაბრალებელი მასალა არ იყო, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ვინმე დავით ქინცაძის ყალბ ჩვენებას. ეს უკანასკნელი აჩვენებდა, მკვლელობის წინ საღამოს ჟამს მინდვრიდან ხარები მიერეკე სახლში, ეენახში კაკლის ხის ძირში ვნახე გიორგი დვანაძე თოფით ხელში. აი მთელი „მხილება“. გამოირკვა, რომ დავით ქინცაძე მალავდა იმ პირს, ვისთანაც ერთად მჭყემსავდა საქონელს, რადგან თუ თოფით ხელში ნახა გ. დვანაძე, ის მეორე მწყემსიც დაინახავდა. გორის საპატიმროში გამომწყვდეული გიორგი დვანაძე ამაოდ ცდილობს მოახდინოს ადგილობრივი დათვალიერება, მოძებნონ ის მეორე მწყემსი. გამოძიებელმა ფული ვერ მიიღო გ. დვანაძისაგან და საქმე ისე წარმართა, როგორც მოესურვა. გ. ეროსთავი ცოცხალი აღარ იყო, რომ თავის საყვარელ აქტიორს დახმარებოდა, „ბართლმსაჯულების“ კლანჭებიდან ეხსნა იგი. ციხეში ყოფნისას მეგობრები დახმარებას უწევდნენ და დარდს უქარვებდნენ. ამ პერიოდში გორის საპატიმროს ზედამხედველის თანაშემწედ მსახურობდა მერაბ გაბუნია. მერაბს ეს ტუსაღი ხშირად მიჰყავდა თავის სახლში და აქეიფებდა. მერაბის ქალიშვილებს კესოს და ნატოს (შემდგომში ქართული თეატრის დიდი მსახიობი) ძლიერ ეცოდებოდათ უდანაშაულოდ სატუსაღოში ჩავარდნი-

ლი ადამიანი და მზრუნველობას არ აკლებდნენ მას. გ. დვანაძის ექსპრომტები გავრცელებული იყო ხალხში და ბევრს სასახელოდ მიაჩნდა მისი ნაცნობობა და სტუმრობა. პატარა გოგონა ნატოც ლექსებს წერდა და გ. დვანაძეს გაეშაირა კიდეც. დიდი მსახიობი, ნატო გაბუნია, როგორც პოეტი ძალიან სუსტი იყო. ერთხელ მან თავისი ლექსები გადასცა ანტონ ფურცელაძეს და სთხოვა გაზეთში გამოექვეყნებინა. ანტონ ფურცელაძემ გული არ გაუტეხა გოგონას და დაარწმუნა, შენი ლექსები დაიბეჭდებოდა, მაგრამ ცენზორმა არ გაუშვაო. გ. დვანაძე ამ მხრივ ულმობელი გამოდგა და გორის სააპატიმროში ნატოსაგან მიღებულ ლექსებს ასე უპასუხა:

ნატო! ჩემთვის არს დიდად საწუხარი,
უნდა მოგიგო ლექსის პასუხი,
მსურდა სიჩუმე, არასა გწერდი,
მაგრამ ვიფიქრე ითაკილებდი;
მივიღე ლექსი აჭარბებია.
რაღაც უგრძნობლად დანაბღაპია
უაზრო-ურითმო და აბდაუბდა,
დაკოჭლებული შენსავით კუდა,
ისევ შენ თოჯებს მიუალერსე და სხვ.

გორის სააპატიმროში ყოფნისას გიორგის სოფლიდან მოსდის ცნობა მეუღლის გარდაცვალების შესახებ. ცოლის სიკვდილმა მთლად მოტეხა. მეუღლე გარდაეცვალა, ოჯახი გაპარტახდა, უდანაშაულოდ საპყრობილეშია გამომწყვდეული და რა გუნებაზე იქნებოდა, ადვილი წარმოსადგენია. დედისაგან მოსდის წერილი...

დედა ატყობინებდა, რომ მეორე მწყემსს, რომელიც დავით ქინცაძესთან ყოფილა, ეთქვა, ხარი რომ ჩამოვატარეთ, გიორგი თავის სახლის წინ იდგა, ჩიბუხსა სწევდაო. ამით ქარწყლდებოდა ერთად-ერთი „მამხილებელი“ მასალა – დავით ქინცაძის ჩვენება. ასევე ატყობინებდა დედა, რომ დავითს ძმასთან მოსელია ჩხუბი და წაუყვედრებია, ტყუილად რათ დამაღუპინე დვანაძეო.

1874 წლის 10 მაისს გორში თბილისიდან ჩავიდა საოლქო სასამართლო. პროცესს აუარებელი ხალხი დაესწრო. ცრუმოწმის დავით ქინცაძის ჩვენება გაცამტვერებულ იქნა. პროკურორმა ბრალდება არ მოხსნა და ცოფმორეული მოითხოვდა გ. დვანაძის დასჯას. რა ექნა, პატარა კაცი იყო დვანაძე, მისი მოყიდვა არ შეეძლო ან რათ უნდა მოექრთამა, როცა დანაშაულს არ გრძნობ

და. სასამართლომ გაამართლა. პროკურორმა მაშინვე პროტესტი განაცხადა. ბევრს ეხვეწნენ, მაგრამ გაჯიუტდა. ვინაიდან პროკურორმა განაჩენი გააპროტესტა და აპელაციაში უნდა გადაეტანა, სასამართლომ მიხეილ თარხნიშვილისა და გიორგი ჯაფარიძის თავდებობით გაათავისუფლა გ. დვანაძე. ექვს თვეს თავისუფლად დადიოდა. 31 ოქტომბერს პალატაში დანიშნეს საქმე. ურჩიეს დამალვა, მაგრამ დვანაძემ ეს არ იკადრა, თავდებებს ვერ უღალატებდა და წარსდგა სასამართლოში. პალატამ 10 წლის კატორღა მიუსაჯა. გ. დვანაძემ ფარხმალი არ დაყარა და საქმე სენატში გადაიტანა.

უდრტვინელად მოელის სენატის პასუხს და გულიდან აღმოხდება:

ერთი კიდევ საწუხარი, თუ გამგზავნეს, ეს გამყვება
პირველად მწვავს ესე ცეცხლი, სამი შვილი ობლად მრჩება.
მერე სამშობლოს მამულის სიყვარული თან წამყვება.
ვაიმე! რომ თავი ჩემი, მამულს ვეღარ დააკვდება.

სენატმა არ შეიწყნარა მისი კასაცია და პალატის განაჩენი ძალაში დატოვა.

1876 წელს დვანაძე ბორკილებით შებოჭილი ფეხით გაუყენეს რუსეთისაკენ... რომელ საკატორღო საპყრობილეებში იხდიდა სასჯელს, ეს არ არის დადგენილი. ვიცით მხოლოდ ის, რომ 1885-1886 წლებში კურსკის გუბერნიაში ბელგოროდის საპყრობილეში იჯდა. ფარხმალს არ ყრიდა და სამართალს ეძებდა. სენატის შემდეგ ერთადერთი გზა იყო პატიების თხოვნა. გ. დვანაძემ წერილობით ლექსად მიმართა რუსეთში მცხოვრებ ერთ-ერთ ბატონიშვილს და აუწერა საქმის ვითარება. ბატონიშვილი დარწმუნდა გ. დვანაძის სიმართლეში და მისი შუამდგომლობით გ. დვანაძე ვადაზე ადრე განთავისუფლებულ იქნა. სიხარულით გამოემგზავრა გიორგი სამშობლოსაკენ. მატარებელი ხარკოვს უახლოვდება. გიორგის სუნთქვა ეკვრის და უცბად გულის დამბლით გათავდა ადამიანი. გვამს ჯიბეში აღმოაჩნდა შვილის სვიმონ დვანაძის მისამართი. ხარკოვში მცხოვრებმა ქართველებმა აცნობეს შვილს მამის გარდაცვალება და მიწას მიაბარეს ტანჯული ადამიანის გვამი.

კატორღაში გამგზავრების წინ თბილისის საპყრობილეში გ. დვანაძემ დაწერა:

ვიღა იპოვის ჩემსა საფლავსა.
ვინ სცნობს, ვიქნები სად დამარხული.

ვინ ჩამომძახებს საფლავში მკვდარსა:
განთავისუფლდა შენი მამული.

სად არის დამარხული გიორგი დვანაძე, ხარკოვში თუ მის მიდამოებში, არავინ იცის. საწყალი გ. დვანაძე! ის ხომ შვილი იყო იმ ეპოქისა, როცა სამართალს მათრახი წყვეტდა, მართლმსაჯულება ოქროზე იყიდებოდა. გ. დვანაძეს ოქრო არ ჰქონდა თავის კოლეგა სუხოვო-კობილინივით და აკი ამიტომაც ძველი რეჟიმის სუსხი იგემა.

ახლა კი აღორძინებული მისი ქვეყანა წინაპართა ღვაწლსაც გაიხსენებს. გიორგი დვანაძესაც გამოუჩნდება თავისი მემატიანე, მისი ცხოვრების აღმნუსხველი, რომელიც მოუთხრობს მომავალ თაობას მის მღელვარებით აღსავსე ამბავს და შექმნის წიგნს, რაც საუკეთესო ძეგლი იქნება თავისუფლების მოტრფიალე ადამიანისათვის.

დაე ეს პატარა პორტრეტიც მასალად გამოადგეს დვანაძის ცხოვრების მემატიანეს.

# ბაბო ავალიშვილი

1851—1900

გიორგი ერისთავის თეატრი დაიშალა. ეროვნული კულტურის კერა ჩაიფერფლა. ხელოვნების მწუხრი დადგა. მდუმარებამ მოიცვა ყველა. მაგრამ დიდხანს როდი გაგრძელებულა ეს. განა იმ ერს, რომელმაც შექმნა წარმტაცი მელოდიები, ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები, თაობიდან თაობაზე გადასული ხალხური პოეზიის მარგალიტები, დიდხანს შეეძლო უთეატროდ ცხოვრება!

ასეთი ხალხისათვის თეატრალური სანახაობანიც ისევე იყო საჭირო, როგორც დედამიწისათვის მზე, და გვალვისაგან გადამხმარი ყანისათვის ცის ნამი.

მართალია პროფესიულმა თეატრმა სული განუტევა, მაგრამ სცენისმოყვარეები ხომ დარჩნენ. კანტიკუნტად, კერძო სახლებში შინაური წარმოდგენები იმართება—მოთამაშეთა თავშესაქცევად და მაყურებელთა გასართობად.

აი ასეთი შინაური წარმოდგენების ერთ-ერთი ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო ერეკლე მეორეს მდივანბეგის და ისტორიკოსის ომარ ხერხეულიძის შვილიშვილი ბაბო.

ბაბოს თანამედროვე ცნობილი მწერალი გიორგი წერეთელი 1893 წლის „კვალის“ № 12-ში წერდა:

„...1868 და 1869 წელს მოგვესმა თავადის ბარბარე ხერხეულიძის ასულის გამოსვლა სცენაზე. თავადი ბარბარე ხერხეულიძის ასული საკვირველი შნოიანი, ლამაზი, მოხდენილი ტანადობისა იყო, მაშინ ის იქნებოდა თხუთმეტი-თექვსმეტი წლისა, ტანმორჩილი, მოხდენილი მანდილოსანი. იმ დროს მამა ცოცხალი აღარა ჰყავდა, მაგრამ როგორც ეტყობოდა მის დედას სასიამოვნოდ მიაჩნდა, რომ მისი ახალგაზრდა კოპწია, ცოცხალი ხასიათის ქალი საზოგადოების ყურადღებას იქცევდა, ახალგაზრდობას აგროვებდა თავის გარშემო. ქართული წარმოდგენების გასამართავად რეპეტიციები ხშირად მოხდებოდა ხოლმე მისივე სახლში ანჩისხატის უბანში... თავადი ბარბარე ხერხეულიძე წარმოდგენების შემდეგ მართავდა თეატრის შემოსავლიდან საზოგადო დროს გასატარებელ საღამოებსა. ამით მას სურდა ქართული საზოგადოება

და ოჯახები ერთმანეთთან დაეახლოვებინა და მეტი თანაგრძნობა გაეღვივებინა ქართველ მსახიობებში... იმ დროს ბაბოს სახელი (ასე ეძახოდნენ მას) ახალგაზრდობაში პატივცემით და აღტაცებით წარმოითქმოდა ხოლმე. მის გარეგან სილამაზეს და მოხდენილ ტანადობას უდრიდა მისი უმანკო სულის სიმშვენიერე და გულის მიმზიდავი დარბაისლური ყოფაქცევა.. "

ბაბოს შინაური წარმოდგენებით გატაცებას მისი ოჯახის წევრები თანაგრძნობით ხვდებოდნენ. ეს იმ დროს, როცა ქალის მონაწილეობა სპექტაკლში სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა. რამდენი დაცინვა, კილვა უნდა აეტანათ იმ ქალებს, რომლებიც სპექტაკლებში მონაწილეობის მიღებას ბედავდნენ. რომელი დედა გაბედავდა და თავის ქალს სცენაზე გაუშვებდა სათამაშოდ. სცენაზე საჯაროდ ნაკოცნ ქალს რომელი თავმომწონე ვაჟი ითხოვდა. ასე მსჯელობდნენ როგორც წარჩინებულთა წრეებში, ასევე დაბალ ფენებშიც. ბაბო ხერხეულიძის ოჯახი ასეთ შეხედულებას არ იზიარებდა და ეკუთვნოდა იმ ჯგუფს, რომელმაც მიზნად დაისახა თეატრის სამსახური. მაგრამ აკმაყოფილებდა თუ არა საზოგადოების პროგრესულ ნაწილს ეს შინაური წარმოდგენები? რასაკვირველია, არა. ასეთ წარმოდგენებს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, დაბალი ფენისათვის მიუწვდომელი იყო, წარჩინებულთა გასართობს წარმოადგენდა. ამიტომაც ქართველი ერის მოწინავე შვილთა საზრუნავი გახდა მუდმივი პროფესიული დასის აღდგენა.

პრესის ფურცლებზე გაისმა დიდი ილიას და მის თანამებრძოლთა მკვეთრი ხმა მუდმივი დასის დაარსების შესახებ. ილია ჭავჭავაძე ფართო გეგმებს უსახავს თეატრს და დიდ ფუნქციებს აკისრებს მას. მოწინავე პირთა ცდამ ნაყოფი გამოიღო და 1879 წელს აღდგენილ იქნა მუდმივი პროფესიული დასი.

სწორედ ბედნიერ ვარსკვლავზე იშვა ეს დასი. მას ერთბაშად ისეთი ბუმბერაზი მსახიობები გამოუჩნდნენ, როგორიც იყვნენ ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვი, ნატო გაბუნია, კოტე ყიფიანი და სხვ. პირველ წლებში დასის რეპერტუარი კომედიებისაგან შედგებოდა, ვინაიდან ტრაგიკული და დრამატული როლების შემსრულებელი არც ქალი იყო დასში და არც კაცი. სურვილი კი დიდი იყო სერიოზული პიესები დაედგათ. ამ პერიოდში მსახიობმა კოტე მესხმა გრიგოლ რჩეულიშვილის რომანი „თამარ ბატონიშვილი"

პიესად გადააკეთა და დასადგმელად წარუდგინა ახლად ჩამოყალიბებულ დასს. თეატრის ხელმძღვანელობამ პიესა მოიწონა, მაგრამ დაბრკოლებას ჰქმნიდა ახალგაზრდა თამარის როლის შემსრულებლის გამონახვა. ურჩიეს მოეწვიათ ამ როლისათვის სცენისმოყვარეებში საკმაოდ ცნობილი ანდრო ხერხეულიძის ასული ბაბო. დებიუტი წარმატებით დამთავრდა. ამ დღიდან ბაბომ თავისი ბედი მტკიცედ დაუკავშირა ქართულ პროფესიულ დასს და დრამატული როლების პირველი შემსრულებელი გახდა. ბაბომ პირველმა შეასრულა დ. ერისთავის „სამშობლოში" ქეთევანის როლი, ვ. გუნიას „და-ძმაში" მარინე, დენერის და კორმონის მელოდრამა „ორ ობოლში" ჰენრიეტა, კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტაში" ივდითი და მრავალი სხვა.

დიდის სიყვარულით სარგებლობდა ბაბო საზოგადოებაში. მისი სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავი არაჩვეულებრივი ზეიმით აღინიშნა 1893 წლის 8 დეკემბერს. წარმოდგენილ იქნა იმ დროს მეტად პოპულარული დრამატურგის ა. პოტეხინის ოთხმოქმედებიანი პიესა „სულით ღატაკნი". მთელი თეატრი ყვავილებით იყო მორთული. დარბაზი მთლად გაჭედილი იყო ხალხით და ბევრი უბილეთობის გამო გულდაწყვეტილი დაბრუნდა შინ. მეორე მოქმედების შემდეგ გაიმართა ზეიმი. სცენაზე ყვავილები და დაფნის გვირგვინები გორად დადგა. მხურვალე სიტყვებით მიმართეს მსახიობს სცენის ამხანაგებმა, რუსული და სომხური თეატრების წარმომადგენლებმა, პოეტმა ნინო ორბელიანმა იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა. ჟურნალ-გაზეთებმა სპეციალური წერილები უძღვნეს სცენის უანგარო მუშაკს.

რით აიხსნებოდა ბაბო ავალიშვილის ასეთი პოპულარობა, უტოლდებოდა თუ არა იგი თავისი არტისტული დიაპაზონით მაკო საფაროვს, ნატო გაბუნიას, ლადო მესხიშვილს და ვასო აბაშიძეს? რასაკვირველია, არა. ეს ოთხი მსახიობი ქართული გენიის გამოვლინებანი იყვნენ და მათ ვერავინ გაუტოლდა, თუმცა ნიჭიერი მსახიობებით მდიდარი იყო ჩვენი თეატრი. სცენიური მომხიბვლელობა, საკმაო ტემპერამენტი საშუალებას აძლევდა ბაბოს ბუმბერაზ მსახიობთა ღირსეული პარტნიორი ყოფილიყო. წარმატებას ხელს უწყობდა მომგებიანი დრამატული როლების განსახიერება. მეტად ულმობელი, პირუთვნელი და სასტიკი რეცენზენტებიც კი ბაბო ავალიშვილის თამაშს თითქმის ყოველთვის დადებითად აფასებდნენ და ხოტბას ასხამდნენ.

ბარტო თბილისით არ ამოიწურებოდა ბაბო ავალიშვილის სასცენო მოღვაწეობა. იგი ხშირი სტუმარი იყო ქუთაისის დასისა, როგორც გასტროლიორი. ერთ სეზონში ქუთაისში მსახიობობდა კიდეც ლადო მესხიშვილთან. მაგრამ სეზონის დამთავრება ვერ მოასწრო და ავად გახდა. ქუთაისის საზოგადოებრიობამ დიდი მზრუნველობა გაუწია მსახიობს. ავადმყოფი მოთავსებულ იქნა ცნობილი ექიმის სამსონ თოფურიას საავადმყოფოში. კარგი მოვლის შედეგად ბაბო იმდენად გამოკეთდა, რომ თბილისში დაბრუნდა და სცენაზე მუშაობა დაიწყო.

1898 წლის 25 მარტს ბაბომ მესხიშვილის საგასტროლო წარმოდგენაში „ურიელ აკოსტაში“ შეასრულა ივდითის როლი. ეს იყო ბაბოს უკანასკნელი გამოსვლა სცენაზე. ავადმყოფობამ დარია ხელი და შრომის უნარი დაუკარგა.

ოდესღაც დიდად შეძლებული ანდრო ხერხეულიძის ოჯახი გაღატაკდა. ხელგაშლილმა ცხოვრებამ, საღამოების გამართვამ, სტუმრიანობამ მთლად გააჩანაგა ოჯახი. ბაბოს ცხოვრებაში ნამდვილი ტრაგედია დაიწყო. დაძაბუნებული, ყოველივე სახსარს მოკლებული დარჩა ბაბო. რამდენ გაჭირვებულს დახმარებია, რამდენისთვის ხელი გაუმართავს, და ახლა კი თვითონ ისეთ მდგომარეობაშია, რომ ხშირად ლუკმაპური ენატრება. ფიზიკურად დასუსტებული და დაძაბუნებული სულიერადაც იტანჯებოდა, ნუგეშისმცემელი კი არსაიდან არა ჩანდა. ამხანაგების მიერ მის სასარგებლოდ გამართული წარმოდგენებიდან მიღებული შემოსავალი დაავადებული ადამიანისათვის წვეთი იყო ზღვაში. ძალიანაც რომ სდომებოდათ ამხანაგებს დახმარება, რას იზამდნენ. თვითონ ნახევრად მშიერ-მწყურვალნი, როგორ შეძლებდნენ ბაბოსათვის ნუგეში ეცათ და მძიმე ხვედრი შეემსუბუქებინათ. წელიწადში 4-5 თვიანი სეზონის მსახიობს იმდენი რა შემოსავალი ჰქონდა, რომ თავისი ლუკმა სხვისთვის გაეზიარებინა. და ყველასგან მიტოვებული ბაბო სოფელში გაგზავნეს ნათესავებთან. სტუმართ-მოყვარე, პურადია ჩვენი ხალხი. მაგრამ ხომ გაგვიგონია ხალხური სიმღერა—„დილით ოქრო ხარ სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი, თუ ცოტას დააგვიანებ, სპილენძად გადაიქცევი“. ავადმყოფ ბაბოს ხანგრძლივი სტუმრობა მოსაბეზრებელი იყო ისედაც გაჭირვებულ მის ნათესავთათვის.

საყურადღებოა გავიხსენოთ ქართული დრამატული საზოგადო-

ების კრების ერთ-ერთი ამონაწერი: „თავმჯდომარემ პეტრე ყიფიანმა კრებას წაუკითხა არტისტი ქალის ბაბო ავალიშვილის თხოვნა, რომელშიაც წერს იგი, რომ აგერ 30 წელიწადია რაც ქართულ სცენას ემსახურება, ახლა დასნეულდა და არავითარი ღონისძიება არ მომეპოვება ვიწამლო და თავი შევინახოო. გთხოვთ დროგამოშვებით რაიმე შემწეობა აღმომიჩინოთო“.

როგორც „ივერიის“ თანამშრომელი დასძენს, „კრებამ დიდის გულმტკივნეულობით მოისმინა ეს თხოვნა და გამგეობას დაავალა შემწეობა აღმოუჩინოს რა³დენადაც ეს შეიძლება“. იმავე წელს ამხანაგებმა ბაბო ავალიშვილის სასარგებლოდ დადგეს ავქსენტი ცაგარლის პიესა „ერთი ნაბიჯი წინ“ და წარმოდგენის მთელი შემოსავალი დაავადებულ მსახიობს გადასცეს.

გაზეთი „კვალი“ თავის 1898 წლის № 46-ში წერდა, ბაბო ავალიშვილს ტვინის დამბლა დაემართაო. საზოგადოებაში ათასგვარი ხმები დაირხა ბაბოს ავადმყოფობის შესახებ. უმეტესობასმიზეზად მიაჩნდა ის რომ „სამშობლოს“ ერთ-ერთ წარმოდგენაზე მეხუთე მოქმედებაში ცუდად დაეცა მსახიობი სცენაზე, თავი მაგრა დაარტყა იატაკს, ტვინის შერყევა დაემართა და ამან რამდენიმე ხნის შემდეგ იჩინა თავიო.

ძველი თეატრის ერთ-ერთი ორგანიზატორი ნიკო ავალიშვილი თავის დღიურში ამ ვერსიას იზიარებს. ბაბო ავალიშვილის ავადმყოფობის მიზეზის გამორკვევას არ შევუდგებით. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სოფლად მყოფმა ბაბომ თანდათანობით დაკარგა გრძნობიერება, მახლობლებს ეეღარ ცნობდა, აკვიატებული აზრები დაემატა და მასთან ყოფნა უკვე ძნელი გახდა. ბაბო სოლოლაკში სულით დაავადებულთა საავადმყოფოში მოათავსეს და ცოცხლივ გამოიტირეს ეს ოდესღაც მშვენებით საესე, ხალხის საყვარელი მსახიობი.

1900 წლის 26 ნოემბერს სოლოლაკში სულით ავადმყოფთა ქსენონში ათიოდე კაცმა მოიყარა თავი. მათ შორის არის ქართული თეატრის მშვენება ვასო აბაშიძე და მისი ახალგაზრდა მეგობარი სცენისმოყვარე ნიკო გოცირიძე. ვასო გაფითრებულია. დღეს ხომ მის საუკეთესო ამხანაგს, ქართული თეატრის ერთერთ თვალსაჩინო მსახიობს ბაბო ავალიშვილს ასაფლავებენ. მწუ-

ხარება იმით უორკეცდება, რომ მიცვალებულის პატივსაცემად მოსულნი თითებზე ჩამოსათვლელია.

ვასო ბუტბუტებს: „აი, ქაჯან, როგორ დაასაფლავეს მსახიობი. კუბოს ამწევიც კი არ არის“. მაგრამ ვასო ამ შემთხვევაში არ იყო მართალი. „ეკლესიაში რომ მივასვენეთ, აუარებელი საზოგადოება დაგვხვდა, ეკლესიის გალავანი გაჰედილი იყო ხალხით. „სამშობლოში“ ქეთევანის როლის პირველ შემსრულებელს საზოგადოება მწუხარებით გამოეთხოვა“—წერს ნიკო გოცირიძე თავის მოგონებებში.

ჭაშვეთის ეკლესიიდან კუბო მსახიობმა ჭალებმა გამოასვენეს. ნოემბრის სუსხიანმა ამინდმა ხელი არ შეუშალა საზოგადოებას კუკიის სასაფლაომდე მიეცილებინათ ძვირფასი ცხედარი და უკანასკნელი პშვიდობა ეთქვათ მრავალტანჯული ადამიანისათვის. აგერ კუბოს თავთან ამაღლებულ ადგილზე გამოჩნდა მშვენებით სავსე ბაბოს დიდი პარტნიორი, ცრემლთა მეფე ლადო მესხიშვილი. ვინ უწყის, რამდენის გული აუჩუყებიათ ლადოს და ბაბოს სცენიდან, რამდენი ცრემლი დაუფრქვევიათ მაყურებლებს, როცა ბაბოს და ლადოს დიალოგებს ისმენდნენ. ახლა კი ფრთამოტეხილი დგას სასაფლაოზე ლადო და თვალში მომდგარი ცრემლები კარგა ხანს საშუალებას არ აძლევს ხმა ამოიღოს. თუ სცენაზე მისი ცრემლი მოჩვენებითი იყო, აქ ნამდვილად ღაპაღუპით ჩამოსდის. სიტყვები ყელში ეჩხირება, ბოღმა აწვება. ტირის ლადო და მასთან ერთად ტირიან ბაბოს მახლობლები, სცენის პარტნიორები, პროცესიის მონაწილენი. ჯერ საფლავი მიწით არც კი ამოევსოთ, რომ იქვე ხალხმა დაიწყო ფულის შეგროვება განსვენებულისათვის ძეგლის ასაგებად.

დაუდგეს თუ არა ძეგლი ბაბოს, ამაზე ვერაფერს ვიტყვით. კუკიის სასაფლაოზე ჩვენ მას ვერ მივაგენით. ვინ უწყის, რამდენ კეთილ ზრახვას ჩაუვლია იმ დროს ამაოდ, მათ რიცხვში უეჭველია ბაბო ავალიშვილის ძეგლის დადგმის საქმეც მოხვდა.

# ვასო აბაშიძე

1854—1926



წელში საკმაოდ მოხრილი, ნთლად მილეული, ცარიელი ძვალი და ტყავი, ცხვირწვეტიანი, ნიკაპგამახვილებული, სიბერისაგან ჩაშავებული—ტაატით მიემართება რუსთაველის თეატრისაკენ. გამვლელ-გამომვლელნი ჩერდებიან, სიყვარულით და ღიმილით შეჰყურებენ მოხუცს. ახალგაზრდები აედევნენ ყავარჯნით მიმავალს, ხან წინ ჩაუარეს, ხან უკან მოექცნენ. ნეტავ ვინ არის, ასეთ საყოველთაო ყურადღებას რომ იპყრობს? ხალხის გულის მესაიდუმლე დიდი მწერალი ხომ არ არის? ან იქნებ მგოსანია, ტკბილი ჰანგებით მოუბარი? ბრძენი ხომ არ არის—ერის ტვინი და გონება? არა, ეს პატარა, მილეული მოხუცი ქართული სცენის მშვენება, სიცილის ოსტატი ვასო აბაშიძეა.

რუსთაველის თეატრის კარიბჭესთან შედგა მოხუცი, ყავარჯენს დაეყრდნო, შეისვენა. მის გარშემო მყის მსახიობთა მთელმა ჯგუფმა მოიყარა თავი. სალამ-ქალამი, მხიარული საუბარი. ვასო უფრო მსმენელია, ვიდრე მოლაპარაკე. სიტყვაძუნწობს. თუ ხმას ამოიღებს, ხან თიაქარს უჩივის, ხან ფერდების ტკივილს, ხან თავის გაძვალტყავებული, ჩაშავებულის ხელების კრუნჩხვას. სასაცილოს არაფერს ამბობს, მაგრამ დაუსრულებელი ხარხარია. ახალგაზრდობის სათაყვანებელი ადამიანის უბრალო გამოხედვაც კი ღიმილს და სიცილს იწვევს. შეუმჩნევლად გაირბინა დრომ. მოშუადღევდა—ვასო შინისაკენ ემზადება. მარტო ყოფნა არ უყვარს. განდეგილობას მისი ბუნება ვერ ეგუება.

— ქაჯან, შინ წავალ. სადილად მოდით ჩემთან. კარგი სუკი მაქვს. ორიოდე ბოთლ ღვინოსაც დაგალევინებთ, წამოდით. მხოლოდ ბიჭ-ბუჭების თავი არა მაქვს, ვეჩე-მეჩე არ მოიყვანოთ. დროზე მოდით.

სამ საათზე თეატრალურ შესახვევში, ვასოს ბინაზე თავი მოიყარეს მსახიობებმა. ვასომ ახედ-დახედა სტუმრებს. თვალით ვიღაცას ეძებს.

— ქაჯან? ვეჩე სად არის, რატომ არ მოიყვანეთ?

— თქვენ არა ბრძანეთ, ვეჩე-მეჩე არ მოიყვანოთო?

— სადაც ამდენი ხართ, ერთიც იქ იყოს. წადი, ქაჯან, მონახე სადმე ვეჩე. მალე მოდით.

ძლიერ უყვარდა მოხუცს ახალგაზრდობა, მასთან დროს ტარება. მსახიობი ვეჩე ჯიქია ხომ მისი ხშირი და სასურველი სტუმარი იყო.

საკვირველი ბუნების ადამიანი იყო ვასო. მეტისმეტად ფაქიზი, უანგარო, ადამიანის მოსიყვარულე და თანაც მახვილი ენის პატრონი. მისი მწარე, დამცინავი სარკაზმით სავსე თქმები მახლობლებს უფრო ეხებოდა, იმათ, ვინც ყველაზე მეტად უყვარდა ვასოს. არც ჩვეულებრივ ნაცნობებს ზოგავდა.

ერთ ზაფხულს ვასოს დიდმა თაყვანისმცემელმა სცენის მუშაკმა ე. ბუთლიაშვილმა საგასტროლოდ მიიწვია ვასო ქალაქ დუშეთში. ადგილობრივი საზოგადოება დიდის ამბით დაუხვდა ქართველი ერის საამაყო მსახიობს, თანამოქალაქე ვასოს—ვასო ხომ დუშეთში დაიბადა ამავე ქალაქის სკოლის ზედამხედველის ალექსი აბაშიძის ოჯახში. წარმოდგენის შემდეგ პატივსაცემ სტუმარს ბანკეტი გაუმართეს. ვასოს ყველა ელოლიავება, არ იციან, როგორ ასიამოვნონ. ვასოს „ანტრეპრენიორი“ სიხარულისაგან ცას ეწევა, რომ მის მიერ მოწვეულ ადამიანს ღირსეულად შეხვდნენ. შუა ქეიფია. ვასოს გვერდით მჯდომი მანდილოსანი ეკითხება:

— ეგ ყმაწვილი, თქვენ რომ გახლავთ, რა გვარია?

— არ ვიცი, კნეინავ. ეგ ვიღაც ოხერი, გზაში ამეკვიატა,— უპასუხებს ვასო. მახლობლად მჯდომი „ანტრეპრენიორი“ რა გუნებაზე დადგებოდა, ადვილი მისახვედრია. გათავდა ნადიმი. ვასო მოასვენეს ადგილობრივ სასტუმროში, საგანგებოდ მისთვის გამზადებულ ოთახში.

დილით „ანტრეპრენიორი“ ეახლა ვასოს სასტუმროში და მოწიწებით კარი დაუკაკუნა.

— შეიძლება?—მოკრძალებით ეკითხება ვასოს.

— შემოდი.

ვასო საწოლზე წევს და პირი კედლისაკენ აქვს.

— ბატონო ვასო, გძინავთ?

— რა გინდა, ქაჯან?

— ჰონორარი მოგართვით. აი ექვსი თუმანი გახლავთ.

— მერე შენ რაღა დაგრჩება, ტყუილი მუშა იყავი? არა, ქა-

ჯან, სამი თუმანი დატოვე, დანარჩენი შენ აიღე. ამდენი შრომა გაგიწევია.

იშვიათი ოსტატობით ახორციელებდა ვასო სცენაზე გიორგი ერისთავის ძუნწს, ფულის მოტრფიალე დაბაღოვს. ცხოვრებაში კი ფულის არც ყადრი იცოდა და არც მისი სიყვარული ჰქონდა. როცა ვასოს საგასტროლოდ იწვევდნენ, არასოდეს არ ეკითხებოდა გასამრჯელოზე. მისცემდნენ, ხომ კარგი, ცარიელს გამოისტუმრებდნენ—არც ამაზე შეიწუხებდა თავს. ფულის მომხვეჭი ზიმზიმოვების იშვიათ სახეს ხატავდა, ბედოვლათებს საოცარი სიძლიერით სცენიდან ნოტაციებს უკითხავდა, თვითონ კი ცხოვრებაში პირველი მხარჯველი იყო და ხვალინდელ დღეზე სულაც არ ფიქრობდა.

დიდად პოპულარული იყო ვასო როგორც მსახიობი. სცენაზე გამოჩენისთანავე სიხარული შემოჰქონდა. მაყურებელი მხოლოდ ერთსა ნატრობდა—რაც შეიძლება ხანგრძლივად ყოფილიყო სცენაზე ვასო. ვასოს როგორც მსახიობის ბედნიერება ის იყო, რომ იგი უყვარდა ყველას—ნასწავლს და უსწავლელს, ღარიბსა და მდიდარს, გათვითცნობიერებულს და თეატრში ახლად მოსიარულეს. უბრალო ხალხისათვის ხომ ვასო სათაყვანებელი იყო.

ქართული კლუბის სცენაზე სიმფონიური კონცერტია კლუბის წევრთათვის. თეატრის ქანდარას ცალკე შესასვლელი აქვს და იქ ყველას უშვებენ. პარტერი გაჩედილია ხალხით. ქანდარაზე კი სულ ათიოდე კაცი ზის. ჩემს გვერდით ქანდარაზე ადგილი დაიკავეს მოხუცმა მანდილოსანმა და ახალგაზრდა ჭაბუკმა. ეს უკანასკნელი უეჭველია რომელიმე ქარხნის ან სახელოსნოს ქარგალი იქნებოდა. დედა წამოეყვანა თეატრში. აიხადა ფარდა. სცენაზე ორკესტრანტები საკრავებს მართავენ. დირიჟორი გამოჩნდა. დარბაზი ტაშით ხვდება. გაისმა ვიოლოს სევდიანი ბმა, მას ბანს აძლევენ სხვა საკრავები, დაფდაფების გრიალით მთავრდება კონცერტის პირველი ნაწილი. დირიჟორს დიდი თაიგული მიართვეს, რამდენჯერმე გამოიწვიეს თავის დასაკრავად. ჩემი მეზობელი მოხუცი დედაკაცი გაშტერებულია. ბიჭი თვალებს აქეთ-იქით აცეცებს. ვეღარ მოითმინა და მკითხა:

— ძმობილო, აბაშიძე როდის გამოვა?

ჩემს პასუხზე, რომ დღეს მხოლოდ ასეთი მუსიკა იქნება, თავი მწარედ გაიქნია და დედას მიუტრიალდა:

— დედიჯან, წამოდი, მოგვატყუეს.

მეორე დღეს კლუბის სცენაზე ვასოს უნდა ეთამაშნა „სიძე სიმამრში“. ქანდარაზე ჩემი მეზობლები შეცდომით წინადღით მოსულან თეატრში და პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ, საყვარელი ვასო რომ ვერ იხილეს.

მერე ვის არ ენატრებოდა ენახა ვასო სცენაზე, დამტკბარიყო მისი უებრო ნიჭით. ვის შეეძლო ისე გაექარვებინა ადამიანისათვის დარდი და გამოეწვია ჯანსაღი სიცილი, როგორც ვასოს? ამ მსახიობის გამოჩენისთანავე მთელი დარბაზის განწყობილება მყისვე იცვლებოდა, ყველას სახეზე ღიმილი ეხატებოდა, ვასოს ჯერ კრინტიც არ დაეძრა, სასაცილო არაფერი გაეკეთებინა, დამსწრენი კი ხარხარებდნენ. იქნებ იმიტომ, რომ მაყურებელმა წინასწარვე იცოდა, რა უნდა მოემოქმედნა ვასოს? მაგრამ ვინც პირველად ხედავდა ვასოს, ის რაღად იცინოდა და სხვების ფეხის ხმას რად ყვებოდა? ან იქნებ ისეთი კომიკური გარეგნობა ჰქონდა ვასოს, რომ დანახვისთანავე სიცილს იწვევდა? სრულიადაც არა. მაგონდება ვასოს თანამედროვე, მისებრ სცენის ტიტანი ლენინგრადის საყვარელი მსახიობი კომიკოსი-ბუფი ძია კოსტია (ვარლამოვი). მაგონდება მისი გასტროლები მოსკოვის ნიკიტსკის თეატრში 1915 წლის გაზაფხულზე. ვარლამოვი თამაშობდა ორმოქმედებიან ვოდევილში. აი დაიწყო მოქმედება და პირველი გამოსვლის შემდეგ დეკორაციის პატარა კარში უშველებელი ადამიანი გამოჩნდა. კარში რომ ვერ შემოეტია, ჩალის ქუდი მოიხადა, წოწოლა მოტვლეპილი თავი დახარა და ვაივაგლახით შემოგორდა ოთახში. დარბაზი ახმაურდა, გაისმა ხარხარი და მქუხარე ტაში. სხვებს მეც ავყევი და გაცხარებით ვუკრავდი ტაშს. რატომ და რისთვის? მსახიობს ხომ ჯერ კრინტი არ დაეძრა. მეხომ პირველად ვხედავდი მას. აჰ ჩემი ტაში გამოიწვია ძია კოსტიას კომიკურმა, უშველებელმა ფიგურამ. ვასოს გარეგნობაში კომიკური არაფერი იყო, სცენაზე გამოსვლისთანავე კი იგი მთელი დარბაზის სიცილს იწვევდა. ვასოს არტისტული შემოქმედების ერთ-ერთი მემატიანე ამ გარემოებას ხსნის ვასოს ბიოლოგიური კომიზმის ნიჭით და საინტერესოდაც ასაბუთებს ამას. თეორიული მსჯელობა შორს წაგვიყვანს. მოდი ისევ ვასოს დავუბრუნდეთ და გავიხსენოთ მის მიერ გამოძერწილი სახეები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა როგორც ზღაპარი და ლეგენდარული ამბავი. ვასოს თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარდა,

ერთს კი ხშირად ამბობდა, მე მცირე თეატრის სკოლის მიმდევარი ვარო, მცირე თეატრი კი რეალიზმის აკვანია და მისი მსახიობები ბუნებრივი თამაშით გამოირჩევიან. ვასოს თამაში სწორედ ამ ბუნებრიობით გიტაცებდა. რა უბრალოდ წარმოთქვამდა ხოლმე ფრაზას. რა ბუნებრივი მიხრა-მოხრა, ჟესტები ჰქონდა მსახიობს და რა ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. ვასოს შემყურეს ყოველთვის გავიწყდებოდა, რომ თეატრში იყავი და მსახიობს უყურებდი. არავითარი თეატრალობა არ იგრძნობოდა მის თამაშში. ეს იყო ვასოს სიძლიერე. ეს გიტაცებდა და გიპყრობდა. ყოველ როლს რაღაც ძარღვს მოუნახავდა და მერე გენიალური მოქახდაკესავით ძერწავდა. მაგონდება ავჭალის აუდიტორიაში ხატო გაბუხიას და ვასო აბაშიძის მონაწილეობით მხიარული კომედია „მელანიას ოინები“. აი დროგით მოადგა ჭიშკარს პავლე, კულისებში მოისმის ზარების ხმა. სცენაზე შემოდის პავლე მედროგე. ხელში უპირავს ცხენის მოსართავი და აკაზმულობა. ზურგზე ქამარში გაკეთებული აქვს შოლტი. კუთხეში მიჰყარა ცხენის აკაზმულობა. მერხზე ჩამოჯდა. ჭუჭყისაგან ქავილი აუვარდა, ქამრიდან გამოიღო შოლტი, ჩაიდო წელში, დაიწყო ტანის ფხანა, და ამ პატარა შტრიხით ჭუჭყიანი პავლე მედროგეს ნათელი სურათი დაგვიხატა. ვასო ყოველ როლს რაღაც პატარა დეტალს გამოუნახავდა და თუ ეს მიგნებული იყო, მერე გაგიხარიათ, რა ოსტატურად ქმნიდა მოქმედი პირის სახეს. მაგონდება ვ. გუნიას ვოდევილში „რაც არ მერგება, არ შემერგება“ ვასოს მიერ განხორციელებული მოხუცი მოარშიყე პრაპორშჩიკის ლუკას სახე. ფეხებმოგრეხილი, რაღაც კლაკვნით აცრუნცრუკებული მოსდევდა კნეინას, სიტყვა ჯანს უმატებდა თვითეულ ფრაზას და ლუკას კომიზმით აღსავსე დაუვიწყარ სახეს ქმნიდა.

ვასო ფიზიკურად ადრე დაძაბუნდა და მალე მოიკაკვა. წარმოდგენის დაწყებამდე ყოველთვის კვნესა-წუწუნში იყო. მაგრამ აი აიხადა ფარდა და ვასო გამოჩნდა სცენაზე. როგორ შეიცვლებოდა, როგორ შეხტებოდა, როგორ დანავარდობდა სცენაზე. უყურებდი მხიარულ გიჟმაჟ აკოფას („ხანუმა“) და ფიქრობდი, ნუთუ ეს ის ადამიანია, რომელიც ერთი საათის წინ კულისებში კვნესოდა და ვაი-ვაის იძახდა! ვასოს სცენაზე ავიწყდებოდა თავისი ავადმყოფობა, ფიზიკური დაძაბუნება, დასახული გმირის ორეული ხდებოდა და თუ პიესით მოქმედი პირი გიჟმაჟი, დარდიმანდი უნდა იყოს, თვითონაც ასეთი ხდებოდა. ვასოს არ ჰქონ-

საშუალება თვეობით და წლობით ემზადებინა როლი, ხშირად რი-სამი რეპეტიციით თამაშობდა და მოკარნახეს მიჰყვებოდა. ძაგრამ სცენაზე უცბად ისეთ რაღაცას გააკეთებდა, რაც მხოლოდ ბუმბერაზთა ხვედრია. ბუნებრივ თამაშს, დიდ ნიჭს და ტემპერამენტს ზედ ერთვოდა იშვიათი მკაფიო დიქცია. ვასოს მიერ განახიერებული სახეებიდან დაუვიწყარია აკოფა („ხანუმა"), ზიმზიმოვი („პეპო"), დაბაღოვი („ძუნწი"), პაელე მედროგე („მელანიას ოინები", ბესო („ღალატი"), საქუა („მსხვერპლი") და მრავალი სხვა. კლასიკური რეპერტუარიდან ჩვენ ვასო არ გვინახავს ხლესტაკოვის და გოროდნიჩის როლებში („რევიზორი") და არც გრიბოედოვის ფამუსოვში. სამაგიეროდ ა. ოსტროვსკის პიესაში „უდანაშაულო დამნაშავენი" ხშირად დავმტკბარვართ ვასოს შმაგათი. და როცა რუსულ სცენაზე ვუყურებდით შმაგას საუკეთესო შემსრულებელს, გული სიამით ივსებოდა, რომ ჩვენი ვასო ისევე წარმტაცი შმაგა იყო, როგორიც, მაგალითად, ო. პრაედინი (მცირე თეატრში) და სტეფანე კუზნეცოვი. ვასოს შმაგა გხიბლავდა თავისი ბუნებრიობით, თავისი ჰუმორით, თავისი უბრალოებით.

ცოდვა გამოტეხილი სჯობს, მსახიობებს ძალიან უყვართ, როცა მაყურებლები მათ გუნდრუკს უკმევენ, ტაშით აჯილდოებენ და დაჟნის გვირგვინით ამკობენ. ყველაფერში ორიგინალური იყო ვასო და ეს პომპაც ძლიერ ეჯაერებოდა. თავის დასაკრავად სცენაზე ზრდილობის გულისთვის გამოდიოდა. ისიც ბოლოში დადგებოდა. მაყურებლებს კოცნას არ უგზავნიდა, ოდნავ დახრიდა თავს და გავიდოდა სცენიდან. ქუჩაში ვარდ-ყვავილებით შეხვედრა, ჰაი-ჰუი ხომ ჰირივით ეზარებოდა. როცა შეიტყობდა, რომ თეატრის კართან ხალხი ელოდებოდა, უკანა კარიდან გაიპარებოდა.

1902 წელს ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე მოეწყო. მთელი საქართველო იღებდა მონაწილეობას ამ სახალხო დღესასწაულში. საიუბილეო კომიტეტის გადაწყვეტილებით ჩვეულებისამებრ იუბილარი თეატრში საგანგებო ლანდოთი უნდა მოეყვანათ. თეატრიდან დაიძრა ვასოს ბინისაკენ ლანდო. ხალხი მოელის, სადაც არის იუბილარი გამოჩნდება, ხელს დატაცებენ და საყვარელ მსახიობს ხელში აყვანილს შეიყვანენ თეატრში. ლანდო ცარიელი დაბრუნდა. იუბილარი უკანა კარიდან გასულა. მიყრუებული ქუჩებით მისულა თეატრში და ხალხის შე-

უმჩნეველად შესულა სცენაზე. საიუბილეო კომიტეტის წევრების საყვედურზე ვასომ ღიმილით უთხრა:

— ქაჯან, თუ ჩემს იუბილეს მართავთ, მე აქ გახლავართ და თუ ცხენების და ლანდოს იუბილეს დღესასწაულობთ, მაშინ მე რა შუაში ვარ?

სცენის ეს იშვიათი ოსტატი, მეტად გონიერი და განვითარებული ადამიანი, კარგი ლიტერატორი, ჟურნალ „თეატრის" რედაქტორი, მრავალი პიესის მთარგმნელი, მსახიობთა ხელოვნების პირველი თეორეტიკოსი—საჯაროდ სიტყვის თქმას გაურბოდა და ვერც ახერხებდა. საზოგადოდ ტრადიციაა დამყარებული, რომ იუბილარმა სამადლობელი სიტყვა უნდა თქვას და ასეთი სიტყვა ზეპირად წარმოითქმება. ამ საიუბილეო ტრადიციამ გაგვახსენა ერთი პატარა ეპიზოდი ჩვენი ცნობილი მუსიკოსის ივანე ფალიაშვილის ცხოვრებიდან. იუბილეს წინ ივანე ფალიაშვილის ქანდაკებას აკეთებდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი მიხეილ ჭიაურელი. ფალიაშვილი რამდენჯერმე ეწვია მიხეილ ჭიაურელს ატელიეში. მოქანდაკე ხედავს, რომ ფალიაშვილი ერთ ადგილას სწორად არ ზის, წამდაუწუმ ამოიღებს ჯიბიდან სათვალეს, რაღაც პატარა ქაღალდს უყურებს და ბუტბუტებს. მოთმინებიდან გამოსული მოქანდაკე ეუბნება:

— ვანო, რატომ სწორად არ ზიხართ, სათვალეს რად იკეთებთ და რაღაც ქაღალდს კითხულობთ?

— ჩემო მიშა! ხომ იცი, ორი კვირის შემდეგ ჩემი იუბილეა და სამადლობელ სიტყვას ვსწავლობ.

ქართველმა საზოგადოებამ დიდი ამბით გადაუხადა იუბილე სახელოვან დირიჟორს, და ფალიაშვილმაც ზეპირად წარმოთქვა შემდეგი სამადლობელი სიტყვა:

„ჰო და, დიდი მადლობა პუბლიკას!"

ვასო უფრო მოხერხებული აღმოჩნდა. 1902 წელს თავისი იუბილეს დროს დინჯად ამოიღო უბიდან პატარა ქაღალდი, სათვალე გაიკეთა და სამადლობელი სიტყვა წაიკითხა.

სცენაზე სიხარულის მომნიჭებელი ვასო ცხოვრებაშიც იმდენად საინტერესო ადამიანი იყო, რომ მასთან ყოფნა ყველას ესიამოვნებოდა და სასახელოდაც მიაჩნდა. ვინ არ იყო ვასოს მეგობარი, მისი თანამესუფრე. თუ მსახიობს უპირდა რამე, ვინ იყო მისთვის ნუგეშის მიმცემი, დამხმარე და მოსარჩლე, თუ არა ვასო.

ვასოს ბინაზე ორი მისი ამხანაგი მივიდა რაღაც საჭირო საქ-

მეზე. ვასო წინალამეს გვიან დაბრუნებულა შინ, წევს ლოგინში და პირი კედლისაკენ აქვს.

— ბატონო ვასო, შეიძლება?

— შემოდით,—მოისმის მასპინძლის ხმა.

— ბატონო ვასო, უნდა გვიშველოთ.

— რა ამბავია, ქაჯან?

— პირი ჩვენკენ მოიბრუნეთ, მერე მოგახსენებთ.

— ღირსნი ხართ, რომ გადმოვტრიალდე და შეგხედოთ?—უპასუხებს ხუმრობით ვასო. წამოდგება კვნესით, ბურტყუნით და სასწრაფოდ გაჰყვება საპროტექციოდ მოსულთ.

სცენაზე კარგა ხანია ვასო აღარ გამოდის. მაგრამ აბ სცენის პატარა მუშაკს, სცენარიუს გ. იორდანიშვილს იუბილე აქვს, და ვასო არა თუ მონაწილეობას იღებს და დიდი ოსტატობით ასრულებს ზიმზიმოვის როლს, არამედ იუბილეს ორგანიზატორი ხდება და გაჭირვებულ ამხანაგს ეხმარება.

გზას აცდენილ მსახიობს ივანე მჭედლიშვილს 70 წლის მოხუცი, მთლად მოკრუნჩხული ვასო რაიონში მიჰყვება და ამხანაგის სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენაში იღებს მონაწილეობას.

ნოემბრის სუსხიანი ქარია. ქართველი საზოგადოება უკანასკნელად ეთხოვება თავის საყვარელ მსახიობს ლადო მესხიშვილს. ქაშვეთის ეკლესიიდან გამოასვენეს ცხედარი და დიდუბისაკენ მიემართება პროცესია. სუსხიან ქარს, თოვლუყაპს ბევრმა ვერ გაუძლო და პროცესია თანდათან თხელდებოდა. კუბოს რამდენიმე ასეული კაცილა მიჰყვებოდა. მათ შორის იყო ვასოც. მთლად ცახცახებს, ძლივს მიდის. ორი მსახიობი ამოსდგომია გვერდში ადამიანის აჩრდილს დამსგავსებულ მოხუცს. ვასო თავისთვის ბუტბუტებს. რას ამბობს, ვერ გაიგებ, ვინ იცის, რას ფიქრობდა მოხუცი. ალბათ „საუკუნო განსვენების საკითხი“ თვალწინ ეხატებოდა. აგონდებოდა თავისი ახალგაზრდობა. აგონდებოდა სიცოცხლით სავსე ტოლი და სწორი ლადო. ორივენი ხომ ქართული თეატრის ბურჯები იყვნენ, თეატრის შნო და ლაზათი. ერთი თუ ცრემლის მეფე იყო, სცენის ტიტანი, მღელვარე ოკეანე, მეორე სიცილის ოსტატი, სიხარულისა და სიამის მომნიჭებელი. ლადოს განშორებით დამწუხრებული ხალხი შეჰყურებდა ოთხად მოხრილ ვასოს და ყველას ერთი აზრი უტრიალებდა თავში: მიდიან, მიდიან ერის საუკეთესო შვილები, ხალხის გენიის გამომხატველნი.

ნუგე'ში მხოლოდ ის იყო, რომ ერთეულები მიდიოდნენ და მათს ადგილს ათეულები იკავებდნენ.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა ვასოს ამაგი. მატერიალურად სრულიად უზრუნველყო იგი. 1922 წლის 15 იანვარს მას დიდი ხეიმით გადაუხადეს სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. საქართველოში ვასოს პირველს მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება. გახარებული მოხუცი თავისი ამაგის დაფასებას რომ ხედავდა, მხოლოდ ერთს ნატრობდა, დიდხანს ეცოცხლა და თავისი განთავისუფლებული მხიური ქვეყნის ცქერით დამტკბარიყო.

მთავრობა სათანადო მზრუნველობას უწევდა ვასოს. საუკეთესო კურორტებზე გზავნიდნენ, გამოჩენილი ექიმები მკურნალობდნენ, მაგრამ დაზიანებულ ორგანიზმს ვერაფერი ეშველა. 1926 წლის 9 ოქტომბერს ვასო 72 წლისა გარდაიცვალა. ძველი ქართული თეატრის ერთ-ერთი ულამაზესი ფურცელი დაიხურა. ნაამაგარი ადამიანი მიიბარა მთაწმინდის ქართულმა მიწამ, სადაც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილები განისვენებენ.

# ალექსანდრე ცაგარელი

1857—1902

მიყრუებულ პატარა სადგურ ქურდამირს 1891 წელს ახალი უფროსი მოევლინა. მას თან ახლდნენ მოხუცი დედა უთნელიშვილის ქალი სალომე და მეუღლე ნატო. ახალმა თანამდებობამ, სამსახურში დაწინაურებამ სრულიადაც არ გაახარა ავქსენტი ცაგარელი. მშობლიურ ქალაქს მოშორდა, საყვარელ თეატრს მოსწყდა. არ ერჩია ისევ თბილისის სადგურის უფროსის თანაშემწე ყოფილიყო, ესუნთქა იმ ჰაერით, სადაც მისი სწორნი იყვნენ, სადაც მისი საყვარელი მეუღლე და ცხოვრების ერთგული თანამგზავრი დიდი მსახიობი ნატო გაბუნია თავისი უებრო ნიჭით ხიბლავდა მსმენელთ!

მშობლიურ სცენაზე ოდესღაც თვითონაც ხომ მოღვაწეობდა 1879 წლიდან ჯერ როგორც მსახიობი, შემდეგში კი მოკარნახე. აქ, ამ სცენაზე, მის პიესებში ნატოსთან ერთად სასწაულთმოქმედებდნენ დიდი მსახიობები ვასო აბაშიძე და მაკო საფაროვი. მაშ რამ აიძულა ქურდამირს განწესებულიყო და კვერთხით ხელში მშობლიურ ქალაქიდან მომავალ და მიმავალ მატარებლებს შეგებებოდა, ხუთი წუთით დამტკბარიყო ნაცნობი სახეების ხილვით, შემდეგ კი თავჩაქინდრული თავის პატარა მაგიდას მისჯდომოდა და ტელეგრაფის აპარატის კაკუნი ესმინა. რატომ დათმო მსახიობის პროფესია და რკინიგზაზე შევიდა სამუშაოდ.

არსებობისათვის, ლუკმაპურისათვის ბრძოლამ ჩამოაშორა თეატრს ავქსენტი. ძველად ქართული თეატრის სეზონები წელიწადში ხუთ-ექვს თვეს გრძელდებოდა. ამ დროის განმავლობაშიც თეატრის მუშაკი ისე მცირე გასამრჯელოს იღებდა, რომ მთელ წელიწადს თავს ვერ ირჩენდა. დიდია სიყვარული თეატრისადმი, ბეტად მიმზიდველი და წარმტაცია სცენა, მაგრამ როცა შინ კიდობანი ცარიელია, როცა მოხუც, ჯანგატეხილ დედას მოვლა-პატრონობა სჭირდება, ადვილი როდია გაუძლო ყოველივე ამას და მომავალი სეზონის მოლოდინში შიმშილობდე. ავქსენტი ცაგარელიც ჩამოშორდა საყვარელ სცენას. თეატრისადმი „ღალატს" ა. ცაგარელი ასე გვიხსნის: „მე ჩანჩალით მივყევი თეატრს 1884

წლამდის და, დავატყე რა, რომ არაფერი შვილი არტისტი ვარ, ჩამოვცილდი. თუმცა სულით და გულით მასთან ვიყავი და ვარ".

დიდი მსახიობი ავქსენტი არ ყოფილა. იქ, სადაც ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვი და ლადო მესხიშვილი — სცენის ეს ტიტანები ელვარებდნენ, ა. ცაგარელი მათ ვერ შეერკინებოდა და მეტოქეობას ვერ გაუწევდა. მაგრამ არც ისეთი „მაჩანჩალა" იყო, როგორც თავისთავზე ამბობდა. ძველი გაზეთების ფურცლებზე მრავალჯერ არის აღნიშნული ა. ცაგარლის მოხდენილი თამაში. „უფ. ცაგარელი კინტოს (კაკულას) როლში ორჯერ გვინახავს და იმის ცოცხალმა თამაშმა ორჯერვე თითქმის აღტაცებაში მოიყვანა მაყურებელი",—წერდა გაზეთ „დროების" რეცენზენტი 1879 წლის № 223-ში. გაზეთები ყოველთვის დადებითად აფასებდნენ ავქსენტი ცაგარლის გამოსვლებს დივერტისმენტში, სადაც ავტორი საკუთარ იუმორისტულ სცენებს კითხულობდა. მაგრამ დავეთანხმოთ ავქსენტის, რომ ის როგორც მსახიობი მაინც სუსტი იყო. როგორც ლიტერატორი, როგორც დრამატურგი? ამის შესახებ მოკრძალებული ა. ცაგარელი არაფერს გვეუბნება თავის „მოგონებებში".

გაზეთ „დროების" 1880 წლის 10 აგვისტოს ნომრიდან სისტემატურად ვხვდებით ამ გაზეთის ფურცლებზე ავქსენტი ცაგარლის იუმორისტულ სცენებს, ლექსებს, ფელეტონებს. ყველა ეს ააშკარავებს რომ საქმე გვაქვს უდავოდ ნიჭიერ ჟურნალისტთან. მაგრამ ძველად რომელი გაზეთი, ჟურნალი შეძლებდა თავისი თანამშრომლისათვის ჰონორარი მიეცა? ავქსენტი ცაგარელს არც შეეძლო ეფიქრა ჰონორარზე. სწორედ ეს აიძულებდა ლუკმაპურისათვის ეზრუნა და კერძო სამსახური ეძებნა. მაგრამ ის მარტო ფელეტონისტი ხომ არ იყო? მისი პიესებით იკვებებოდა ძველი ქართული თეატრი. ავქსენტი ცაგარელი როგორც დრამატურგი იმდენად ნაყოფიერი იყო, რომ მას ქართველების ოსტროვსკის უწოდებდნენ და ღირსეულადაც ატარებდა ამ სახელს. თვით ამ დიდმა რუსმა დრამატურგმა მოიწონა ავქსენტი ცაგარლის პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" პირველი მოქმედება, რომელიც მის პატივსაცემად წარმოადგინა ქართულმა დასმა 1883 წლის 20 ოქტომბერს. გამოჩენილი დრამატურგი, თავის დღიურში აღტაცებით აღნიშნავს რა ქართველ მსახიობთა თამაშს მისივე პიესის „შემოსავლიანი ადგილის" მეორე მოქმედების განსახიერებისას, ავქსენტი ცაგარლის პიესაზე წერს, ძალიან საინტერესო წარმოდ-

გენა იყოო. მაგრამ ძველ ქართულ თეატრს განა შეეძლო უზრუნველეყო თავისი საყვარელი დრამატურგი? მხოლოდ ერთხელ დაირღვა ეს წესი და ავქსენტი ცაგარელს პიესაში „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ მიეცა კონკურსზე პირველი ჯილდო 50 მანეთი. მართლაც დიდი მოწონება უნდა ჰქონოდა პიესას, რომ მაშინ ასეთი თანხა გაეღოთ. „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ ავქსენტი ცაგარლის პირველი კომედია დაწერილია 1878 წელს. ამ სანიმუშო ქმნილებას თავისი მიმზიდველი ძალა დღესაც არ დაუკარგავს და ქართული კლასიკური პიესების რიცხვში განსაკუთრებული ადგილი უპირავს. კომედია იმ პერიოდში დაიწერა, როცა ოფიციალურად, ქაღალდზე, ბატონყმობა გადავარდნილი იყო, მაგრამ ყოფილ მებატონეებს ლაგამის ამომდები არავინ ჰყავდა. პირიქით, მეფის რეჟიმი თავადაზნაურობაში ხედავდა თავის დასაყრდენ ძალას და ხელს უწყობდა მის პარპაშს. აღვირახსნილობა, ნაყმევთა შევიწროება, თვითნებობა მაჯლაჯუნასავით აწვა და სულს უხუთავდა მშრომელებს. მოძალადეთა წინააღმდეგ უბრალო ხალხი ირაზმებოდა და ძალას ძალას უპირისპირებდა. კომედიის მთავარი მოქმედი პირი გიჟუა მებატონე დავით ჯამბარაშვილს ეუბნება: „ეს იცოდე, კნიაზობა აღარ არის! რაც გინახავს, ველარ ნახავ, კნიაზჯან“.

ავქსენტი ცაგარელმა შეძლო კომედიის ფორმებში მკაფიო რეალისტური სურათები დაეხატა. ნამდვილი ცხოვრებიდან აღებული სიტუაციები, მძაფრი კონფლიქტი, ცოცხალი დიალოგები და ტიპაჟის სრულყოფით წარმოსახვა, საინტერესო ნაწარმოებად ხდის ამ კომედიას.

როცა დრამატურგი ალექსანდრე ოსტროვსკი თავის შესანიშნავ პიესებს წერდა, მას ყოველთვის მხედველობაში ჰყავდა მცირე თეატრის გამოჩენილი მსახიობები და როლებს მათს ინდივიდუალობას უფარდებდა. ასევე მოიქცა ავქსენტი ცაგარელი და ნატო გაბუნიას საბენეფისოდ დაწერილ კომედია „ხანუმაში“ ხანუმას და აკოფას როლების შექმნისას, მისი უებრო შემსრულებლები ნატო გაბუნია (ხანუმა) და ვასო აბაშიძე (აკოფა) ჰყავდა მხედველობაში. 1882 წლის 1 დეკემბერს დაიდგა პირველად „ხანუმა“ და ამ დღიდან ეს პიესა ხალხის საყვარელ კომედიად გადაიქცა. განა დარჩენილა საქართველოში ისეთი ქალაქი, დაბა, კუთხე, სოფელი, რომ ეს კომედია არ დადგმულიყო? კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძის კომიკურ ოპერას „ქეთო და კოტეს“ თუ ასეთი

წარმატება ხვდა წილად, საქართველოს ფარგლებს გასცდა და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სცენაზე დიდ მოწონებას იმსახურებს, ა(ა)ში ავქსენტი ცაგარელსაც მიუძღვის თავისი წვლილი, როგორც სიუჟეტის ავტორს.

„ხანუმას" სიუჟეტი დაედო საფუძვლად საქართველოს კინოსტუდიის მიერ 1926 წელს დადგმულ სურათს „ხანუმას" და შემდგომში დადგმულ „ქეთო და კოტეს".

უდავოდ საყურადღებოა ავქსენტი ცაგარლის კომედია „ციმბირელი". პიესა ეხება ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიის მტაცებლურ პოლიტიკას. ოდესღაც უბრალო ნოქარი ტიგრანა ტრიფონ ბაღდანიჩ მაზუთიანად იწოდება.

„ჰო... ეს მართალი», პრიკაშჩიკი ვიყავი, ახლა რა ვქნათ?.. ამ წუთისოფლის კიბეზედ კაცს ასვლა უნდა თუ არა ისე, რომ მუხლი არ მოეკვეთოს? მე ავსულვარ ამ კიბეზედ, ერთიც არ დამიქაქანია! ახლა მაღლობზე ვდგევარ. ჩემს წინ ქვეყანა ერთი კალთაა, ხალხი ჭიანჭველაა! გადადგამ ფეხს—გასრისამ, გადმოდგამ—გასრისამ!".

მაზუთიანის მგლურ ბუნებას დრამატურგმა სათანადო რეალისტური ჩარჩო გამოუნახა და დამაჯერებელი სახე შექმნა. დრამატურგს უნარი შესწევს ორი-სამი ფრაზით ცოცხალი ადამიანი დაგვანახოს, მცირე სიტყვიერი მასალით კოლორიტული სახეები შექმნას. რომელი მოქმედი პირიც უნდა გაიხსენოთ ცაგარლის პიესიდან, სქემატიზმს ვერ უსაყვედურებთ ავტორს. განა ეპიზოდური როლები—კატინა, სოსანა, ფიჩხულა, მოურავი ნიკო ყურაშვილი („რაც გინახავს, ვეღარ ნახავში"), ტიმოთე, სარა, ქაბატუა („ხანუმაში"), ქლესოვი, ქალია („ციმბირელში") და სხვ.— ყველა ესენი ოსტატის ხელით გამოძერწილი სახეები არ არიან!

ბევრი კომედიის და დრამის ავტორი იყო ა. ცაგარელი იმ დროს, როცა ჩვენ ქურდამირში მის განწესებას შევეხეთ და მისი მწარე ხვედრი გავიხსენეთ. ქურდამირში ყოფნა მწარე მოგონებად დარჩა ავქსენტი ცაგარელს. იქ გარდაეცვალა და იქვე დააფლავა საყვარელი დედა. სამსახურით გადატვირთულს არც კი ეძლევა საშუალება ხშირად ჩამოვიდეს დედაქალაქში და თავისი პიესების ნახვით დატკბეს. 1895 წელს ავქსენტი ცაგარელი გადაჰყავთ ახალსენაკის სადგურის უფროსად. ახალსენაკის და ბანძის პატარა სცენებზე ავქსენტის მეუღლე ნატო გაბუნია ადგილობრივ სცენისმოყვარეებთან იღებს მონაწილეობას წარმოდგე

ნებში და „ხანუმას“ და ა. ცაგარლის სხვა პიესებში როლების უბადლო შესრულებით აღტაცებაში მოჰყავს მსმენელები. მალე ავქსენტი ცაგარელი ჭალადიდის სადგურის უფროსად გადაიყვანეს.

მალარიიან ადგილებში ყოფნამ დააავადყოფა ავქსენტი, დარდმა და ბოღმამ წონასწორობა დააკარგვინა. 1899 წელს სამსახურთაეს ანებებს და თავის საყვარელ მშობლიურ ქალაქში ბრუნდება.

მეტად მხიარული, მახვილი სიტყვის პატრონი, ცოცხალი და დაუდგრომელი ბუნების ადამიანი, ცხოვრების უკუღმართმა პირობებმა მთლად დააძაბუნა, ჩამოახმო. ავქსენტის ასეთი მდგომარეობა ყველას აღონებდა. ამხანაგები შეეცადნენ რაიმე საქმე გამოეჩინათ და მატერიალურად უზრუნველეყოთ. მოაწყეს რედაქციაში დეპეშების მთარგმნელად. თითქოს გამოჯანსაღების გზას დაადგა, მაგრამ ეს მოჩვენებითი იყო. მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი ასე გადმოგვცემს ავქსენტი ცაგარლის უკანასკნელ დღეებს:

„1902 მარიამობისთვის 1-ს შემატყობინეს, რომ ნატო შინ არ არის, ასიკო ავად არის, მოჰხედეო. მაშინ ის ავჭალის ქუჩის დასაწყისში იდგა... მაშინვე გავქანდი. ასიკოს დამართნოდა საშინელი ხურვება (белая горячка), ბოდავდა, ვიღაცას ელაპარაკებოდა. იამა ჩემი ნახვა. მაშინვე მოვიწვიეთ ექიმი ექვთიმე ვაშაკიძე. უიმედობა მითხრა. ნატო პროვინციაში იყო წასული. დეპეშები დავკარით გორსა და სურამში, რომ ჩამოსულიყო. მე ასიკო გულზე მივისვენე; ჭირის ოფლი ღვარად სდიოდა. ოხუნჯობას მაინც არ იშლიდა, რატომ შენი „ბურები“ არ მომგვარეო, მითხრა შვილებზე, ერთი კიდევ მათთან დავპროწიალებულიყავ...—ოჰ, ხანუმავ! სადა ხარ, ამოხვნეშით თქვა (თავის მეუღლე ნატო გაბუნიას ასე უწოდებდა). მე ვანუგეშებდი და ცივ რძეს ვასმევდი... იბორგა, დილიდან მოკიდებული ორ საათამდე აქეთ-იქით აწყდებოდა. შუადღის სამი საათი იქნებოდა, რომ ჩემს მკლავზე განუტევა ასიკომ სული“.

იმ საღამოს, როცა მოულოდნელად ავქსენტი ცაგარელს ხურვება დაემართა და სიკვდილს ებრძოდა, მისი ცხოვრების თანამგზავრი ნატო გაბუნია სოფელ კასპში საქველმოქმედო წარმოდგენაში იღებდა მონაწილეობას. საყვარელ მეუღლეს ნატომ ცოცხალს ვერ ჩამოუსწრო და უანგარო ადამიანს თვალები ვერ დაუხუჭა. ნატო გაბუნია სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ასიკოს მზეს იფიცავდა, საყვარელ მეუღლეს დასტიროდა. მაგრამ განა

რტო ნატო გლოვობდა ძვირფასი ადამიანის დაკარგვას! ასიას დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო. ავჭალის ჭუჩის დაკაწყისი მთლად სავსე იყო ხალხით. მეგობრები დასტიროდნენ იშვიათი დრამატურგის უდროოდ დაკარგვას. კუკიის სასაფლაომდე ზღვა ხალხმა მიაცილა ძვირფასი ცხედარი. იოსებ იმედაშვილის, ბეგლარ ბეგლარიძის და სხვათა გრძნობით აღსავსე სიტყვებზე დამსწრენი ცრემლად იღვრებოდნენ და ძველი უკუღმართი ცხოვრების მსხვერპლს ასიკოს დასტიროდნენ.

ნახევარ საუკუნეზე მეტი გვაშორებს ამ დღეს.

განახლებული ჩვენი ქვეყანა, სახელმოხვეჭილი ქართული თეატრი ყოველთვის გაიხსენებს ძველი ქართული თეატრის უანგარო მოღვაწეს, თვალსაჩინო დრამატურგს ავქსენტი ცაგარელს.

# ᲓᲐᲓᲝ ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

1857 – 1920



საყვარელი შვილი დედაქალაქს დაუბრუნდა. ელვის სისწრაფით მოედო თბილისს ეს ამბავი. 1910 წლის 9 იანვარს ქართულ თეატრს ზღვა ხალხი მიაწყდა. ყველა ისწრაფვის იხილოს სცენის ჯადოქარი, ლეგენდარული მსახიობი. გაისმა მესამე ზარი, სიბნელემ მოიცვა დარბაზი, განათდა რამპა და აიხადა ფარდა. არ მახსენდება პირველი სცენები. ან რა მნიშვნელობა აქვს ამას, როცა ყველა სულ სხვას მოელის, და აი გამოჩნდა კიდეც ნანატრი მსახიობი. გამოჩნდა და მთელი დარბაზი როგორც ერთი კაცი ფეხზე წამოიჭრა. მქუხარე ტაში, აღტაცებული შეძახილები დიდხანს გრძელდებოდა. ამ ამბის მემატიანენი აცბობენ, ოვაცია 10 წუთს გაგრძელდაო. შესაძლებელია ასეც იყო. დამსწრეთ ეს ნეტარი წუთები არ დაგვითვლია—ამისათვის ვის ეცალა. სპექტაკლი გრძელდება და სასწაულთმოქმედება იწყება. შუა ტანის ადამიანმა ყველა დაფარა თავისი სიმშვენიერით, თავისი მომხიბვლელობით, თავისი პლასტიკით. აი გაისმა მსახიობის ხმა. პირველივე მისი ფრაზა გულს ღრმად წვდება, სუნთქვა გეკვრის, გრძნობ, რომ სცენის ჯადოქარმა შეგბოჭა. სულგანაბული უსმენ და ტკბები. ტკბები მისი დაღლილი ხმით. ხანდაზმულთა გადმოცემით ვიცით, რომ ლადომ დიდი ხანია თავისი შესანიშნავი ხმა დაკარგა, მაგრამ ამაზე ვინ ფიქრობს, იმდენი სიტკბოებაა მის ბგერაში, რომ გაბრუებულს მგონია ამაზე უკეთესი ხმა არც შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა. აგერ ჩურჩულით აფრთხილებს ექიმს, ჩემს შემლილ მეუღლეს არ გააგებინოთ, რისთვის მოგიწვიეთო. ამ ჩურჩულში რაოდენი სევდა იყო. რაოდენი ლირიზმით იყო გაჟღენთილი ყოველი მისი ფრაზა, როცა სიყვარულზე ლაპარაკობდა. სხეულის თრთოლვა, ჯადოსნური გადმოხედვა და განსაცვიფრებელი პაუზები—ეს იყო ნამდვილი სიმღონია, დიდი ოსტატის მიერ შექმნილი, ეს იყო დიდი მოქანდაკის მიერ გამოძერწილი დაუვიწყარი ძეგლი. ქართული თეატრის ღარიბულ სცენაზე მრავალჯერ დადგმულ გახუნებულ დეკორაციებს იქით, პიესის რემარკის მიხედვით, ზღვა უნდა იყოს. უნდა იყოს მაგრამ არ არის. მსახიობი

ბელს უშვერს ექიმს, ზღვის ნაპირებზე მომხდარ ამბავს ამცნობს. და ეს იმდენად დამაჯერებელია, რომ გრძნობ—იქვე ახლოს პატარა მანძილზე მართლაც ზღვაა. აგერ წამოიჭრა სკამიდან მსახიობი, თეთრ საყელოზე ხელი წაიღო, გაფითრდა და ძახილით „თეთრი ცხვირსახოცი"—იპრება ზღვისაკენ, მაგრამ ელვის სისწრაფით შემოტრიალდება და გულშემოყრილი მიწაზე ეცემა. ფარდა დაეშვა. ვერ გამორკვეულხარ, რა იყო, რად ხარ ასე გაბრუებული? ბოლოს ინსტიქტურად იძახი „ვაშას" და უერთდები მთელი დარბაზის მქუხარე ტაშს. ანტრაქტი გაგრძელდა. ნატრობ მალე დაიწყოს შემდეგი მოქმედება, მალე აჟღერდეს საამო მელოდიები, რა იცოდა უბრალო მელოდრამის „შეშლილიას" ავტორმა, რომ მის ჰარლეიგს მზიური ქვეყნის შვილი ასე ძლიერად შთაბერავდა შემოქმედებითს სულს. ძნელია ქაღალდზე გადატანა იმ ნეტარი წამებისა, რაც ქართული თეატრის პატარა დარბაზში განვიცადე ამ დიდი ხნის წინათ.

იშვიათია ბუნებას ისეთი სიუხვე გამოეჩინოს ვისიმე მიმართ, როგორც მესხიშვილს ხვდა წილად. მისი პროფილი, გახსნილი შუბლი, ზღვასავით უშრეტი გონიერებით აღსავსე თვალები, ამაყი სახე—ყველა ეს ისე ჰარმონიულად იყო შეხამებული, რომ უკეთესის წარმოდგენა ვერც ბერძენთა მითური აპოლონის შემქმნელთ შეეძლოთ. ზღაპრად არ მიმაჩნია ქუთაისში მომხდარი ამბავი, რომ ერთ-ერთმა თეატრალმა მოსე ჭიქოძემ, ლადოს მშვენიერებით დამტკბარმა, თავი ვეღარ შეიკავა მოქმედების დროს—ხმამაღლა წამოიძახა: „რა მშვენიერია, რა ლამაზია!" და გაბრუებული გავარდა დარბაზიდან. ვისაც კი ბედნიერება ჰქონია ენახა ლადოს ჰარლეიგი, ლეერ ხიმშიაშვილი, ჰამლეტი, ფრანცი, ურიელი აკოსტა, რასპლიუევი („კრეჩინსკის ჭორწინება"), კინი და სხვა მრავალი, განა შეუძლია დაივიწყოს დიდი ხელოვანის მიერ შექმნილი ეს სახეები. აი ლეერი პირველ სცენებში, შეყვარებული, როგორ იტანჯება, რომ მეგობრის სარეცელში წილი ჩაიდო. და ეს ნაზი ადამიანი როგორ ვეფხვად იქცევა, როცა გაიგებს, რომ მისი სატრფო ერის მოღალატეა. როგორ აფეთქდა, აღელდა ზღვა! მსახიობის ძლიერი ტემპერამენტი იმ კულმინაციურ წერტილს აღწევდა, სადაც დაბრილ ვეფხვისათვის აღარავითარი თავშემაკავებელი ზღუდე არ არსებობს. აი ურიელი, მგრძნობიარე ფილოსოფოსი, წარსდგა სინაგოგაში, სადაც უნდა უარყოს ის, რაც სწამდა, და დამორჩილდეს ფანატიკოს რაბინებს. რა სულიერი ტანჯვა, მჭუ-

ხარებაა მსახიობის სახეზე, როცა იწყებს მონანიების ეტრატის კითხვას. მწუხარების, სასოწარკვეთილების ნოტები ისმის ყოველ მის ფრაზაში. მოსწყდა მსახიობი, ძირს დაეცა... გამხეცებული ბრბო ზეიმობს, ქელავენ ჰეშმარიტების მაძიებლის, შეჩვეულის სხეულს. მაგრამ მოთმინების ფიალა აივსო, კოცონი გაჩაღდა— შეინძრა მიწა, ვულკანმა ამოხეთქა, ცეცხლს აფრქვევს მსახიობი, „დედამიწა მაინც ბრუნავს",—გაიძახის, და გწამს, რომ ჰეშმარიტება იზარჯვება. გწამს, რომ გალილეი მართალია, დედამიწა მაინც ბრუნავს და ბნელეთის მოციქულებს არ ძალუძთ მისი შეჩერება.

აი დანიის პრინცი ჰამლეტი, რამდენ მსახიობს მოუტეხია კისერი ამ როლის განსახიერებისას. შგონია, არც ერთი სახე აზრთა იმდენ სხვადასხვაობას არ იწვევს, როგორც ჰამლეტი. მესხიშვილი ჰამლეტის უფრო პირადი ტრაგედიის განმასახიერებელი იყო. მასში ის უფრო პირად მწუხარებას აქსოვდა, უფრო მგრძნობიარე, სევდიან პრინცს გვიხატავდა, ვიდრე განყენებულ მოაზროვნე ინტელიგენტს, როგორც ეს იყო, მაგალითად, კაჩალოვის შესრულებაში. უკანასკნელისათვის თითქოს არ არსებობდა პირადი ტრაგედია—იყო მხოლოდ მწვავე გრძნობები მოაზროვნე ადამიანისა. ასეთი სხვადასხვა მიდგომა ჰამლეტისადმი აიხსნებოდა ამ მსახიობთა მიერ როლის სხვადასხვა გაგებით, ინდივიდუალობითაც. მესხიშვილის ბუნებაში მგზნებარე ტემპერამენტთან ერთად უხვად იყო ჩვილი გრძნობა, სევდა და მწუხარება. კაჩალოვში კი ლირიზმთან ერთად იყო რეზონიორის დიდი ლოგიკა. მესხიშვილის მიერ განსახიერებულ ჰამლეტს შეიძლება არ დათანხმებოდი, მაგრამ იგი მაინც გიტაცებდა და აღგაფრთოვანებდა.

მესხიშვილის ფრანც მოორი უკვდავი სახეა, დიდი ხელოვანის მიერ გამოძერწილი. მესხიშვილს ჰარლეიგის და ფრანც მოორის გარდა სხვა როლებიც რომ არ შეესრულებინა, მარტო ამ როლებით შეეძლო დაემკვიდრებინა დიდი მსახიობის სახელი. მესხიშვილის ფრანცის ყოველი სიტყვა, ყოველი ჟესტი მოფიქრებული იყო დიდი ხელოვნებით. რომელი სცენაც გინდათ გაიხსენეთ ამ პიესიდან—აი მამასთან—რა შემპარავი, მოფიქრებული გეგმით აწვეთებს შხამს მოხუცს. ფრანცმა საწადელს მიაღწია—გახლართა კვანძი. უნდა გენახათ მარტოდ დარჩენილი ფრანცის ზეიმი. რა სარკასტული სიცილი აღმოხდებოდა ბოლმე გულიდან. სატანისებური სიცილი ახლაც კი ყურში გესმის. ანდა სცენა მამის დახრ-

ჩობისა, მოისმის აძალიას ხმა, მოკვდაო. „მოკვდაო“—ფრანცის ნატვრა ასრულდა, ის ციხე-დარბაზის ბატონ-პატრონი ხდება. ზეიმობს სატანა. ხედავთ, რომ მასინჯმა ფრანცმა საზარელი საქმე ჩაიდინა, მაგრამ დახე საკვირველებას—მაყურებელში ორი გრძნობა იბრძვის: ერთი მხრივ გეზიზღება ვერაგი ფრანცი და მეორე მხრივ რატომ გინდა, რომ სატანას ზეიმი დიდხანს გაგრძელდეს და ფარდის ჩამოშვებამ არ მოგაგონოთ, რომ ყოველივე ეს მირაჟია, დიდი ხელოვანის მიერ ხორცშესხმული. ეს იმიტომ, რომ ნიჭიერების შემოქმედება იმდენად ძლიერი იყო, მას ისეთ პლასტიკურ სისრულემდე აჰყავდა მახინჯი მოორი, რომ მისი სიმახინჯე თითქოს ქრებოდა და მზად იყავ დაუსრულებლივ გეცქირნა საშინელი საქმის მოქმედი ფრანცისათვის. უკანასკნელ მოქმედებაში მსახიობი კულმინაციურ წერტილს აღწევდა. ვინ იქნებოდა ისეთი, რომ მსახიობთან ერთად არ ეგრძნო ფრანცის თავს დატეხილი უბედურება. მესხიშვილს ჰქონდა ყველა პიესაში ისეთი კულმინაციური წერტილი, სადაც მისი ტემპერამენტი აღელვებულ ზღვას და მგრგვინავ ვულკანს ემსგავსებოდა. რატომ ხდებოდა, რომ ხანდაზმულობისასაც, თითქმის ხმაწასული მსახიობის თამაში ოკეანეს ღელვას ემსგავსებოდა და ფაფარაყრილი დაჭრილი ლომის მძინვარებას გაგონებდა? იმიტომ, რომ მოზღვავებულ ტემპერამენტს ძალუძს უხმოდ დაგატკბოთ და ჩურჩულით ჭექა-ქუხილი გაგრძნობინოთ. ტემპერამენტი მსახიობის ნიჭის პირველი ნიშანია. მაგრამ, საუცხოო სცენური გარეგნობა, ტემპერამენტი კიდევ საკმარისი არ არის გამარჯვებისათვის თუ აქტიორი აღჭურვილი არ არის დიდი შრომისმოყვარეობით, ნათელი გონებით, ცოდნით და სცენიური ტექნიკით. ყველა ამ თვისებამ, ჰარმონიულად შერწყმულმა, მისცა საშუალება მესხიშვილს ბუმბერაზთა რიგებში ჩამდგარიყო. განა დიდ ნიჭთან ერთად აქტიორული ტექნიკა არ აძლევდა მსახიობს იმის საშუალებას, რომ განცვიფრებაში მოეყვანეთ მის პაუზებს. ამბობენ, რუსეთის გამოჩენილი მსახიობ გორევის პაუზა ხშირად სამ წუთს გრძელდებოდა და მსახიობი ამით ამაყობდაო. ჩვენ გორევს ვერ მოვესწარით. მესხიშვილის პაუზებით კი დავმტკბარვართ. გავიხსენოთ „ავადმყოფ ხალხში“ ლადოს რობერტი. რობერტი სკამს მიდგამს ვილჰელმის სავარძელთან და შეჰყურებს მძინარე ძმას. სახეგამხდარი, ფერმკრთალი, ღრმად ჩაცვივნული თვალებით აცქერდება ძმას. სამარისებური სიჩუმეა. განა სიტყვას შეუძლია გადმოგვცეს ის, რასაც მსახიობის ჩაშავე-

ბული თვალები გვეუბნება. გრძნობ, რომ რობერტი ისეთივე ავადმყოფია—შეპყრობილი უკურნებელი, მემკვიდრეობით თანდაყოლილი სენით. აი ამოიღო ჩიბუხი, ლამობს მოსწიოს, გაჰკრავს ასანთს, მაგრამ რაღაც გაახსენდება, წავა ფიქრებში, შედგება, სახეს მკვდრის ფერი ადევს. ასანთი ქრება გადაავიწყდა მსახიობს, რომ თამბაქოსათვის უნდა მოეკიდებინა, მაგრამ თითქოს ნიკოტინით დათრობის სურვილმა გამოაღვიძა, კვლავ გაჰკრავს ასანთს, მიაქვს ცეცხლი ჩიბუხთან, უნდა მოუკიდოს—დაინახავს, ერკვევა, რომ ძმა ავად არის, თამბაქოს კვამლი მას აწყენს, მიანებებს თავს ჩიბუხს და ჩასცქერის ავადმყოფს. ეს ადგილი ისეთი ხელოვნებით იყო შესრულებული, ეს პაუზა ისე მხატვრულად გამართლებული, რომ მარტო ეს იყო საკმარისი რომ დაგენახა ის ჯადოსნური რკალი, რომელშიც იყო მომწყვდეული შოლცების ოჯახი. განა ასევე მომჯადოებელი არ იყო სავარძელში მოკრუნჩხული ოსვალდი („მოჩვენებანი"), რომელიც გრძნობს, რომ დგება მისთვის საბედისწერო ჟამი, ახლოვდება ის, რასაც ელოდა—სიგიჟე.

რუსეთის ქალაქებში აქტიორული ხეტიალისას, როცა მსახიობებს ანტრეპრენიორები ამპლუას მიხედვით იწვევდნენ, ლადოს ხელშეკრულებაში ეწერა „საგმირო-რეზონიორის როლების შემსრულებელი"—და აი, დრამატული როლების მსახიობი და სუხოვო-კობილინის — „კრეჩინსკის ქორწინებაში" რასპლიუევის როლი. ერთი შეხედვით დიდი მანძილია ურიელსა და რასპლიუევს შორის. რით აიხსნება, რომ დაუვიწყარ ტრაგედიულ სახეებს გვერდში ვუყენებთ კომიკურ რასპლიუევს? თუ მესხიშვილი გამარჯვებული გამოდიოდა ამ როლებშიც, ეს იმიტომ, რომ ის ხალასი ნიჭის მსახიობი იყო. ნამდვილი ნიჭისათვის არ არსებობს საზღვარი დრამატულ და კომიკურ განცდათა შორის. ნამდვილი შემოქმედი ერთნაირად გრძნობს ცხოვრების ყოველ მაჯისცემას—გაზაფხულის სიმშვენიერეს და ზამთრის სუსხს. და ლადოც ერთნაირი სიძლიერით წარმოსახავდა მგზნებარე ურიელის ტრაგედიულ სახეს და საცოდავი ადამიანის რასპლიუევის კომიკურ პორტრეტს.

დიდი მსახიობი ასევე დიდი მასწავლებელიც იყო. ქართულ თეატრს ძველად დრამატული სკოლა და სტუდია* არ ჰქონია, რომ

* 1912 წელს ქართულ თეატრთან გაიხსნა ორ წლიანი დრამატული სკოლა, რომელიც 1913 წელს დაიხურა.

ახალგაზრდებს თეატრალური განათლება მიეღოთ. ლადოს თამაშის ყურება—აი მათი სკოლა და ლექციები, ლადოს მამობრივი დახმარება—აი მათი გზის მაჩვენებელი ჩირაღდანი. ვინ მოთვლის, რამდენი თვალსაჩინო ძალა შემატა ქართულ თეატრს ლადომ, რამდენ ახალგაზრდას გაუწოდა ხელი და სწორ გზაზე დააყენა. ლადოს მოწაფეები ამჟამად 70 წელს მიღწეულნი, სიამაყით ამბობენ—სცენური ხელოვნება დიდმა ლადომ გვასწავლა, ჩვენ მისი საყვარელი მოწაფეები ვიყავითო.

ლადოს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მოწაფე ჭნარს გამოიჩენდა და მასწავლებლის შთანაფიქრს განახორციელებდა. ლადო ჯერ კიდევ შუახნისა იყო, ჯერ კიდევ იპყრობდა ხალხს თავისი წარმტაცი ნიჭით, და აი ამ პერიოდში იგი მამობრივ მზრუნველობას უწევს ახალგაზრდებს, თავის საუკეთესო როლებს უთმობს და თვითონ ეხმარება მათ როლის განსახიერებაში. ჭნდა გენახათ ლადოს აღტაცება, როცა რომელიმე მისი მოწაფე კარგად ასრულებდა მის საყვარელ როლებს. ლადოს უშუალო დახმარებით ასრულებდნენ მისი მოწაფეები ჰამლეტს, ფრანცს, ნეჭნამოვს, ლევან ხიმშიაშვილს. ლადო ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობდა. სცენაზე მისი გამოჩენა საყოველთაო დღესასწაულად გადაიქცეოდა ხოლმე. და ამიტომაც ლადოს ავადმყოფობამ და ხმის დაკარგვამ ყველას დასწყვიტა გული. როცა გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა საყვარელი მსახიობის ავადმყოფობის შესახებ, არ დარჩენილა საქართველოში არც ერთი კუთხე, რომ ამ ნიჭიერი ადამიანის სამკურნალოდ თანხის გაღებაში თავისი წვლილი არ შეეტანოს. 1903 წელს ლადო მსახიობ ნემოს თანხლებით ქართველმა საზოგადოებამ ვენაში გაგზავნა სამკურნალოდ.

დიდი სიხარულით მიეგება ქართველი ხალხი თავისი საყვარელი შვილის სამშობლოში დაბრუნებას. სცენაზე მის გამოჩენას შქუხარე და ხანგრძლივი ოვაციებით ხვდებოდნენ. ლადოს დაბრუნება იმ პერიოდს დაემთხვა, როცა მთელი რუსეთის მუშათა კლასი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის ემზადებოდა და მეფის რეჟიმის დამხობას ლამობდა. 1905 წლის რევოლუციის ტალღები სცენაზეც შეიჭრა. ხალხის შვილი ლადო თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში ჩადგა, როგორც ტრიბუნი და ხალხის ზრახვების პროპაგანდისტი.

1905 წლის 27 აგვისტოს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა

სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ნიკოლაევი თავის უფროსებს ატყობინებს:

„საიდუმლოდ. ა. წ. 25 აგვისტოს ქუთაისის ქალაქის თეატრში ქართული დასის მსახიობთა წარმოდგენის დროს მეორე აქტში სცენიდან მსახიობმა ალექსი-მესხიშვილმა წარმოთქვა ქართულად სიტყვა, რომლითაც ხალხს მოუწოდებდა მთავრობასთან ბრძოლისათვის. სიტყვის დასასრულს ხუთჯერ წარმოთქვა: „ბრძოლა ერისა, ბრძოლა ხალხისაო". წარმოდგენის შემდეგ ხალხი რევოლუციური სიმღერებით („აღსდექ მუშა" და სხვ.) დაიშალა"...

მარტო პოლიცია არ არის აღშფოთებული ლადოს გამოსვლით. ქუთაისის თავად-აზნაურთა ყრილობაზე თავადი დავით იაშვილი აცხადებს:

„ამას წინათ ერთი ავადმყოფი არტისტისათვის ფული მოგვთხოვეს, ჩვენ სიამოვნებით გავიღეთ—ვინ თუმანი, ვინ ხუთი მანეთი, ვინ უკანასკნელი მანეთიც კი შესწირა. შორჩა ჩვენი არტისტი შეგროვილი ფულით, ჩამოვიდა და ახლა ისეთ წარმოდგენებს მართავს, რომ აზნაურობას სამარეს უთხრის".

ყრილობაზე მყოფმა ლადო მესხიშვილმა საკადრისი პასუხი გასცა იაშვილს.

„ბატონი იაშვილი მაყვედრის, ჩვენ ფული შევუკრიბეთ ჩვენს არტისტს, მოვარჩინეთ და ის კი ისეთ წარმოდგენებს მართავს, რომ აზნაურებს სამარეს უთხრისო. მოვაგონებ იაშვილს, რომ მე აზნაურობას როდი ვეკუთვნი. მე ვეკუთვნი მთელ ერს. ფულს როდი ვემსახურები, არამედ სცენას, ჩემს რწმენას, და ვერავითარი სასყიდელით ვერავინ ვერ მომისყიდის და ვერ მათქმევინებს იმას, რაც ჩემს რწმენას ეწინააღმდეგება... აზნაურობამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. აზნაურობა ხშირად წინ ეღობება თავისი ქცევით დღევანდელ მოძრაობას... მესხიშვილი კიდევ შეგაკრეფინებთ ფულს, როცა მართალი სიტყვის გაგონება მოგინდებათ სცენიდან."

ასეთი იყო არტისტული სახე ამ დიდი შემოქმედისა და თავისი ქვეყნის ღირსეული მოქალაქისა. ვამბობთ მოქალაქისა, რადგან ლადოს, როგორც დავინახეთ, არ შეეძლო ხალხის ჰმუნვა თავის ჰმუნვად არ მიეჩნია. და როცა გაისმა მშრომელთა მგზნებარე ხმა, როცა 1905 წლის რევოლუციამ შეარყია თვითმპყრობელობის ტახტი, ლადო მოვლენათა უბრალო მაყურებლის როლში არ დარჩენილა. ლადოს მიერ სცენიდან წარმოთქმული კაიოს გრაკჰუსის

მგზნებარე სიტყვები, ჯანის* მონოლოგები მალამოსავით ეცხებოდა მაყურებელს და აღმაფრენას იწვევდა. კაიოსის ხმას ბანს აძლევდნენ ქუჩებში აღმართული ბარიკადები. ლადო პირშიც და ლხინშიც ხალხთან იყო. სინამდვილე რომ არ იყოს, ზღაპრად, ლეგენდად მოგეჩვენებოდათ ქუთაისის ქუჩაზე დეკორაციებისაგან ახორხილ ბარიკადებზე მდგომი, ლომივით ფაფარაყრილი, ხალხის მშვენება, ხალხის შვილი ლადო.

ჰეშმარიტი ხელოვნება ყოველთვის სცილდება ეროვნულ ფარგალს და ყველასათვის საყვარელი ხდება. მესხიშვილის შემოქმედებაც გასცილდა საქართველოს ფარგლებს და სათანადოდ იქნა დაფასებული სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების მიერ. ლადო მესხიშვილმა თავისი მოღვაწეობის კარგა დიდი ნაწილი რუსულ სცენაზე გაატარა. იგი ხშირად მთელი სეზონობით მუშაობდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში.

სამარყანდის გაზეთ „ოკრაინას“ 1891 წლის 24 ივნისის № 74-ში მოთავსებულია დიდი წერილი ტაშკენტიდან სათაურით: „თეატრალური შენიშვნები“.

„ა. წ. 22 მაისს საზაფხულო თეატრში დადგმულ იქნა ა. ოსტროვსკის მიერ თარგმნილი ჯიაკომეტის 5-მოქმედებიანი დრამა „დამნაშავის ოჯახი“. არ შემეძლო თავი შემეკავებინა და არ მენახა ტაშკენტის სცენაზე ბ. ალექსეევ-მესხიევი, რომლის შესახებ არა ერთხელ დაბეჭდილა წერილები „ოკრაინის“ ფურცლებზე. არ მინანია, რომ დავესწარ სპექტაკლს... კორადოს მთავარ როლს, რომლის გარშემოც თავს იყრიან სხვა მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, ასრულებდა ალექსეევ-მესხიევი. მისი განსახიერებით კორადო ნამდვილად იყო ცოცხალი ადამიანი, რომელმაც მაყურებელს თვალწინ გადაუშალა თავისი მშფოთვარე, საშინელი ცხოვრება. გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ტაშკენტს ასეთი ნიჭის მსახიობი ჯერ არ უნახავს“...

ლევ ნიკულინი თავის წიგნში „რუსული ხელოვნების ადამიანები“, ეხება რა მაქსიმ გორკის, აღნიშნავს, რომ დიდი მწერალი ალექსი-მესხიშვილს მშვენიერ მსახიობად თვლიდა.

ლადო მესხიშვილის ნიჭით მოხიბლული იყო სომხეთის ცნობილი მწერალი ა. შირვან-ზადე. მახსოვს ლადო მესხიშვილის იუბილეზე მისი გრძნობით აღსავსე მისასალმებელი სიტყვა. შირვან-ზადემ სხვათა შორის მოაგონა იუბილარს, რომ ეს ორი მოძმე

* ო. მირბოს პიესა „ჟან და მადლენას“ გმირი.

ერი ყოველთვის მტკიცე მეგობრულ განწყობილებაში იყო. სწორედ ლადო მესხიშვილის ჰამლეტით მოხიბლული იყო მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული სომეხი მსახიობი პეტროს ადამიანიო.

აი რას წერს ლადო მესხიშვილზე სომხეთის სახალხო არტისტი ვაჰრამ ფაფაზიანი თავის წიგნში, „მსოფლიოს თეატრებში“:

„...კერძოდ, ასევე აღვნიშნავ, რომ შემდგომში... მე მხარი დამიჭირა ქართული სცენის გამოჩენილმა ოსტატმა დიდად ნიჭიერმა მსახიობმა ალექსეევ-მესხიშვილმა (ლადო მესხიშვილმა), რომელიც დიდი სიამოვნებით ვნახე თბილისში შილერის „ყაჩაღებში“. ის იყო მეტად დიდი და ღრმა აქტიორი იმავე ყაიდისა, რომელთაც იტალიაში შევეჩვიე (ფაფაზიანს მხედველობაში ჰყავს ორესტო კალაბრეზი, ერმეტე ნოველლი, გუსტავო მოდენა, ერმეტე ცაკონი, ჯიოვანი გრასსო, ტომაზო სალვინი). იმ დროს, როცა მე მესხიშვილს შევხვდი, ის ხანში შესული კაცი იყო, მისი სახე დამახასიათებელი იყო ქართველი ერისათვის, რომელსაც სრული საფუძველი აქვს ამაყობდეს თავისი სილამაზით“.

განა ოდნავ მაინც შევძელით ლადოს პორტრეტის დახატვა? განა შეიძლება არტისტის შემოქმედების გადმოცემა? შეიძლება მხოლოდ მისი გონებაში განახლება და შთაბეჭდილების ქაღალდზე გადატანა. გული ხარობს მხოლოდ იმით, რომ ამ მსახიობის მიერ განსახიერებული მკვეთრი სახეები იმდენად დამაჯერებელი და უკვდავი იყო, რომ შენ, მის მომსწრეს და მაყურებელს, შეგიძლია დახუჭო თვალი, ოცნებით გადაფრინდე ქართული თეატრის დარბაზში და განაახლო ის სახეები, რაც სანეტაროდ დაგვიტოვა მსახიობმა. მაგრამ ეს ხომ მარტო მოგონება, მირაჟი იქნება, შუქმიმკრთალი ლეგენდა დიდ მსახიობზე.

ლადო მესხიშვილი საუკუნეებს გაუძლებს. მან სამარადისო ძეგლი დაიდგა ჩვენი ხალხის გულში. რამდენი ასეული წელიც უნდა გავიდეს, ჩვენი ხალხი ყოველთვის გაიხსენებს თავის შესანიშნავ წინაპარს, ერის საყვარელ შვილს ლადო ალექსი-მესხიშვილს.

# მაქრო საფაროვი

1862 –1928



კეთილი და პურადი ხვედურელი სანდრო ციციშვილი ცოტა ბაქია გახლდათ. ხუთი მანეთი რომ დაეხარჯა, იტყოდა ასი მანეთი გავფლანგეო. მწყერჩიტა რომ მოეკლა, იძახდა ნანადირევი მოჯამაგირეებმა შინ ურმებით ზიდესო. მისი ტყუილი არავის ავნებდა. პირიქით, თუ კი რამ გააჩნდა, სხვებს გადააგებდა, უკანასკნელ პერანგს არ დაიშურებდა მოყვასისათვის. მომლხენიც კარგი იყო ჩვენი სანდრო, სიმღერაც ეხერხებოდა და ცეკვაც. დროდადრო დედაქალაქს ეწვეოდა ხოლმე და წვითა და დაგვით ნაშოვნ ფულს წირვას გამოუყვანდა ხოლმე. უყვარდა მსახიობებთან შეხვედრა და მათთან სჯა-ბაასი. ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდა სანდრო ქართული თეატრის ეზოში. აქ ჩვენი მსახიობები, მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ხშირად თავს იყრიდნენ და მასლაათობდნენ. ყველა სიხარულით შეხვდა სანდროს. საუბარი გაიმართა. თქვეს ამ მთისა, იმ მთისა და სიტყვა სანდროს ქორწილს შეეხო. მოაწდა თავის რაშს ჩვენი სანდრო, ფანტაზია აამუშავა და დაიწყო ამბავი:

ჩემს ქორწილში მეგობრებო 200 ძროხა დავკალით, 600 ცხვარი, ინდაურებსა და ქათმებს თელა არ ჰქონდა. იმერეთიდან ხუთასი კაცი მეწვია, ათასამდე ქართლ-კახეთიდან. სტუმრებისათვის მარტო ორი ყევარი ხარით დანა-ჩანგალი მოვიტანეთ. ახლა მზითევს არ იკითხავთ! მარტო ერთ მაფრაშაში ორასი ფარჩის საბანი ელაგა, ხუთასი ყურბალიში. ეჰ, რა ქორწილი მქონდა! ქეიფი ორ კვირას გაგრძელდა. ათასი საპალნე ღვინო დაიხარჯა.

ყველა გულდასმით უსმენს ჰოუბარს. აოცებთ მისი უშრეტი ფანტაზია. განსაკუთრებით გაკვირვებულია პატარა ტანის ჩოხოსანი. დასრულდა ზღაპრული ამბავი. ახლა ჯერი ჩოხოსანზე მიდგა.

— ჩემმა დამ მაკომ,—დაიწყო შემპარავი ღიმილით ახალმა მოუბარმა,—ბათუმში 1905 წელს გასტროლები მოაწყო. დასში მეც ვიყავი მიწვეული. ჩემს სიძეს ვასო აბაშიძესა ვცვლიდი. არ ვიცი საიდან შეეტყოთ საიდუმლო ორგანიზაციის წევრებს ჩემი ბათუმში ყოფნა და საფრანგეთიდან შიფრიანი დეპეშით შეეტყო-

ბინებინათ, შაქროს დაავალეთ მარსელიდან გამოგზავნილი დატვირთული გემის დაცლა და იარაღის საიმედო ადგილას შენახვაო.

— მერე და შენ რა შუაში იყავი, ვაჟო? —შეეკითხა გაშტერებული სანდრო.

— როგორ თუ რა შუაში ვიყავი. მე ვიდრე თეატრს შევაფარებდი თავს, ტერორისტული ორგანიზაციის წევრი და მეთაური ვიყავი.

სოსო ივანიძემ ეს ამბავი დაუდასტურა და შაქრომ განაგრძო თხრობა.

— აბა რაღას ვიზამდი. სპექტაკლი რომ დავამთავრეთ, მივედი ზღვის პირას, ერთ აჭარელს ნავი ვთხოვე, გავაპე ტალღები და შუა ზღვაში მდგარ გემზე ავედი. გემის კაპიტანი თურმე მელოდებოდა. პაროლი ვუთხარი თუ არა, მაშინვე მკითხა:

— მსახიობი შაქრო საფაროვი ხართ?

მეც დავუდასტურე და შევუდექით იმავე ღამეს გემის გადმოტვირთვას.

მაუზერები ყუთებში იყო ჩაწყობილი და ზედ წარწერა ჰქონდა—„მარსელის ჭურჭელი“ ასევე იყო ყუმბარებიც. გათენებამდე ტვირთი ბათუმის სადგურზე მივიტანეთ და იქ ორგანიზაციის წევრების დახმარებით საბარგო ვაგონებში დავტვირთეთ. გასტროლებს თავი დავანებე, ჩემი როლები დათიკო აწყურელს გადავულოცე, ამით ის ძლიერ გავახარე და მე კი თბილისისაკენ გამოვწიე.

სანდრო განცვიფრებული უყურებს მოსაუბრეს. სწყინს, რომ შაქროს ფანტაზია უფრო ძლიერად ამუშავდა. მაგრამ რას იზამს, როცა ხედავს, რომ ყველა გაშტერებით უსმენს ცნობილ „კონსპირატორს“.

— ჰო და თბილისის სადგურში გადმოვტვირთეთ იარაღი და ჩემს ბინაზე მივიტანე. თურმე გემზე ერთი პროვოკატორი ყოფილა. მას უცნობებია თბილისის ჟანდარმთა სამართველოსათვის იარაღის გადმოზიდვის ამბავი. როტმისტრს უთქვამს, მაგ საქმეს შაქროს მეტი ვერავინ გააკეთებდაო. ის იყო უნდა დამეძინა, რომ სადარბაზო კარის კაკუნი მომესმა. ფანჯრიდან გადავიხედე და რას ვხედავ—ჟანდარმები ბუზებივით ირევიან. არც ვაცივე, არც ვაცხელე, ხელად მივმალე იარაღი და კარი გავუღე დაუპატიჟებელ სტუმრებს. ოთახში ჯერ ჟანდარმები შემოვიდნენ. როტმისტრი

ვერ ბედავდა. უეჭველია იცოდა ჩემი ხასიათი, რომ შემეძლო იქვე გამეთავებინა. როცა შეიტყო, რომ ჟანდარმებს დამშვიდებით ვესაუბრებოდი, თვითონაც, შემოდგა ფეხი, მომესალმა და მკითხა:

— თქვენ მსახიობი შაქრო საფაროვი არა ბრძანდებით?—მე დაეუდასტურე.

— ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებთ, მოგეხსენებათ მოვალეობა. მე აგენტებისაგან მივიღე ცნობა, რომ აქ თქვენთან თავს აფარებენ რევოლუციონერები. იძულებული ვართ ოთახი გავჩხრიკოთ.

გამოაღეს განჯინები, საწოლის ქვეშ შეიხედეს, დაფლეთილი ფეხსაცმელებისა და კალოშების მეტი ვერაფერი ნახეს. ბოდიში მოიხადეს და წავიდნენ.

— მერე და სად დამალე ერთი გემი იარაღი?—გაოცებით ეკითხება ჩვენი სანდრო.

— შენი ქორწილიდან ერთი პატარა მაფრაში წამომყვა. იმაში ჩავაწყვე იარაღი და ჭაში ჩავუშვი.

მიხვდა სანდრო, რომ ტყუილებში შაქრომ აჯობა. თავი დამარცხებულად ცნო და მთელი შეკრებილობა სადილად დაპატიჟა.

მეტისმეტად ოხუნჯი იყო შაქრო საფაროვი. ერთ პატარა ამბავს თავისი უშრეტი ფანტაზიის მეოხებით ისე გაბერავდა, რომ მსმენელნი გაშტერებული. რჩებოდნენ. სწორედ ეს გადაჭარბება უშლიდა ხელს როგორც აქტიორს და ხშირად რეცენზენტების სამართლიან საყვედურს იმსახურებდა. ოღონდ კი გაეცინებინა მაყურებელი და ამისათვის ძალღონეს არ იშურებდა. გადამლაშება, გადაჭარბება ვოდევილური ხერხები დრამასა და კომედიებში—აი შაქროს როგორც მსახიობის ნიშანდობლივი თვისება. სიცილს კი, გაგიხარიან, იწვევდა. თვით მკაცრი რეცენზენტებიც გულიანად ხარხარებდნენ, როცა შაქრო რაიმე ტრიუკს მიმართავდა. ამისი ერთი მაგალითი. ძველად ვალერიან გუნიას კომედია „აღლუმი“ მაყურებლის დიდის მოწონებით სარგებლობდა. ვისაც უნახავს ამ კომედიაში თვითონ ავტორის გენერალი, ვასო აბაშიძის აფთიაქარი ჭარხალაძე, კოტე შათირიშვილის ფილიმონ მსუბუქაშვილი, ტასო აბაშიძის ნუცა და სხვ. (სამწუხაროდ მაკოს ნუცას არ მოვსწრებივარ), განა ის როდისმე დაივიწყებს ამ კომედიას. შაქრო საფაროვი „აღლუმში“ ჩვეულებრივად გენერალის ჯარისკაცის ბეჟანის როლს ასრულებდა. როლი პატარაა, მაგრამ მეტად კარგად დაწერილი. ჯარი ტოვებს სოფელს. ყველა გულ-

წრფელად ეთხოვება ერთმანეთს. მეოთხე მოქმედების მერვე გამოსვლაა—სცენაზეა ბეჟანი. სცენარიუსმა გიგო იორდანიშვილმა შეუშვა კეკე. გავიხსენოთ ტექსტი.

კ ე კ ე—მაშ მიდიხართ, მიდიხართ?

ბ ე ჟ ა ნ—დიახ, მივდივართ!

კ ე კ ე—წახვალთ და დაგავიწყდებით ყველანი.

ბ ე ჟ ა ნ—მაგას რათ ამბობთ, რათ დამავიწყდები. პირიქით, მუდამ შენზე მიქნება ფიქრი.

კ ე კ ე— ეჰ, თქვენ, ვაჟკაცებმა, სულ ეგრე ტყუილი ლაპარაკი იცით.

ბ ე ჟ ა ნ—მაგას რათ ამბობთ?

კ ე კ ე—(მოწყენით) აი სახსოვრად ეს გქონდეს, მომიგონებდე ხოლმე (აძლევს ცხვირსახოცს, დარბაზში ჩუმი სიცილია).

ბ ე ჟ ა ნ ი—გმადლობთ, ვეცდები მეც სამაგიერო გადავიხადო. ღმერთი მოწყალეა, თუ წელს არა, მომავალს უსათუოდ ვნახავთ ერთმანეთს. აი ეს... თქვა ბეჟანმა და სცენაზე ერთ წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. გიგო შეშინდა ვაი თუ შაქროს სიტყვები დაავიწყდა და სპექტაკლი არიოსო. გადის წამი. ბეჟანი ხმას არ იღებს. დარბაზში კი ატყდა სიცილი, ხარხარი თანდათან მატულობს. შეშინებული გიგო აქეთ-იქით დარბის. გაიქცევა, სადაც ფარდის ჩამოსაშვებია, და რას ხედავს. დგას ბეჟანი კეკეს წინ, ხელში უჭირავს წითელი ფერის პაკეტი. იატაკი კი სხვადასხვა ფერის პაკეტებით არის მოფენილი. უყურებს გიგო: შაქრო მოწიწებით ჩაყოფს ხელს წითელ პაკეტში ამოიღებს ყვითელი ფერის პაკეტს, წითელს კი იატაკზე ისვრის. ყვითლიდან ამოიღო ლურჯი, ლურჯიდან ნაცრისფერი და ასე შემდეგ...

— ვაიმე, ვაიმე, ცირკი გამიხადა შაქრომ, მიშველეთ, ხალხო, მიშველეთ!—ღრიალებს გიგო და კულისებში აქეთ-იქით დარბის. შაქრო კი განაგრძობს პაკეტებით თამაშს. მთელი დარბაზი ხარხარებს—მკაცრი რეცენზენტები, თეატრალები, ყველაფრის მცოდნენი, ფაქიზი გემოვნების პატრონნი და ჩვეულებრივი მაყურებლები. როგორც იქნა ბეჟანმა (შაქრომ) სულ პატარა მეოცე პაკეტიდან ამოიღო პატარა მოცუცქნული სარკე, ჯერ თვითონ ჩაიხედა, მერე კეკეს გადასცა და უთხრა:

— აბა ეს სარკე სახსოვრად გქონდეს.

კეკეს უკანასკნელი სიტყვები—აბა თუ ვაჟკაცი ხარ არ მომატყუებ და რასაც დამპირდი... არავის გაუგია, ვინაიდან დარბაზში

ყველა ხარხარებდა. იცინოდნენ კულისებში მყოფი მსახიობებიც და სცენის მუშებიც. მხოლოდ გიგო იყო გაცეცხლებული და გაიძახოდა:

— რა მიყვეს, ხალხო, ნიკიტინის ცირკია თუ იაგორას ბალაგანი?

როდესაც სპექტაკლი დამთავრდა და ერთსულოვანი ტაშით დააჯილდოვეს ვასო აბაშიძე (ივლიანე ჭარხალაძე), ვ. გუნია (გულბათ ჯანრიხაძე), კ. შათირიშვილი (ფილიმონ მსუბუქაშვილი), ტასო აბაშიძე (ნუცა), მაყურებლებმა შაქრო საფაროვიც გამოიძახეს და გულიანი სიცილისათვის მადლობა მქუხარე ტაშით გამოხატეს.

არიან მსახიობები, რომელთა უადგილო ბუფონადა დარბაზის აღშფოთებას იწვევს. შაქრო საფაროვის ეს ტრიუკები ყოველთვის მთელი დარბაზის ხარხარს იწვევდა, ისე ოსტატურად აკეთებდა ყველაფერს. მხოლოდ სპექტაკლის შემდეგ პერსონაჟების ანალიზისას არ ეთანხმებოდით შაქროს როლის გააზრებაში, მაგრამ გახსენებისას ღიმილი სახეზე ყოველთვის გიკრთოდათ. მაგალითად, 40 წლის წინათ ვნახე შაქრო ი. გედევანიშვილის „სინათლეში“ ჩინელის როლში, მაგრამ აი დღესაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მაგონდება მისი შემოსვლა სცენაზე ჩაცუცქებით, ხელების თამაშით, და სიცილს ვეღარ ვიკავებ.

დიდ სცენაზე არ მახსოვს შაქრო რაიმე შესამჩნევ როლში. სამი-ოთხი ფრაზა პატარა ეპიზოდში და შაქრო თავისუფალი იყო ხოლმე. უეჭველია, ეს იყო მიზეზი, რომ ამ პატარა ეპიზოდში ისეთ ტრიუკს გააკეთებდა ხოლმე, რომ მაყურებლის მართებულ თუ უმართებულო ტაშს იწვევდა. განა ვისმე დაავიწყდება შაქროს საჭურისი ალ-რაზაკი სუმბათაშვილის „ღალატში“, ოფიციანტი „მეჯლისში იტალიელებით“, ზამბახოვის მოსამსახურე სარქისა — „ხათაბალაში“ შაქრო ისეთი იუმორით და ეშხით მღეროდა „იამ-ლამუს“ რომ მთელი დარბაზის ოვაციებს იწვევდა.

ხშირად ჭარაგმებით და ზოგჯერ პირდაპირაც გაუგონებიათ შაქროსათვის ჭართული ბრძნული ანდაზა — „ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო“. იცოდა შაქრომ, რომ ეს ანდაზა მას ეხებოდა, უეჭველია გულში სწყინდა კიდეც, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა და თავისებური იუმორით იძახდა:

— გამოჩენილი ხალხის ნაქონ ნივთებს — რელიკვიებს მუზეუმები სათუთად ინახავენ. რამდენჯერ მინახავს და წამიკითხავს, ეს

სკამი ამა და ამ კაცისააო, ეს მარაო დედოფალისაო. ქვეყნის სახელოვან შვილთა ნაქონ ყვავილის ქოთანასაც უცლიან, და განა ღირსი არა ვარ მეც, როგორც გენიალური მსახიობის მაკოს ძმას მომიაროთო,—ჩაიხითხითებდა შაქრო და ყველა სიყვარულით შეჰყურებდა ამ გულმართალ ადამიანს.

დიახ, პატარა მსახიობი იყო შაქრო, მაგრამ ბევრი კი გააკეთა. არ დარჩენილა ისეთი კლუბი მივარდნილ უბანში თუ სოფელში, რომ შაქროს იქ სპექტაკლში მონაწილეობა არ მიეღოს, როგორც მსახიობს, რეჟისორს და ორგანიზატორს. ნაყოფიერი იყო შაქრო როგორც დრამატურგიც. იგი ავტორია შემდეგი პიესებისა:—„მოქალაქის სიზმარი", „კუდრაჭა ანუ ქუჩის გოგო". ნათარგმნი და გადმოკეთებული აქვს „შრომა და კაპიტალი" დრამა ერთ მოქმედებად, „ომი ინგლისელებისა ბურებთან", ფარსი 1 მოქმედებად, „რევოლუციის გაღრმავება" კომედია 3 მოქმედებად, „ნასყიდი ცოლი"—კომედია 3 მოქმედებად, „ლანდი"-მინიატურა 1 მოქმედებად, „მიწამ გაიღიმა", „მომხიბლავი სასმელი" 1 მოქმედებად, „მოულოდნელი საჩუქარი" 1 მოქმედებად—და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი პიესით გაამდიდრა ძველად რეპერტუარით ღარიბი ჩვენი თეატრი. მართალია ეს პიესები დიდ მხატვრულ ღირებულებას არ წარმოადგენდნენ, მაგრამ კლუბების სცენებზე ადვილი დასადგმელი იყო და ამ გარემოებას კი მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

შაქრო როგორც ჟურნალისტი გაზეთებში ათავსებდა საინტერესო წერილებს. გავიხსენოთ „თეატრსა და ცხოვრებაში" დაბეჭდილი მისი წერილი როსტოვში მარჯანიშვილთან შეხვედრის შესახებ. როგორც მეგობარი ხომ პირდაპირ იდეალური იყო. მისი პურადობა განთქმული იყო. პირდაპირ ტრადიციად იყო გადაქცეული—სეზონის დახურვისას გაზაფხულის პირას მთელი დასი შაქროსთან იყრიდა თავს და მასპინძლის ხელითვე გაკეთებულ შაშხის ბორშჩს მიირთმევდა.

განა შეგეძლოთ სიცილი არ აგტეხოდათ, როცა ისმენდით მასპინძლის ოხუნჯობას:

— ჩვენ, ტერორისტებმა, გადავწყვიტეთ ჯალათის მოკვლა. შესრულება მე დამავალეს.

შაქროს დაავალეს—კრავივით უვნებელს!

გაგონდებათ საყვარელი ადამიანის ეს სიტყვები, გაწვლილი სურათები თვალწინ გეხატებათ და ფიქრობთ:

მართალია, შაქრო ისე ვერ ბრწყინავდა ქართულ სცენაზე, როგორც მისი და მაკო, სიძე ვასო აბაშიძე. ძმისშვილი ტასო. მაგრამ ეს პატარა სანთელიც იმავე საქმეს აკეთებდა, რასაც მნათობნი. მოდით მათთან ერთად პატარა სანთელსაც ნუ დავივიწყებთ და შაქროს პორტრეტი ამით დავამთავროთ.



# დავით აფყუაძე

1863—1928



ქართული დრამატული დასის სპექტაკლია. პირველად იდგმება ო. ერნსტის პიესა „პედაგოგები“. დრამის შემდეგ დანიშნულია მხიარული ვოდევილი „ორი მშიერი“. მესამე მოქმედების დაწყებამდე ვოდევილის მონაწილენი შეუდგნენ გრიმების გაკეთებას. მოკარნახე ბეგლარ ახოსპირელი თავის ჯიხურში ჩაჯდა. დაიწყო დრამის უკანასკნელი მოქმედება. კულისებში ასასებივით დგანან პიესის პერსონაჟები და თავიანთ გამოსვლას ელოდებიან. რვეულით ხელში სცენარიუსი გიგო იორდანიშვილი უსმენს პიესას და ელოდება იმ რეპლიკას, რომლის შემდეგაც ესა თუ ის მოქმედი პირი უნდა შეუშვას სცენაზე. თეატრის ერთგული დარაჯი, ყველასათვის საყვარელი ტროფიმე სცენაზე შესასვლელ მერხზე ჩამომჯდარი თვლემს. თეატრს ისე შეაბერდა, რომ სცენაზე არც ერთი სპექტაკლი არ უნახავს. აბა წარმოდგენას რომ უყუროს, კულისებში შესასვლელ კარს ვიღამ უდარაჯოს. სპექტაკლები არ უნახავს, მაგრამ მსახიობებს ყველას იცნობს და მათთან კარგი ურთიერთობა აქვს. მოხუცს საკვებრად მიაჩნია, რომ მისი პირადი მეგობარია მთელ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი თევდორე შალიაპინი. ლადო მესხიშვილი ისე არ ჩამოჰა საგასტროლოდ, რომ უწინარეს ყოვლისა ტროფიმე არ ინახულოს და მეგობრული საუბარი არ გაუმართოს. ისე შეაბერდა თეატრს ტროფიმე, რომ უფროსებისაგან ერთი შენიშვნაც არ მიუღია. თვლემს მოხუცი, ბურანშია. უცბად მოკარნახის ჯიხურიდან რაღაც ხმაური მოესმა. წამოხტა მოხუცი და რას ხედავს—რეკვიზიტორის თანაშემწეს ფედიას ერთ მაწანწალასთან მუშტიკრივი აქვს გამართული. **Дядя Трофим, помогите, вора поймал.**

ტროფიმე მიეხმარა ფედიას და ქურდი შეიპყრეს. **Пустите черти, я артист** გაიძახის შეპყრობილი.

**Артист, знаем мы, какой ты артист, кор проклятый** უპასუხებს ტროფიმე და უცდის სპექტაკლის დამთავრებას, რომ ქურდი პოლიციელს გადასცეს.

სპექტაკლი დამთავრდა და ჩვენს ტროფიმეს შენიშვნა მისცეს, როგორ ვერ იცნო მაწანწალის ტანსაცმელში მსახიობი დავით აწყურელი.

შეწუხდა მოხუცი, თავჩაღუნული ბუტბუტებს:

Простите Давид Мерабович. Вы так нарядились и так изменили лицо, что не узнал—за вора принял, простите და დაიწყო ქვითინი კეთილმა ტროფიმემ. ნაცემმა დავით აწყურელმა თვითონვე დაუწყო დამშვიდება მოხუცს.

გამოირკვა, რომ გრიმგაკეთებული დავით აწყურელი (მშიერი დანტეს როლს თამაშობდა თავისავე ვოდევილში) აპირებდა თავის მეგობარ ბეგლართან ჩასვლას და იქიდან პიესის ყურებას. რეკვიზიტორის თანაშემწეს ფედიას ეგონა, მოკარნახის ჯიხურისაკენ ჭურდი ბიდისო, და რა ამბავიც მოჰყვა ამას, ეს ზემოთ ვნახეთ. ვთქვათ, რეკვიზიტორის თანაშემწე ფედია ახალი კაცი იყო და ვერ იცნო ცნახიობი დავით აწყურელი. ტროფიმეს რაღა დაემართა! ლამაზი გარეგნობის მსახიობი მაწანწალა დანტეს გრიმში ისე იყო შეცვლილი, რომ მოხუცი ტროფიმეც შეცდა, ყველასათვის საყვარელ ცნახიობს ჭურდი უწოდა და ორჯოდე მუშტიც უთაქა.

დავით აწყურელს როგორც აქტიორს გარდასახვის დიდი უნარი ჰქონდა. ისე ოსტატურად იკეთებდა ხოლმე გრიმს, რომ მაყურებელს დიდხანს უჭირდა ეცნო სცენაზე გამოსული მსახიობი. ცაგრამ მარტო გარეგნული გარდასახვით არ იქცევდა აწყურელი ყურადღებას. იგი წარმოსასახავი პერსონაჟის ნამდვილი ორეული ხდებოდა. იშვიათი პლასტიკა, საუცხოო ჟესტები, მოქნილი ტანი, ცშვენიერი ხმა, მკაფიო დიქცია და ტემპერამენტი საშუალებას აძლევდა დავით აწყურელს დასამახსოვრებელი სახეები შეექმნა. ცაშ რატომ არის ცივიწყებული ეს მსახიობი? თეატრის მემატიანენი რატომ არ უთმობენ სათანადო ადგილს თავიანთ შრომებში ამ ხელოვანს? აი საკითხი, რომელიც პასუხს მოითხოვს.

დავით აწყურელს იმ პერიოდში მოუხდა ცუშაობა, როცა სცენაზე დიდი მსახიობის ვასო აბაშიძის ნიჭი იფურჩქნებოდა. ვასო აბაშიძე და დავით აწყურელი თავიანთი ნიჭის ხასიათით ცმინდა წყლის კომიკური მსახიობები იყვნენ. ხშირად მათ ერთსა და იმავე როლებში უხდებოდათ გამოსვლა, ცაგრამ დავით აწყურელი შედარებას ვერ უძლებდა. ვასო აბაშიძე ისე ძერწავდა დიდი მოქანდაკესავით სახეებს, რომ აწყურელი ძალაუნებურად მას ცაძაე-

და ეს მას საკუთარ სახეს უკარგავდა. ვინ ჩამოთვლის, გენიალური პუშკინის და ლერმონტოვის დროს რუსეთს რამდენი ნიჭიერი პოეტი ჰყავდა, რომლებიც დავიწყებას მიეცნენ, რადგან ამ ბუმბერაზთა გვერდში დაიჩრდილნენ. ამ პოეტთა ლექსებმა ვერ გაუძლეს პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზიასთან შედარებას. ასევე დავიწყებას მიეცნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის დროის მოლექსენი. ასევე ხდება თეატრშიც და ამისი ერთი მაგალითი იყო დავით აწყურელი.

მხოლოდ იმ როლებში, რომლებშიც ვასო აბაშიძე არ გაბოდიოდა, დავით აწყურელმა დიდი სახელი მოიხვეჭა. მისი პეტუა ავქსენტი ცაგარლის „ციმბირელში" და გიჟუა „რაც გინახავს ვეღარ ნახავში", ისაია გ. სუნდუკიანის „ხათაბალაში" და კაკულა ამავე დრამატურგის „პეპოში" აქტიორული ოსტატობის ნიმუშები იყო. დავით აწყურელი კლასიკურ პიესებშიც ღირსეული პარტნიორი იყო ჩვენი დიდი მსახიობებისა.

დავით აწყურელს ჰქონდა მდიდარი მიმიკა, რაც საშუალებას აძლევდა უსიტყვო როლებშიც დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა. ხშირად პატარა ეპიზოდურ როლს ისე შეასრულებდა ხოლმე, რომ მთელი ანსამბლიდან გამოირჩეოდა. ყველას კარგად მოეხსენება, რომ „ჰამლეტში" მესაფლავენი მხოლოდ ერთ ეპიზოდში არიან. აი რასა წერს რეცენზენტი: „მარტო ერთი არტისტი გამოჩნდა ამ წარმოდგენაზე, რომელიც არათუ შესწვდა თავის როლს, არამედ მშვენიერად და ხელოვნურად გამოსახა. ეგ არტისტი ბ—ნი აწყურელი იყო მესაფლავის როლში. ძალიან კარგი რამ იყო". („ცნობის ფურცელი" 1902 წ. 27 იანვარი № 1710).

სანიმუშო იყო დავით აწყურელის მასხარა უ. შექსპირის „მეფე ლირში" და ლანჩელოტ გობო „ვენეციელ ვაჭარში".

თუ ასეთი საუცხოო იყო იმ როლებში, რომლებსაც ვასო აბაშიძე არ თამაშობდა და აქ უკვე მიმბაძველობაში ბრალს ვერავინ დასდებდა, რატომ მიეცა ასეთი სახეების შემქმნელი დავიწყებას? იმიტომ, რომ ის დიდხანს არ შერჩა პროფესიულ დასს. გაჭირვებამ აიძულა დავით აწყურელი სამსახური დაეწყო და პროფესიულ დასის მუდმივი წევრი აღარ ყოფილიყო. ჩამოშორდა მსახიობი სცენას, და იგი დავიწყებას ეძლევა. საუცხოო ხმის პატრონი და იშვიათი მოცეკვავე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ავქსენტი ცაგარლის „რაც გინახავს ვეღარ ნახავში".

გიჟუას როლში. საზოგადოების ოვაციებს დასასრული არ ჰქონდა ხოლმე. მაგრამ აი დავით აწყურელი სამსახურის გამო ბაქოში გადასახლდა. გიჟუას როლს მისი ძმა ვიქტორ გამყრელიძე ასრულებს. ვიქტორის სიმღერა—„ეს ბაღი. ტურფად შემკული“ მქუხარე ტაშს იწვევს და დ. აწყურელი ვიღას აგონდება. ასეთია აქტიორის ბედი. განა ძველი თეატრალები მოხიბლული არ იყვნენ გიორგი კანდელაკის დე-სანტოთი („ურიელ აკოსტაში“). მაგრამ აი სცენაზე მოვიდა ალ. იმედაშვილი, და კანდელაკი დავიწყებას მიეცა. რამდენი მქუხარე ტაში გამოუწვევია ბაბო ავალიშვილის მარგარიტა გოტიეს, მაგრამ გამოჩნდა სცენაზე ნუცა ჩხეიძე და ავალიშვილი დაივიწყეს. მჯობნის მჯობნი არ ილევა. ეს ხომ ბუნების კანონია. მხოლოდ მესხიშვილის, აბაშიძის, საფაროვის და ნატო გაბუნიას მსგავსი მსახიობები უძლებენ საუკუნეებს და მათი ამბავი ზღაპარივით თაობიდან თაობაზე გადადის. აწყურელი კი ჩვეულებრივი ნიჭის მსახიობი იყო და სცენას ჩამოშორდა თუ არა, დავიწყებულ იქნა.

დ. აწყურელი პროფესიულ დასს კი ჩამოშორდა, მაგრამ სცენასთან კავშირი არ გაუწყვეტია. იგი საზოგადოება „კახეთის“ წარმომადგენლად მუშაობს ბაქოში და ამავე დროს ადგილობრივი ქართული დასის აქტიური მონაწილე და სულისჩამდგმელია. შემდეგ თავის მშობლიურ ქალაქ თელავში დაიწყო მუშაობა, ადგილობრივ სცენისმოყვარეებთან იღებს მონაწილეობას და თავისი ოსტატობით ატკბობს საზოგადოებას. მარტო მსახიობობით არ ამოიწურებოდა მისი მოღვაწეობა. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე პიესა ზოგი ორიგინალური და ზოგი გადმოკეთებული.

დათიკო აწყურელი როგორც მოქალაქე, ამხანაგი, სანიმუშო იყო. მასთან მეგობრობა ყველას ეხალისებოდა. სადაც კი დავითი გამოჩნდებოდა, იქ მხიარულება მყარდებოდა. მე ვიცი სიმღერა გაუჭირდებოდა ან ხმა უმტყუნებდა. დავითის ცეკვას ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. ის რომ ხელს გაშლიდა და „რაც გინახავს ველარ ნახავში“ გიჟუას როლში ბაღდადურს იცეკვებდა, მთელი თეატრი ტაშისაგან ზანზარებდა.

რამდენადაც მისი ძმა მსახიობი ვიქტორ გამყრელიძე მეტად დინჯი იყო, დავითი პირდაპირ მის ანტიპოდს წარმოადგენდა. სიმღერასა და მუსიკაში კი ორივენი ერთმანეთს ემსგავსებოდნენ. ვიქტორს ბარიტონი ჰქონდა, დავითს—ტენორი. მახვილგონიერებით კი დავითი

ვიქტორს სჯობდა. მოსწრებული სიტყვა-პასუხი ჰქონდა, ოხუნჯობა უყვარდა. უბრალო ამბავს ისე მარილიანად იტყოდა რომ მსმენელნი სიცილით იხოცებოდნენ. ერთხელ სოფელ აწყურში (დავით გამყრელიძემ სცენაზე ფსევდონიმად თავისი მშობლიური სოფლის სახელი დაირქვა) დათიკომ ღორი დაკლა. სადილად მასთან მეზობლები შეიყარნენ. სადილს ვახშამი მოჰყვა, მერე ახალი სუფრა. და ღორიც სულ შეიჭამა. დარჩა მხოლოდ ღორის თავი. მეორე დღეს გვიან წამოდგნენ. დათიკო ეზოში ჩავიდა და თავის საყვარელ ცაცხვის ძირში ჩამოჯდა. დათიკოს მეუღლე თავშეკრული წუწუნით ჩამოჯდა აივნის ტახტზე. ჭიშკარი გაიღო. წინალამეს მათთან ნამყოფი—ორი სტუმარი შემოვიდა. მათ სხვებიც მოჰყვნენ, და მთელი ანსამბლი დათიკოსას შეიკრიბა. დათიკოს ჩაეცინა. მიუხვდათ, რომ ყველას პირი შეეკრა და „ნამცეცობაზე" იყვნენ მოსულნი.

— ტასო!—გასძახა დათიკომ მეუღლეს—სულ ერთია, ამათ ვერ გადავურჩებით, ნარჩენები ეგულებათ და მოდი სუფრა გაშალე.

მეუღლემ პროტესტის ნიშნად ხელები გაიქნია და გაჯავრებით უპასუხა: „თავი მტკივა, მაგათი თავი არა მაქვს".

— ქალო, ამათ შენი თავი კი არა, ღორის თავი უნდათ!— მიაძახა დავითმა.

დათიკო საუცხოოდ უკრავდა ჭიანურს. ამასთან როგორც დაკვირით, ისე სიმღერით ხშირად უსინათლო აშუღებს აჯავრებდა ხოლმე. გადასწევდა უკან თავს, უცნაურად გადაატრიალებდა ხოლმე გუგებს, ჩაიხრინწიანებდა ხმას, და უსინათლო დამკვრელის ნამდვილ სურათს იძლეოდა. რომელი საესტრადო ნომერი შეედრებოდა დათიკოს ასეთ იმიტაციას. ვაგლახ!—უსინათლოებს აჯავრებდა და თვითონაც დაბრმავდა. თვალის ძარღვები გაუხმა და მხედველობა სრულიად დაკარგა. საშინელი სანახავი იყო დათიკო ჭიანურით ხელში მკვნესარე. თუ წინათ მისი იმიტაცია სიცილს იწვევდა, ახლა მახლობელნი და მსმენელნი ცრემლად იღვრებოდნენ. აგერ აკვნესდა ჭიანური, დათიკომ ძველებურად თავი გადახარა და აღმოხდა:

„ვის სწამს ღმერთი, რომელს შევებრალები.
შველას ვითხოვ ტანჯვის მახეს გავები
დამიბნელდა მთვარე და ვარსკვლავები.
გზა მიჩვენეთ აღარ მიკრის თვალები."

კვნესოდა ჭიანური, ტიროდა დათიკო, ტიროდნენ მსმენელნიც.

თანდათანობით დათიკო დავიწყებას მიეცა. მნახველებმა იკლეს. აბა რა სასიამოვნო იყო უსინათლო ადამიანის ყურება. თელავიდან სოფელ აწყურში გადასახლდა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე თავისი ფიქრებით საყვარელ ხელოვნებას, ქართულ თეატრს არ შორდება. ხშირად მეუღლეს აწუხებს და სთხოვს მისი სახელით წერილი დაწეროს. ერთ-ერთ წერილში არჩილ ციხისთავს სწერს: „ძვირფასო ძმაო არჩილ! მივიღე შენი წერილი, რომლითაც ძალიან ვისიამოვნე. მე ხომ ყველამ დამივიწყა. ვიღას ვუნდივარ უსინათლო, დაჩაგრული. გიგზავნი ჩემს ბიოგრაფიას. არ დამიკარგო. დიდი სიყვარულით მოგიკითხეს ტასომ და ლიზამ (დათიკოს ქალიშვილი). შენი მოსიყვარულე ძმა დათიკო". ამ წერილს დათიკოს მაგივრად წერდა მისი მეუღლე ტასო, რომელსაც თავის მხრივ დაუმატებია: „დათიკო ამჟამად ქვეშაგებში წევს, ავად არის. მე გწერ მის მაგივრად. დათიკომ გთხოვა, როცა გამოვა „თეატრი და ცხოვრება" ჩვეულებრივად მიგზავნოს პატივცემულმა რედაქციამ და ამის სამაგიეროდ გამოვუგზავნი პიესებს დასაბეჭდად.

სამი წელიწადი იავადმყოფა დათიკომ. მთლად დაუძლურდა, დარდმა და ბოღმამ ჩამოახმო. თავისი საყვარელი ჭიანურიც კი დაივიწყა და იშვიათად თუ ამოიკვნესებდა ხოლმე:

„ქმარა ამ სოფლად სტუმრობა,
მოისვენეთ, ჩემო ძვლებო.
ჩემს ჩონგურსა თქვენ გიტოვებთ,
ახლა დაუკარით სხვებო".

1928 წლის 9 აპრილს მას ჩონგური გავარდა ხელიდან. გათავდა დათიკო და მისმა ძვლებმაც მშობლიურ სოფელ აწყურში დაიმკვიდრეს სამუდამო ბინა.

# გრიგოლ ჩარკვიანი

1870—1933



ძველი თეატრალები სათაურს რომ დახედავენ ალბათ მისაყვედურებენ, ისეთი რა შესამჩნევი მსახიობი იყო გრიგოლ ჩარკვიანი, რომ ყურადღება მიუქცევია და გვაცდენსო, ან იქნებ ორგინალობა უნდა გამოიჩინოს და განგებ დიდ მსახიობებს ამოუყენა გვერდში ისეთი აქტიორი, როგორიც გრიგოლ ჩარკვიანი იყოო.

არ შემოგედავებით მეგობრებო. შესამჩნევი მსახიობი არ გახლდათ გრიგოლი და არც ორიგინალობა იქნება მრავალჯერ გადაღეჭილი კურიოზებით აღსავსე მისი თავგადასავლის მოყოლა. მაშ რამ ამაღებინა ხელში კალამი, რომ გრიგოლის პორტრეტის მოხაზვას შევდგომოდი? აი რამ:

ქვეყნის დასაბამიდან ყოველ სულდგმულს ახლავს ძლიერი გრძნობა—სიყვარული. გიყვართ და უყვარხართ—რა არის ამაზე უკეთესი? მაგრამ თუ არ უყვარხართ—რა არის ამაზე საშინელი? აი სწორედ ასეთი უიმედოდ შეყვარებული გახლდათ გრიგოლ ჩარკვიანი. ცალმხრივი სიყვარული—ეს ხომ ჯოჯოხეთია. მართალია, გრიგოლის სატრფო ცოცხალი არსება არ იყო, მაგრამ რომელი სულდგმული შეედრება მას თავისი მიმზიდველობით და მომხიბვლელობით. ეს გახლავთ თეატრი. უყვარდა თეატრი გრიგოლს, თეატრს კი არ უყვარდა იგი. აი ამ უიმედოდ შეყვარებულზე გვექნება ბაასი.

ვერ დავადგინეთ, საიდან იყო ქუთაისში ჩამოსახლებული ეკლესიის კულტის მსახური (მნათე იყო, დიაკვანი თუ მთავარი, ვერ შევიტყვეთ) სვიმონ ჩარკვიანი. ანკეტური ცნობები გვამცნობენ, რომ სვიმონმა თავისი პირმშო გრიგოლი კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარა. ეტყობა, არც გრიგოლს შეჰყვარებია გიმნაზია და არც ამ უკანასკნელს დანანებია რამდენიმე წლის შემდეგ გრიგოლთან გამომშვიდობება. მალე გრიგოლი მამამ ქუთაისის სახაზინო პალატაში მოაწყო გადამწერად. 8 მანეთიანი ხელფასის მქონე მოხელე ფორმას ისე ატარებდა, გეგონებოდათ, „ტაინი სოვეტნიკი“ თუ არა, „კოლეგსკი რეგისტრატორი“ მაინც არისო.

რატომ მოვიდა თეატრში ეს პატარა მოხელე, ამაზე თეატრის მემატიანენი არაფერს გვამცნობენ. ვიცით მხოლოდ ის, რომ 1885 წელს კოტე მესხის მიერ გამართულ სპექტაკლებში უშველებელი ტანით და როხროხა ხმით ყურადღებას იქცევდა ჭაბუკი ვინმე გრიგოლი. მალე ახლად მოვლენილი მსახიობი დავიწყებას მიეცა. ყოველ შემთხვევაში რეცეზენტები მის თამაშზე არაფერს გვეუბნებიან.

გრიგოლის „პოპულარობა" როგორც მსახიობისა ლადო მესხიშვილის ანტრეპრიზაში დაიწყო. განა სეზონი ისე დამთავრდებოდა, რომ რამდენიმე კურიოზით არ გამდიდრებულიყო გრიგოლის ბიოგრაფია!

ძველად, როცა დასები მთელი დამხმარე პერსონალით 15-16 კაცისაგან შედგებოდნენ და ბევრი მსახიობი უმუშევარი რჩებოდა, გრიგოლს ეს საშიშროება არ მოელოდა.

ყველა ხელმძღვანელი—ანტრეპრენიორი იყო თუ დრამატული საზოგადოების წარმომადგენელი, გრიგოლს ვერ შეელევოდა ხოლმე. იგი მზად იყო თეატრი დაეგავა, დაეწმინდა, შიკრიკობა გაეწია, ყოფილიყო სცენარიუსი, გარდერობის გამგე, შეესრულებინა ყველა როლი, რასაც კი რეჟისორი მისთვის გაიმეტებდა. თუ რეჟისორი როლს არ მისცემდა, გრიგოლი ბავშვივით გაიბუტებოდა ხოლმე. ლადო მესხიშვილი ყოველთვის გულისხმიერად ეპყრობოდა გრიგოლს და თუ კი შესაძლებელი იყო, ათამაშებდა მას.

ლადო მესხიშვილი შეუდგა ჰ. იბსენის „ჩრდილოეთის გმირების"—დადგმისათვის მზადებას. გრიგოლს როლი არ შეხვდა და ეს დიდი ბავშვი გაიბუტა. სცენაზე არიან ლადო მესხიშვილი, სცენის მემანქანე და დეკორატორი სერგო ჭელიძე და ბჭობენ. გრიგოლი შორიახლოს დგას. ლადო ჩაფიქრებული თითქოს თავისთვის ამბობს „ზდეს ბუდეტ შალაშ". გრიგოლმა მხოლოდ უკანასკნელი სიტყვას მოკრა ყური და ღაღადით მიმართა ლადოს—„ბატონო ლადო, გენაცვალე სულში, შალაში მე ვიქნები!" ლადოს აუტყდა ხარხარი და განუმარტა გრიგოლს თუ რას ნიშნავდა „შალაში".

როცა გრიგოლს როლი შეუვდებოდა, პირდაპირ ცას ეწეოდა. აბაყად დადიოდა და, სახეზე ღიმილი არ შორდებოდა. სპექტაკლის ღამეს ყველაზე ადრე მოვიდოდა თეატრში, ტანსაცმელს იცვამდა, დიდის გულმოდგინებით იკეთებდა გრიმს და პირდაპირ ვერ ისვენებდა წარმოდგენის დაწყებამდე.

ერთხელ ქუთაისის დასი დგამდა ვალერიან გუნიას „აღლუმს“.— გრიგოლი თედოს ეპიზოდურ როლს ასრულებდა. პიესის მიხედვით მესამე მოქმედებაში ყველა მონაწილე სცენაზე უნდა შევიდეს. გრიგოლმა როგორც სცენარიუსმა მოაგროვა მონაწილენი და ყველას თავისი ადგილი მიუჩინა. ერთი მოქმედი პირი თედო აკლია. დარბის გამწარებული კულისებში გრიგოლი და თედოს ეძებს.— თედო, თედო, სადა ხარ თედო—გაიძახის გრიგოლი. თედო კი არა ჩანს. ავარდა ზევით საპირფარეშოში. არც იქ აღმოჩნდა თედო. ლადო კულისებშია და ხედავს, რა გასაპირშია გრიგოლი. გრიგოლმა თვალი მოჰკრა ლადოს, მიირბინა და შესჩივლა „ბატონო ლადო, რა ვქნა თედო არ არის“. ლადოს ხმა არ ამოუღია. ხელი წააელო გრიგოლს იქვე სცენაზე დადგმულ სარკე ტრიუმოში ჩაახედა. გრიგოლს მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ თედოს ტანსაცმელი მას ეცვა და ამ პერსონაჟის გრიმიც ჰქონდა გაკეთებული.

ლადო მესხიშვილი გრიგოლის ასეთ კურიოზებს იტანდა და ერთგულ მუშაკს გვერდიდან არ იშორებდა. ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ აწყენინეს ერთმანეთს. ორ დღეს უმძრახად იყვნენ. მესამე დღეს საყვარელ გრიგოლს თვით დიდმა ლადომ პირველმა გაუწოდა ხელი. მეგობრები შერიგდნენ. აი ეს ინციდენტიც.

დავით აწყურელის ბენეფისია. დგამენ ფრანგულ მელოდრამას „პატიოსანი ჟაკი“. გრიგოლ ჩარკვიანი ბანკირის როლს თამაშობს, რომელსაც პიესის მიხედვით პირველსავე მოქმედებაში კლავენ. ბანკირის გარეწარმა შვილმა ქონების ხელში ჩაგდების მიზნით მოაკვლევინა თავისი მამა. ეჭვით მკვლელობაში ბრალს სდებენ ჟაკს—ბანკირის ბუხჰალტერს. სცენაზე არიან ჟაკი (ლადო მესხიშვილი) და ბანკირის შვილი (ნ. გვარაძე). ჟაკს სურს ფარდა ახადოს ამ საიდუმლო მკვლელობას და ბანკირის გარეწარ შვილზე იმოქმედოს. ფარდის უკან ბანკირის გვამი ასვენია. აი ჟაკმა გადასწია ფარდა, აჩვენა შვილს მამის გვამი. პაუზა. ფარდა დახურა. იწყება ჟაკის და ბანკირის შვილის დრამატიზმით აღსავსე დიალოგები. ლადო ისეთი წარმტაცი იყო, რომ მთელი დარბაზი სულგანაბული უსმენდა ამ სცენის ჯადოქარს. აი მიიჭრა პატიოსანი ჟაკი ფარდასთან, კვლავ უნდა დაანახვოს შვილს მამის ცხედარი. გადასწევს ფარდას და რას ხედავენ, მკვდარი გაპარულა. შეიქმნა დიდი უხერხულობა მთელ თეატრში. ლადოსადმი დიდმა

თაყვანისცემამ შეაჩერა ხალხი და დრამა ეოდევილად არ გაადაქცია. თურმე გრიგოლს დავიწყებოდა, რომ ფარდა ხელმეორედ უნდა გადაეწიათ, ამიტომ წამომდგარიყო და წასულიყო.

სცენაზე უიმედოდ შეყვარებულმა გრიგოლმა ერთ პიესაში კი იგემა სიყვარულის სიტკბოება. ეს გახლდათ მონტის „კაი გრაკხი“. 1905 წელია. მასებს რევოლუციური პიესა სჭირდებოდათ. ლადო შეუდგა მზადებას. პიესისათვის საჭირო იყო გრაკხების მამის ქანდაკება, რომელიც ხუთივე მოქმედებაში დგას სცენაზე. ლადომ სერგო ჭელიძეს დაავალა ქანდაკების გაკეთება. შეიტყო რა ეს ამბავი გრიგოლმა, შეუჩნდა ლადოს და სთხოვა, ნუ გააკეთებთ ძეგლს. მე ვიქნები ქანდაკებაო. ლადო უარზე იყო, ხუთ მოქმედებაში როგორ შეძლებ ფეხზე გაშეშებულად დგომასო. მაგრამ პირდაპირ მოსვენება არ მისცა გრიგოლმა და ლადოც დაითანხმა.

დადგა წარმოდგენის დღეც. გრიგოლმა გაიკეთა ხალათინის თეთრი პარიკი, ჩაიცვა რომაული ტანსაცმელი და მაღალ კვარცხლბეკზე დადგა. მთელი ხუთი მოქმედება იდგა გაუნძრევლად, მხოლოდ ანტრაქტების დროს ჩამოდიოდა, და ისვენებდა. მთელი თეატრი განცვიფრებული იყო. დასი ქუთაისიდან ბათუმს გაემგზავრა და „კაი გრაკხი“ დადგა. სპექტაკლს შემთხვევით ფრანგი მეზღვაურები დაესწრნენ. როდესაც მეზღვაურებს უთხრეს, ქანდაკება ცოცხალი ადამიანიაო, არ დაიჯერეს, ნებართვა ითხოვეს სცენაზე ასულიყვნენ და ენახათ. გაეცვნენ გრიგოლს და პირდაპირ გაკვირებული დარჩნენ, როგორ იდგა ასე გაუნძრევლად ეს ადამიანი.

აი რა ძალა აქვს სიყვარულს.

ერთხელ ქუთაისში ძალიან ულამაზო ხუმრობა გაუწია ერთმა მსახიობმა. როდესაც გრიგოლი ქანდაკებას წარმოადგენდა მან ზემოდან ბურნუთი ჩამოაყარა. პირდაპირ საკვირველი იყო, რომ გრიგოლს არც ერთხელ არ დააცემინა ცხვირს, მხოლოდ ცრემლი წამოსცვივდა თვალიდან. მოქმედება რომ გათავდა, თითქმის გულშეღონებული დაეცა ძირს საწყალი გრიგოლი. მთელმა დასმა ლადო მესხიშვილის მეთაურობით დაგმო, გაკიცხა ქილიკი მსახიობი და გრიგოლთან ბოდიში მოახდევინეს. კეთილმა გრი-

გოლმა აპატია ეს „ხუმრობა“ მსახიობს. გრიგოლ ჩარკვიანს ძალიან უყვარდა დავით ერისთავის „სამშობლოში“ სვიმონ ლეონიძის თამაში, მაგრამ ამ როლს ის სოფლებში თამაშობდა სცენისმოყვარეებთან, ხოლო პროფესიულ დასში ამ პიესაში ისრაფილს ათამაშებდნენ. მას ძალიან უყვარდა ისრაფილის როლში გაშიშვლებულ ხმლით რომ გამოჩნდებოდა ხოლმე ქეთევანის დასაშინებლად. ერთხელ ქუთაისში დგამენ „სამშობლოს“. მესამე მოქმედებაა. ისრაფილს ამოღებული ხმალი უჭირავს და უნდა გამოჩნდეს კართან და შიშის ზარი დასცეს ქეთევანს. ეს ადგილი გრიგოლს კარგად ჰქონდა დამუშავებული. აი მოახლოვდა კიდეც მისი გამოჩენის მომენტი. გაემართა კარისაკენ და ხედავს მსახიობი შაქრო გომელაური დგას ხმალამოღებული. რას იზამს გრიგოლი მთელმა მხადებამ უქმად ჩაუარა. როცა ხუმრობა საზღვარს არ სცილდებოდა, გრიგოლს არასოდეს არ სწყინდა და ყველაზე მეტად ის ხარხარებდა.

ქუთაისის თეატრის როლი რევოლუციურ მოძრაობაში ყველასათვის ცნობილია. ბევრჯერ დაწერილა დეკორაციებისაგან ახორხილ ბარიკადებზე მებრძოლთა რიგში მყოფი ლადო მესხიშვილი თავისი დასით. გრიგოლ ჩარკვიანი აქაც ლადოს ედგა გვერდში და თავისი როხროხა ხმით მებრძოლთ ამხნევებდა.

ეს უშველებელი ტანის კაცი ბავშვივით ჩვილი გულისა იყო. ამას გვიდასტურებს ნინო ჩხეიძე თავის „მოგონებებში“.

„ერთხელ წარმოდგენის დროს, ქუთაისში სროლა ატყდა. ჩვენ ცენტრში ვცხოვრობდით და ბავშვები სახლში მყავდა დატოვებული მომვლელ დედაკაცთან. გრიგოლ ჩარკვიანი გაქცეულა, დედაკაცი გაუღვიძებია, მისი დახმარებით ბავშვები წინა ოთახში გადაუყვანია. ტყვიამ არ დააზიანოსო, და თვითონაც თავს დადგომია ბავშვებს. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ შინ რომ დავბრუნდი, გრიგოლი სახლში დამხვდა—აი, შენი სულის ჭირიმე, ნუცა, ბავშვები მშვიდობით დაგახვედრეო.

მეორედ რეპეტიციის დროს მოირბინა გულმოვარდნილმა:— ლადო, ბატონო, დესპინე ივანიძე ცუდად არის, უშველეთ რამეო, ჩვენც წამოვცვივდით, ექიმს დაუძახეთ და გავეშურეთ. გრიგოლს კი ცრემლი ჩამოსდიოდა სახეზე“ (ნ. ჩხეიძე „მოგონებანი“, გვ. 34).

თუ რომელიმე მსახიობი ან მისი მახლობელი გარდაიცვლებოდა, გრიგოლი მაშინვე იქ გაჩნდებოდა. მიცვალებულის ღამის მთევე-

ლი, გამბანებელი, შემმოსავი, ჰირისუფალის ნუგეშისმცემელი გრიგოლი იყო. გასვენების დროს ყოველთვის წინ მიუძღოდა პროცესიას. დაკრძალვის ცერემონიების შესრულება იმდენად ჰქონდა ძვალსა და რბილში გამჯდარი გრიგოლს, რომ ხშირად სრულიად უცხო პროცესიას მიუძღოდა წინ. ნსახიობები ხუმრობდნენ—ქუთაისში უგრიგოლოდ არავინ დაიმარხებაო.

უიმედოდ შეყვარებულთა სიკვდილი ყოველთვის სინანულს იწვევს. გებრალებათ ადამიანი, რომელიც გაუხარელი წავიდა. თეატრის მუშაკებსაც დაეხანათ გრიგოლი, მაგრამ ხელოვნების მწუხრი არ დამდგარა, თეატრს არ უგლოვია, მემატიანეთ ნეკროლოგების წერით თავი არ შეუწუხებიათ. უყვარდა გრიგოლს მიცვალებულთა „გაპატიოსნება“ მათი შესანდობრის დალევა. მახლობლებმა ეს წესი გრიგოლსაც შეუსრულეს.

ვისაც სიყვარული ძალუძს ის ღირსია გახსენებისა, ის კეთილია ამისი მაგალითია ჩვენი გრიგოლი.

# ილია ჭურაბიშვილი

1872—1955



ილია ზურაბიშვილმა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისას ფსევდონიმად ელეფთერიძე დაიმკვიდრა. მამას ელეფთერი ერქვა და ასეთი არჩევანი ბუნებრივია. მაგრამ მარტო ამ ფსევდონიმს როდი დასჯერდა: ხშირად წერილებსა და განსაკუთრებით თეატრალურ რეცენზიებს სხვადასხვა ინიციალს აწერდა „ინ—ზენ“ და ა. შ.

მაგრამ ილიას არასოდეს არც ერთ წერილისათვის არ მოუწერია მემატიანე-ენთუზიასტი. ცხოვრებაში, მთელ თავის საზოგადო მოღვაწეობაში იგი იყო სწორედ ენთუზიასტი, შეგვიძლია ვთქვათ, იშვიათი ენთუზიასტი. ილია ზურაბიშვილს ბედნიერება ჰქონდა ჭაბუკობიდანვე დაახლოებოდა ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო პირებს. დიდი აკაკი და ვანო მაჩაბელი მისი პირადი მეგობრებიც კი იყვნენ. ილია ჭავჭავაძეზე ხომ პირდაპირ შეყვარებული იყო ჭაბუკი. ილიკოს ბედნიერებად მიაჩნდა ის წუთები, როცა ეს დიდი მოაზროვნე მამულიშვილი მეგობრულად შეხვდებოდა ყმაწვილ კაცს და გამოელაპარაკებოდა ხოლმე.

როგორ უყვარდა ილიკო ზურაბიშვილს ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“, აკაკის შედევრების ხმამაღლა წარმოთქმა. ყველამ ვიცოდით ილიკოს ეს გატაცება და ხშირად ვთხოვდით ამ ნაწარმოებთა წაკითხვას. ილიკოც ჩვეული აღფრთოვანებით კითხულობდა იქამდე, სანამ არ დაგვღლიდა და თვითონაც არ მოიქანცებოდა.

ილია ზურაბიშვილმა სამხედრო სავალდებულო ბეგარა მოიხადა და დედაქალაქში დაბრუნდა. ამ პერიოდში ქართული ბანკის გარშემო ბრძოლა იყო გაჩაღებული ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბლის შორის. ქართულ თეატრის ქანდარაზე ჯარისკაცის ფარაჯაში გახვეული უშვებელი ბრგე ვაჟკაცი ილიკო ზის და ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო შვილთა კამათს უსმენს. ილიკო არც ერთ კრებას არ აკლდება. ყოველი სიტყვა ჭაბუკს გულში სწვდება და გონებაში მტკიცედ იჭრება. გავიდა დრო. ბანკი ისტორიას ჩაბარდა. ცხოვრებამ იცვალა სახე. ქვეყნის წინაშე ვალმოხდილნი ილია ჭავჭავაძე, ვანო მაჩაბელი და მათი თანამებრძოლნი აღარ

არიან. ჩვენ ცოცხლებს გვაინტერესებდა წინაპართა ბრძოლის ამბები და ვინ მოგვიყვებოდა ხოლმე ყველაზე უკეთ ამას, თუ არა ჩვენი ენთუზიასტი მემატიანე ილიკო. შეკითხვისას დაუზარებელი ილიკო, მაშინვე მოიმართებოდა ხოლმე და თავისი რიხიანი ხმით გვაცნობდა წარსულ სურათებს.

ილია ბუნებით არტისტი იყო. ერთ დროს სცენაზედაც თამაშობდა დიდი წარმატებით, რაზედაც გვექნება ქვემოთ ლაპარაკი. არტისტულ ნიჭთან ერთად იმიტატორიც საუცხოო იყო. როდესაც გვიამბობდა ილია ჭავჭავაძის და ვანო მაჩაბლის კამათს, ილიკო თვითეულ მათგანს ბაძავდა. მსმენელთ არც ილია ჭავჭავაძე გვენახა და არც მაჩაბელი, არ ვიცოდით მათი ჟესტიკულაცია ლაპარაკის დროს, წარმოდგენა არა გვქონდა მათს ორატორულ ნიჭზე, ხმის მოდულაციაზე და სხვ. ილიკო ისეთი ოსტატობით გვიხატავდა ყოველივე ამას, რომ უაღრესად მკაფიო წარმოდგენას გვაძლევდა ამ დიდ ადამიანებზე.

ჰოდა, ყმაწვილებო, მჭექარე ხმით დაიწყებდა ხოლმე ილია.— აგერ წამოდგა ვანო. ერთ ადგილას ვერ ჩერდება. აქეთ-იქით დადის. ფიცხი იყო, ტემპერამენტიანი. ლაპარაკის დროს თითქოს ცეცხლი უკიდია და იწვისო. მახსოვს, მაჩაბლის სიტყვა. ილიკო წამოდგა, მივიდა მაგიდასთან და დაიწყო სხაპასხუპით ლაპარაკი: „არასოდეს იმდენი ტანჯვა-წვალება არ გამომიცდია, როგორც ამ ვაჭრობის დროს. ყოველ ვაჭრობისას მოწამე ვარ ხოლმე სულის აღმაშფოთებელ სურათისა. როგორ უყიდიან მსესხებლებს ლუკმა-პურს, მამაპაპეულ მამულს. ჩემი თვალით ვხედავ იმათ საცოდაობას და ვერა მიშველია რა, ილია ჭავჭავაძე კი გაიძახის შემოსატანი უნდა შემოიტანონ, ვალს გადახდა უნდაო“. მთელი დარბაზი ტაშის გრიალმა მოიცვა. ვანო ზეიმობს. ყმაწვილებო. ილია ჭავჭავაძე თხოულობს სიტყვას. ჩვენ, მსმენელთ, ერთობ გვაინტერესებს, რა უპასუხა დიდმა ილიამ. ზურაბიშვილი არ გვაცდევინებს და განაგრძობს-თავმჯდომარე ზარს აწკარუნებს. ილიას სიტყვას აძლევს. ილიამ ჯიბიდან საათი ამოიღო და მიმართა უშუალოდ ბალხს. „ნება მომეცით მხოლოდ 5 წუთით შევაჩერო თქვენი ყურადღება. მხოლოდ ხუთი წუთით. მეექვსე წუთზე სიტყვა შემაწყვეტინეთ“.

თუ მაჩაბლის სიტყვის თქმისას ზურაბიშვილი სხაპასხუპით ლაპარაკობდა, ილია ჭავჭავაძის სიტყვის იმიტაციისას დინჯად

იწყებდა, თითქოს ყოველივე სიტყვას სწორისო. მაგრამ რაოდენი სიძლიერე იყო ამ სიდინჯეში, რა დიდი ლოგიკა, რა განადგურებელი სიმძაფრე და მომხიბვლელი ჰუმორი.

„ბატონებო,— გვიამბობს ილიკო დიდი ილიას ნათქვამს, და პირველივე ფრაზით მსმენელს გვატყუებს,— ჰაეჰაეაძე გულქვა არის, არ შესტკივა გული თავის თანამემამულეებზე, აცრემლებულ ქვრივ-ობლებზე. მაგრამ ვინც წუწუნებს, ყველას როდი უპირს. ერთ ნამდვილ გაჭირვებულთან ათი დალხინებული მოგაჩვენებს გაჭირვებულად თავს. ეს გადაგვარებული მებატონეები ქალაქის დუქნებში ფლანგავენ ფულს, ვალებში ეფლობიან და აცრემლებულნი ჩვენკენ გამორბიან. გაჭირვებულად გვაჩვენებენ თავს. თუ მაგრად არ დაიჭირე ესენი, თვითონაც გაკოტრდებიან და ჩვენს საზოგადო ბანკსაც დაღუპავენ...“ ზურაბიშვილი შედგა. პატარა პაუზა და განაგრძო.—ხელში უჭირავს საათი, უკვე ორმოცი წუთი ლაპარაკობს, მაგრამ დრო ვის აგონდება. სწორუპოვარმა ორატორმა უბადლო ლოგიკური მსჯელობით, დარბაზი მთლად დაიპყრო. ხალხი სულგანაბული უსმენს ქართველი ერის აზრთა მპყრობელს, ჩახველებასაც ვერავინ ბედავს. სხდომას თავმჯდომარეობს არტილერიის გენერალი, მაჩაბლის მომხრე, მუსხელიშვილი. ილიამ პაუზა გააკეთა, და, გაისმის თავმჯდომარის ხმა: Здесь происходит давление ума. ამაზე უმაწვილებო ილიამ უპასუხა: Там где происходит давление ума, никакая ваша артиллерия не способна оказать противодействие. მქუხარე ოვაციებმა დაფარეს ეს სიტყვები. და თვითონ მე ქანდარიდან ისეთი ვაშას გაეიძახოდი, რომ პარტერიდან დამიწყეს ზეციდ ყურება.

მსმენელთაგან ერთ-ერთი ილიკო ზურაბიშვილს ეკითხება, თქვენ მაჩაბლის მომხრე იყავით, თუ როგორც კახელი, ილიას უპერდით მხარსო,—მე ილიას მომხრე ვიყავი. ჩემი და მსახიობი ქეთო ანდრონიკაშვილი მაჩაბლისტებს ემხრობოდა. ქართლელ—კახელობა, ცხადია, არაფერ შუაშია. უნდა ვთქვა: ბრძოლა იყო პრინციპული, საზოგადოებრივ ხასიათისა, პირადობას არ ეხებოდნენ. ორივე, როგორც ჰაეჰაეაძე, ასევე მაჩაბელი ქვეყნისათვის იღვწოდნენ. ორივეს ერთი მიზანი ჰქონდა, მხოლოდ ამ მიზნისაკენ სხვადასხვა გზით მიდიოდნენ.

ილიკო აკაკი წერეთელთან ჯაბუკობიდანვე იყო დაახლოებული. ილიკო ხშირად გვეტყოდა ხოლმე „ქართული პოეზია აკაკის უნდა

უმადლოდეს, რომ ჩვენ პოეტთა პლეადას არ შეემატა ჩემი სახით კიდევ ერთი უნიჭო მოშაირე. თვით მე ხომ პირდაპირ უბედურებისაგან მიხსნა. უნიჭო პოეტზე უბედური რაღა და ვიღა შეიძლება იყოს? თოთხმეტი—ხუთმეტი წლისა ვიქნებოდი, გამოცდებს ვაბარებდი თბილისის სარკინიგზო ტექნიკურ სასწავლებელში შესასვლელად. რუსულ ენაში გავიმარჯვე, მაგრამ წინ რუბიკონად მეღობებოდა მათემატიკა. კერძოდ, გეომეტრია ყოველთვის დაღრჩობას მიპირებდა ხოლმე და ამ რიგობაზე დამახრჩო კიდეც.

ერთი სიტყვით, ჩავიჭერ მამაპაპურად და გაცრუვდა ჩემი დიდი იმედი ზორბა ორთქლმავლის ზორბა მემანქანედ გამოსვლისა.

ამან ძალიან გამაგულისა და დავწერე... ლექსი. რამდენადაც მახსოვს, ლექსში მგზნებარე პროტესტი იყო გამოთქმული ყველას წინააღმდეგ, გარდა ჩემი საკუთარი თავისა. ნაცარტუტას ვადენდი ყველას, ვინც... გამოცდაში ჩამჭრა.

ერთხელ როგორღაც აკაკი დავიმარტოხელე და თუმცა მოწიწებით, მაგრამ თანაც იმედით წარვუდგინე ჩემი ნაღვაწ-ნაამაგარი.

ჯერ ზეპირად მომისმინა, მერე, რაკი ალბათ, ჩემმა დეკლამაციამ არ დააკმაყოფილა (ძალიან ვღელავდი) და იფიქრა, შეიძლება დაწერილი უკეთესი იყოს, ვიდრე წაკითხულიო, გამომართვა ხელნაწერი და გადაიკითხა. ხელი ძალიან კარგი მქონდა, რაც როგორც შემდეგ შევიტყვე ეს ერთ-ერთი იმის მაჩვენებელი იყო, რომ პოეტის ნიჭი არ გამაჩნდა...

მაგრამ, როგორც ჩანს, არც ჩემს დეკლამაციას დაეკლო რამე ლექსისათვის, არც ჩემს ხელს მოემატებინა რამე.

აკაკი რომ აკაკი იყო და „ნიჭიერთა“ წახალისებას ჩვეული, იმანაც კი ამ რიგობაზე ვერა მოახერხა რა იმის მეტი, რომ განტევების ღიმილით მითხრა:

— აი, ამ ლექსზე გატყობ უკეთესის დაწერა შეგიძლია... ეს იყო და ეს!.. ამით გათავდა ჩემი და პოეზიის მოყვრობა. ბავშვი ვიყავი, მაგრამ თავდაცვის ინსტიქტმა მიხსნა განსაცდელისაგან... ვიგრძენ, რომ ლექსის წერა ჩემი მოწოდება არ იყო...

დამწყები მწერალი ვიყავი, აკაკი რომ ერთხელ „ივერიის“ რედაქციაში შემხვდა. კარგა ხნის უნახავი ვიყავით, მაგრამ მაშინვე მიცნო, თუმცა ჯარისკაცის ფორმა მეცვა.

— გამარჯობა შენი! მომმართა აკაკიმ, და თან სიცილი დაა-ყოლა—კაცო, მე მეგონა, შენ ჰკუა მარტო ფეხებში გქონდა, თურმე თავშიაც გქონია... „ფეხების ჰკუად“ იგი გულისხმობდა ქართულ ცეკვას, ყრმობისას რომ სცენაზე მხედავდა. რა ვქნა? მჭირდა ეს ცოდვა ასაკში შესვლამდე, რომელ კახელს ნახავთ ამ მხრივ უცოდველს“.

ილია საუცხოო მოცეკვავე იყო. იმათ ნახვას არაფერი სჯობია როცა ილია და მისი და ქეთევან ანდრონიკაშვილისა სცენაზე გამოსრიალდებოდნენ და ქართულს ცეკვავდნენ. ეს უშველებელი ბრგე ვაჟკაცი ისე დაქროდა სცენაზე, თითქოს ნიავიაო. განსაკუთრებით აღტაცებაში მოჰყავდა ხალხი მის დავლურს, ილია საუცხოოდ ცეკვავდა და ამ ხელოვნების იშვიათი მეხოტბეც იყო. ილია ზურაბიშვილის სიტყვით ქართული ცეკვა „მთლიანი პოემაა ტრფიალებისა. მას აქვს სათანადო დასაწყისი—„შორით ბნედა, შორით ალვა“; მას აქვს განვითარება—„კაცსა მიხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, უნდა პოვნა“, მას აქვს დასასრული—„სიყვარული აგვამაღლებს“.

იშვიათი მოცეკვავე ილია მუსიკის საუცხოო მცოდნეც იყო. ზაქარია ფალიაშვილის გენიალურ „აბესალომ და ეთერს“ ილია ზურაბიშვილისთანა მეხოტბე არა ჰყოლია. ილია არც ერთ სპექტაკლს არ გაუშვებდა, რომ არ დასწრებოდა. როცა კი „აბესალომი და ეთერი“ იდგმებოდა, ოპერის მოლარეებმა იცოდნენ და ილიკოს საყვარელ მიჩნეულ ადგილის ბილეთს მისთვის ინახავდნენ. არა მგონია რომ ოპერას ჰყოლოდეს ასეთი ენთუზიასტი მსმენელი, როგორიც იყო ილიკო. ვანო სარაჯიშვილი და ზაქარია ფალიაშვილი—აი ილიკოს სათაყვანებელი პირები. აკი ამიტომაც ამ დიდ ხელოვანთ შემოქმედებას მიუძღვნა მან ორი შრომა, რომელსაც შეიძლება თამამად ეწოდოს მუსიკალური სიყვარულის ჰიმნი.

ილია მეტისმეტად თავმდაბალი იყო და ყოველთვის მოკრძალებით აცხადებდა, მუსიკაში დილეტანტი ვარო. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ილიას სოფელ ენისლის ორკლასიანი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და მერე თვითგანათლებას დაეწაფა, ხოლო სპეციალური სკოლა არ ვაუვლია, დიახ, დილეტანტი შეიძლება ეუწოდოთ, მაგრამ იშვიათი სმენის მეხსიერებით და ამ დარგში განსაკუთრებული ნიჭის წყალობით იგი ბევრ დიპლო-

ნიან სპეციალისტს აჯობებდა. გადაიკითხეთ კვლავ მისი „ზაქარია ფალიაშვილი“, „ვანო სარაჯიშვილი“, „კახური მრავალჟამიერი“, „ურჩული“ და სხვ. და, უეჭველია, ინატრებთ, ნეტავი ასეთი დილეტანტი ასობით და ათასობით გვყავდეს და ჩხარში ამოუდგებოდნენ სპეციალისტებს. ილია ზურაბიშვილი უდავოდ ქართველების ვლადიმერ სტასოვის (1824—1906), მუსიკისა და მხატვრობის ამ დიდი მეხოტბის და პირუთვნელი მემატიანეს გზის განმგრძობია. ილიკო როგორც ქართული მუსიკის მემატიანე და მეხოტბე ვიწრო ეროვნულ ჩარჩოში არ იყო მომწყვდეული. გლინკა, ჩაიკოვსკი, ვერდი, ვაგნერი, მისი სათაყვანებელი კომპოზიტორები იყვნენ. როსინის „სევილიელი დალაქზე“ ხომ პირდაპირ შეყვარებული იყო. მისი უახლოესი მეგობრები ტასო აბაშიძისა და დავით ჩხეიძის გადმოცემით ილიკო, როცა კბ. სახლში რჩებოდა, დონბაზილიოს, მეფისტოფელის, დემონის და სხვა პარტიების შესრულებით ერთობოდა და მეზობლებს ძილს უფრთხობდა. განსაკუთრებით უყვარდა პატეფონზე ტიტო რუფოს ფირფიტის ამუშავება. მღერის ტიტო რუფო, მას ბანს აძლევს ჩვენი ილიკო და ისე იყო ხოლმე გატაცებული ვერც კი ამჩნევდა მეგობრების გაპარვას ოთახიდან. ნაყოფიერი ბელეტრისტი ილია (მისი ერთი მოთხრობა „ორი მონადირე“ კინოშიაც დადგეს), მუსიკის დიდი მცოდნე, კარგი მოცეკვავე, იშვიათი თეატრალიც იყო. სცენა ყრმობიდანვე შეუყვარდა, დიდ ოსტატთა თამაშმა ილიასაც აღუძრა სურვილი ეცადნა თავისი ძალა სცენაზე. გადაჭრით შეიძლება ითქვას, ილია რომ პროფესიონალი გამხდარიყო თვალსაჩინო მსახიობის სახელს დაიმკვიდრებდა. როგორც სცენისმოყვარე ილია ენახე სახალხო სახლის გახსნისას გოგოლის „რევიზორში“ გოროდნიჩის როლში. 1909 წლის 4 აპრილს. თუ მანამდე ჩვენ, ახალგაზრდები, ავჭალის აუდიტორიის სცენისმოყვარეთაგან თამარ გოგოლაშვილის, სოსო რომანიშვილის, ნიკო გოცირიძის ნიჭის თაყვანისმცემელი ვიყავით, მათ რიცხვს ილიკო ზურაბიშვილიც მიემატა. მეტად შთამბეჭდავი და კოლორიტული იყო ილიკო ზურაბიშვილის გიჟუა „რაც გინახავს ვეღარ ნახავში“, პეტუა „ციმბირელში“; თავადი ვანო ფანტიაშვილი „ხანუმაში“. მაგრამ არსად ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას არ ახდენდა ილიკო როგორც „სამხედრო ბანაკში“ მამის როლში. მისი გულწრფელი თამაში მთელ დარბაზს იმონებდა. ხშირად პროფესიულ დასებშიაც იღებდა მონაწილეობას ილიკო. მაგალითად, მარჯანიშვილის მიერ და-

დგმულ „მზის დაბნელებაში“ და სხვ. თავის მსახიობობაზე ილიკოს არ უყვარდა ლაპარაკი. როდესაც გავახსენებდით, მაშინვე მოგვახლიდა: ჩვენს თეატრს ისეთი ბუმბერაზი მსახიობები ჰყავდა, ისეთი გოლიათები, მათთან ჭიაყელები რა სახსენებლები არიანო. აი სწორედ ამ ბუმბერაზთა მემატიანე და მეხოტბე გახლდათ ილია.

ვინ არ შეხებია ძველი ქართული თეატრის ოთხ დიდ მსახიობს მაკო საფაროვ-აბაშიძეს, ნატო გაბუნიას, ვასო აბაშიძესა და ლადო მესხიშვილს. მაგრამ მსახიობთა ისეთი ნათელი სურათი არავის არ მოუცია, როგორც ეს ილია ზურაბიშვილმა შეძლო. შეძლო იმიტომ, რომ ილია თვით მსახიობი იყო, ამ პირთა მისხის მისხი იცოდა. ყველა მათგანთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, უყვარდა მათი ხელოვნება, ამაყობდა ამ მსახიობებით, ბევრი ენახა და განეცადა და რაც მთავარია მწერლის მომადლებული ნიჭით დაჯილდოებული იყო. ილია ზურაბიშვილის „ოთხ პორტრეტს“ დიდი კმაყოფილებით შეხვდა ჩვენი საზოგადოებრიობა, პრესა. პირადად მეც მომიხდა შევხებოდი „ლიტერატურულ გაზეთში“ ამ წიგნს და ავტორის ზოგიერთი დებულება სადავოდ მიმაჩნდა—სახელდობრ მესხიშვილის ჰამლეტის, ფრანცის და კრეჩინსკის შეფასებაში ავტორს ვერ დავეთანხმე. ამ პატარა რეცენზიის შემდეგ ილიას და ჩემი მეგობრობა უფრო განმტკიცდა. ილიას უყვარდა კამათი და მეც სიამოვნებით ვუსმენდი მას ამ კამათისას გზაგზა ილია იმდენ საინტერესო ამბებს მოგვიყვებოდა ხოლმე და ისიც ისე გატაცებით, ისე გემრიელად გადმოგვცემდა, რომ მზად ვიყავით გათენებამდე არ დავძრულიყავით.

არ ვიცით, ენისელის ორკლასიან სკოლაში ვინ ასწავლა ილიას ქართული ენა, გრამატიკა, ან საკმარისი იყო თუ არა ორწლიანი სწავლება, მაგრამ ილიამ რომ ზედმიწევნით იცოდა ენა, ეს კი უდავოა. ის როგორც სპეციალისტი სატერმინოლოგიო კომისიაშიც იყო მიწვეული და ლექსიკონის შედგენაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. სიკვდილამდე რადიოკომიტეტის სტილისტად ითვლებოდა და აი ქართულის ზედმიწევნით მცოდნე უნდა გენახათ, რა მოკრძალებით ეპყრობოდა გამომცემლობა „ხელოვნების“ ახალგაზრდა სტილისტს, რომელმაც „არქაულად“ ჩათვალა ილიას ენა და „შესწორებები“ შეიტანა მის წიგნში.

ილია ზურაბიშვილს უყვარდა ანტრაქტებში კამათი პიესის

დადგმის ან ამა თუ იმ მსახიობის მიერ როლის შესრულების შესახებ. ამაში მას მეტოქე არ ჰყავდა. მისი მგვრინავი ხმა მთელს ფოიეში გაისმოდა და ყველას ყურადღებას იქცევდა. საჯაროდ გამოსვლებს კი გაურბოდა. ბევრმა არ იცოდა ორატორული ნიჭით იყო თუ არა დაჯილდოვებული ილია. და აი, გარეწარებმა დიდი ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს. საქართველოს მწუხრი დადგა. ქართველი ერის ტრაგედიამ დიდად იმოქმედა ილია ზურაბიშვილზე. და დაკრძალვის დღეს, ილია ზურაბიშვილის მგრძნობიარე სიტყვამ მოზღვავებულ ხალხს ცრემლი დააფრქვევინა. დიდი აკაკის მოთქმა და ილია ზურაბიშვილის სიტყვა, რომელიც შემოკლებით მომყავს დიდხანს იყო გამხდარი მსჯელობის საგნად ყველგან. „საქართველოს ჰირისუფალო ილიავ. შენმა ტურფა კახეთმა როშელსაც ბედნიერ წილად ჰხვდა—თავის ჭხნე მკერდზედ, ნიადაგზე დაერწია შენი აკვანი, მოგვანდო ჩვენ თაყვანი ვცეთ შენს ძვირფას ნეშტს და ვაუწყოთ ჩვენს ქვეყანას რა განუსაზღვრელი საეროვნო კაეშანი ჩააწვეთა ყოველის კახელის გულს შენმა მოწამებრივმა სიკვდილმა...

საქართველოს სულიერო მეორე კახო! რას გვიბარებ? რა ვუთხრათ შენს მოდუდუნე ბედის მოჩივარ ალაზანს? რა ხმა მივაწვდინოთ შენს მშობელ ყვარლის მთებს? რითი ვანუგეშოთ ბაღში ცრემლით ანატირი ობოლი ვაზი? რა ვუპასუხოთ მოჭირნახულე ლაბას, შენს ლაბას, როცა უენო, ვითა მეტყველი, თვალებით დაგვეკითხება?!

სდუმხარ! მაშ მართალია! .

თუ აგრეა—იგლოვეთ, იგლოვეთ მდუღარედ! შენ ალაზანო, ზვირთი ზვირთზე ააგორე, აბობოქრდი, მოჰყევი მწარე ზარს! თქვენ ყვარლის მთებო, ნისლით შეიმაგრეთ მწვერვალები—ეგ იქნება თქვენი ძაძა! შენ ობოლო ვაზო, აფრქვიე მწუხარე ცრემლი და ლაბავ, მორთე გულსაკლავი ბღავილი! აღარ გყავთ ზრახვათა მესაიდუმლე, აღარა გვყავს გრძნობათა მოენე! შენ კი საქართველოვ, ახლა მაინც მიხვდი რა ბედშავია შენი ხვედრი. დეე—ამ დიადმა წმინდა მსხვერპლმა მაინც შეაგნებინოს შენს შვილთ სამშობლოს განწირული მდგომარეობა და აღძრას მათში გმირის დამბადი დიდი საგანი“.

ხელოვნების მუშაკთა სახლში მწერალ ირაკლი ანდრონიკაშვილის ლიტერატურული საღამოა. პირადად არ გვინახავს, მაგრამ მის იმიტატორულ ნიჭზე ბევრი გვსმენია. დიდი მწერალი მაქსიმ

გორკი პირდაპირ შეყვარებული იყო მასზე და იშვიათ არტისტად მიაჩნდა ირაკლი. აი გამოჩნდა დარბაზში საშუალო ტანის სიმპათიური სახის ადამიანი. დაიწყო ნამდვილი შემოქმედება. ჰყვება უბრალოდ. არავითარი პოზა, ჟესტი, მსახიობებს რომ სჩვევიათ. რამდენიმე წუთი გავიდა და მთელი დარბაზი დაიპყრო. წარსულის რა საუცხოო სურათები გადაგვიშალა. აი გვეხატებიან გამოჩენილი მწერალი ალექსი ტოლსტოი, მსახიობი ვასილ კაჩალოვი, ოსტუჟევი და მრავალი სხვა. როგორ გემრიელად გადმოგვცემს უბრალო ადამიანის შეფასებას პუშკინსა და ლერმონტოვზე! რწმუნდები, რომ იშვიათი ნიჭის იმიტატორია ჩვენს წინაშე. ხალხი არ ეშვება. კარგი ოსტატის წინაშე ყოფნისას მაყურებელს დრო ავიწყდება. და უცბად მწერალი აცხადებს „სტუმრად ბიძასთან“. დარბაზში მხიარულებაა, იციან რომ ირაკლის მამა, ცნობილი ადვოკატი და შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, და ილია დეიდაშვილები იყვნენ. დაიწყო მწერალმა და თვალწინ წარმოგვიდგა საყვარელი ილია თავისი როხროხა ხმით. ილია მაკო საფაროვ-აბაშიძის ბინაში ცხოვრობდა. მაკო მთლად ყრუ იყო, ილიასაც საკმაოდ აკლდა ყურს. რა საინტერესოდ გადმოგვცემდა მწერალი—იმიტატორი გენიალური მსახიობის მაკოს და დიდი ენთუზიასტის ილიას საუბარს. მაკომ თავისი საყვარელი სცენის მეგობარი ნატო გაბუნია გაიხსენა და აცხადებს, რომ ნატო ნიჭით მე მჯობდაო. ილიაც ნატოს დიდი ნიჭის თაყვანისმცემელია. მაგრამ მაკოს როგორც მსახიობს მაღლა აყენებს. გენიოსთა შორისაც ხომ არის განსხვავება. ვერა თანხმდებიან და არის ერთგვარი როხროხი. ილია ბოლოს ისე ყვირის, რომ მაკო იძახის ილიკო ხმადაბლა ილაპარაკე განა ეგეთი ყრუ ვარო. უსმენ ირაკლის, ხარხარებ და გაგონდება, რომ ერთი წლის წინათ ილიკო ხომ ჩვენთან იყო მხიარული, იმედიანი, ფაქიზი, თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი, თეატრის გულწრფელი და უშიშარი რაინდი, ბისი მეხოტბე და მადიდებელი.

# აფიშორი პაჭიკა

1875—1927



სახამებლით სავსე კასრით და ფუნჯით, იღლიაში ამოჩრილი აფიშებით თბილისის ქუჩებზე მიმავალ ძია პაჭიკას დანახვისთანავე მოსწავლეები აელეწებოდნენ ხოლმე და კითხვებით არ ასვენებდნენ:

— ძია პაჭიკა, ხვალ რას დგამენ?

— ჰამლეტას!

— მერე და ჰამლეტს ვინ ითამაშებს? მესხიშვილი ჩამოვიდა?

— დღეს ჩამოვა ქუთაისიდან. თუ არა და მე ვერ ვითამაშებ!

— შენ ითამაშე ძია პაჭიკ, შენ! ასევე ხუმრობით შესძახოდნენ თეატრის სიყვარულით „დაავადებული" მოსწავლეები.

მთელი თბილისი იცნობდა ქართული თეატრის აფიშების გამკვრელს და ქანდარის კონტროლიორს პაჭიკას. მისი ნამდვილი სახელი გიგო თითქმის არავინ იცოდა. გვარი ხომ—ყაჯარდუზოვი მახლობელ მეზობლებსაც არ გაეგონათ.

— სიღნაღში ყაჯარდუზოვის გვარის ერთ შტოს პაჭიკაანთ ეძახდნენ. უეჭველია, გალატაკებულმა ყაჯარდუზოვებმა თავისებური მაიორატის საფუძველზე ბენეფიციის ნაცვლად ვიგოს სახელად პაჭიკა დაუმკვიდრეს.

პოპულარული იყო პაჭიკა. ქანდარის მუდმივი სტუმრები მოსწავლეები, ნოქრები და მუშები კარგად იცნობდნენ ამ აფიშიორ—კონტროლიორს. თუ გამოჩენილ მსახიობთა ბენეფისებზე და იუბილეებზე ბილეთს ვერ იშოვნიდნენ, პაჭიკა, ხომ იქ იყო. აბა როგორ შეეძლო თეატრის მოყვარული, მუდმივი კლიენტი გარეთ დაეტოვებინა. მე ვიცი სხვა გამსუნაგებული კონტროლიორივით იკადრებდა და ფულს გამოართმევდა. ამით ხომ ვაჟკაცი სახელს გაიტეხდა. სამაგიეროდ მადლიერი მაყურებელი - იქვე თეატრის შესავალთან ლუდით უმასპინძლდებოდა. სწორი რომ ვთქვათ, დამპატიჟებელს ეს ბილეთზე მეტი უჯდებოდა. პაჭიკა ლუდს ძლიერ ეტანებოდა და თვალის დახამხამებაში რამდენიმე ბოთლი შეეძლო გამოეცალა. მოსწავლეები ხომ ძია პაჭიკას მზეს ფიცულობდნენ. გიმნაზიების ადმინისტრაცია მოსწავლეთ უნებართვოდ თე-

ატრში არ უშვებდა, ხოლო ნებართვას კი არ იძლეოდნენ. სურვილი კი დიდი იყო დასწრებოდნენ სპექტაკლებს. და აი აქ მათ მხსნელად პაჭიკა ევლინებოდა. ქანდარის ისეთ ადგილას მოათავსებდა ხოლმე მოსწავლეებს, რომ დაგეშილი აღმზრდელები ამაოდ ეძებდნენ „გზაცდენილ“ ურჩ შეგირდებს.

თავისი თანამდებობა პაჭიკას ძლიერ მოსწონდა. მერე და არა ჰქონდა საკვეხური!.. ხუმრობა ხომ არ იყო ვასოს და ლადოს სალამ-ქალამი და მათთან მეგობრობა, სოსო ივანიძის, ბეგლარ ახოსპირელის და საშა იმედაშვილის ყონაღობა.

მაგრამ, რაც მთავარია, პაჭიკას ისეთი მეგობარი ჰყავდა, რომლის სახელიც მთელ მსოფლიოში იყო ცნობილი,—ეს გახლდათ რუსეთის გენიალური მომღერალი თევდორე შალიაპინი. ქართული თეატრის უხუცესი დარაჯი ტროფიმე, პაჭიკა და თევდორე შალიაპინი განუყრელი დოსტები იყვნენ. ტროფიმე დარაჯად დარჩა, პაჭიკა—აფიშების გამკვრელად, ხოლო მათი მეგობარი თევდორე საამაყო მსახიობი გახდა. და აი 1900 წელს თბილისში დანიშნულია თევდორე შალიაპინის გასტროლები. მთელი ქალაქი ემზადება დიდი მომღერლის სანახავად. პაჭიკაც მოელის ფედიას ჩამოსვლას. ამხანაგები დასცინიან:

— ბიჭო, გიგო! შალიაპინი ალბათ შენს სასახლეში დაბინავდება!

პაჭიკა იღიმება და თანაც, როგორც გვიამბობდა, შიში ჰქონდა, ვაი თუ ფედიამ აღარ იკადროს. ჩამოსვლისთანავე შალიაპინმა მოიკითხა თბილისელი მეგობრები, რომელთა რიცხვში ჩვენი პაჭიკაც გახლდათ. შალიაპინმა კარგად მიიღო ძველი მეგობარი და გულუხვადაც დააჯილდოვა.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე პაჭიკა შალიაპინთან შეხვედრას არ ივიწყებდა და ყველას უამბობდა როგორ მიიღო, გადაეხვია, ფულით ჯიბე გაუტენა და სხვ.*

ძველად რომელ აფიშორს ღირსებია საკუთრივ ბენეფისი. პაჭიკას კი ქართულმა დასმა ძმ. ნიკიტინების ცირკში 1907 წლის 24 ივნისს ბენეფისი გაუმართა. წარმოდგენილ იქნა ა. ყაზბეგის „არსენა“. მონაწილეობას იღებდნენ ს. სვიმონიძე, ვიქტორ გამყრელიძე, სოსო ივანიძე, ნიკო გოცირიძე, ვიქტორ მატარაძე, ალექსანდრე იმედაშვილი, სოსო ჟივიძე და სხვ. ბენეფისს აუარე-

* შ. კაშმაძე „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი“ I ნ. გვ. 276.

ბელი ხალხი დაესწრო და პარტერში პაჭიკას გამოჩენას ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა. „პაჭიკ, პაჭიკა“,—გაისმოდა შეძახილები და ჩვენი გიგოც ყველას თავს უკრავდა. ხალხი ყოველთვის აფასებს კეთილსინდისიერ მუშაკებს მიუხედავად რანგებისა და თანამდებობებისა.

პაჭიკა ოჯახს არ მოჰკიდებია. თეატრის სიყვარულმა შთანთქა ყოველივე. რა ძნელია როცა ერთადერთი სატრფო გყავს.. ერთადერთი სამლოცველო და მას დაკარგავ. ასე დაემართა პაჭიკას. ქართული თეატრის შენობა დაიწვა, და პაჭიკამაც წონასწორობა დაკარგა. უნდა გენახათ თეატრის დაწვის შემდეგ სახედაღერემილი პაჭიკა ქანდარის შესასვლელთან მდგომი, და მიხვდებოდით რას განიცდიდა ეს უბრალო ადამიანი.

. დროს თავისი გააქვს და პაჭიკამაც გამოიტირა საყვარელი თეატრი. რევოლუციამ უცვალა სახე ჩვენ თეატრებს, ქანდარის მაყურებელი უკვე პარტერში გადაბარგდა. პაჭიკაც რუსთაველის თეატრში გადავიდა როგორც აფიშების გამკვრელი. პაჭიკას ახალი ნაცნობები გამოუჩნდნენ — თეატრის კომისარი დავით ჩხეიძე, რეჟისორი სანდრო ახმეტელი და სხვები პაჭიკას მეგობრები გახდნენ. მარჯანიშვილის სამშობლოში დაბრუნებას და რუსთაველის თეატრში მოსვლას პაჭიკა სიხარულით შეხვდა. კოტე ხომ მისი ძველი მეგობარი იყო. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქართულ თეატრში მარჯანიშვილის დებიუტი მოეწყო „პატარა კახში“ 1894 წლის 27 ნოემბერს. სადებიუტო აფიშები პაჭიკამ გააკრა და აი ახლა შეხვედრისას გიგომ ეს ამბავი გაახსენა კოტეს.

დიდხანს არ გაგრძელებულა პაჭიკას საქმიანობა რუსთაველის თეატრში. აფიშების გამკვრელი კანტორა დაარსდა და ჩვენი პაჭიკა თეატრს ჩამოაშორეს. მალე პაჭიკა აღარ განოჩენილა. მიაკითხეს და შეიტყვეს, რომ ძალიან ავად ყოფილა და გადარჩენის იმედი არ არის. თეატრმა ყოველი ღონისძიება მიიღო, სიკვდილს გამოგლიჯეს ხელიდან, მაგრამ მხედველობას ვერაფერი უშველეს. ორივე თვალით დაბრმავდა პაჭიკა.

მაგრამ პაჭიკას შინ რა გააჩერებს. ყოველდღე რუსთაველის თეატრის კარიბჭესთან იდგა და საყვარელი გარემოთი ტკბებოდა. როდის და რითი იკვებებოდა, არავინ იცოდა. კოტე ისე არ მოვიდოდა თეატრში, რომ პაჭიკა არ მოეკითხა და დახმარება არ გაეწია. დიდმა ხელოვანმა საუცხოო სტრიქონები უძღვნა მას და ამით ქართული თეატრის ისტორიაში მოახვედრა ეს პატარა,

მაგრამ სათნო ბუნების ადამიანი. მოგვყავს ამონაწერი კოტე მარჯანიშვილის საიუბილეო კრებულიდან გვ. 202.

„როგორ ავხსნა?! რა მიყვარს მე თეატრში. უკვე შევიქენ ჭაღარა, მე ვდგევარ სიბერის გზაზე და მხოლოდ თეატრია ჩემი ერთად ერთი შეყვარებული, რომლის მიმართ მე ვიყავ ერთგული და რომლისათვისაც არასოდეს ცხოვრებაში არ მიღალატნია და არც ვუღალატებ იმ წუთამდე, ვიდრე არ წამიღებენ საფლავისაკენ... რაშია ეს მომხიბლავი ძალა თეატრისა, რომელიც ანდამატივით იზიდავს ყველას, ვინც კი ერთხელ მაინც შეჰხებია მის კედლებს... აიღეთ თუნდაც ეს დამახასიათებელი მაგალითი თბილისის ცხოვრებიდან. ვინ არის, რომ არ იცნობდეს ჩვენი თეატრალური საზოგადოებიდან აფიშების გამკვრელს პაჰიკას. მთელი თავისი სიცოცხლე მას კავშირი ჰქონდა თეატრთან, მხოლოდ როგორც აფიშების გამკვრელს; ჰო და, აი ეს აფიშების გაკვრა, გადავიდა სხვის ხელში, ქალაქი თვით უძღვება ამ საქმეს, მას თავისი კანტორა აქვს, თავისი გამკვრელები ჰყავს. პაჰიკა? პაჰიკა კი მოკლებულია თავის მუშაობის წვლილს თეატრში. მერე რას ვხედავთ? ჩაუარეთ დრამატულ თეატრს, როდესაც გინდათ და თქვენ დაინახავთ დილის 9 საათიდან ღამის 12 საათამდე პაჰიკას გაუპარსავ ნაღვლიან სახეს, რომელიც სევდით სავსე ახელილი უსინათლო თვალებით გასცქერის სივრცეს და არ სცილდება თეატრის კარებს. ჭეშმარიტად ტრაგიკულია მისი არსება, ჭეშმარიტად დიდი ლირიკით აღსავსეა მისი სული. ეს თეატრზე შეყვარებული კაცი განდევნილია მისგანვე..."

...სეზონი გაიხსნა, მაგრამ პაჰიკა თეატრის კარიბჭესთან აღარ გამოჩნდა. ვინც კი ჩაუარა თეატრს და ნაცნობ სახეს ველარ შეხედა, ყველას ერთმა ფიქრმა გაუელვა—უეჭველია მოკვდა პაჰიკა, თორემ სულთმობრძავიც რომ ყოფილიყო, რუსთაველის თეატრთან იდგებოდა.

# იოსებ იმედაშვილი

1876—1952

მარტის სუსხი გარიერაჟზე უფრო საგრძნობია, განსაკუთრებით ხანდაზმულთათვის.

გათენებისას რედაქციიდან შინ ვბრუნდებოდი. რუსთაველის პროსპექტზე, ჩემი სახლის გვერდით, შევხვდი მას—თეთრი ბიბლიური წვერით, ქართული თექის ქუდით და ხელჯოხით. ვინ უნდა იყოს, თუ არა ჩვენი საყვარელი იოსები.

ისე მივესალმეთ ერთმანეთს, თითქოს დიდი ხნის უნახავები ვყოფილიყოთ. ხალისიანმა სჯა-ბაასმა სუსხიც დამავიწყა და ღამის გატეხაც.

— რამ მოგიყვანა ასე ადრე, ჩემო იოსებ?

— სვანეთში მინდა გადავფრინდე.

— რატომ, რისთვის?

— ლექციები უნდა წავიკითხო.

— ლექციები?.. საუკუნეს მიღწეულს—შენ რა დაგაწყნარებს. სიბერის ჟამს უნდა დაისვენო. თავს უნდა გაუფრთხილდე.

ადრეა, ადრეა ჩემო მეგობარო! შენ ხომ მათუსალას მეძახი. მერედა, იცი რამდენ ხანს იცოცხლა მათუსალამ? თუ „დაბადება“ არ წაგიკითხავს, ჩემი უცხო სიტყვათა ლექსიკონში ამოიკითხავ,— 969 წელიწადი.

— ეგ ზღაპარი კი შეგიტანია ლექსიკონში, ჩემო იოსებ, მაგრამ რატომ ისიც არ აღნიშნე, თუ რამდენს უდრიდა მაშინდელი წელიწადის ხანგრძლიობა. არა მგონია, მათუსალა შენზე უხნესი ყოფილიყო. მერედა, განა შენსავით დაჭროდა მათუსალა?

იმდენი რამე მაქვს გასაკეთებელი, იმდენი, რომ ერთი საუკუნე არ მომჭარბდება. სამკალი ბევრია, მომკელი კი ნაკლები. უნდა გავაცნო ჩვენს ხალხს ბრძოლებით აღსავსე მისი წარსული, გმირული აწმყო, და გაიბა საუბარი ვიდრე აეროფლოტის სალარო არ გაიღო და ავტობუსმა აეროდრომისაკენ არ გააქანა მუდამ ხალისიანი სიცოცხლით აღსავსე ადამიანი.

იოსებ იმედაშვილი ჩემი სოფლის მეზობელი ხაშმის მკვიდრი იყო. კარგად ვიცნობდი. მეგონა, უველა მისი ასავალ-დასავალი

ვიცოდი. და აი, ახლა ერთმა საკითხმა კი შემაფერხა: უმსახურნია თუ არა როდისმე დაწესებულებაში და თუ უმსახურნია, ანკეტის შევსებისას როგორ დაატია ერთ რუბრიკში თავისი მრავალმხრივი საქმიანობის თუნდაც მოკლე ნუსხა.

ბავშვობისას მწყემსი. ჭაბუკობისას სახელოსნო სკოლის მოსწავლე, ზეინკალი. მოსწავლე სცენისმოყვარეთა წრის ხელმძღვანელი. ხელნაწერ ჟურნალის რედაქტორი. საუბნო წარმოდგენების მონაწილე, ბუკინისტი, პროპაგანდისტი. ავჭალის მუშათა აუდიტორიის პირველი რეჟისორი, ისნის (ავლაბრის) სცენისმოყვარეთა პირველი ოფიციალური სპექტაკლის რეჟისორი. გამომცემელი, არალეგარული ლიტერატურის გამავრცელებელი, მეფის რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული პოემების ავტორი. ლექსიკოლოგი. სოფელ ხაშმის პირველი არჩევითი მამასახლისი 1905 წელს. მეტეხის ციხის ხშირი პატიმარი, საკატორღოდ გამზადებული. ქართული თეატრის მსახიობი, დრამატული საზოგადოების მდივანი, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორ-გამომცემელი, ლექტორი, სახალხო ტრიბუნი. ვინ ჩამოთვლას, ვინ აღნუსხავს მის საქმიანობას. ამიტომ ერთ ფრაზას დავჯერდეთ და ხალხის უანგარო მსახური შევარქვათ იოსებ იმედაშვილს.

იოსებ იმედაშვილი საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე იმ პერიოდში გამოვიდა, როცა მუშათა მოძრაობა მთელ რუსეთში დღითი დღე სულ უფრო ძლიერდებოდა. რევოლუციური მოძრაობა საქართველოსაც მოედო. მთელი ხალხი, მუშები, გლეხობა, ინტელიგენცია ამოძრავდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბრძოლაში გატაცებით ჩაება ახალგაზრდობა. ხშირად ბავშვებიც კი ავრცელებდნენ პროკლამაციებს, არალეგარულ კრებებს ყარაულობდნენ და პოლიციელის მოახლოებას დროზე ატყობინებდნენ კრების მონაწილეთ. როგორ მოსწონდათ თავი ბავშვებს, როცა უფროსები მათ ენდობოდნენ და მარაქაში რევდნენ. ხშირად ამ სტრიქონების ავტორს საკვეხრად მიაჩნდა, როცა ხარფუხში პავლე ჯორჯიაშვილის სახლში მისი შვილი არსენა კრებას აწყობდა და ამ სტრიქონების ავტორი თითბერიძეების (მეწვრიმალე გიგოლას) სახლის ბანიდან ყარაულობდა, რომ პოლიციელების მოახლოება დროზე ეცნობებინა შეკრებილებისათვის.

პირველი რევოლუცია დამარცხდა. მაგრამ ბრძოლა არ შეჩერებულა. პროკლამაციები იბეჭდებოდა, აკრძალული წიგნები მაინც ვრცელდებოდა ხალხში. და ჩვენც, მოსწავლეები, ხარბად ვეწაფე-

ბოდით ასეთ ლიტერატურას. ნაწარმოებებში შინაარს ვეძებდით და მის ფორმას ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით. იმ პერიოდში რომ გეკითხნათ, ილიას უკვდავი „განდეგილი“ მოგწონთ თუ იზიძის პოემა „სიყვარულის ძალა“, არ დავფიქრდებოდი და ამ უკანასკნელს მიეცემდი უპირატესობას. იმ დროს 13—14 წლის ბიჭის სულისკვეთებას ყველაზე უფრო შეესაბამებოდა სიტყვები:

„ხიზღი მეფეს, ძირს ხელმწიფე. დე დაინგრეს ტახტი მისი:
რაღად გვინდა იგი მეფე, ვის არ უყვარს ერი თვისი.“

ჩვენი გატაცება მარტო იზიძის ლექსებით არ განისაზღვრებოდა. პოეზიის შედევრად ჰაზირას ლექსი მიგვაჩნდა:

„სადაც არის გათენდება,
აღსდეგ მუშავ შენ,
ლამაზი დღე დაგიდგება,
ნუ გძინავს შენ, ნუ ხვრინავ შენ,
მუშავ, მუშავ. შენ!“

ამ ლექსს ყველა მღეროდა მოხუცი თუ ჰაბუკი, ქალი თუ ბავშვი. მაგრამ ავტორის ვინაობა არ ვიცოდით იზიძის შესახებ კი ბევრი გამეგონა. რამდენადაც იოსები მამაჩემის მეგობარი იყო და ჩვენს ოჯახში ხშირად ახსენებდნენ მას.

და აი, სწორედ ოჯახში შევიტყვე, რომ 1905 წელს იოსები სოფელ ხაშმის პირველი არჩევითი მამასახლისი იყო. ხალხმა მთავრობის მიერ დანიშნული ყველა მამასახლისი გარეკა და იოსებ იმედაშვილი არჩეულ იქნა ივრის ხეობის ეგრეთწოდებულ მამასახლისთა მამასახლისად. იოსებმა შეადგინა გარეკახეთის რევოლუციური მთავრობა და 1905 წლის მეორე ნახევრიდან 1906 წლის დასაწყისამდე ყველა საკითხს ეს მთავრობა განაგებდა. მოეწყო ადგილობრივი სასამართლო, ხალხი დაეპატრონა ტყეებს, ალაგმეს სამღვდელოება. ყოველივე ეს აღნიშნული იყო სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „სხივის“ პირველ ნომერში.

მეფის მთავრობა ხელს უწყობდა ეროვნულ შუღლის გაღვივებას. მთავრობის პროვოკაციულ ანკესს წამოეგნენ თათართა და სომეხთა ზოგიერთი ფენები და დაიწყო ძმათა შორის სისხლის

ღვრა, შეტაკება. გარეკახეთიდან იორ-მულანლოს თათრობა დაიძრა ღა თბილისში აპირებდა ლაშქრობას სომხების გასაჟლეტად. იოსებ იმედაშვილი თავის რაზმით წინააღუდგა ამას და თბილისისაკენ მიმავალი ლაშქარი უკან გააბრუნა.

გურიაში აჯანყებულთა ასაწიოკებლად დამსჯელი რაზმის გაგზავნამ მთელი საქართველო აღაშფოთა. მთავრობას პროტესტი პროტესტზე მისდიოდა და მოითხოვდნენ გურიიდან ჯარების გამოყვანას. არც იოსებ იმედაშვილი დარჩა გულგრილი მაყურებლის როლში. ერთ დღეს მეფის ნაცვლის სასახლეს ცხენოსანთა რაზმი მოადგა იოსების მეთაურობით. გარეკახეთის მშრომელთა სახელით იოსებმა მოსთხოვა მეფის ნაცვალს გურიიდან ჯარების გამოყვანა. თუ ეს არ გიქნიათო, განაცხადეს გარეკახელებმა, იარაღს ავისხავთ და ჩვენი ძმების მისაშველებლად დავიძვრებით გურიისაკენო. გაზეთ „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიბეჭდა შეიარაღებული დელეგაციის სურათი, რომელთა შუაშიც იოსები დგას.

რეაქციის მძვინვარების დროს ჟანდარმერიამ იოსებსაც მიაგნო და კვლავ მეტეხის ციხის საპატიმროში ჩასვეს. იოსებისათვის დაპატიმრება ახალი ამბავი არ იყო. აი რას მოგვითხრობს მუშა სცენისმოყვარე დავით მელაშვილი თავის წიგნში „ისნის სახალხო თეატრის წარსულიდან“: „მზადდებოდა ა. ნიკიტინის მიერ თარგმნილი ფოსის 3 მოქმედებიანი დრამა „დამნაშავეა“. აფიშები და პროგრამები დაიბეჭდა. წარმოდგენა დანიშნული იყო 1904 წლის 10 იანვრისათვის. თეატრში მესამე რეპეტიციაზე რომ შევიკრიბენით და ვაპირებდით მეცადინეობის დაწყებას, ამ დროს მოვიდა სცენისმოყვარე რ. სალაყაია, რომელმაც გვაცნობა—გუშინ მაღაზიისა და სახლის გაჩხრეკის შემდეგ იოსებ იმედაშვილი დააპატიმრესო. ყველას თავზარი დაგვეცა. მასთან ამხანაგები ცოტა ჩაგვაფიქრა იმ გარემოებამ, რომ ჩვენი ამხანაგობის ის მეორე ხელმძღვანელი მუშაკი დაგვიპატიმრეს... სულ სხვა პოლიტიკური ატმოსფერო იყო შექმნილი იოსებ იმედაშვილის გარშემო. ეს იყო კაცი, რომელიც აქტიურ ლიტერატურულ და მწიგნობრულ მოღვაწეობას ეწეოდა. სახალხო თეატრებში დაბალი მასის აღზრდისა და განვითარების საქმეს ხელმძღვანელობდა“ (გვ. 22).

საპატიმროდან განთავისუფლებისას იოსები კვლავ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. უმოქმედობა მის ბუნებას არ ეგუებოდა, ცნება „შესვენება“ მისთვის არ არსებობდა.

მშობლიურ სოფელში ვარ და სცენისმოყვარეებთან ვმუშაობ სოფელ ხაშმიდან მოვიდა კაცი და სპექტაკლზე მიგვიწვიეს. ზოგი ცხენითა და ბევრი ფეხით გაუდექით გზას. დგამენ ივ. გომართელის პიესას „ქოხში“. სპექტაკლს რეჟისორობს იოსებ იმედაშვილი. თეატრი გაჩედილია ხალხით. მთელი საგარეჯოს რაიონის ინტელიგენცია აქ არის. დაიწყო სპექტაკლი. პიესა ჩვენთვის ცნობილია. სწორედ ერთი თვის წინ დავდგით. გულდასმით ვადევნებთ თვალყურს ყოველივე იმას, რაც ხდება სცენაზე. არც დეკორაციამ და არც განათებამ ჩვენი ყურადღება არ მიიპყრო. რაღაც ფანჩატური დაედგათ სცენაზე. და ნავთის ლამპებით განათებამ ხომ ყოველივე ილუზია დაგვიკარგა. თუმცა არც ჩვენ გვქონდა მაშინ ელდანადგარები, მაგრამ განათების საქმე უკეთ გვქონდა მოწყობილი. მალე შეხმატკბილებულმა ანსამბლმა და სცენაზე ნამდვილმა ცხოვრებამ ყოველივე ნაკლი დაგვაივიწყა. სპექტაკლის დასასრულს რეჟისორი საზოგადოებამ გამოიწვია. მხურვალე ოვაციები კარგა ხანს გაგრძელდა. აი, მაშინ პირველად დავინახე ჭაღარა თმიანი პირმოპარსული შუატანის კაცი. დავინახე ცხოვრებაში თორემ სცენაზე ქართულ თეატრში რამდენჯერმე მენახა. და უნდა გამოვტყდეთ, რომ მისი მსახიობობით არ ვყოფილვარ აღტაცებული. მომეწონა მხოლოდ „ადვოკატ მელაძეში“ გლეხის როლში.

როგორც რეჟისორმა კი ამ საღამოს ყველა აღტაცებაში მოიყვანა. მაშინვე ვიფიქრე თუ ამ ადამიანმა შეძლო ერთი კვირის განმავლობაში გამოუცდელ სცენისმოყვარეების ასე მომზადება და მხატვრული მთლიანი ანსამბლის შექმნა, უეჭველია გამოცდილ სცენისმოყვარეებთან შედეგი უფრო საგრძნობი იქნებოდა. როგორც ავჭალის მუშათა აუდიტორიაში, ასევე ისნის (ავლაბრის) სახალხო თეატრში თვალსაჩინო სცენისმოყვარეები იყვნენ და მათი ხელმძღვანელობა თუ თვით რეჟისორი ოსტატი არ იყო, ადვილი როდი იყო.

სპექტაკლის დამთავრებისას სტუმრები ავედით სცენაზე. გამოვესაუბრეთ მეგობრებს და უცნობები გავიცანით. ყველას ქათინაურები ვუთხარით, ზოგს გულწრფელად, ბევრს ზრდილობის გულისათვის. გავიცანით, რასაკვირველია, იოსებ იმედაშვილიც. მასპინძლებმა ვახშმად მიგვიპატიჟეს ყველანი და გვთხოვეს ვისაც ცხენები არ გვყავდა, სტუმრებისათვის საგანგებოდ მომზადებულ ეტლებში ჩავმსხდარიყავით. იოსებმა ირჩია ფეხით წასვლა და ჩვენც ახლად გაცნობილნი ახალგაზრდები მას შეუურდით და ყარაბულა-

ხისაკენ გავწიეთ. ხაშმიდან ორი კილომეტრის მანძილზე ცხოვრობდა დიდი ფეოდალი თადო ჩოლაყაშვილი. ვახშამი სწორედ იმის სასახლის მარანში იყო მოწყობილი. ცხენოსნები და ეტლები დაწინაურდნენ, გაგვასწრეს, ჩვენ კი იოსებთან ერთად საუბრით მივდიოდით. იოსები გვეკითხება, რა პიესებს ვდგამთ, ვინა გვყავს ხელმძღვანელი და სხვ. საუბარი უმთავრესად თეატრს ეხება. მალე მთვარიან ღამეში მებატონის სახლკარიც გამოჩნდა. უშველებელ მარანში მიიპატიჟეს ყველანი. საპატიო სტუმრები დრამატურგი იერემია გულისაშვილი, იოსებ იმედაშვილი და სხვ. სუფრის თავში დასვეს, ახალგაზრდები კი მაგიდის ბოლოში. თამადად ი. გულისაშვილი აირჩიეს. ცნობილი პედაგოგი, დრამატურგი და ერთ დროს ავჭალის აუდიტორიის რეჟისორი და ნიჭიერი სცენისმოყვარე იერემია გულისაშვილი თამადადაც ჩინებული გამოდგა. როგორც სჩვევია ქართულ სუფრას ითქვა ბევრი კარგი სიტყვა, გაჩაღდა ცეკვა, სიმღერა. იოსებ იმედაშვილმა აქაც ისახელა თავი და მისი ყოველივე სიტყვა იყო გულწრფელი, უბრალო და დიდის გრძნობით გამსჭვალული. იოსები ჰუმორსაც კი არ იყო მოკლებული. მახსოვს როცა თამადამ მასპინძლის თადო ჩოლაყაშვილის სადღეგრძელო შესვა და იოსებმაც მას მოსწრებულად ბედოვლათების პრეზიდენტი უწოდა, მთელი დარბაზი ხარხარებდა. მასპინძელმა მადლობა გადაუხადა ყველას სადღეგრძელოსათვის და იოსებს უთხრა:

„ძალიან ებრძოდი ჩემო იოსებ, ამ ბედოვლათს, დამხობა გინდოდა ჩვენი. ფრანგ მონარქისტებს რობესპიერისა ისე არ ეშინოდათ, როგორც ჩვენ შენი მამასახლისთა მამასახლისის. მაგრამ შენ დამარცხდი და ბედოვლათმა თადომ გაიმარჯვა“. სხვათა შორის იქვე შევიტყვეთ, რომ ჩოლაყაშვილის ოჯახის წევრები რუსეთის პირველ რევოლუციის დროს პარიზში ცხოვრობდნენ. ჩვენთან სუფრაზე ჩოლაყაშვილის და, და ერთიც მათი სტუმარი ფრანგულად ტიკტიკებდნენ.

იოსების ორატორული ნიჭით მოხიბვლა ჩემი ახალგაზრდობით არ აიხსნება. როცა წელთაღმართს მე თვითონ დავეჭანე და იოსებს ვხვდებოდი თეატრალურ საზოგადოების მიერ მოწყობილ საღამოებზე, აქაც ყოველთვის აღტაცებული ვრჩებოდი ამ უებრო ორატორის გამოსვლებით.

ხალხი ბრძენია და მისი ანდაზები გონივრულია., ვინ იტყვის, რომ სიბრძნეს იყოს მოკლებული „პური მეპურეს გამოაცხობინეო“.

მაგრამ ზოგჯერ ხდება ისე, რომ მეპურის პური დაიკუტებს და არა სპეციალისტის ნახელავი კი მოსაწონი ხდება. მაშ მარტო სპეციალისტობა არ შეელის საქმეს. საჭიროა ნიჭი, შრომისმოყვარეობა და საქმისადმი დიდი სიყვარული. ნიჭიერი დილეტანტი უნიჭო სპეციალისტს ხშირად სჯობნის. არ ვიცი, ერკვეოდა თუ არა იოსებ იმედაშვილი გრამატიკის რთულ საკითხებში, მაგრამ მისი უცხო სიტყვათა ლექსიკონი ოსტატურად რომ იყო შედგენილი, ეს კი უდაოა. რამდენი შრომა და ენერგია დახარჯა ამ ადამიანმა, რომ შეედგინა პირველად ქართულ ენაზე უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თამამად შეიძლება მას დაკვირვებული ლექსიკოლოგიც ვუოდოთ.

თავისი მრავალფეროვანი მოღვაწეობა იოსებ იმედაშვილმა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" გამოცემით დააგვირგვინა. მანამდეც იყო ცდები გამოეცათ მხატვრული ჟურნალი. თითო-ოროლა ნომერი გამოდიოდა კიდევაც. მაგრამ მალე უსახსრობისა გამო სულს განუტევებდა ხოლმე. მაგალითად, ჟურნალი „ფასკუნჯი" და სხვ. და ის, რაც ვერ შეძლეს უფრო სახელოვანმა მწერლებმა, ორგანიზაციებმა, ბანკირებმა და შეძლებულმა პირებმა, გააკეთა ღარიბმა, დაუცხრომელმა მოღვაწემ იოსებ იმედაშვილმა. მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში რეგულარულად გამოდიოდა „თეატრი და ცხოვრება" და ერის კულტურულ საგანძურში თავისი წვლილი შეჰქონდა. ჟურნალი გამოსცა ადამიანმა, რომელსაც პოლიგრაფიული ბაზა არ გააჩნდა, არც ქაღალდი ჰქონდა, არც რედაქციისათვის ბინა, არც თანამშრომლები ჰყავდა და არც საჭირო თანხა. მაშ როგორ მოახერხა ჟურნალის გამოცემა? უშრეტმა ენერგიამ და საქმის სიყვარულმა შეაძლებინა იოსებ იმედაშვილს გაეკეთებინა ისეთი საქმე, რაც რევოლუციამდელი თეატრის მოღვაწეთა ოცნებას შეადგენდა.

— ჰოდა, ჩემო მეგობარო,—მიამბობდა ხშირად იოსებ იმედაშვილი,—ერთი აზრი ამეკვიატა. განვიზრახე სათეატრო ჟურნალის გამოცემა. ვიცოდი ჩემი ბუნება: თუ რაიმე აზრი დამებადებოდა, ნემსის ყუნწში გავძვრებოდი და უნდა შემესრულებინა გროში კაპიკი არა მქონდა. ბედად შევხვდი მიტროფანე ლაღიძეს. ჩემი ზრახვანი გავუზიარე. დაინტერესდა და ორასი მანეთი მასესხა. აი ამ თანხით დავიწყე საქმე და როგორც იცი 15 წლის განმავლობაში ვცემდი ამ ჟურნალსო.

რევოლუციამდე საქართველოში ასეთი პოპულარული ჟურნალი არ ყოფილა. ვინ გინდათ, რომ მისი თანამშრომელი არ ყოფილიყო, დიდი აკაკის გვერდით ჟურნალში მონაწილეობდნენ სრულიად უცნობი ადამიანები, რომლებსაც კი ქართული კულტურის საქმე აინტერესებდათ. ხშირად იოსებს უსაყვედურებდნენ, რომ პროფესიონალ მწერლებს არ სჯერდებოდა, რომ მისი ჟურნალის კარი ყველასათვის ღია იყო, ანდა ბუმბერაზ მსახიობთა პორტრეტების გვერდით იბეჭდებოდა ბანოჯის ან მოხისის სცენისმოყვარის სურათიც. ჟურნალი ბეჭდავდა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა გვერდით რომელიმე მივარდნილ სოფლის სამკითხველოს გამგის პორტრეტს. პირველ მსოფლიო ომის დროს ხომ ქართველი რიგითი მეომრების სურათებით აჭრელებული იყო ჟურნალი. ბევრი იოსებ იმედაშვილს უსაყვედურებდა რომ დიდ პიროვნებათა გვერდით იოსები პატარა ადამიანების პოპულარიზაციას ეწევა და ამით ჟურნალის ღირებულებას სცემსო. იოსები ისმენდა ამას და თავის არჩეულ გზას განაგრძობდა. ამის დასადასტურებლად ერთ პატარა მაგალითს მოვიყვან. 20 წლის ასაკში მყოფი მამიდაშვილი გარდამეცვალა. ფოსტის პატარა თანამშრომელი იყო. გაგიჟებით უყვარდა სცენა. მაგრამ ვინაიდან ნიჭს მოკლებული იყო, როლებს არ აძლევდნენ და მოკარნახეობდა. დედას ერთადერთი შვილი ჰყავდა და ადვილი წარმოსადგენია რა დღეში ჩავარდებოდა მისი დაკარგვით. გათვნებიდან შუაღამემდი იჯდა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე და თავის პეტას დასტირიოდა. ქვრივმა ყველაფერი მიყიდ-მოყიდა და შვილს სანაქებო ძეგლი დაუდგა. ის ძეგლი იყო დედის ერთადერთი ნუგეში, სხვა მისთვის არაფერი აღარ არსებობდა. და აი, უნდა გენახათ მამიდაჩემის სიხარული, როცა მივუტანე იოსებ იმედაშვილის „თეატრი და ცხოვრება", რომელშიაც მისი შვილის პეტრე სიდამონიძის სურათი და პატარა ნეკროლოგი იყო დაბეჭდილი. იცით იოსებმა ამ პატარა ნეკროლოგის მოთავსებით რა საქმე გააკეთა? ტანჯული დედა გაახარა. ქვეყანა მარტო გენერლებისაგან ხომ არ შედგებოდა. პატარა ჯარისკაცებიც იმავე საქმეს ემსახურებოდნენ და ბევრჯერ უფრო გულმოდგინედ და თავდადებით. და აი იოსების ჟურნალი ამ პატარა ხალხსაც აქცევდა ყურადღებას და ამით დიდ საქმეს აკეთებდა.

იოსების ჟურნალში ხშირად იხილავდით დიდი აკაკის, გალაქტიონ ტაბიძის და სხვა თვალსაჩინო პოეტების ლექსების გვერდით სრულიად უცნობი პოეტების გულწრფელ ნაწერებსაც. განა ამით

დიდი აკაკი მცირდებოდა! არა და არა. დამწყები პოეტებისათვის კი ეს დიდი წახალისება იყო.

ვინ აღნუსხავს რამდენი მწერლისათვის გაუკაფნია გზა იოსებს და ქმედითი დახმარება გაუწევია. 1925 წლის ივნისში „თეატრი და ცხოვრების“ საიუბილეო ნომერი გამოვიდა. ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო მწერლები ულოცავდნენ ჟურნალს 15 წლისთავს და მისი რედაქტორის ღვაწლს აღნიშნავდნენ.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი პროზაიკოსის მიხეილ ჯავახიშვილის წერილი. იოსების პორტრეტის დახატვისათვის მინდა ვისარგებლო მ. ჯავახიშვილის წერილის ნაწყვეტით და გავაცნო მკითხველს: „იმედაშვილს რომ დავინახავ ან გავიხსენებ ხოლმე, ძალაუნებურად მაგონდება ქვაშვეთის ჭუჩა, ბუკინისტების რიგი და იმ რიგში ერთი პაწაწა ჭოხი. იმ ჭოხში ზაფხულში უფრო ცხელა, ხოლო ზამთარში უფრო ცივა, ვიდრე გარეთ. წიგნებში ჩამძვრალი იოსებ იმედაშვილი რიყრაჟიდან დაღამებამდე თაეჩაღუნული ზის დახლის უკან და გამალებით მუშაობს. ვითომ წიგნებითაც ვაჭრობს. მაგრამ... მუშტრების მაგივრად უფრო ნაცნობ-მეგობრები ეწვევიან და ხელს უშლიან ხოლო მუშტრისათვის სოსოს არ სცალიან, ამიტომ არც მუშტარს სცალიან ახირებულ „ვაჭრისათვის“. მუშტარი რომ შემოვა, უცნაური „ვაჭარი“ და მწიგნობარი თავს ძლივს ასწევს, პასუხსაც ძლივს აკადრებს, ზოგჯერ კი არც ამისთვის სცალიან. თუ ვინმემ მოაგონა სადილი, შაურის წვნიანს მოარბენინებს, ხუთიოდე წუთში გადაჰყლაპავს და კვლავ ჩრჩილივით ჩაუჯდება ქაღალდებს. როცა დაღამდება, დუქანს დაკეტავს და, ქუდმოგლეჯილი, იორღით მარბის სახალხო სახლში ან მურაშკოს თეატრში—ექვსიოდე ვერსის მანძილზე. იქ თავის როლს პირნათლად შეასრულებს და ნაშუალამევს ფეხით გამოდის მთაწმინდის უბანში. ახლაც არ ვიცი, რამდენს იძინებდა ან როდის ისვენებდა ეს უცნაური და დაუღალავი ადამიანი? ან იძინებდა ოდესმე? ან ისვენებდა ზოგჯერ მაინც? ...ჩემი ღრმა რწმენით, იოსებ იმედაშვილი და მისი ჟურნალიც, მხნედ და პირნათლად ემსახურებიან ჩვენს საერთო საქმეს. კულტურის ბელადობა არავის მოეთხოვება, ხოლო ყველანი მოვალენი ვართ გავაკეთოთ იმდენი, რამდენსაც აიტანს ჩვენი ძალღონე. ამ მხრივ იმედაშვილმა საზღვარს გადააჭარბა. გასაოცარია მისი მხნეობა, შრომის უნარი და უშრეტი ენერგია.

...იოსებ იმედაშვილი ჩემი ქართულის ნათლიაა. რუსეთიდან

რომ დაებრუნდი ვაღიარებ ჩემს სირცხვილს—ქართული ნაკლებად ვიცოდი ბედმა იმედაშვილის წიგნის დუქანში შემიყვანა. მოვითხოვე ქართული წიგნები. ერთმანეთს გამოვეცნაურეთ. იმ დღიდან ხშირი სტუმარი გავხდი მისი დუქან-სამკითხველოსი. სანამ „ცნობის ფურცელში“ დავიწყებდი ბუშაობას, ჩემი ქართულის მასწავლებელი იოსები იყო. პირველად იმან წაიკითხა ჩემი პირველი მოთხრობა „ჩანჩურა“ და იმანვე გამგზავნა „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში“.

თეატრალურ კულტურას მარტო დიდი ოსტატები არ ქმნიან. რიგითი ჯარისკაცებსაც მიუძღვით წილი. მათი ამაგი ქვეყნის წინაშე უნდა აღინუსხოს. იმედია იოსებ იმედაშვილსაც გამოუჩნდება პირუთვნელი მემატიანე და გააცნობს მომავალ თაობას ხალხური თეატრის ერთერთი მშენებლის ცხოვრებას.

# გიგო ორდანიშვილი

1878—1939



სპექტაკლის დღეს, საღამოს ჟამს, როცა პიესაში მასობრივი სცენები იყო საჭირო, თეატრის კართან ასასივით დგებოდა სცენარიუსი გიგო იორდანიშვილი და ტალიკ-ტალიკ ბიჭებს ათვალიერებდა. ისეთი რა საღამო უნდა ყოფილიყო, რომ ათი-თორმეტი ჰაბუკი არ შეეკრიბნა მასობრივ სცენებში მონაწილეობის მისაღებად. ზოგს თუ ჰონორარს ათ შაურს აძლევდა, ბევრს მუქთად შოულობდა. ძია გიგოს თხუთმეტწუთიანი რეპეტიცია სცენაზე და მასა მზად იყო. პარიკმახერის მიერ მოთხუპნულნი (თეატრალები ამას გრიმს უწოდებენ), დაფლეთილ ქულაჯებსა და ჩოხებში გამოწყობილნი მელპომენის ათშაურიანი და უფასო მსახურნი კულისებში აიტუზებოდნენ ხოლმე და სცენაზე შესასვლელად ძია გიგოს ნიშანს ელოდნენ.

გიგოს გატაცებით უყვარდა თეატრი. მას ბროლის კოშკზე არ გაცვლიდა. ბაღნარში განცხრომას მტვრიან კულისებში ყოფნა ერჩივნა. მაგრამ მარტო კულისები როდი იზიდავდა გიგოს. სცენაზე გამოსვლაც უყვარდა. აქტიორულ ჟინს გარეუბნების პატარა კლუბებში იკმაყოფილებდა. გიგოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა კი დიდს თეატრში ისეთს პიესებს დგამდნენ, სადაც საჭირო იყო ბაღდადურისა და კინტოურის ცეკვა. აქ გიგოს ბეტოქე აღარ ჰყავდა. ისეთ ტაშს მოსწყვეტდა ხოლმე დარბაზს, რომ გეგონებოდათ მესხიშვილი გამოჩნდა სცენაზეო. ევროპულ პიესებს არ სწყალობდა გიგო. ოფიციანტებისა და ლაქიების როლებს თავი ვერ დააღწია. უმძრახათ არავისთან არა ყოფილა, ყველას მეგობრობდა, წარმოიდგინეთ—რეცენზენტ ლევან ყიფიანსაც. სხვა უიმისო ლევანს ხმასაც არ გასცემდა. გიგო კი ხმამაღლა გაიძახოდა, მაგას ჟურნალისტებში ვერავინ აჯობებსო. მართლაც რატომ არ უნდა ჰყვარებოდა ლევანი! ლ. ყიფიანი ერთადერთი რეცენზენტი იყო, რომელმაც რუსულ გაზეთში აღნიშნა მსახიობი გიგო იორდანიშვილი. გავიხსენოთ ეს ამბავი.

ქართული თეატრის ფოიეში დასის რეპეტიციაა დანიშნული. მსახიობები თავს იყრიან. კიბეზე გაზეთის კითხვით ამოდის შაქრო

აფაროვი. ერთ საფეხურს ამოვა. წაიკითხავს და იცინის. განაგრძობს კითხვას და ბჟირდება. ყველამ ყურადღება მიაქცია. შეჯგუფებულთ გიგოც მიუახლოვდა. შაქროც განაგრძობს კითხვას...

„Артист Нордашшвили стоял на сцене как истукан. Как истукан,—კითხულობს შაქრო და ხარხარებს,—как истукан",—იმეორებს და სიცილისაგან თვალთაგან ცრემლი სდის. სხვებიც აჰყვნენ შაქროს.

— ბევრი კაცი კონკის ქვეშ ვარდება, იქნებ გაზეთში გამომაცხადონო,—ამბობს მშვიდად გიგო.—და განაგრძობს: ვენაცვალე ღევანს მუქთად ჩამაგდო გაზეთში.

ახალმა სიომ დაჰბერა. გიგოს მიერ სახელდახელოდ ქუჩაში შეკრებილი სტატისტები უარყოფილ იქნენ. გაშტერებული იყო გიგო, როცა რეჟისორმა ვალერიან შალიკაშვილმა იოსებ გედევანიშვილის „მსხვერპლში" მთელი ორი კვირა ამზადა მასა.

— ასე რომ ვამზადოთ პიესა, თვეში ორ წარმოდგენას ვერც კი დავდგამთ და პუპლუს ჩვენ საქმეს, კაი დახლი კი დაგვიდგება,—ჩიოდა გიგო.

მაგრამ რას იზამდა. დრონი იცვალნენ და გიგომაც მუშაობის მეთოდი შეცვალა. თანამდებობის სახელწოდებაც შეუცვალეს გიგოს, ნაცვლად სცენარიუსისა ტექნიკური რეჟისორი შეარქვეს.

დიდი სიხარულით შეხვდა გიგო ქართული საბჭოთა თეატრის აღმაველობას და მის ფუძემდებელს, დიდ ხელოვანს კოტე მარჯანიშვილს.

— იცი, ძმაო!—იტყოდა ხოლმე გიგო,—როგორც ლადო მესხიშვილთან ვერც ერთი მსახიობი ვერ მოვა, ისე რეჟისორობაში კოტეს ვერავინ შეედრება, მერე, ძმაო, რა თავმდაბალია, რა უბრალო, პურმარილს ხომ ნუღა იტყვი. ფულის ყადრი სულ არ იცის. ალიას და მუსიას ყველას ეპატიჟება. ამაშიც ლადოსა ჰგავს. გაცეცხლებაც ისე იცის, როგორც ლადომ.

გიგანტური ნაბიჯებით მიიწევდა წინ ჩვენი თეატრი. ტექნიკის მიღწევებით საქართველოს თეატრებიც სარგებლობენ. პროჟექტორები, რეფლექტორები და სხვა ნაირნაირი აპარატები დამკვიდრდნენ სცენაზე. დრამატულ თეატრში მუსიკა შემოიჭრა. ახალი ტექნიკა ახალ ძალებს მოითხოვდა. აბა როგორ შეძლებდა ჩვენი გიგო კოტე მარჯანიშვილის პირველი დადგმის—„ცხვრის წყაროს" რეჟისორობას რომელი

აკორდის ან ტაქტის შემდეგ უხდა შეეშვა სცენაზე ესა თუ ის პერსონაჟი ეს გიგოს ძალას აღემატებოდა ამ მხრივ გიგო შეცვალა სცენის ტექნიკის და მუსიკის კარგმა მცოდნემ ალექსანდრე გველესიანმა, რომელიც შემდეგში თვალსაჩინო დირიჟორი გახდა. გიგოს ძველი პიესების რეჟისორობა ჩააბარეს და თანაშემწედ დოდო ანთაძე დაუნიშნეს.

მარჯანიშვილის ინიციატივით გიგოს სასცენო მოღვაწეობის იუბილე გადაუხადეს. დადგეს გ. სუნდუკიანის „პეპო“, რომლის ერთ-ერთი როლიც სახელდობრ კაკულა იუბილარს ათამაშეს. სპექტაკლში მონაწილეობდნენ ძველი თეატრის ვეტერანები ვასო აბაშიძის მეთაურობით. გულთბილად მიულოცეს ამხანაგებმა იუბილარს და საჩუქრებიც მიართვეს. სპექტაკლი დამთავრდა. საზოგადოებამ მხურვალე ოვაციები გაუმართა სცენის პატარა, მაგრამ ერთგულ მუშაკს.

გიგო მოტყდა. გრძნობს რომ პრიმიტიულ ტექნიკაზე აღზრდილი სცენარიუსი თანამედროვე თეატრში ვერ იყარგებს. გულთბილად ეთხოვება საყვარელ მეგობრებს, აწ უკვე პერსონალური პენსიონერი გიგო. მაგრამ თეატრის სიყვარული ისე აქვს გამჯდარი ძვალსა და რბილში, რომ სცენას არ შორდება და პატარა კლუბებში მართავს წარმოდგენებს.

მიყვარდა გიგოსთან შეხვედრა, მისი ტკბილი საუბარი. რა გატაცებით მიამბობდა, თუ როგორი სადილი გამართა იუბილეს შემდეგ, როგორ დააფასეს სცენის ბუმბერაზებმა ვასო აბაშიძემ, კოტე მარჯანიშვილმა და სხვებმა.

დიდი ოპტიმისტი იყო გიგო და თანაც მეტად მოკრძალებული. არასოდეს არ დაიჩიცლებდა, არასოდეს ფულს არ დაგესესხებოდა და თავს არც დაგაპატიჟინებდა. სამასლაათოდ კი ხშირად გინახულებდა ხოლმე. ერთხელ როგორღაც დაღონებული შემოვიდა ჩემთან, ჩვეულებრივი ღიმილი არ იხატებოდა მის სახეზე.

— ჰა, რაშია საქმე, გიგო! ცხვირპირი რაზე ჩამოგტირის, სტატისტების სარდალთ სარდალო?—გავეხუმრე.

— ეჰ, საშაჯან, უბედური კაცი ვარ.

— რა იყო, გიგოჯან?

— ისეთი ბედის კაცი ვარ, მე რომ მექუდედ დავბადებულიყავ, ხალხი უთაოდ დაიბადებოდა,—თავისებური იუმორით მითხრა გიგომ და გადმომცა,—ჩემი მეუღლე ავადმყოფია და სამსახუ-

რიდან ამის გამო გაუთავისუფლებიათ. ერთი არჩა უნდა დაბიწეროო.

თხოვნა შევუსრულე, განცხადება დავუწერე, ამხანაგები დავიხმარეთ და მისი მეუღლე სამსახურში დავატოვებინეთ.

გიგო მაინც უთეატროდ ვერა ძლებდა. როცა მისი მეზობელი, მეგობარი და ყოფილი თანაშემწე დოდო ანთაძე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად და დირექტორად დანიშნეს, დოდომ გიგოს საწყობი ჩააბარა. გიგო გამოცოცხლდა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ისევ თეატრშია, თეატრით სუნთქავს.

თეატრის დირექტორს და საწყობის გამგეს ეროი გზა აქვთ. ყოველ ღამეს მანქანით ერთად ბრუნდებიან შინ.

— ჰა, გიგოჯან, კმაყოფილი ხარ შენი ახალი თანამდებობით?—ეკითხება დოდო.

— დოდოჯან, შენი მადლობელი ვარ, მაგრამ იცი რა გითხრა. იმ ერთი თქმისა არ იყოს: „მამა ხარაზი მყავდა და ნალბანდობას რა მრჯიდაო",—ჩემი საქმე არ არის ეს. მეშინიან არ ჩამაგდონ.

— რისა გეშინიან: გიგო?

— მეშინიან არ მომატყუონ ან წონაში ან ზომაში. ამას წინათ მკერავი მეუბნება--ერთ კაბაზე რვა მეტრი ფარჩა დაიხარჯაო. ღმერთი არ არის—რვა მეტრი?!

დოდო ამშვიდებდა, აფრთხილებდა, რომ ზუსტად აღერიცხა ყოველივე და თუ ვისმეს შეატყობდა რაიმე თაღლითობას, დაუყოვნებლივ ეცნობებინა დირექციისათვის.

კარგა ხანი გიგო არ მენახა. შემთხვევით გავიგე მისი ხანმოკლე ავადმყოფობის და გარდაცვალების ამბავი.

ცხოვრებაში უბრალო და მორიდებული ადამიანი ასევე უბრალოდ იქნა დაკრძალული. მსახიობთა მცირე რიცხვი მიაცილებდა ალალმართალ ადამიანს სამუდამო ადგილსამყოფელისაკენ. პროცესიას ძლივს მიჰყვება საშა იმედაშვილი თავისი მეგობრებით. გიგოს მახლობელი მსახიობი საშა თვარაძე ბუზღუნებს, რატომ დოდო არ ჩამოვიდაო.

საშა იმედაშვილი გაიძახის:

— თუ დეპეშა მიიღო, უეჭველად ცოცხალმკვდარი გამოჩნდება.

არც კი დაემთავრებინათ ლაპარაკი, რომ ქაქანით ვერის დაღმართთან პროცესიას შეუერთდა დოდო.

— აკი ვამბობდით, მოვაო,—თქვა საშამ და გულთბილად მიესალმა დოდოს.

თითო პეშვი მიწა მიაყარეს მეგობრებმა გიგოს საფლავს და იქვე გამომვლელ-გამვლელებთან თითო ჩიქით ამ სპეტაკ ადამიანის შესანდობარი დალიეს.

მას-ჯაათით დაეშვნენ ყველანი კუკიის სასაფლაოს დაღმართიდან. ხან ტკბილი თქვეს, ხან მწარე, ხან დასაღონებელი, ხან სამხიარულო. ასეთია ბუნება ყოველი ადამიანისა. მაგრამ რაც ითქვა, ის გიგოს ეხებოდა. ეს ერთი დღე გიგოსათვის იყო განკუთვნილი, და ეს პორტრეტიც ხომ გიგოს ეხება.

# ელო ანდრონიკაშვილი

1883—1956



საბედისწერო დასასრულს ყველა მოელოდა. დიდი ხანია სარეცელზე იყო მიკრული და სიკვდილს ებრძოდა. შერკინება სიკვდილის გამარჯვებით დამთავრდა. თოვლჭყაპიანი მარტის 13-ს შევიტყვეთ, რომ წინა ღამით ელო ანდრონიკაშვილი გარდაიცვალა. ვინც კი იცნობდა, ან გაეგონა ელოს არსებობა, ამ ამბავმა დაა. ღონა. მართალია, ელო დიდი ხელოვანი არ ყოფილა, მის გამოჩენას სცენაზე ამინდი არ შეუქმნია, ხალხი მსახიობს ვარდ-ყვავილებს არ უფენდა, ტაშის გრიალისაგან დარბაზი არ ზანზარებდა, მაგრამ მაინც უყვარდა ყველას. რად გვიყვარდა ასე ელო? ფაქიზი სულისათვის, სათნო ხასიათისათვის. რაოდენ კდემამოსილი უმწიკვლო იყო ელო! ამ პატარა ადამიანის მთელი არსება, მისი გული სამშობლოსათვის ძგერდა.

ხელოვნების მუშაკთა სახლში, სადაც ელოს ცხედარი ასვენია, პანაშვიდია. დიდძალ ხალს მოუყრია თავი. აქ შეხვდებით ხანდაზმულ ხელოვანთ, რომლებიც მხოლოდ იუბილეებზე და დაკრძალვაზე გამოდიან შინიდან. აქ არიან ელოს ნათესავები, მეგობრები. პანაშვიდზე მოსულან ისინიც, რომლებიც საზოგადოდ თავიანთ მოვალეობად თვლიან დაესწრონ ყველა მოღვაწის დაკრძალვას. აქ შეხვდებით ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს. ახალგაზრდა მსახიობნიც აქ არიან. წინაპართა ღვაწლის დაფასება სათანადოდ იცის ჩვენმა ახალმა თაობამ. დაიწყო პანაშვიდი. გაისმის შოპენის, ფალიაშვილის მელოდიები და ხალხი ცრემლად იფრქვევა. დარბაზში ტევა არ არის. შემოდის მშვენებით სავსე მოხუცი—ელოს ცხოვრების ხანგრძლივი თანამგზავრი, ოქროპირი შალვა. ყველამ გზა დაუთმო მოხუცს. კუბოს თავთან გაჩერდა შალვა. სად გაქრა ამ ადამიანისათვის დამახასიათებელი განუშორებელი ღიმილი? მის თვალებზე არასოდეს ცრემლი არ გვინახავს. დღეს რაღა ემართება? ჭუთუთოები რად დაუსველდა. რატომ ვერ იკავებს თავს. ვის არ მოჰკვდომია დიდი ხნის წინათ განშორებული მეუღლე, რომ ასე არ დაუტირნია. რა ემართება

შალვას? ყველა მას მისჩერებია. გათავდა პანაშვიდი. ხალხი დაი შალა. შალვა კი დგას კუბოსთან და ადგილიდან არ იძვრის. მეგობრები, უახლოვდებიან მოხუცს და ცდილობენ დარბაზიდან გაიყვანონ. შალვამ თავი მაღლა ასწია და სთხოვა მეგობრებს მარტო დამტოვებოო. დგას მოხუცი კუბოსთან და იცრემლება. ხმას არ იღებს, არ მოთქვამს. ვაჟკაცს არც სჩვევია მოთქმა და გოდება, არ კვნესის, მაგრამ გრძნობთ, რომ მძიმე ფიქრებს მისცემია. მისნაბა არ არის საჭირო. რომ შალვას გულში ჩავიხედოთ, და შევიტყოთ მისი ფიქრები. იპინი ხომ ორივენი ერთ სარბიელზე შეხვდნენ ერთმანეთს. ერთის აზრით გამსჭვალულებმა ხალხის სამსახური დაისახეს მიზნად. ორივენი ხომ ერთ სანუკვარ ჰაპანში შეებნენ და ვალად იდეს მძიმე. მაგრამ მეტად სასარგებლო ტვირთის ზიდვა. თეატრი—აი მათი წმიდათა-წმიდა. ბახრი კალამი და ცოცხალი სიტყვა, აი მათი სახნის-საკვეთი. იშვიათია უღელში ასეთი ტოლთა შეხვედრა. 19 წელიწადს ერთად სწიეს ჰაპანი, ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ წაუბორძიკებიათ და არჩეული გზისათვის არ უღალატნიათ. მეუღლენი ერთმანეთს დაშორდნენ. რა იყო მიზეზი, ეს ჩვენ არ ვიცით და არც გვაინტერესებს, მაგრამ ერთმანეთის მზეს რომ ფიცულობდნენ შემდეგშიაც, ეს კი უდავოა. შეჰყურებთ კუბოსთან მარტო მდგომარე მოხუცს და გახსენდებათ თეატრის ენთუზიასტის ელოს ცხოვრების განვლილი გზა.

არისტოკრატთა ოჯახის შვილი, ნებიერად აღზრდილი, საფრანგეთის სორბონის უნივერსიტეტის მსმენელი, მასწავლებლობის მოწმობით აღჭურვილი თავის ბედს თეატრს უკავშირებს და არჩეულ გზას სიკვდილამდე არ ღალატობს. მას არ აშინებს მსახიობის მწარე ხვედრი, ხანმოკლე სეზონი, უმუშევრობა, შიმშილწყურვილი. ძველი რევოლუციამდელი თეატრის მსახიობი და შიმშილი,—ეს ხომ განუყრელი სინონიმები იყო. სამაგიეროდ მაყურებლის სიყვარული, დაფასება, მოწონება. განსაკუთრებით როცა ის ქართულს ცეკვავდა! ცეკვამ გაგვახსენა ერთი ამბავი. 1905 წელია. პარიზში დანიშნულია კავკასიური საღამო. მომღერალთა ქართულ გუნდს მიხეილ ქორელი ხელმძღვანელობს. საღამოს დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო. დამსწრეთა შორის იმყოფება სახელგანთქმული ბალერინა პეტიპა. კოწო ანდრონიკაშვილთან ბალერინა პეტიპამ ქართული იცეკვა და დამსწრეთა აღფრთოვანება გამოიწვია. ვარდ-ყვავილებით და თაიგულებით აავსეს იგი. პეტიპას შემდეგ კოწო ანდრონიკაშვილმა საცეკვაოდ გამოიწვია ელო.

გათავდა ცეკვა და დარბაზში მჭუხარე ტაში ატყდა. ყველაზე მეტად აღფრთოვანებულია პეტიპა. მივიდა ელოსთან, გადაკოცნა და უთხრა: „ძვირფასო პატარა ქართველო ქალო, მაჯობეთ და ძალიან მიხარია, რომ მაჯობეთ, რადგან თქვენი ცეკვა სინამდვილეა, გულწრფელი ჯანცდა. ნება მიბოძეთ ეს მშვენიერი თაიგული თქვენ გადმოგცეთ, ეს თქვენ უფრო გეკუთვნით, ვიდრე მე". ამ სიტყვებით კვლავ გადაეხვია ელოს. მთელი დარბაზი ტაშის გრიალით შეხვდა ამ სცენას.

მოწონება პიესებშიც დაუმსახურებია ელოს. ვისაც უნახავს ელოს ლუბა მაქსიმ გორკის „უკანასკნელებში", ლიდია ლეონიდ ანდრეევის „გაუდეგამუსში", რუქაია ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატში", — ის განა როდისმე დაივიწყებს ამ მსახიობს? თეატრალურ ლიტერატურაში დამკვიდრებულია აზრი, რომ „დარისპანის გასაჭირში" ნატალია ჯავახიშვილის მიერ შექმნილი კაროჟნა განუმეორებელი სახეა და კლასიკურ შედევრთა რიცხვს მიეკუთვნებაო. ეს მართალია. ჯავახიშვილის კაროჟნა გხიბლავდათ თავისი მხატვრული სრულყოფით.

მაგრამ როდესაც ელოს კაროჟნას უყურებდით, პირდაპირ გასაჭირში ვარდებოდით, როგორ წარმოგეთქვათ, რომ ელოს კაროჟნა არ ჩამოუვარდებოდა ნატალიას კაროჟნას. ვერ ბედავდი იმიტომ, რომ გეშინოდათ, მკრეხელობად არ მიეჩინათ ეს.

მარტო მსახიობობით როდი კმაყოფილდებოდა ელო. ის ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა, წერდა მოთხრობებს, პიესებს, თარგმნიდა. ელო ანდრონიკაშვილი მხურვალე მონაწილეობას იღებდა საბავშვო წარმოდგენების მოწყობაში.

ცხოვრების „პრაქტიკული" ნიჭით ელო თავის მეუღლეს არ ჩამოუვარდებოდა და ზოგჯერ სჯობნიდა კიდეც. ფულის ყადრი არც ერთმა იცოდა და არც მეორემ.

1923 წელს შალვა დადიანს საიუბილეო მოგზაურობა ჰქონდა მთელ საქართველოში. ამ დროს გავიცანი მეუღლენი და ერთხელ სახლში ვეწვიე. შალვამ მაჩვენა ის საჩუქრები, რაც მიიღო და განმიცხადა — მთავრობამ და მოსახლეობამ ამ იუბილეით უზრუნველგვყვესო. მე იმდენი მაქვს, რომ შემიძლია მთელი ათი წლის განმავლობაში არ ვიმუშაო. ჩავუჯდები და მხოლოდ მწერლობას მიეყოფ ხელსო. ექვსი თვის შემდეგ კვლავ ვეწვიე მეუღლეთ და

რას ვხედავ: ყველა ნივთი ოქრო თუ ვერცხლი გაეყიდათ და მაინც უკაპიკოდ ისხდნენ.

მეუღლენი დაშორდნენ ერთმანეთს. ელომ განაგრძო დასებში მუშაობა. 1935 წელს ელომ ფეხი მოიტეხა. დაინვალიდდა და თავის საყვარელ სცენას გამოეთხოვა.

მაგრამ თეატრთან კავშირი არ გაუწყვეტია. რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების შეკვეთით გადათარგმნა ა. ოსტროვსკის „ულანაშაულოდ დამნაშავენი", „უპზითვო" და სხვ.

შეხვედრისას ელო შალვას ამბებს კითხულობდა და უხაროდა მისი პიესების „კაკალ გულში", „ნაპერწკლიდან", „თეთნულდის" წარმატება. საკვირველი იყო, რომ არასოდეს არ გაუკილავს შალვა, ოჯახიდან წასვლის გამო ცუდად არ უხსენებია.

— ოქროა, ოქრო შალვა, მაგრამ სუსტი ნებისყოფისაა, ის ნამდვილი ბოჰემაა, ოჯახისთვის არ არის შექმნილი შალვა,—იძახდა ელო და თვალზე მომდგარ ცრემლს იწმენდდა.

მაგრამ განა ის კი იყო ოჯახისათვის შექმნილი! ორიენესათვის თეატრი იყო ოჯახი, სხვა ყოველივე კი დავიწყებული.

ელოს დაკრძალვიდან ერთი კვირა გავიდა. თეატრალურ საზოგადოებაში, რომლის თავმჯდომარეც შალვა არის, დილაადრიან მოდის და ბუხჰალტერს უხმობს:

— გენაცვა, წადით ვაკის სასაფლაოზე. ელოს საფლავს ცოკოლი გაუკეთეთ. ხარჯებს ნუ მოერიდებით. ყოველივეს მე გადავიხდი—და თან ცრემლი სდის შალვას.

სიცოცხლის და სიხარულის მოტრფიალე შალვას სასაფლაოზე სიარული არ უყვარს. მხოლოდ ხანდახან, როცა კაეშანი შეიპყრობს მოხუცს, მძღოლს სთხოვს ვაკეში წამიყვანეო.

ავტომობილი სასაფლაოს ჭიშკართან დგას. მძღოლს კაბინაში სძინავს. ელოს საფლავთან კი მოხუცი დგას და იცრემლება...

# სანდრო ყაზაბეგაშვილი

1883—1937



მოხდენილი სცენიური გარეგნობა, ხავერდოვანი ხმა, საუცხოო მეტყველება, ბობოქარი ტემპერამენტი, იშვიათი შრომის მოყვარეობა მსახიობ სანდრო ყალაბეგაშვილს სცენაზე გამარჯვებას ანიჭებდა. მისი ნიჭის თაყვანისმცემელნი სანდროს გიგო ტეტიაშვილს იოსებ გედევანიშვილის „მსხვერპლში“, ონუფრის ლეონიდ ანდრეევის პიესაში „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ მხატვრული სრულყოფით გიორგი იშხნელის მიერ განსახიერებულ ამ პერსონაჟებს ამჯობინებდნენ. ბევრნი სანდრო ყალაბეგაშვილის ოთარ-ბეგს „ღალატში“ ვალერიან გუნიას ოთარსაც კი უტოლებდნენ. რას იზამთ. მსახიობის თამაშით გატაცებას ხშირად ადამიანი თავდავიწყებამდე მიჰყავს. საერთოდ სიყვარული ხშირად ლაჩარს დევგმირად მოგაჩვენებთ, ჯოჯოს მმეენიერ არსებად. გვარიან მსახიობს ლადო მესხიშვილად. რასაკვირველია, სანდროს ოთარბეგი ვალერიან გუნიას ოთარბეგს ვერ უტოლდებოდა, ისევე როგორც იშხნელის გიგო ტეტიაშვილს და ონუფრის. მაგრამ ამ როლების განსახიერებისას სანდრო რომ გხიბლავდათ და ესთეტიკურ სიამოვნებას განიჭებდათ, ეს კი უდავოა. პირადად მართლაც მოჯადოებული ვიყავით სანდროს მოხუცი იაპონელით „ტაიფუნში“, მოგეწონდა სანდრო შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფეში“ მისი გიორგი სააკაძე და აღტაცებული ვიყავით შალვა დადიანის პიესაში „გუშინდელნი“ ყალაბეგაშვილის განსახიერებული ბოქაულის როლით.

1928 წელს სანდროსთან ერთად მომიხდა მუშაობა ეგრეთწოდებულ მუშათა თეატრში. დასში მსახიობებზე მეტი რეჟისორები იყვნენ: მიხეილ ჭიაურელი, ვახტანგ აბაშიძე, დოდო ანთაძე, შოთა აღსაბაძე, გრიგოლ სულიაშვილი და გიორგი ჯაოშვილი. ამ ახალგაზრდა რეჟისორებს დიდ დახმარებას უწევდა როგორც მრჩეველი კოტე მარჯანიშვილი. კოტე ამ დროს რუსთაველის თეატრიდან წასული იყო და კინოში მუშაობდა. თეატრში თვალსაჩინო მხატვრები და კომპოზიტორები მუშაობდნენ. დასიც საუკეთესო ძალებისაგან შედგებოდა ალექსანდრე იმედაშვილის მეთაურობით. გადაწყდა—სეზონი გიორგი ერისთავის „გაყრით“ გაეხსნათ. დადგმა

შოთა აღსაბაძეს მიენდო. სანდროს ანდუყაფარის როლი დაეკისრა. არჩევანი საუცხოო იყო. დასში მასზე უკეთესი ანდუყაფარი არ მოიძებნებოდა. შეუდგნენ სამზადისს. მეორე რეპეტიციაზე სანდრომ როლი ზეპირად იცოდა და მოკარნახე არ სჭირდებოდა. მაგრამ მალე შემჩნეულ იქნა ბრძოლა მსახიობსა და რეჟისორს შორის. პიესის მონაწილე ყველა მსახიობი რეჟისორის მითითებას ასრულებს, სანდრო კი ეურჩება, ბუზღუნებს და არ აკეთებს იმას, რასაც ავალებენ. სანდრო რეჟისორის გააზრებას არ იზიარებს, ძველი სკოლის მსახიობი ვერ ურიგდება ამ პერსონაჟის გროტესკულად წარმოსახვას, ცდილობს ათადანბაბადან დაკანონებულს არ ასცდეს. შესვენებისას სხვა რეჟისორებთან მომუშავე მსახიობებმაც შეიტყვეს ძორიგი კონფლიქტი და კამათში მონაწილეობა მიიღეს.

ახალგაზრდობა გატაცებული ყოველგვარი მიმართულებებით სანდროს ამტყუნებდა. მაგრამ დახეთ სანდროს სიყრმის მეგობარმაც კი არ გაიზიარა მისი მოსაზრება და უთხრა.

— ჩემო მეგობარო! არა ხარ მართალი. კონტრაქტზე ხელი გიწერია, პირველ ჯამაგირს იღებ, გევალება, რასაც რეჟისორი გიბრძანებს, დაემორჩილო. რეჟისორმა რომ გითხრას სცენაზე ყირამალა შემოდიო, უნდა შემოხვიდე—თავისებური ჰუმორით ამბობდა მსახიობი.

სანდროს ხმა არ ამოუღია, ბუზღუნით დატოვა შეკრებულობა და წავიდა. მეორე დღესვე თეატრის ხელმძღვანელობას ჩააბარა განცხადება დასიდან გასვლის შესახებ. ეს ამბავი მთელ დასს ეწყინა.

სანდრო თეატრს აღარ გაჰკარებია. მეგობრებსაც კი ჩამოშორდა. რატომ გადადგა სანდრომ ასეთი ნაბიჯი? მას ხომ არავითარი დანაზოგი არ ჰქონდა და არც იმ მასშტაბის მსახიობი იყო, რომ გასტროლიორობა დაეწყო და თავი ერჩინა. აი კითხვა, რომელიც პასუხს მოითხოვს და საქციელი სანდროს პრინციპულობას რომ გვიჩვენებს.

თხრობა ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ. ვერცერთ ჰეშმარიტ შემომქმედს მიღწეული ვერ აკმაყოფილებს და დაუსრულებლივ ძიებაშია. ბედნიერება სწორედ ეს ძიებაა. რა კარგად აქვს გადაწყვეტილი ეს საკითხი ბელგიელ მწერალ მორის მეტერლინკს თავის ზღაპარ ფერიაში „ლურჯი ფრინველი". ბავშვები სიზმარში ლურჯი ფრინველის საძებნელად წავიდნენ. რა დაბრკოლება არ

გადალახეს, მიზანს მიაღწიეს და ლურჯი ჩიტი იპოვნეს. მაგრამ დახეთ, ეს ნანატრი უცხო რამ ფრინველი ჩვეულებრივ ჩიტად იქცევა. ასევეა ხელოვანი. ის ეძებს დაუსრულებლივ, ამ ძიებაში პოვებს ბედნიერებას, მიღწეულს არასოდეს არ სჯერდება და განაგრძობს წინსვლას ახალი პოზიციების დასაპყრობად. თეატრის მაგალითებით დავადასტუროთ ეს დებულება. ვინ აღნუსხავს რამდენი ბრძოლა დასჭირდათ რუსეთის თეატრის ნოვატორს მიხეილ შჩეპკინს და მის თანამებრძოლებს განემტკიცებინათ რეალისტური თეატრი. მიზანი მიღწეული იქნა. შჩეპკინის სახლით (ასე ეწოდება მცირე თეატრს) ამაყობდა მთელი პროგრესიული რუსეთი. და აი, სამოქმედო ასპარეზზე გამოდის კონსტანტინე სტანისლავსკი, ის მოხიბლულია მცირე თეატრის სპექტაკლებით, მაგრამ მაინც განაგრძობს ძიებას და სიახლის შეტანას ლამობს. კ. სტანისლავსკის და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს მიერ შექმნილი სამხატვრო თეატრი ამის მაგალითია. მთელ მსოფლიოში სახელი გაითქვა სამხატვრო თეატრმა, მრავალი მიმდევარი გაიჩინა. ამ თეატრში მუშაობა ყველა ხელოვანს ბედნიერებად მიაჩნია. ზენიტში იმყოფება თეატრი. მაგრამ აი მისივე ყოფილი მუშაკები მსახიობი ვ. მეირხოლდი და რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი ახალ გზებს ეძებენ და თავიანთ საკუთარ თეატრებს ქმნიან. მხოლოდ ერთ სეზონს იაოსება კ. მარჯანიშვილის სინთეტიკურმა თეატრმა, მაგრამ მის ნანგრევებზე ახალი ძალები აღმოცენდნენ და ძიება განაგრძეს. თვით კ. სტანისლავსკი დააკმაყოფილა თუ არა მიღწეულმა? არა. სიმბოლიზმი, მისტიციზმი და სხვა ამგვარი იზმები სამხატვრო თეატრშიაც შეიჭრა. თვით დიდი რეჟისორი სტანისლავსკი დგამს სიმბოლისტურ პიესებს და ამ დაცემულობას ხარკს უხდის კ. სტანისლავსკის, კოტე მარჯანიშვილის, ვ. მეირხოლდის სიდიადე იმაში იყო რომ, ისინი ხარკს უხდიდნენ რა მოდერნისტულ, დეკადენტურ და საზოგადოდ სხვა ანტიხალხურ მიმართულებებს, თავიანთ ნამუშევარში მაინც დიდ ოსტატობას ააშკარავებდნენ. ავიღოთ მაგალითად კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმული ოფენბახის „მშვენიერი ელენე" „თავისუფალ თეატრში", „არსენას ლექსი" თავის სახელწოდების თეატრში, ვ. მეირხოლდის „მასკარადი" ლენინგრადში, შემდეგ ა. ოსტროვსკის „ტყე", გოგოლის „რევიზორი" და სხვა. ჯანა ესენი არ ააშკარავებდნენ რეჟისორთა უშრეტ ფანტაზიას და დიდ ნიჭს? თუ ასეთი ხელოვანნი ძიების დროს რეალიზმის გზას სცილდებოდნენ, რა გასაკვირველია რომ ახალგაზრ-

და დამწყები რეჟისორები სიახლის ძებნაში უკიდურესობაში ვარდებოდნენ. ჩვენს თეატრებში კონსტრუქტივიზმის დროს ბუნებრივი იყო, რომ რეჟისორმა მოსთხოვა მსახიობს მაგიდაზე შეხტომა და მონოლოგის ისე წარმოთქმა. სანდრომ პრინციპულად არ ქნა ეს და ირჩია უანგაჟემენტოდ დარჩენა. თქვა და შეასრულა. შეიძლება სანდროს საქციელი ბევრმა მის ჩამორჩენილობას ნიაღწერა და კონსერვატორის იარლიყი მიაკრა. ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ სანდრო მართალი იყო. რეალიზმი აი ხელოვნების ერთადერთი გზა.

სანდრო თითქმის არავის ეკარებოდა. ჩემთანაც უკლო სიარულს. ერთ-ერთი პრემიერის შემდეგ შემთხვევით შემხვდა ქუჩაში. შემამჩნია, მაგრამ აპირებდა გვერდზე ჩავლას. მე შევაჩერე და გამოველაპარაკე.

— ქურციკებივით გახტუნავებენ ოცხელის დაზგებზე. პ. ოცხელი და ს. ვირსალაძე მხატერებად იყვნენ ამ სეზონში და კონსტრუქტივიზმს ეს ახალგაზრდები დიდ ხარკს უხდიდნენ.

— ახ, სად არის აბელა.* სწორედ იმის ათვის არის ეგ დეკორაციებიო—თქვა მწარედ სანდრომ.

დავშორდით. სად ათევდა ღამეს, არავინ იცოდა. როცა შალვა დადიანმა განიზრახა ჯეთეატროდ დარჩენილ მსახიობთა შეკრება, მთელი ხუთი დღე დაეძებდნენ სანდროს. შალვას მიერ დაარსებულ დასში გულმოდგინედ დაიწყო მუშაობა სანდრომ. ის ხომ შალვა დადიანის მოგზაური დასის პრემიერი იყო 1911—12 წლებში.

ძველი მსახიობების დასმა სულ სამი სპექტაკლი დადგა. ა. გრიბოედოვის „ქართული ღამე", დ. მეგრელის „მწირი სარდალი" და შალვა დადიანის „გუშინდელნი". ამ უკანასკნელში სანდრომ შეასრულა პატარა ეპიზოდური როლი ბოქაულისა და ისეთი შთამბეჭდავი სახე შექმნა, რომ დღესაც ცოცხლივ თვალწინ მიდგას.

დასი მალე დაიშალა და სანდროც კვლავ უსაქმოდ დარჩა.

ძველ თვალსაჩინო მსახიობთაგან ერთადერთი სანდრო იყო უსაქმოდ. თვითონ არ თხოულობდა დასში ჩარიცხვას და მოპატიჟეებიც არ მოსდიოდნენ.

გავიდა წლები. ქუთაისიდან მარჯანიშვილის თეატრი თბილისში გადმოვიდა და დიდი წარმატებითაც მუშაობდა. ერთი პატარა ჯგუფი ამ თეატრს გამოეყო და ქუთაისში დაიწყო მუშაობა. ქუთაისის თეატრის დირექციამ მთხოვა მეთარგმნა მათთვის ვ. კირშო-

* ორჩხოფეხებზე ცნობილი მოსიარულე.

ნის „სასამართლო“ და ა. კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა“. დავალება შევასრულე. ვ. კირშონის „სასამართლოს“ პრემიერაზე დამპატიჟეს. ქუთაისში გაემგზავრე. იქ შეხვედი დიდი ბნის უნახავს სანდროს. მისი დანახვა გამიხარდა. სამი წელიწადი არ მენახა და არც ვიცოდი, რას აკეთებდა. ერთად ვისადილეთ. წამიყვანა და თავისი პატარა კლუბი მაჩვენა. მეჩუსტეთა კავშირს ჰქონდა ერთი პატარა დარბაზი, სადაც ვაივაგლახით 60 კაციც ძლივს დაეტეოდა და—აი თვეში თითო ვოდევილს ვუდგამ და ჩემი საქმიანობა ამით ამოიწურებაო, მითხრა სანდრომ. ეტყობოდა რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ უჭირდა. იმ ღამეს პრემიერას დავესწარი. სანდრო თეატრში არ მოსულა. დილას სასტუმროში სანდრომ მომაკითხა და გადმომცა ის, რის თქმაც წინადღით ვერ გამიბედა.

— ხუთი წელიწადია ასე დავიარები. ძალიან მიმძიმს, მაგრამ უნდა მიშუამდგომლო დირექციასთან—მიმიღონ დასში. სინს მაინც გამოვიტან სცენაზე. ამბობდა ამას სანდრო და თან ცრემლი სდიოდა. ვგრძნობდი რომ ლომი დამარცხებული, განადგურებული იყო. მას ბრძოლის თავი აღარ ჰქონდა.

თეატრში წავედი. დიდხანს ველაპარაკე რეჟისორს, დასის პრემიერებიც იქ იყვნენ. ყველამ კატეგორიული უარი განაცხადა. ჩვენ მხოლოდ ძველი მსახიობებიდან ნუცა ჩხეიძე გვყავს და ნინო წინამძღვარი. სანდრო ყალაბეგაშვილი რომ მივიღოთ, იუზას რაღას ვემართლებით და სხვებს. დაშარცხებული გამოვედი თეატრიდან. სანდრო სასტუმროსთან მიცდიდა. სახეზე შემატყო, რომ კარგი მახარობელი არ ვიყავი.

სადგურზე მხოლოდ სანდრომ გამომაცილა. ისე წამოვედი ქუთაისიდან, რომ მასპინძლებს არც გამოვემშვიდობე.

ერთი წლის შემდეგ სანდრო თბილისში ჩამოვიდა. კინოში დაიწყო მუშაობა. ხშირად დაიარებოდა ჩემთან, მაგრამ ისე გარინდებული იჯდა, რომ მთელ საღამოს ორ სიტყვასაც არ იტყოდა. მსახიობებს სჩვევიათ, თუ საჯაროდ არა, ვიწრო მეგობრულ წრეში მაინც თავიანთ გამარჯვებებზე ლაპარაკი, ამ მხრივაც სანდრო გამოირჩეოდა. მე არ მახსოვს, რომ მას როდისმე ეთქვას, ესა თუ ის როლი წარმატებით შევასრულეო. ჩვენ კი ვიცოდით, რომ ბათუმში შალვა დადიანის მიერ ჩამოყალიბებულ „მოგზაურ დასში“ სანდროს დიდი მოწონება ჰქონდა. როდესაც აფიშაში გამოცხადდებოდა, დივერტისმენტში ნიკოლოზ ჩაგუნავა, სანდრო ყალაბეგა-

შვილი და პლატონ კორიშელი იმღერებენო, სალაროსთან დიდი რიგი ჩნდებოდა და ბილეთებს პირდაპირ იტაცებდა ხალხი. აი ასეთი თვალსაჩინო მსახიობი გაებუტა თეატრს გროტესკისა და კონსტრუქტიულ დეკორაციების გამო. გაებუტა და თეატრიდან გაიქცა, ერთხელ „მოინანია" ცოდვა, დამარცხდა მაგრამ მალე მოიკრიბა ძალღონე და რეალისტური თეატრის ერთგული დარჩა. სანდრო მართალი გამოდგა. კონსტრუქტივიზმი, სიმბოლიზმი, და სხვა ათასგვარი იზმი ისტორიას ჩაბარდა. ჩვენს თეატრებში კვლავ რეალიზმი გამეფდა. სანდროსათვის ყველა თეატრის კარები ღია იყო. დიდი ხელოვანნი სიამოვნებით ეპატიჟებოდნენ, მაგრამ სან დროს მუშაობა აღარ შეეძლო. ავადმყოფობამ დარია ხელი და უდროოდ მოუსპო სიცოცხლე ამ პატარა, მაგრამ რეალისტური ხელოვნების მედგარ დამცველს. პრინციპული, უანგარო და ფაქიზი სანდრო ღირსია გახსენებისა.

# ნიკო გვარაძე

დაიბ. 1883



ნიკო გვარაძის პორტრეტი მისი სცენიური გარეგნობით დავიწყოთ. „თვალი სჭამს ხილსაო“ უთქვამს ჩვენ ხალხს. მოდით თვალს ნუ დავხუჭავთ, პირდაპირ ვთქვათ—ნიკო გვარაძის სცენიური გარეგნობა სახარბიელო არ იყო. პატარა ტანი, ჩაყვითლებული ნაყვავილარი სახე, მოციცქნული ცხვირი და ვიწრო თვალები ნაკლებ შთაბეჭდილებას ტოვებდა. რეცენზენტებიც, რომლებიც ყოველთვის კარგ შეფასებას აძლევდნენ ნიკო გვარაძის თამაშს, აღნიშნავდნენ მსახიობის პატარა ტანსა და არახელსაყრელ გარეგნობას.

ნიკო გვარაძის პატარა ტანმა ერთი ამბავი გაგვახსენა.

ზაფხულის სეზონი გვაქვს საგარეჯოში. ჩვენი თეატრის მეგობარმა ინჟინერმა შალვა გულისაშვილმა მთელი დასი თავისი სტუმრებით დაპატიჟა. ნადიმი პირდაპირ სანაქებო იყო. სუფრაზე არიან ალექსანდრე იმედაშვილი, ნიკო გვარაძე, შაქრო გომელაური, გიორგი ფრონისპირელი (ყიფშიძე), პოეტი დ. ცვარანამი, მამუკა ამაშუკელი და სხვ. სუფრას ხელმძღვანელობს მამუკა. არის მხიარულება, ექსპრომტები, სიმღერა, ლამაზი სიტყვები და ქართული სუფრის ყველა ატრიბუტი. ნიკო გვარაძემ სიტყვა ითხოვა. თამადისაგან დასტური მიიღო, წამოდგა და პათოსით დაიწყო.

მეგობრებო! მე მინდა ამ ჭიქით შევსვა...

უცბად თამადა აწყვეტინებს ორატორს სიტყვას და მენტორის ტონით ეუბნება.

მიკვირს პატივცემულო ნიკო! რად დაიწყეთ ქართული სუფრის ტრადიციები. რად არღვევთ მამაპაპათა მიერ დაკანონებულ წესრიგს.

— რას ვარღვევ! მე სიტყვა გთხოვეთ, დასტური მივიღე. რა დავაშავე?! წყენით იძახის ნიკო.

— ეგ ყოველივე მართალია, უპასუხებს თამადა, მაგრამ რატომ არ აქცევთ ყურადღებას ამ შეკრებილ საზოგადოებას, პა-

ტივცემულ მანდილოსნებს. ვიმეორებთ რად არღვევეთ წესს და სიტყვის დროს რატომ არ წამოდექით და დამჯდარმა რად დაიწყეთ ლაპარაკი.

— მერე და ფეხზე არ ვდგევარ, სასოწარკვეთილებით ამბობს ნიკო და საცოდავად გადმოგვხედა ყველას.

— ახ უკაცრავად. დამნაშავე ვარ. დამნაშავე შევცდი თქვა მამუკამ და სუფრის წევრებთან ერთად ნიკომაც დაიწყო ხარხარი

სამაგიეროს გადახდა მოინდომა ნიკომ და გვამცნო, სერგი ერისთავმა მითხრა—მამუკა ისეთი ჭკუასტყუილაა, რომ დილა მშვიდობისა თუ გითხრა, ცას უნდა შეხედო მზე კაშკაშებს თუ ვარსკვლავები ბრწყინავენო.

და აი ეს პატარა თამამად შეიძლება ითქვას ულამაზო ადამიანი სცენაზე გამოსვლისთანავე გიტაცებდათ და გავიწყებდათ თავის გარეგნობას. რა იყო ამის მიზეზი? გავიხსენოთ კ. სტანისლავსკის ერთი მოსაზრება: „არიან აქტიორები, რომლებიც არავითარი მომხიბვლელობით არ არიან დაჯილდოებულნი, მაგრამ როცა კი გრიმს გაიკეთებენ და თავიანთ ბუნებრივ თვისებებს დაფარავენ „სცენიური მომხიბვლელები ხდებიან. აქ ის როგორც ადამიანი კი არ გიზიდავთ, არამედ გიტაცებთ მისი შემოქმედებითი მომხიბვლელობა. თვით მათს შემოქმედებაში იფარება რაღაც სინაზე, სიფაქიზე, გრაცია ანდა შეიძლება გამბედაობა, მცხუნვარება, კადნიერება, სიმართლე, რაც ხიბლავს მაყურებელს („К. С. Станиславский. „Работа актера над ролью". изд. 1955 г., стр. 234—235).

ნიკოს წარმატების მთავარი მიზეზი გახლდათ „შემოქმედებითი მომხიბვლელობა". ამას კი ზედ ერთვოდა სითბო, დიდი შრომისმოყვარეობა, კულტურა. შეიძლება, ვინც კი იცნობს ნიკოს ცხოვრებას, შემომედავოს, რა კულტურაზე ლაპარაკობთ, როცა მას ორი კლასის განათლებაც არა აქვსო. ეს მართალია, ნიკო გვარაძე სათავადაზნაურო სკოლის მეორე თუ მესამე კლასს ვერ გასცდა, მაგრამ მარტო სკოლა როდი იძლევა განათლებას. ნიკო ყმაწვილობიდანვე დაეწაფა ლიტერატურას, ისტორიას. ამ გზით გულმოდგინედ იძენდა ცოდნას და წარმატებასაც მიაღწია. წიგნისადმი ეს დიდი ინტერესი მას დღესაც შერჩენილი აქვს. როცა კი ნიკოს მოუხდებოდა ხოლმე კლასიკურ პიესაში თამაში, უნდა

გენახათ როგორ სწავლობდა იმ ეპოქას რაც ასახული იყო პიესაში. საკვირველი ის იყო, რომ კლასიკურ პიესებში მას არასოდეს მთავარი როლი არ ჰქონია დაკისრებული. ჰამლეტში" პირველი აქტიორი, „ლირში" მასხარა, „ოტელოში" როდერიგო და ა. შ. მიუხედავად ამისა, „ჰამლეტის" დადგმისას ბ. ბელინსკის წერილებს ეცნობოდა მოჩალოვზე, შექსპირის პიესების ჰაინეს შეფასებას და ა. შ. დასის წევრები ხშირად ეკითხებოდნენ „ენციკლოპედისტ" ნიკოს, როგორ აფასებს ბელინსკი მოჩალოვს. რა თქვა გარიკის ჰამლეტზე ჰაინემ და სხვ. ბევრს უკვირდა, რისთვის სჭირდება ნიკოს ყველა პერსონაჟის ბიოგრაფიების ასე დეტალურად შესწავლაო. მაგრამ ნიკო რომ მართალი იყო, აი ამის ერთი პატარა მაგალითი. 1911 წელს ქართულმა დრამატულმა დასმა ისარგებლა ლადო მესხიშვილის თბილისში ყოფნით და განიზრახა შექსპირის „იულიოს კეისრის" დადგმა. სამხატვრო თეატრის ისტორიიდან ვიცით, რომ ეს თეატრი შეუდგა რა ამ ტრაგედიის მზადებას, რომში გაემგზავრნენ ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო და მხატვარი ვ. სიმოვი. ადგილობრივ ეცნობოდნენ რომაელთა ცხოვრებას, სწავლობდნენ ძველ ძეგლებს, დაიარებოდნენ მუზეუმებში, ათვალიერებდნენ ფორუმებს და სხვ. ქართულ თეატრს ამის საშუალება სად ჰქონდა. რეჟისორს ათ დღეში უნდა მოემზადებინა ეს რთული ტრაგედია.

საჭირო იყო სცენის მუშაკნი აღჭურვილი ყოფილიყვნენ ისეთი კულტურით, რომ დაეძლიათ ყველა დაბრკოლება და პირველ რიგში ისტორიული სინამდვილე არ დაემახინჯებინათ.

რეჟისორის თანაშემწემ გ. იორდანიშვილმა დაუძახა ნიკოს და ანტონიუსის როლი გადასცა. ნიკომ როლი უკან დააბრუნა. ყველას გაუკვირდა დისციპლინიანი ნიკოს ურჩობა. იხმო რეჟისორმა. გაიმართა ორთაშორის საუბარი. ნიკომ დიდი მადლობა გადაუხადა რეჟისორს ასეთი ნდობისათვის, მაგრამ დასძინა, ჩემ ტანადობას, ჩემ ხმას რომაელთა მასების გმირის ანტონიუსის როლი არ შეეფერებაო. ნიკოს მოსაზრება გაიზიარეს. რა ქნან, ვის მიანდონ ანტონიუსის როლი. შესაფერისი ცხახიობი გამოძებნეს, ვიქტორ მატარაძე. უკანასკნელმა ლადო მესხიშვილთან ერთად ამ ტრაგედიაში თავი იხახელა. ნიკოს ალაგას სხვა რომ ყოფილიყო, სიხარულით აიღებდა მომგებიან როლს. და საკვეხურად ექნებოდა ეს. ნიკო ასეთ მცდარ გზას როდი ადგა. მას არ სჩვეოდა როლის

„აჩბულბულება“, ყოველ როლს, დიდი იყო თუ პატარა, ერთნაირი სერიოზულობით ეკიდებოდა. რამ მიიყვანა თეატრში ნიკო! სცენის იმ დიდმა სიყვარულმა, რომლითაც ხშირად „დაავადებიან“ ხოლმე. ეს „სენი“ სხვა ავადმყოფობისაგან იმით განირჩევა, რომ იგი უფრო ახალგაზრდებს ეტანება. არის შემთხვევები, როცა ხანდაზმულნიც დააავადდებიან, თმობენ ყოველივეს და სცენის მსახური ხდებიან.

ნიკოს მამა ბაზაზი სოლომონი რეალური სასწავლებლის მეოთხე კლასიდან იყო გამოსული. სხვა მაშინდელ ვაჭრებთან განსხვავებით სერთუკითა და სმოკინგით დადიოდა და თეატრის ხშირი სტუმარიც გახლდათ. ზედმეტი სახელების შერქმევა ძველად ძალიან გავრცელებული იყო და ნიკოს მამასაც ნასწავლ სოლომონას ეძახდნენ, გვერდზე მოვაჭრე სოლომონ ანუაშვილს უფულო სოლომონასა და ა შ. სოლომონს სწავლის ძალა ესმოდა და თავის პირმშოც გიმნაზიაში მიაბარა.

მალე სოლომონი გარდაიცვალა. ოჯახი დიდ გაჭირვებას განიცდიდა. დედამ სკოლიდან დათხოვნილი შვილი აფთიაქის საწყობში მიაბარა შეგირდად. ბავშვმა დიდი სიბეჯითე ვერც აქ გამოიჩინა. „ნატრი ბრომატის“. „აქვა დისტილატის“, „ტინქტურა ვალერიანის“, „ბისმუტისა“ და სხვა ასეთი ლათინური სიბრძნის შესწავლამ გული გაუწყალა. ან როგორ უნდა დაესწავლა, როცა ღამღამობით ა. ცაგარლის „რაც გინახავს ველარ ნახავის“ პერსონაჟის ალეტიკას მონოლოგებს სწავლობდა და გიორგი ერისთავის „ძუნწის“ კარაპეტა დაბაღოვის ტექსტს იზეპირებდა და კვირაობით ილიკო ქურხულთან, ვანო ბუთლიაშვილთან და სხვებთან უბნებში თამაშობდა. ჰაბუკი ვასო აბაშიძეზე იყო შეყვარებული და უბნის ბიჭებთან მის როლებს თამაშობდა. ნიკო მძიმე ავად გახდა. ექიმის დიაგნოზით ტუბერკულოზის ნიშნები აღმოაჩნდა. სასტიკად აუკრძალეს მედიკამენტების საწყობში მუშაობა. ნიკოსაც ეს უნდოდა. განკურნებისას სააფთიაქო საწყობს არ დაუბრუნდა და ქართული თეატრის ხშირი სტუმარი გახდა, ნიკო გაეცნო მოკარნახე ბეგლარ ახოსპირელს და როლების გადაწერით ცოტაოდენ გროშებს შოულობდა.

1903 წლის ზაფხულია. გაზეთებში გამოქვეყნდა შემდეგი განცხადება:

„ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს. რომ მსურველთათვის დანიშნულია 19 აგვისტოს გამოსაც-

დელი წარმოდგენა. ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მსურველი შეუძლიათ ჩაეწერონ თეატრის კანტორაში დღეიდან 5 აგვისტომდე, ყოველდღე დილის 12 საათიდან ნაშუადამევის პირველ საათამდე".

ნიკო ერთი პირველთაგანი ჩაეწერა. ერთი შტრიხი: ბეგლარ ახოსპირელმა მიიყვანა ნიკო გამოსაცდელი წარმოდგენის ხელმძღვანელთან და უთხრა „აი, ამ ყმაწვილს სურს სცენაზე იმუშაოს და კიდეც ჩაეწერა კანტორაშიო". ვ. გუნიამ უპასუხა „მაგას რომ სურს არაფერია, საქმე ის არის თეატრმაც უნდა ისურვოსო". შეკრებაზე გუნია ეკითხებოდა ყველას, ვის რა ამბავიაო სურდა ემუშავნა—ნიკომ უპასუხა, ვასო აბაშიძის როლებზეო. ვ. გუნიას გაეცინა და უთხრა „აბა შენი ტანისა და სახის პატრონი „ლუბოვნიკებს" ვერ ითამაშებსო". შემდეგში ნიკო ისე ეწინაურდა ჟენ-პრემიერების როლებში, რომ იგივე ვ. გუნია ასე ორაზროვნად გააცნობდა ხოლმე უცხო პირებს „Маленький актер на большие роли".

გამოსაცდელ წარმოდგენაზე დიდი წარმატება ხვდა ნიკოს. იგი დასში ჩარიცხეს. იმ დღიდან მოყოლებული მოხუცებულობამდე თავდადებით და ღირსეულად ემსახურებოდა ამ თავის საყვარელ საქმეს.

ნიკო გვარაძე პირველად „ურიელ აკოსტაში" რობენსის როლში ვნახე. ვერ ვიტყვი, რომ მომეწონა, ისეთი ურიელის გვერდით, როგორც ლადო იყო, ნიკოს რობენსი როგორღა გამოჩნდებოდა. როლს გარეგნობითაც არ შეეფერებოდა: ებრაელთა ჩვეულებისამებრ გრძელი წვერი გაეკეთებინა და პატარა ფიგურა კომიკურ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ნიკო გვარაძე, როგორც მსახიობი ვიწამე მხოლოდ მაშინ, როცა „ნიშანი ყოფაქცევაში" ვნახე ფელიქსის როლში. პოწაფის როლში პატარა ტანი საჭირო იყო, გრძნობა და სითბო კი მსახიობს უხვად ჰქონდა. ამ პიესაში გიორგი არადელ-იშხნელს პირველობაში ვერავინ ეკილებოდა. მისი ლეონარდ ულერით მოიხიბლა მთელი თეატრი. მისი თამაში ბუნებრივი და წარმტაცი იყო, გავიწუდებოდით, რომ თეატრში იყავით. და აი ამ მსახიობს გვერდში ამოუდგა ფელიქსის როლის შემსრულებელი ნიკო გვარაძე. ახალგაზრდა მოსწავლის სულიერი ტანჯვა დიდი სიძლიერით დაგვიხატა ნიკო გვარაძემ. „ურიელ აკოსტაში" მიღებული შთაბეჭდილება გაქარწყლდა და ახალგაზრ-

დობამ ნიკოც მიაკუთვნა იმ მსახიობთ, რომელთა დანახვაც სცენაზე ყოველთვის გახარებდათ.

ერთ დროს მთელ რუსეთში ძალიან მოსწონდათ ნაიდენოვის პიესა „ვანუშინების ოჯახი". ჩვენმა თეატრმაც დადგა ეს პიესა. ერთ-ერთი მთავარი როლი მოსწავლე ალიოშასი ნიკოს დაეკისრა და მსახიობმაც თავი ისახელა. იმდენად შეგვიყვარდა მსახიობი, რომ სცენიურ არახელსაყრელ გარეგნობას ყურადღებას არ ვაქცევდით. ნიკოს შრომისმოყვარეობა ხომ პირდაპირ გასაოცარი იყო. არ გვახსოვს, რომ მას როლი ზეპირად არ სცოდნოდეს, რაც ძველ თეატრში მაინც და მაინც ხშირი მოვლენა არ იყო. ამ როლის ზეპირად სწავლამ ნიკოს ცხოვრების ერთი ეპიზოდი გამახსენა. პირველსავე სეზონში ნიკო გვარაძეს აკაკი წერეთელთან მოუხდა მუშაობა. დიდმა აკაკიმ ნიკო გვარაძეს კახის როლი დააკისრა. მსახიობმა მთელი ტექსტი ზეპირად იცოდა. ერთ ადგილას რატომღაც სიტყვა „უფლის წულობა" უფლისწულებად დაესწავლა. აკაკიმ ბევრჯერ შეუსწორა ეს სიტყვა მაგრამ მსახიობს ისე ჰქონდა ჩაბეჭდილი გონებაში, რომ სპექტაკლზე მაინც „უფლისწულება" თქვა. ბავშვივით ატირდა მსახიობი და პირობა მისცა აკაკის, ასეთ შეცდომას აღარ ჩავიდენო. „პატარა კახი" ავლაბრის თეატრში გაიმეორეს. მეორე მოქმედებაა. თურმე, შეუმჩნევლად შემოვიდა დარბაზში აკაკი და ყურს უგდებს მსახიობებს. გათავდა სპექტაკლი. სცენაზე ავიდა დიდი მგოსანი და სიცილით უთხრა: „ნიკო, შენ მაინც შენსას არ იშლი; დღესაც უფლისწულები თქვიო".

ნიკოს დიდი წარმატება ჰქონდა ქუთაისის სეზონებში. იქ ითამაშა პირველად ნეზნამოვის როლი „უდანაშაულოდ დამნაშავენში" და გასტროლიორის ვასო აბაშიძის დიდი მოწონება დაიმსახურა. სიტყვაძვირი ვასოს მოწონება დიდ რამეს ნიშნავდა. ლადო მესხიშვილი ხომ ამაყობდა თავის პატარა მეგობრით და მოწაფით.

ნიკო გვარაძე ყველა ანტრეპრენიორისათვის სასურველი წევრი იყო. მუყაითი, მშრომელი, ფაქიზი. თუ სეზონები 5—6 თვეს გრძელდებოდა, ნიკო წელიწადში 10 თვეს მაინც მუშაობდა. ყოველ ზაფხულს მიდიოდა დაბებში და სამ-ოთხ თვიან სეზონს ხელმძღვანელობდა. განა საქართველოში მოიძებნება ისეთი მნიშვნელოვანი კუთხე, რომ ნიკო არ ყოფილიყოს. მერედა, რა ერთგული მომუშავე იყო. ორ ზაფხულს ერთად ვმსახურობდით ნიკო და მე საგარეჯოში, და ეს პერიოდი ჩემთვის დაუ-

ვიწყარია. ძია ნიკოს სიტყვა სცენისმოყვარეებისათვის კანონი იყო. ამ სეზონში დადგა ნიკომ ისეთი რთული პიესები, როგორიც არის ლავრენიოვის „რღვევა“, სანდრო შანშიაშვილის „ერეთის გმირები“, ენგელის „ზღვასთან“, ლეონიდ ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, იოსებ გედევანიშვილის „მსხვერპლი“ და სხვ. ამ პიესებში ნიკო სრულიად უმნიშვნელო როლებს თამაშობდა და მართებულად ცსჯელობდა, რეჟისორმა რომ მთავარი როლი ითამაშოს, პიესა დადგმის მხრივ იზარალებსო.

ნიკოს ჭაღარა შეეპარა, თავის ამპლუის როლებისათვის უკვე ხანდაზმულია. 50 წლის კაცი რა სანახავიც იქნება მოწაფის როლში, ადვილი წარმოსადგენია. ნიკო გვარაძე ლადო მესხიშვილის მოწაფე იყო და ამ დიდი ხელოვანის ტრადიციების მიმდევარი მესხიშვილი 50 წლის იყო, როცა ნეზნამოვის როლს თამაშს დაანება თავი და ნიკო მოამზადა ამ როლისათვის. ლადოს თქმით იმაზე სასაცილო არაფერია, როცა ხნიერი მსახიობი ქალები ცდილობენ განასახიერონ „ცელქები“, „გიჟმაჟი გოგონები“. ანდა ბებერი მსახიობები გიმნაზიელის ან სტუდენტის ტანსაცმელს რომ ჩაიცვამენ, ფიქრობენ შეუძლიათ ჰაბუკებად გადაიქცნენ. ნიკომაც დაანება თავი ახალგაზრდების თამაშს, ამპლუა შეიცვალა და სახასიათო როლებს ასრულებდა. ვისაც უნახავს ნიკო გვარაძე რუსთაველის თეატრში კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმულ „მზის დაბნელებაში“—გეურჩას როლში, ის აღტაცებული იყო ამ მსახიობის გარდასახვით. და აი ხანდაზმულობისას ნიკო მოზარდ მაყურებელთა თეატრში იწყებს მუშაობას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი თვალსაჩინო მსახიობის მისვლამ ახალგაზრდა თეატრის პრესტიჟი ასწია. ნიკო დიდხანს მუშაობდა ამ თეატრში და ბევრი კარგი სახეც შექმნა. იშვიათი მოწიწებით და პატივისცემით ეპყრობოდა მთელი დასი საყვარელ ძია ნიკოს.

ეს. უწყინარი ადამიანი ჰუმორს მოკლებული არ არის. მისი ბევრი თქმა თეატრის მუშაკებში გავრცელებულია და ძალიან მოსწონთ. გავიხსენებთ ზოგიერთს.

სახაზინო თეატრში ალექსანდრე იმედაშვილმა კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ დადგა. ა. იმედაშვილი მსახიობებს შეუთანხმდა ჰონორარზე. ყველა სიამოვნებით დათანხმდა მიეღო მონაწილეობა სპექტაკლში, რადგან იცოდნენ, შემოსავალიც რომ არ ჰქონოდა, დაპირებულ ჰონორარს ა. იმედაშვილი მაინც გადაუხდიდა. ა. იმედაშვილმა თავის პირად მეგობარს გ. ფრონისპირელს (ყიფშიძეს)

სოხოვა სპექტაკლში მონაწილეობა მიეღო, მაგრამ დავიწყებოდა ჰონორარის ოდენობაზე რაიმე ეთქვა. სპექტაკლს დიდძალი ხალხი დაესწრო. რადგან ურიელი მოისუსტებდა, ვერც სხვა მსახიობები თამაშობდნენ მონდომებით და შეთანხმებულად. გ. ფრონისპირელს დაკისრებული ჰქონდა ივდითის მამის მანასეს როლი. საზოგადოდ ეს პერსონაჟი მეტად უმოქმედოა და პირველხარისხოვანი მსახიობიც ვერ შეძლებს შთაბეროს მას სული. გ. ფრონისპირელი, გულიერი და კარგი გარეგნობის მსახიობი, ტემპერამენტს მოკლებული იყო. ამ საღამოს ფოთიდან თბილისში ჩამოვიდა მსახიობი ნიკო გვარაძე. დიდი ხანია არ შეხვედროდა მეგობრებს და მყისვე თეატრისაკენ გასწია. მესამე მოქმედების შემდეგ გვარაძე კულისებში შევიდა და ამხანაგები ინახულა. ნიკომ ფრონისპირელი განზე გაიხმო და საიდუმლოდ ჰკითხა.

— გოგი, იმედაშვილი ამ წარმოდგენაში ფულს არ გაძლევს?

— რა იყო?—შეშინებული შეეკითხა გოგი, ამოდენა შემოსავალი აქვს და უნდა მომცეს მაშა?

— შე დალოცვილო—მიუგო ნიკომ—თუ ფულს გაძლევს, ხმა ამოიღე, რაღა! ან გაიარ-გამოიარე რატომ ეგრე კამეჩივით იცოხნები.

ეს ამბავი თვითონ გოგია ფრონისპირელმა გაახმაურა და ბევრსაც ვიცინოდით.

ნიკო ჩემი ხშირი სტუმარი გახლავთ. ერთ ზამთარს გრიპმა ორი კვირის განმავლობაში ლოგინად ჩამაგდო. სიცხე მაქვს. ჩვეულებრივად ნიკომ შემოაღო კარი და მოკითხვისთანავე გადმომცა.

— ლოპე-დე-ვეგამ დამაბაჯა* პ. კარატიგინის ვოდევილები და ვ. გუნიას „ალღუმი“ მათხოვოსო... სიცხიანი ვერ მიეხვდი ლოპე-დე ვეგას რა ესაქმებოდა ჩემთან. ამიხსნა, თურმე, ლოპე-დე-ვეგა ნიკომ შეარქვა მსახიობ კირილე მაჭარაძეს, რომელმაც ხანდაზმულობისას მწერლობას მოჰკიდა ხელი და თვეში ერთ პიესას აცხობდა. კირილეს ეს სახელი შერჩა—ნიკო მისი მეორე ნათლია გახდა.

---

* ლოპე-დე-ვეგა კარპიო ფელიქს (1562—1615) დიდი ესპანელი დრამატურგი, რომელმაც 200 პიესა დაწერა.

ძველად მთელ რუსეთში პეტერბურგისა და მოსკოვის გამოკლებით, სადაც მსახიობები საიმპერატორო თეატრებში წლიურ ჯამაგირებზე იყვნენ, დასები მხოლოდ სეზონობით მუშაობდნენ. დიდი მარხვის დასაწყისს მსახიობები მოსკოვისაკენ დაიძვრებოდნენ ხოლმე ახალი ანგაჟამენტის საძებნელად. საშუამავლო კანტორები, აგენტები და მაკლერები მღვრიე წყალში თევზს იჭერდნენ და მამასისხლ პროცენტებს ართმევდნენ უმუშევარ მსახიობებს რომელიმე ანტრეპრენიორთან მოწყობისას. საშუამავლო კანტორებში ანკეტურ ცნობების შევსებისას ეკითხებოდნენ მსახიობებს ამპლუას, რა წარმატებები ჰქონდა, რა როლები უთამაშნია და სხვ. ბედნიერი იყო ის მსახიობი, რომელსაც შეეძლო ლაკონიურად ეთქვა ჩაწერეთ „Любимец публики“. ნიკო ბუნებით მოკრძალებული რომ არ იყოს, შეეძლო ამ პორტრეტის ავტორისათვის ეთქვა: რა საჭიროა ათადან-ბაბადან ამბების მოყოლა, დაწერე მოკლედ, საზოგადოების საყვარელი მსახიობი იყო-თქო!

ნიკოს ჩემთვის ეს არ უთქვამს. მაგრამ ვიგულისხმოთ, რომ მითხრა და ამით საყვარელ ადამიანის პორტრეტი დავასრულოთ.

# ვიქტორ მატარაძე

1888—1953



ხუთთვიანი სეზონი დამთავრდა. მიღებული ხელფასი მალე დაიხარჯა. არსებობა კი საჭიროა. და აი, ქართველი გენადი ნესჩასტლივცევი და არკაშკა სჩასტლივცევი* სოფლებს მოედვნენ. ადგილობრივ სცენისმოყვარეთა დახმარებით დაიწყეს წარმოდგენების დადგმა. დახლი მაინცდამაინც სახარბიელო არ დაუდგათ. გადაწყვიტეს ბედი საქართველოს გარეთ ეცადნათ. მატარებლით ბაქოში ჩავიდნენ. ამ მხრივ გენადისა და არკაშკაზე ბედნიერები იყვნენ. ეს უკანასკნელნი წარმოდგენების მოსაწყობად ქერჩიდან ვოლოგდაში ფეხით დადიოდნენ.

ჩავიდნენ ბაქოში და ადგილობრივ სცენისმოყვარეთა დახმარებით შეუდგნენ წარმოდგენების მოწყობას. ერთ მშვენიერ დღეს გენადის და არკაშკას აზრად მოუვიდათ ა. ცაგარლის „ხანუმა“ დაედგათ ელისაბედ ჩერქეზიშვილის მონაწილეობით. დაუზარელი ლიზა მიწვევისთანავე ბაქოში ჩავიდა. გაჩაღდა რეპეტიციები და ქალაქში აფიშებიც გაიკრა ანტრეპრენიორები წინასწარვე ზეიმობენ. აბა განთქმული პიესა და სახელმოხვეჭილი მსახიობი ხალხს როგორ არ მიიზიდავს, რამ უნდა შეუშალოს ხელი ანშლაგს?.. შაბათ საღამოს გენადი და არკაშკა რეპეტიციიდან სასტუმროში ბრუნდებიან. ხედავენ ქუჩების კედლებზე აქა-იქ არშინიანი აფიშებია გაკრული. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დგას და გულდასმით ათვალიერებს აფიშებს, რომლებზეც ლომები და ვეფხვები არიან გამოხატულნი. ძმათა ნიკიტინების ცირკში ვლადიმერ დუროვის გასტროლები იწყება.

— ვაიმე, დავიღუპენით,— იძახის გენადი (ვიქტორ მატარაძე). აბა ხვალ ჩვენთან ვინ მოვა?.. რაღა კვირას იწყებს დუროვი გამოსვლებს!

ეს ამბავი არც არკაშკას (სოსო ჟვიძეს) ესიამოვნა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და დაიძახა:

— მოიცა, გამოსავალი ვნახე. მოდი ვიქტორ შენი სურათი

---

* ა. ოსტროვსკის პიესა „ტყის“ პერსონაჟები.

დავაბეჭდვიხოთ აფიშაზე და ნახავთ თუ სვალ მთელი ბაქო ჩვენთან არ იყოს. აბა რომელი მხეცი შეგედრება შენ!

ამ მეგობრულმა და მოსწრებულმა ხუმრობამ ვიქტორი გააცინა და ცოტახნით დარდი გულიდან გადაუყარა.

მეორე დღეს ძმათა ნიკიტინების ცირკის სალაროს ანშლაგი „ყველა ბილეთი გაყიდულია" ამშვენებდა, ხოლო ჩვენი მსახიობები და გასტროლიორი ელისაბედ ჩერქეზიშვილი ნახევრად ცარიელ დარბაზში თამაშობდნენ. რას იზამთ. ასეთი იყო ხშირად ხვედრი ძველად მოხეტიალე გენადებისა და არკაშკებისა და ამას ვერც ჩვენი ვიქტორი და სოსო ასცდნენ.

ხუმრობა მაშინ ითვლება მოსწრებულად და სიცილს იწვევს, როცა ის სიმართლეს შეიცავს. მართლაც და ვიქტორი გარეგნობით ვერ დაიკვეხნიდა. მის სახეს ვერავითარი გრიმი ვერ შეცვლიდა ხოლმე, თუ ვიქტორს სცენაზე მოწონება ჰქონდა, ეს მის სხვა არტისტული შონაცემებით აიხსნებოდა.

ჯერ კიდევ 12—13 წლის ბიჭი ვიყავი, როცა ვიქტორი ავლაბარში ვნახე სცენაზე ოტელოს როლში. გამოგიტყდებით, რომ ამ სპექტაკლიდან მეხსიერებაში არაფერი დამრჩა. მახსოვს მხოლოდ ის, რომ მთელმა დარბაზმა შევიზიზღეთ იაგოს როლის მოთამაშე სცენისმოყვარე არტო სვიმონიძე. ისიც მაგონდება, რომ როცა ოტელო დეზდემონას ახრჩობდა მაერს სხვებთან ერთად მეც ვუსტვინე.

ვიქტორ მატარაძე მხოლოდ მაშინ ვიწამე როგორც მსახიობი, როცა შემდეგ ვნახე შექსპირის „იულიოს კეისარში" ანტონიუსის როლში. კეისარს ლადო მესხიშვილი თამაშობდა. ლადო თავისი დიდი ნიჭით ჩრდილავდა ყველას და ხშირად მისი პარტნიორები უსუსურებად მოჩანდნენ. ლადო მესხიშვილით გატაცებულთ არც გვაინტერესებდა ის პერსონაჟები, რომლებიც მას გარს ეხვივნენ. ამ სპექტაკლში იმ საღამოს ლადო მესხიშვილის შემდეგ ყურადღების ცენტრში ვიქტორ მატარაძე აღმოჩნდა. ჯერ ერთი, როლი მეტისმეტად მომგებიანი ჰქონდა. ანტონიუსის მონოლოგი მსოფლიო დრამატურგიის შედევრია. იურიდიულ მეცნიერებაში ეს მონოლოგი მუქვრმეტყველების ნიმუშად არის მიჩნეული. რითი მიიქცია ყურადღება ვიქტორ მატარაძემ? უწინარეს ყოვლისა მთელი მონოლოგი ზეპირად იცოდა, და მოკარნახე ბეგლარ ახოსპირელი თავის ჯიხურში უმოქმედოდ იჯდა. ვინც ძველ თეატრს არ მოსწრებია, გაკვირვებით იკითხავს, განა

შეიძლებოდა მსახიობი გამოსულიყო სცენაზე და როლი არა სცოდნოდა? თანამედროვე თეატრისათვის ეს ამბავი გაუგებარია. იყო შემთხვევები — და ეს ბუმბერაზ მსახიობთაც ემართებოდათ, — რომ როლი კარგად არ იცოდნენ და მოკარნახის იმედით გამოდიოდნენ სცენაზე. ან როგორ უნდა შეესწავლათ როლი, როცა სამი-ოთხი რეპეტიციით იდგმებოდა პიესა. თვეობით პიესის მზადება მაშინ ფუფუნებად იყო მიჩნეული. ძველი თეატრის პირველი ძარღვი მოკარნახე იყო. სპექტაკლის დაწყების წინ ხან ერთი მიდიოდა ბეგლარ ახოსპირელთან ან სოსო გრიშაშვილთან, ხან მეორე და ეხვეწებოდა:

— აბა, თუ ძმა ხარ, შეეჩერდე თუ არა, დრ.ოზე მომაწოდე სიტყვები, ან თუ გადავახტე. შენ იცი როგორ გამომიყვან უხერხული მდგომარეობიდან და სხვ.

მაყურებლებმა კარგად ვიცოდით, რა ჰაპან წყვეტაში იყო მოკარნახე. რამდენჯერ გვიყვირნია: „სუფლიორო, ჩუმად". ხშირად მსახიობზე ადრე ჩვენ გაგვიგონია მოკარნახის სიტყვები. მოწმენი ვყოფილვართ იმისაც, თუ მოკარნახის ფრაზებს როგორ დამახინჯებულად იმეორებდნენ საწყალი მსახიობები. ზოგჯერ მსახიობი იმის შიშით, რომ ხანგრძლივი პაუზა არ გაეკეთებინა და სცენა არ „გაეციებინა", სხვა პიესიდან ჩაურთავდა ხოლმე მონოლოგს. ერთხელ პ. ირეთელის „დამარცხებულნის" დადგმას დავესწარი. ვხედავ ერთ-ერთი პერსონაჟი ბაღდანიძეს მიმართავს სიტყვით და მონოლოგს ასე ამთავრებს: „დამყაყებული წესწყობილების ბურჯნო, მერე რას იზამთ მაშინ, როცა გათვითცნობიერებული ხალხი იჭექ-იქუხებს და თქვენს მიერ ყალბ საფუძველზე აგებულ ცხოვრებას მიწაზე გაასწორებს". რა ვქნა, რა დაემართა პოლიო ირეთელს, რად დასჭირდა ტრიფონ რამიშვილის „მეზობლებიდან" ილიკო მენაბდიშვილის მონოლოგით ესარგებლნა. მსახიობს ერთი თვის წინათ ეთამაშნა „მეზობლებში" და, სცენაზე პაუზა რომ არ გაეკეთებინა, გაიხსენა ძველი როლი და მოხდენილად ჩაურთო.— დარბაზში მსხდომნი ნახევარზე მეტი ვერ მიხვდნენ მსახიობის ოინს. ეს თუ გააკეთა მოხერხებულმა მსახიობმა და თავი სირცხვილისაგან იხსნა, ბევრნი ამას ვერ ახერხებდნენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მოკარნახის სიტყვებს თუთიყუშივით იმეორებდნენ. მაგალითად, რემარკა მოითხოვს რომ ესა თუ ის მოქმედი პირი წამოდგეს, გაიარ-გამოიაროს. ხედავს მოკარნახე, რომ მსახიობი უძ-

რავად ზის სავარძელში, მოკარნახის ჯიხურისაკენ გაიყურება და სიტყვებს ცის მანანასავით მოელის. მოკარნახე კი ჩურჩულებს:

— შე ოჯახჭორო, ადექი, გაიარ-გამოიარე! მსახიობიც იმეორებს ხმამაღლა: შე ოჯახჭორო, ადექი გაიარ-გამოიარე! და დარბაზის ერთსულოვან სიცილს იწვევს. ვინ უწყის, რამდენი ასეთი კურიოზი მომხდარა ძველ თეატრში. ამის მომსწრე და მნახველი ბევრჯერ მწარე ფიქრს მისცემიხარ, მაგრამ რად გვიყვარდა ასე ეს თეატრი! რატომ გვგვრის სიამის ჟრუანტელს ახლაც კი ამ წარმოდგენების გახსენება. ეს იმიტომ, რომ ამ კურიოზებთან ერთად სცენაზე ისეთი მსახიობნი მოქმედებდნენ, რომ მარცხი დავიწყებას ეძლეოდა, ხალასი ნიჭით მიღებული შთაბეჭდილება კი სამუდამოდ რჩებოდა. მართლაც, როცა სცენაზე ლადო მესხიშვილი რომელიმე მონოლოგს ისე გადმოგვცემდა, რომ მთელი დარბაზი სულგანაბული იყო და ამოსუნთქვასაც კი ვერ ბედავდა, მაშინ რაში მეინტერესებოდა, რომელიმე მეორეხარისხოვანმა პერსონაჟმა ფრაზა დაამახინჯა თუ არა. აბა გავიხსენოთ ჰაუპტმანის „ავადმყოფ ხალხში“ ლადო მესხიშვილის რობერტის ჟსიტყვო სცენა, ხუთწუთიანი პაუზა, მოვიგონოთ ის სიამე, რასაც ეს დიდი მსახიობი გვაგრძნობინებდა ხოლმე, და აი ამ დროს ვის მოაგონდებოდა, რობეოტის დედამ ფრაზა როგორ წარმოთქვა. მართალია ძველად ანსამბლის თეატრი არ იყო, სპექტაკლების გაფორმება სავალალო მდგომარეობაში იყო, მაგრამ სამაგიეროდ ამ სცენას ბუმბერაზი მსახიობები ამშვენებდნენ.

ვიკმაროთ მოკარნახეების ამბები, ისევ ვიქტორს მივუბრუნდეთ. და ანტონიუსის მონოლოგის ამბავი განვაგრძოთ. მონოლოგის ზეპირად წარმოთქმა გამარჯვებისათვის არც ძველ თეატრში კმაროდა. ვიქტორ მატარაძეს ამავე დროს საკმაოდ ძლიერი ხმაც ჰქონდა. მაგრამ ცოტა გაბზარული და ყრუ. ვიქტორ მატარაძის ხმა ყველა რეგისტრში ძლიერ ჟღერდა, მის ხმაში თქვენ ყვირილს ვერ იგრძნობდით, რაც შთაბეჭდილებას ყოველთვის აჭარწყლებს.

მაგრამ მარტო ხმით როდი იყო დაჯილდოებული ვიქტორი, მას ტემპერამენტიც საკმაო ჰქონდა და ეს შთაბეჭდილებას აძლიერებდა. კარგმა ხმამ, გარდასახვის უნარმა, როლის სწორად გააზრებამ, სითბომ — ყოველივე ამან შეუქმნა წარმატება ვიქტორს და რეცენზენტების ქებათა-ქება დაიმსახურა.

ამავე სეზონში თავი ისახელა ვიქტორმა „ურიელ აკოსტაში“ დე-სანტოსის როლში. გიორგი კანდელაკის და ალექსანდრე იმედაშვილის დე-სანტოსის შემდეგ ადვილი როდი იყო ამ როლში საზოგადოების ყურადღების მიპყრობა. ვიქტორ მატარაძე ყველას მოეწონა ლადო მესხიშვილის მონაწილეობით დადგმულ ჩეხოვის მოთხრობის „შავი ბერის“ ინსცენირებაში. წარმტაც ლადო მესხიშვილის (კოროვინის) მხარს უმშვენებდა ვ. მატარაძე (შავი ბერი). მსახიობს ყველა პირობა ჰქონდა თვალსაჩინოთა რიგებში ჩამდგარიყო, მაგრამ თუ ეს არ მოხდა, ამაში ბრალი თვით ვიქტორს მიუძღვის. რა სავალალო მდგომარეობაში იყვნენ დიდ ოქტომბრის რევოლუციამდე მსახიობები, ეს ყველასათვის ნათელია. წელიწადში სამ-ოთხ თვიანი სეზონი, დაბა-სოფლებში აქტიორული ხეტიალი, ხშირად უმუშევრობა, შიმშილ-წყურვილი—აი მაშინდელი აქტიორის ხვედრი. სუსტნი და ხერხემალრბილნი ფარხმალსა ყრიდნენ, ხსნას სხვა პროფესიაში ეძებდნენ. ძლიერნი და დიდი ნიჭით დაჯილდოებულნი გასტროლიორობით ირჩენდნენ თავს. მომთმენნი უძლებდნენ გაჭირვებას, ძირს არ ხრიდნენ ხელოვნების დროშას და ერთგულად ემსახურებოდნენ თავიანთ წმიდა საქმეს. ნებისყოფას მოკლებულნი აქა-იქ ღობეყორეს აწყდებოდნენ, მსახიობის სახელს ახურდავებდნენ და თავიანთ პატარა ნიჭს ბითუმად და ცალობით ფანტავდნენ. ვიქტორ მატარაძეც მოეჭცა ნებისყოფამოკლებულთა ბანაკში. მან მესხიშვილობა მოინდომა და გასტროლიორობა დაიწყო. მაგრამ მესხიშვილობას იმედაშეილები და იშხნელებიც ვერ შეძლებდნენ და აბა ჩვეულებრივი რეზონიორი ამ გასტროლებით რას გააწყობდა. ან ვინ მიიწვევდა მას საგასტროლოდ, დიდი-დიდი არაქსიანის ან მუროშკოს თეატრების სცენისმოყვარენი, და ამით ამოიწურებოდა მისი სავარჯიშო ასპარეზი. სეზონებში პერიფერიების თეატრებში მუშაობას „არ კადრულობდა“. ისევე რჩებოდა გოლოვინის პროსპექტი ეტკეპნა და ჯანყარაშვილის სახელოსნოდან ნისიად გამოტანილი ფეხსაცმლის ქუსლები დაეგრიხნა. ერთი ასეთი სეირნობისას ვიქტორი კატასტროფაში მოჰყვა (გოლოვინის პროსპექტზე საკრებულოს შენობის ჩამონგრევისას) და დაზიანდა. როგორც დაზარალებულმა შენობის მეპატრონისაგან კარგა საგრძნობი თანხა მიიღო. ყაირათიანი კაცი ამ თანხით მთელ ათ წელიწადს უზრუნველად იცხოვრებდა. მან კი უბარაქოდ ხიბა-ხუბაში და შოკოლადებში დახარჯა და მალე ჯიბეგაფხეკილი დარჩა. დაიწყო კვლავ გაჭირვება, აქტიო-

რული ხეტიალი. ფულის სესხება, დროზე გადაუხდელობა. ჯმაყოფილება. პირდაპირ შეგეცოდებოდათ ეს უნარიანი აქტიორი — ასეთ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი.

თეატრების ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქტიორი სრულუფლებიანი მოქალაქე შეიქმნა და ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაება.

პერიფერიებში, ისევე როგორც ცენტრში, სტაციონალური თეატრები დაარსდა. მსახიობები წლიური ჯამაგირებით უზრუნველყოფილი არიან. არიერიდან ბოლო უნდა მოეღოს ვიქტორის გაპირვებასაც. რომელი თეატრი სიამოვნებით არ მიიღებს ასეთ საჭირო ძალას. თეატრის ხელმძღვანელები მას ეპატიჟებიან და პირველი კატეგორიის ხელფასს სთავაზობენ. ვიქტორი თანხმდება, მაგრამ მალე პირობას არღვევს, გამორბის და აქტიორულ ხეტიალს იწყებს. ასეთმა ცხოვრებამ ის დააავადმყოფა და შრომის უნარი თითქმის დაუკარგა. გაპირვებულ ამხანაგს შველა და დახმარება სჭირდება. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ვიქტორ მატარაძის შემოქმედებითი საღამოა. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებმა დაავადებულ ამხანაგს ხელი გაუწოდეს და შეჰპირდნენ, რომ უსასყიდლოდ მიიღებდნენ მონაწილეობას სპექტაკლში. სპექტაკლის დღეს კოკისპირული წვიმა წამოვიდა. მეგობარ ვიქტორის საღამოზე როგორ არ წავიდოდი. აბა წვიმა რას დამაბრკოლებდა. სალაროსთან მისვლისას სამი-ოთხი კაცი ენახე. კუთხეში იქვე გაფითრებული ვიქტორი იდგა. მიეცსალმე. შევატყვე, რომ საქმე ცუდად იყო. რომ გამემხნევებინა მეგობარი მოლარეს პირველი რიგის სამი ბილეთი გამოვართვი. ისეთი კმაყოფილებით შემომხედა ვიქტორმა, რომ ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, ფული რომ მქონოდა, ასიოდე ბილეთი მეყიდნა. უკვე რვა საათია. სალაროსთან ძალიან ცოტა ხალხია. ვიქტორი სცენაზე ადის. მეც თან ავყევი. სალაროდან მანუგეშებელი ამბავი არ მოდის, წვიმა კი გრძელდება და ვიქტორის გულიც ილევა. შემოსავალი ხარჯებს ვერ დაფარავს. სპექტაკლი გადაიდო და იქვე შალვა დადიანი დავითანხმეთ თეატრალური საზოგადოება დახმარებოდა გაპირვებულ ამხანაგს. მეორე დღესვე ვიქტორმა თეატრალური საზოგადოების სალაროდან დახმარება მიიღო და წინა ღამით მიყენებული პრილობა მოიშუშა. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ვიქტორს შევხვდი, მითხრა, პატარა დასი ჩამოვაყალიბე და თბილისის გარეუბ-

ნების კოლმეურნეობებს ეუწვეთ მომსახურებასო. ეუსურვე გამარჯვება და დავშორდით.

მაგრამ მალე შევიტყვე ვიქტორის გარდაცვალების ამბავი. რუსთაველის თეატრის მაშინდელმა დირექტორმა აკაკი ხორავამ საბარგო მანქანა გვათხოვა და მიცვალებულის ბინაზე გაგზავნა. შალვა დადიანი, ჟივიძე და მე წავედით ნაძალადევში და კითხვა-კითხვით ძლივს მივაგენით მიცვალებულის ადგილსამყოფელს. რუსთაველის თეატრის საბარგო მანქანა იქ დაგვხვდა. ამხანაგებიდან ჩვენს მეტი არავინ იყო. უცბად მეორე საბარგო მანქანა მოადგა ამ სახლს. ვიქტორის ვაჟი მსახიობი ჩელთისპირელი თავისი ამხანაგებით ჩამოვიდა. მათ გვირგვინით შეამკეს კუბო და მოწიწებით გამოასვენეს დაუდგრომელი ბუნების მსახიობი.

# შაჭრო გომელაური

დაიბ. 1888

მებაღე ნიკოლა გომელაური და ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა ლევან ბაღაშვილი დიდი მეგობრები იყვნენ. ნათელმირონი აკავშირებდათ და ოჯახებითაც ერთ ბინაში ცხოვრობდნენ. მუშაობისაგან დაღლილ-დაქანცული ნიკოლას გართობა იყო ცოლშვილში ყოფნა და ბავშვების ტიკტიკით დატკბობა. ლევანიც მეოჯახე იყო, მაგრამ მას სხვა ამბავიც იზიდავდა. გაგიჟებით უყვარდა სცენა და მისი ცნობილი მსახური გახლდათ. ნიკოლას ახალგაზრდა მეგობრის ასეთი გატაცება არ მოსწონდა, თეატრს ფუჭსავატობის კერად თვლიდა და მის მსახურთ ქილიკებად. ლევანს ისნის სცენისმოყვარეებში ბადალი არ ჰყავდა. ხავერდოვანი ხმა, კარგი გარეგნობა, ბობოქარი ტემპერამენტი, გარდასახვის უნარი საშუალებას აძლევდა მას საინტერესო სახეები შეექმნა. ბაღაშვილის მონაწილეობით სპექტაკლები ავლაბრის ღარიბ მოსახლეობას იზიდავდა (შეძლებულები და არისტოკრატები მუშათა თეატრს ხომ არ იკადრებდნენ) და წარმოდგენის დასას-ულს მთელი დარბაზი მხურვალე ოვაციებს უმართავდა ლევანს.

რა ქნას ნიკოლამ, ლევანი უმცროს ძმად მიაჩნია, თორემ უმძრახად მეიქნებოდა მასთან. როგორც უფროსი, ნიკოლა არიგებს ლევანს, ურჩევს გამოეთხოვოს სცენას და თავისი ენერგია სხვა უფრო სასარგებლო საქმეს მოახმაროს. არა, ნიკოლა თავის პირმშოს ასეთ გზაზე არ დააყენებს. მართალია დარეის მონასტერთან არსებული სამრევლო სკოლიდან გამოიქცა და ძამის მეგობარს არქიმანდრიტ დოსითეოზ (ბერძნიშვილს) ურჩმა ბავშვმა ამით აწყენინა, მაგრამ აი გამოჩნდა კეთილი პედაგოგი ბაჰიტაშვილი და სამოქალაქო სასწავლებლის მეორე განყოფილებაში მიიღო ონავარი შაქრო. მამა დამშვიდდა. მასწავლებელი ეკებს მის პირმშოს და იძახის, ანგარიშის ნიჭი აქვსო. უხარია ნიკოლას. თვითონ უსწავლელია, მაგრამ სწავლის ძალა ესმის. შაქროს საინტერესოდ ამზადებს, ვანოს ექიმად, ფეფოსა და სონას მასწავლებლებად, ნატაშა—არა ის ჯერ პატარაა, რა დროს ნატაშაზე ფიქრია! ოცნებობს ნიკოლა და მთლად გამორჩა მხედველო-

ბიდან, რომ მისი შაქრო შეპყრობილია იმავე თეატრის სიყვარულით, რამაც დიდი ხანია ხელი დარია ლევან ბაღაშვილს. სწორედ ამ ლევანმა ერთი კვირა დილით წაიყვანა შაქრო თეატრში და „მზის დაბნელება“ აჩვენა. ჰაბუკზე უველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ლ. ბაღაშვილის ჩიშმაკოვმა და გიგო გელიკურაშვილის გეურქამ. თეატრმა დაჩრდილა ოჯახი, სკოლა, ყოველივე დაავიწყა ბავშვს, დაგვიანებით შეიტყო ნიკომ, რომ მისმა პირმშომ სწავლაზე გული აიცრუა და თეატრში მოკარნახეობა დაიწყო. ბიჭოს, თუ მედავითნეობა ასე იზიდავდა, დარიის მონასტრის სკოლიდან რად გამოიქცა? სამოციქულოს წაკითხვა არ სჯობდა თეატრში ტანტალს! გვიან გაიგო მამამ შვილის გადარევა. ან როგორ უნდა შეეტყო, როცა გათენებისას მიდიოდა სამუშაოდ და შუაღამისას ბრუნდებოდა. ნიკოლა ლევანსაც დაემდურა და კარგა ხანს ხმას არა სცემდა ძმადნაფიცს. ერთხელ თეატრშიც რეპეტიციაზე მიიკრა, სწვდა შვილს ქეჩოში და გამოათრია. დასის რეჟისორი ცნობილი მსახიობი სოსო ივანიძე გამოესარჩლა ჰაბუკს.

გაცეცხლებულმა მამამ ივანიძეს უთხრა: „ეს თუ გინდა, კარგი, ბავშვია და მიეტევება ღლაბუცობა, მაგრამ შენ რა ღმერთი გაგიწყრა, აეხელა აყლაყუდას (ივანიძე მეტად ახოვანი იყო) არა გრცხვენიან, რომ პამპულაობ!“.

მამისა და შვილის ბრძოლა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა, და ჰაბუკი თეატრის მოკარნახედ დამკვიდრდა. ამ მოკარნახეობამ გამახსენა, რომ იოსებ გრიშაშვილი და შაქრო გომელაური როცა კი შეხვდებიან და თავიანთ ჰაბუკობას გაიხსენებენ, ერთმანეთში დავა აქვთ, რომელი მათგანი იყო უფროსი მოკარნახე და რომელი უმცროსი. გრიშაშვილი გაიძახის, უფროსი შაქრო იყო, მე კი მისი თანაშემწეო, ხოლო შაქრო პირიქით.

ჰაბუკი მისვლისთანავე ერთი სასაცილო ამბავის მონაწილე და მოწმე გახდა.

დგამენ იტალიურ მელოდრამას „ორ დარაჯს“. მთავარ როლს—გულელმოს თამაშობს შაქროს საყვარელი სცენისმოყვარე ლევან ბაღაშვილი, მეორე დარაჯს—დავით მელაშვილი. სამხედრო საველე სასამართლომ გულელმოს უნდა გამოუცხადოს განაჩენი—სიკვდილით დასჯა. ჩვეულებრივად სცენარიუსი წინასწარ ამზადებდა ტრატს, განაჩენის ტექსტით შევსებულს. რადგანაც დაწერილ ტექსტს კითხულობენ, მოკარნახის ეგზემპლარში ეს ტექსტი წა-

ლილი იყო. აი გაშოდის სასამართლო—შარშალი ვანო მარკოზოვი, მისი ადიუტანტი იოსებ რევაზიშვილი. ხსნის ეტრატს მარკოზოვი და ხედავს ცარიელ ქაღალდს! რა ქნას, როგორ გამოვიდეს მდგომარეობიდან—ტექსტი საკმაოდ დიდია, მან კი ზეპირად ერთი სიტყვაც არ იცის. მცირე პაუზა. შაქრო ჯიხურიდან უყურებს ამ სცენას. რა ქნას, სუფლიორის ეგზემპლარში განაჩენის ტექსტი არ არის. მარკოზოვმა არც აცია, არც აცხელა, გადასცა ეტრატი თავის ადიუტანტს. ი. რევაზიშვილს და ხმამაღლა უბრძანა, განაჩენი წაუკითხეო. რევაზიშვილს თავზარი დაეცა, შიშისაგან მუხლები აუკანკალდა, მაგრამ მცირე პაუზის შემდეგ იმანაც გამონახა ვითომ გამოსავალი და გასცა ბრძანება, სასამართლოს განაჩენი გულელმოს დახვრეტის შესახებ დღესვე მოიყვანეთ სისრულეში, ხოლო განაჩენს ხვალ წაიკითხავთო. ატყდა სიცილი სცენაზე და პარტერში. შეწყდა მოქმედება და მარცხს ერთმანეთს აბრალებდნენ. ჩვენი მოკარნახე კი იძახდა, მე რა უნდა მექნა, რომ ტექსტი არ მჭონდაო.

ძველად როგორც პროფესიული დასები, ისე სცენისმოყვარეთა წრეები მცირე რიცხოვანი იყო. დრამატურგებიც პიესებს ასე წერდნენ. საშუალოდ თითო პიესაში ათი-თორმეტი როლი იყო. რიცა კი დრამატურგს მოქმედ პირად ბავშვი გამოჰყავდა, სცენისმოყვარენი გასაჭირში ვარდებოდნენ. და აი, როცა კი ჰვლაბრის დასს ბავშვის ან ჰაბუკის როლის შემსრულებელი სჭირდებოდა, სუფლიორს ამოამძვრენდნენ ხოლმე თავისი ჯიხურიდან და ათამაშებდნენ, მოკარნახეობას კი სცენისმოყვარენი მორიგეობით ეწეოდნენ. თავიდანვე შეატყვეს შაქროს სცენიური ნიჭი, სხვა მოკარნახე იშოვნეს და ჩვენი ჰაბუკი სცენისმოყვარედ ჩარიცხეს.

გავიდა ორი—სამი წელი. ჰაბუკს სცენისადმი სიყვარული უფრო გაუღვივდა და სწავლის განგრძობაზე ლაპარაკიც ზედმეტი გახდა. მამამ ბევრი იბუზღუნა, ბოლოს მოტყდა და შეურიგდა შვილის საქციელს. შეუჩნდნენ და ერთხელ სპექტაკლზეც წაიყვანეს ნიკოლა. უყურებს შვილს და რას ხედავს—საჯაროდ, მილეთი ხალხის წინაშე შაქრო ეხვევა ქალს სცენაზე და ჰკოცნის. სირცხვილისაგან მამამ თავი ჩაჰკიდა და პირველი მოქმედების დამთავრებისთანავე შინისაკენ გამოსწია. შინ დაბრუნებულ შვილს მამამ მწარედ უთხრა: „ეგ შენ კიდევ ჰო, ვაჟი ხარ, ჰკოცნი და ეხვევი ქალს, მაგრამ იმ ქალს ან დედმამა არა ჰყავს ან ჰირისუფალი ვინმე, რომ ესე გასატრიზავებლად გაუშვა თავისი ქალი“.

1909 წლის 6 დეკემბერს ავლაბრის მუშათა თეატრში ნატო გაბუნიას იუბილეა. დგაშენ „ხანუმასა“ და მელოდრამა „ორი ობოლის“ თითო-თითო მოქმედებას. საყვარელმა მსახიობმა დაატკბო შაყურებლები. ოვაციებს დასასრული არ ჰქონდა. ამ საიუბილეო წარმოდგენაში ყველას ყურადღება მიიპყრო კოტე ფანტიაშვილის და პიერის როლების შემსრულებელმა შაქრო გომელაურმა. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ კულისებში აღმოვიდა ვალერიან გუნია, გაიცნო ჩვენი ჰაბუკი, მოუწონა თამაში და წინადადება მისცა დაუყოვნებლივ დაეწყო მუშაობა ქართულ პროფესიულ დრამატულ დასში. იუბილეს ღამეს რას განიცდიდა ჰაბუკი, მოდით, მკითხველო, ამის განსჯა მივანდოთ იმას, ვისაც როდისმე ასეთი ბედნიერება ღირსებია.

მამასთან კვლავ პატარა კონფლიქტი, შეჯახება, სამდურავი, ოხვრა და კვნესა, ურჩობა, დედის გამოსარჩლება (აბა რომელი დედა არ დაიჯერს შვილის მხარეს), და დრამატულ დასში ჩარიცხვა.

ძველი კაცი იყო ნიკოლა, ტრადიციების მიმდევარი, ნამუსის მკვდარი. მართალია, ბუზღუნებდა შვილის მსახიობობაზე, მაგრამ როცა მისი წარმატების ამბავი მოსდიოდა, გულში უხაროდა. ისიც ესიამოვნებოდა, რომ „ფრანტი“ —კოხტა ბიჭი იყო მისი შაქრო. მერე როგორ შვენოდა ცივილური ტანსაცმელი. მაგრამ ერთხელ პირკატა ეცა ნიკოლას, როცა ულვაშგაპარსული ნახა თავისი შვილი. ესღა აკლდა. რა ექნა, ლევანიც ხომ მსახიობია, რატომ არ იშორებს ულვაშებს? აუხსნეს ნიკოლას, რომ პროფესიონალი მსახიობისათვის ეს აუცილებელია. ამასაც შეურიგდა მაშა.

საინტერესო მუშაობაში ჩააბეს შაქრო. პასუხსაგები როლები დააკისრეს. ისე დატვირთულია ჰაბუკი, რომ ტოლებს ხვირიანად ეეღარც კი ხვდება. კვირაში ერთხელ—ორჯერ სვიმონას სარდაფში მაინც ჩადის ძველი მეგობრების სანახავად. ავლაბარში ვარდის მოედანზე სიმონას სარდაფი განთქმული იყო. რევოლუციური აღმავლობის პერიოდში აქ თავს იყრიდნენ რევოლუციურად განწყობილი მუშები, ეწყობოდა კრებები, ნაწილდებოდა პროკლამაციები და სხვ. არაქსიანის ავლაბრის მუშათა თეატრი, შურაშკოს აუდიტორია და სიმონას სარდაფი—აი ისინი რევოლუციონერთა კერები. რეაქციამ თავისი საშინელი კლანჭები გაშალა

და სისხლის მორევი დააყენა. სიმონას სარდაფში ფერი იცვალა. იქ ისე აშკარად აღარ იმართებოდა კრებები, დიდი სიფრთხილით ვრცელდებოდა პროკლამაციები. ჯაშუშები დაძრწოდნენ და ყველა „საეჭვო“ პირს აპატიმრებინებდნენ. შაქროს ბავშვობიდანვე ჰყავდა ავლაბარში მეგობრები და მათ სანახავად მსახიობობისას ხან სიმონას სარდაფს ეწვეოდა ხოლმე, ხან ბარაქსიანის თეატრში შეივლიდა და თავის ყოფილ მასწავლებლებს ლევანს და სხვებს ინახულებდა. სცენისმოყვარულთა წარმოდგენებშიც სისტემატურად იღებდა მონაწილეობას—ქართული დრამატული დასის დირექცია არა თუ არ უკრძალავდა თავის მსახიობებს მონაწილეობა მიეღოთ სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში, არამედ პირიქით, ყოველმხრივ ეხმარებოდა ამ წრეებს. როგორც დრამატული პროფესიული დასი, ისე სცენისმოყვარენი ერთ მიზანს ემსახურებოდნენ—მშრომელთა გათვითცნობიერებას, და ამიტომ ასე შეხმატკბილებულად მუშაობდნენ.

ერთხელ თეატრიდან დაბრუნებისას შაქრომ თავისი სახლი პოლიციელებით გარშემორტყმული ნახა. ჩხრეკა, ოქმის დაწერა, სა-პოლიციო უბანში ღამის გათევა და იქიდან მეტეხის ციხეში გამგზავრება. იმ ღამეს სიმონას სარდაფის სხვა კლიენტებიც დაეტუსაღებინათ. მეტეხის ციხე პოლიტიკურებით იყო სავსე. საპატიმროში ჰაბუკი გაეცნო მწერალ ჭოლა ლომთათიძეს, გერონტი ქიქოძეს, გიორგი ლასხიშვილს, ექიმ ვანო გომართელს, ბაგრატ ქუთათელაძეს, ა. ვადაჭკორიას, და სხვ პატიმრებმა ჰაბუკი გაამხნევეს, მამობრივი მზრუნველობა გაუწიეს. ციხის საკანი ჰაბუკისათვის ნამდვილ სკოლად გადაიქცა. აქ იმართებოდა კამათი სხვადასხვა საკითხებზე, დისკუსიები, ლექციები, ლიტერატურული გასამართლებანი. სხვათა შორის, საკანში მოეწყო ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატის“ პერსონაჟის ერეკლეს გასამართლება და ამ უკანასკნელს ჩვენი ჰაბუკი წარმოადგენდა. შაქრო ხარბად ეწაფებოდა ყოველივეს და გატაცებით კითხულობდა როგორც პოლიტიკურ, ისე მხატვრულ ლიტერატურას. ივანე გომართელმა ციხიდან ვალერიან გუნიას გაუგზავნა წერილი და ჰაბუკის მდგომარეობას ატყობინებდა. ვალერიან გუნიამ დაუყოვნებლივ უპასუხა, გაამხნევა შაქრო და წერდა, მთელი დასი სიხარულით მოელის შენს განთავისუფლებასო.

ნიკოლა ლოგინად ჩავარდა. ფილტვების კრუპოზული ანთებაო, დაასკვნეს მკურნალმა ექიმებმა. ჯანღონით სავსე ორმოცდაათი

წლის ვაჟკაცი გარდაიცვალა და ოჯახი უმწეოდ დარჩა. კეირა დღეს დანიშნულია ნიკოლას დაკრძალვა, გუბერნატორის წინაშე აღძრეს შუამდგომლობა და სთხოვეს ერთი დღით მაინც გამოუშვან ტუსაღი მამის დასატირებლად. შუამდგომლობა არ შეიწყნარეს, პროცესია ციხის კარებთან გამოატარეთ და პატიმარს ნებას მივცემთ კუბოს შეხედოს და მამა დაიტიროსო. ტუსაღს გუბერნატორის განკარგულება გამოუცხადეს. როგორც გალიაში გამომწყვდეული ჩიტი, ისე აწყდება აქეთ-იქით თავისი საკნის კედლებს. გული საგულეს არა აქვს. ო. რა მძიმედ გადის დრო. ორ საათს ათი წუთი აკლია. ზედამხედველი შემოვიდა საკანში და დარაჯთა თანხლებით შაქრო ეზოში ჩამოიყვანეს. ციხემ იცის ეს ამბავი და ყველა თავისი საკნის სარკმლიდან გამოიყურება. აგერ ქუჩაში გაისმა საგალობელი „წმინდაო ღმერთო“. პროცესია ციხის კართან შედგა. პანაშვიდი დაიწყო. ალაყაფის კარი გაიღო და ჰაბუკი ორი ყარაულის თანხლებით გამოჩნდა.

ციხის ზედამხედველმა ადამიანობა გამოიჩინა, საშუალება მისცა ჰაბუკს მისულიყო კუბოსთან და საყვარელ მამას შუბლზე მთხვევოდა. ქუჩაში შეკრებილი ხალხი ცრემლად იფრქვეოდა. გლოვას საკნებიდან ტუსაღები უყურებდნენ გარინდებულნი. ციხის ქილიკებიც კი დუმდნენ და შემზარავ სცენას შეჰყურებდნენ. პროცესია დაიძრა და შაქროც თავის საკანს დაუბრუნდა.

გავიდა სამი წელი. ჰაბუკი გაათავისუფლეს. ოჯახში კვლავ სიხარულის ტირილია, ნათესავთა დარბაზობა, გადაპატიჟება ..

სიხარულით მიიღო თეატრმა თავისი შვილი და საინტერესო მუშაობაში ჩააბა. ეს პერიოდი ამ სტრიქონების ავტორისათვის თითქმის უცნობია, რადგან სამშობლოში საზაფხულო არდადეგების დროს იმყოფებოდა. მხოლოდ გაზეთები გვამცნობდნენ ახალგაზრდა მსახიობის წარმატებას. თუმცა ისეთ დიდ სახელებთან, როგორიც იყვნენ ალექსანდრე იმედაშვილი, გიორგი ერისთავი და სხვ., იგი მკრთალად მოჩანდა. უეჭველია ეს აიხსნებოდა იმ როლების ხასიათით, რომლებიც ამპლუას მიხედვით ეკისრებოდა მსახიობს. შაქრო გომელაური რეცენზენტების აზრით ძველად არსებული ამპლუას მიხედვით წმინდა წყლის „ფატი“ იყო—კოტე შათირიშვილის და მგალობლიშვილის გზის განმგრძობი. აკი ამიტომაც გაზეთები ძლიერ აქებდნენ გომელაურის მსუბუქაშვილს „აღლუმში“ და კოტე შათირიშვილის ღირსეულ შემცვლელად თვლიდნენ.

პირადად ჩვენ მის აქტიორობაზე 1923 წლამდე ვერაფერს ვიტყვით. ამ წელიწადს ეგრეთწოდებულ მუშათა თეატრში (ახლანდელ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობაში) მომიხდა მუშაობა. დასი საკმაოდ ძლიერი იყო. აქ მუშაობდნენ ტასო აბაშიძე, ელენე დონაური, ალისა ქიქოძე, ალექსანდრე იმედაშვილი, სანდრო ყალაბეგაშვილი, ანდრო მურუსიძე, სოსო რომანიშვილი, შაქრო გომელაური, ნიკო გვარაძე და სხვ.

დასის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო მიხეილ ჭიაურელი. თეატრს დიდ მზრუნველობას უწევდა და თითქმის ყველა დადგმაში თავისი კორექტივები შეჰქონდა დიდ ხელოვანს კოტე მარჯანიშვილს.

სეზონი გ. ერისთავის „გაყრით" გაიხსნა. დადგა შ. აღსაბაძემ: სპექტაკლს დიდი მოწონება ჰქონდა. განსაკუთრებით თავი ისახელა შაქრო გომელაურმა. მისი ივანე კოლორიტული, შთაბეჭდილების მომხდენი და მხატვრულად თითქმის უნაკლო იყო. მსახიობმა მანერებით, ჩაცმულობით, ჟესტებით და პლასტიკით მარიუს პეტიპა გამახსენა. გომელაურის არტისტულობა ყველასათვის უდავო შეიქმნა. მახსოვს კოტე მარჯანიშვილის აღფრთოვანებული სახე და თქმა: „სადაც უნდა მომიხდეს მუშაობა, ეს მსახიობი ჩემთან უნდა იყოს რატომ არ ჩანდა, რად იყო ასე ჩრდილში ეს მსახიობი?"

რესტორან „ჟიზნში" ბანკეტზე, კოტე მარჯანიშვილმა თავისი აღფრთოვანება გამოთქვა საზოგადოდ მთელი სპექტაკლის გამო, განსაკუთრებით კი შეჩერდა გომელაურის მიერ შექმნილ სახეზე. აქვე განაცხადა პროფესიონალების საყურადღებოდ, დასის თანამშრომელმა ბიჭმა კვანტალიანმა ყველას გაჯობათო. მართლაც „გაყრაში" ანდრო მურუსიძე, კვანტალიანი (მესამე არ მახსოვს, ძედიატორეებს თამაშობდნენ. უსიტყვო როლში კვანტალიანმა მთელი დარბაზის ყურადღება მიიქცია და კოტეს აღფრთოვანება გამოიწვია.

შეუდგნენ ა. ლუნაჩარსკის „ამფეთქებელნის" დადგმისათვის მზადებას. პიესაში ორი შემადგენლობა დანიშნეს: რუდელიკო—ა. იმედაშვილი, ა. ბურთიკაშვილი, მინისტრი—შ. გომელაური, ა. მურუსიძე, ქალი—ელ. დონაური, ს. ვაჩნაძე. ვინაიდან ა. იმედაშვილი კოტე მარჯანიშვილთან გადაღებაზე იყო კინოში, ორივე შემად-

გეხლობასთან შე მიხდებოდა რეპეტიციების გავლა. აქ პირველად სცენისმოყვარე შევხვდი გამოცდილ პარტნიორს, პროფესიონალს. ამ სეზონში ბევრჯერ დაიდგა ეს პიესა, და ყოველთვის ხალხი ბლომად ესწრებოდა. თუ „ამფეთქებელნს“ ასეთი წარმატება ჰქონდა, ამაში რეჟისორ ვ. აბაშიძესთან, ა. იმედაშვილთან, ელ. დონაურთან. და სხვებთან ერთად შაქრო გომელაურსაც მიუძღვის წილი. გომელაური რენეგატს თამაშობდა. ერთგვარი შიშიც კი შეიქნა, რომ ეს პერსონაჟი უფრო ძლიერი არ გამოსულიყო რევოლუციონერ გმირ რუდელიკოზე. ა. იმედაშვილთან ეს საშიშროება არ იყო, მაგრამ მის შემცვლელთან? შაქრო გომელაურს რომ არ დაეჩრდილა რუდელიკო, რეჟისორი დამატებით რეპეტიციებს ნიშნავდა. გამეგონა, რომ ძლიერი პარტნიორი გაიძულებს მიყვე მას. ამას ვგრძნობდი გომელაურთან თამაშისას.

იმ სეზონში მეოთხე პრემიერა იყო შაპოველნიკოვის „ბრბო“. ამ პიესაში შაქროს დაეკისრა რევოლუციური ტრიბუნალის პროკურორის როლი. შაქრო გომელაური მანამდე მე მიმჩნდა უარყოფითი ტიპების და ფატების როლების მოთამაშედ. რეჟისორ გ. ჯაოშვილს, რომელიც ამ პიესას დგამდა, კერძო საუბარში განვუცხადე კიდეც, რომ პროკურორის როლისათვის გომელაურის არტისტული მონაცემები ხელსაყრელი არ იყო. პირველ-მეორე რეპეტიციაზევე დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი და ჩემი შეცდომა საჯაროდ ვაღიარე.“ გომელაურმა ამ პიესაში მკვეთრი და დრამატიზმით აღსავსე სახე შექმნა.

ამავე სეზონში დ. ანთაძემ დადგა „ქმარი ხუთი ცოლისა“ და გომელაურმა ამ პიესაშიაც ისახელა თავი.

მარჯანიშვილმა თავისი სიტყვა შეასრულა. ჩამოყალიბდა თუ არა მისი ხელმძღვანელობით ქუთაისში მეორე სახელმწიფო თეატრი, შაქრო მიწვეულ იქნა დასში. ქუთაისის სეზონის არაჩვეულებრივი წარმატება ყველასათვის ნათელი გახდა, როცა დასი მთელი ერთი თვით თბილისში ჩამოვიდა გასტროლებზე და თავისი საუკეთესო დადგმებით აღტაცებაში მოიყვანა დედაქალაქის მოსახლეობა. პირველსავე სპექტაკლში ერნესტ ტოლერის პიესაში „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ ვიხილეთ შაქრო გომელაური. ამ პიესაში ის ასრულებდა რენეგატ ვილჰელმ კილმა-

ნის როლს. მსახიობისათვის ყველაზე ძნელი იყო პირველი მოქმედება. აქ საჭიროა მეტი განწყობილება, ლირიზმი, დიდი დრამატიზმი. შაქრო გომელაური კი ასეთი მონაცემებით უხვად არ არის დაჯილდოებული, მაგრამ მასში იმდენი არტისტულობა არის, ისეთი ტექნიკაა, რომ მსახიობმა სძლია ყველა დაბრკოლებას და არ გამოეთიშა ანსამბლს. მაგრამ აი გათავდა პირველი მოქმედება. ეს რენეგატი მინისტრი ხდება. აქ უნდა გენახათ, როგორ იცვლიდა ის ფერს, რა თავისუფლად მოქმედებდა, რა ბუნებრივი იყო, როგორი სიმართლით წარმოგვისახავდა ამ პერსონაჟს. ამიტომ იყო, რომ როგორც თბილისის პრესა, ისე მოსკოვისა და უკრაინისა აქებდა კილმანის როლის შემსრულებელს შაქრო გომელაურს.

ამ მსახიობს შესწევს უნარი მცირე სიტყვიერი მასალიდან შექმნას საინტერესო სახე. მისი ლენინი შალვა დადიანის „ნაპერწკლიდან" შთამბეჭდავი იყო. ლენინს ამ პიესაში ძალიან მცირე სიტყვიერი მასალა აქვს. აქტიორმა შეძლო პორტრეტულ მსგავსებასთან ერთად დაენახვებინა ჩვენთვის ლენინის სულიერი თავისებურებანი და დიდი ბუნება. მსახიობის არტისტულ ბიოგრაფიაში ისეთი რთული სახეებია, როგორიც არის შექსპირის „ოტელოში" იაგო და კასიო, შილერის „ვერაგობა და სიყვარულში" ვურმი, ამავე ავტორის „მარია სტიუარტში" ბერლი, ბომარშეს „ფიგაროს ქორწინებაში" გრაფი ალმავივა, ორიგინალური რეპერტუარიდან შალვა დადიანის პიესა „კაკალ გულში" რინკნელი, ვ. გაბესკირიას „მათ ამბავში" პროფესორი, გ. შატბერაშვილის „უცნობ ქალში" მამა და სხვ.

შაქრო გომელაურის დამსახურება ღირსეულად არის დაფასებული. მას მინიჭებული აქვს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება. ვალმოხდილ მსახიობს თეატრში მუშაობიდან ბევრი საინტერესო მოგონება დარჩება

# ღუდე ძნელაძე

დაიბ. 1889

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ სახე უცვალა ჩვენს ქვეყანას. სოფლად თუ დაბებში ურმის თელების ჭრიალი ავტომანქანის გუგუნმა შეცვალა. ჭრაქის სანათურები და ნავთის ლამპები—ელნათურებმა. ქოხმახები ისტორიას ჩაბარდა და სართულიანმა სახლებმა ტანი აიყარეს. ქალაქსა და დაბა სოფლებს შორის ძველად არსებული ზღვარი გაქრა. სიტყვა პროვინცია ისტორიულ ცნებად გადაიქცა. დღეს რაიონები ისევე სარგებლობენ კულტურული მონაპოვრით, როგორც ცენტრები. წინათ აბე როდი იყო. თეატრი—კულტურის ეს უძლიერესი კერა მხოლოდ მსხვილი ცენტრების კუთვნილება იყო. ამიტომაც დიდ მოვლენად ითვლებოდა ძველად დაბაში დედაქალაქის მსახიობების გასტროლები ან ადგილობრივ სცენისმოყვარეთა დროგამოშვებით მოწყობილი წარმოდგენები. სპექტაკლი ძველ პროვინციაში სახალხო დღესასწაულად გადაიქცეოდა ხოლმე. ასევე იყო ხაშურშიც, რომლის მკვიდრიც გახლდათ ჩვენი დუდე ძნელაძე.

ცნობილია, რომ სანახაობას ბავშვები უფრო ეტანებიან. დუდეც, როცა კი ხაშურში სცენისმოყვარეთა წარმოდგენები იმართებოდა, იქ ბრძანდებოდა ხოლმე თავის ტოლბიჭებთან ერთად უბილეთოდ შეპარული.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ხაშურის დრამატული წრის წარმოდგენები ვინმე გერმანელი ტელიაფუსის ბაღში, ეგრეთწოდებულ „როტონდაში“ იმართებოდა. ეს იყო პატარა, მაგრამ მოხდენილი სათეატრო ხის შენობა თავისი სცენით და მაყურებელთა დარბაზით. ამ შენობას გვერდის კედლები მთლიანად არ ჰქონდა ამოშენებული. ისინი წარმოადგენდნენ არქიტექტურულად ლამაზად გაფორმებულ ხარიხებს. აი ამ ხარიხებზე აცოცდებოდნენ ხოლმე ბავშვები და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს ყოველივე იმას, რაც სცენაზე ხდებოდა. ხაშურის რკინიგზის სასწაელებლის მოწაფე დუდე „როტონდის“ ხარიხების მუდმივი სტუმარი გახლდათ.

რომელიღაც დრამის უკანასკნელი მოქმედებაა. პიესის მიხედ-

ვით ერთ პერსონაჟს რევოლვერით კლავენ. პარტერის პირველ რიგში საპატიო სტუმრებს შორის თავის დედასთან ზის დუდეს მეზობელი პატარა ბიჭი. მეტსახელად კურკა. სწორედ აი ამ კურკას მაინაა, რომელიც მოქმედების მიხედვით მოკლეს სცენაზე. დაეცა თუ არა სცენაზე ეს პერსონაჟი, კურკამ ტირილი მორთო: „მამა მოკლეს. მამა მოკლეს". მთელმა პარტერმა ხარხარი დაიწყო. ხალხთან ერთად დუდეც იცინოდა. ის უკვე გამოცდილი მაყურებელია. დუდემ იცოდა, რომ ყოველივე ეს გათამაშება იყო და არა სინამდვილე. დრამის შემდეგ ავქსენტი ცაგარლის „ოინბაზი" დადგეს და, როცა ნოქარი კარადაში ჩაკეტეს, ბავშვის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. წარმოდგენა დასრულდა. მიდის ბავშვი შინისაკენ და ფიქრობს. თეატრში დედის უნებართვოდ გაპარულმა როგორ აიცდინოს მშობლის რისხვა და წკეპლა. თანაც იმედი აქვს, იქნებ დედას ეძინოს და მოახერხოს ჩუმად შეპარვა თავის ოთახში. მაგრამ დახე უბედურებას. დედის ოთახიდან ლამპის შუქი მოჩანს. დედას არ ძინავს და ტკბილად საუბრობს თავის მდგმურთან—მეგრელ ქალ პატკუასთან. დედა მრისხანედ შეხვდა ბავშვს. გაემართა სამზარეულოსაკენ წკეპლის მოსატანად. მიხვდა დუდე, რომ გაწკეპვლა არ ასცდება, აღარ დააყოვნა და ხმის კანკალით წარმოთქვა: „დეიდა პატკუ... ახლა ბაღში... კურკას მამა მოკლეს" დედა წკეპლით ხელში შეჩერდა—სად მოკლეს, ბიჭო, ვინ მოკლა?.. რახან შეტოპა ბავშვმა, შეჩერება აღარ შეიძლებოდა, ფანტაზია აამუშავა და განაგრძო—ტელიაფუსის ბაღში, ვიღაცა მიეპარა და რევოლვერი დასცა. კურკას მამა პატკუას მახლობელი იყო. ერთი შეჰკივლა ქალმა და გარეთ გაიჭრა მეგრული მოთქმით. ატყდა ძაღლების ყეფა, წივილ-კივილი, აურზაური... ნამძინარევი მეზობლები გამოდიან გარეთ და მოტირალთ უერთდებიან. ათას. გვარი ხმები დაირხა. ქუჩა ხალხით აივსო. ზოგი რას ამბობს ზოგი რას. ჩვენი დუდეც იქ გახლავთ. ხმაურობაზე კურკას მამაც გამოჩნდა. ხალხმა მოჩვენებად მიიჩნია. დაშოშმინდნენ. ამ ხმის გამავრცელებლის ძებნას შეუდგნენ. მიხვდა დუდე, რომ ხეირი არ დაეყრებოდა და შინისაკენ მოძურწა. სასწრაფოდ გაიძრო ტანსაცმელი და ძილს მისცა თავი. დედა აბა მძინარე შვილს როგორ გაიმეტებდა და დუდე გაწკეპლვას გადარჩა.

ბავშვს თეატრის სიყვარული ისე გაუჯდა ძვალსა და რბილში, რომ თვითონვე აწყობდა წარმოდგენებს თავის ფარდულში. ნახშირით ითხუპნიდა სახეს და რაც პირზე მოადგებოდა იმ სიტყ

ვებს ისწრაფდა. დუდეს დასი უბნის პატარა ბიჭებისაგან შედგებოდა.

ხაშურის ორკლასიანი სასწავლებელი დამთავრებულია. დედამ თბილისში გაგზავნა თავისი საყვარელი ბიჭუნა და ამით შინაურ წარმოდგენებსაც ბოლო მოეღო.

დედა ცას ეწირა, როცა მისმა დუდემ რეალური სასწავლებელი დაამთავრა და მოსკოვის კომერციული ინსტიტუტის მსმენელი გახდა.

ჰაბუკი ვერსმოდგინებულ შეუდგა მეცადინეობას, მაგრამ უფრო გატაცებით თეატრებში დაიარებოდა. მას აოცებს მოსკოვის საპატივრო თეატრის დადგმები, თაებრუს ახვევს მცირე თეატრის დიდ ოსტატთა ხელოვნება. დუდეს დიდხანს არ დასცალდა მოსკოვში ყოფნა. ტუბერკულიოზის ნიშნები აღმოაჩნდა და სამშობლოში დაბრუნდა. აბასთუმანის კურორტმა განკურნა. შმობლიურ ხაშურს დაუბრუნდა. ერთი ავადმყოფობისაგან განიკურნა, მაგრამ მეორე „სენმა"—თეატრის სიყვარულმა იფეთქა. დუდე ხაშურის დრამატული წრის აქტიური წევრი გახდა.

მშვენიერმა სცენიურმა გარეგნობამ, კულტურამ, საკმაო ტემპერამენტმა წარმატება მოუპოვა სცენაზე. რეცენზენტები ახალ ყენ-პრემიერს ხოტბას ასხამენ. საგასტროლოდ ხაშურში ჩამოსული მსახიობები ნინო ჩხეიძე, შალვა დადიანი, იუზა ზარდალიშვილი, და სხვები საიმედო პარტნიორს პროფესიულ დასში ეპატიჟებიან. დუდესაც სწორედ ეს უნდოდა. დედას? აბა რომელი დედა გაიმეტებდა ძველად შვილს აქტიორად? როგორ, რეალური სასწავლებელი იმიტომ დაამთავრებინა, რომ „სცენაზე ტლინკვა" დაიწყოს!

რა ექნა, დუდემ რად დაიგვიანა? ერთი კვირით წავიდა თბილისში და აქეთ თვეა აღარ დაბრუნებულა. წერილსაც რომ არ იწერება! ათას ფიქრს მიეცა დედა. ვაი თუ ავადმყოფობა განუახლდა. აბა დედის გული რას არ იფიქრებს.

შუაღამეა. ფეხის ხმაზე იცნო დედამ აივანზე ამოსული შვილი. კარი გაუღო. დუდემ თავის ოთახს მიაშურა. დედამ ლამპა აანთო და შვილთან შეიტანა. შედგა თუ არა ოთახში ფეხი, ანთებული ლამპა ხელიდან გაუვარდა... დუდეს ულვაშები მოეპარსნა და ფრანგების პატრს დამსგავსებოდა, მშვენებით სავსე ვაჟკაცი დიაციით გამოიყურებოდა.

მიხვდა დედა, რომ მისი საყვარელი შვილი თეატრის ქალი გამხდარა.

სამ-ოთხ დღეს გლოვობდა მოხუცი, მაგრამ ბოლოს გული მოიბრუნა და შეურიგდა.

1917 წელია. დუდემ პირველად მოაწერა ხელი კონტრაქტს და ქუთაისში გაემგზავრა. დასი საკმაოდ ძლიერი იყო. ნუცა ჩხეიძე, მიხეილ გელოვანი, მიხეილ ჭიაურელი, შაქრო გომელაური, თვითონ რეჟისორი მიხეილ ქორელი—ეს ისეთი სახელებია, რომლებიც ყველა დასისათვის სასურველნი იყვნენ. სწორედ ამ პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბდა მსახიობთა კავშირი, რომელსაც თავმჯდომარეობდა შალვა დადიანი. კავშირის დადგენილებით ყველა თეატრს, რომელშიც მათი წევრები მუშაობდენ, უნდა გაეღო შემოსავლიდან განსაზღვრული პროცენტი. ქუთაისის დრამატულმა საზოგადოებამ უარი განაცხადა პროცენტების გადახდაზე. მსახიობთა ერთმა ნაწილმა—მიხეილ გელოვანმა, შაქრო გომელაურმა, გ. ფრონისპირელმა (ყიფშიძემ), და სხვ.—ნიშნად პროტესტისა დასი დატოვა. დუდე კავშირის წევრი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ თეატრის დირექციამ პირობების გაუმჯობესება აღუთქვა, კარგ როლებს დაჰპირდა, დუდე „მეამბოხეთ“ შეუერთდა და დასი დატოვა. თეატრის გარეთ დარჩენილებმა შეადგინეს ამხანაგობა, მოამზადეს სამი პიესა და საგასტროლოდ გაემგზავრნენ. დუდემ პირველსავე წელს განიცადა ქართველი აქტიორის მძიმე ხვედრი, დაბა-სოფლებში ხეტიალი, ხშირად უამინდობის გამო ცარიელ დარბაზში თამაში და სხვ.

დუდე ძნელაძე ყველა დასისათვის სასურველი წევრია. ამიტომ უანგაჟემენტოდ დარჩენის შიში მას არ მოელის. ყველა სეზონში მუშაობს, ხან თბილისში, ხშირად სხვა ქალაქებში—ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და სხვ.

ქუთაისის დასს ა. იმედაშვილი ხელმძღვანელობს. დუდე მიიწვია შან ჟენ-პრემიერის როლებზე. ხელმძღვანელი კმაყოფილია ახალგაზრდა მსახიობის მიერ „ვინ არის დამნაშავეში“ სიკოსი და „რკინის კედელში“ ფერდინანდის როლების შესრულებით.

დაწინშნულია ნუცა ჩხეიძის საგასტროლო სპექტაკლი „მარგარიტა გოტიე“. იმედაშვილს დასში ჰყავს საუცხოო გარეგნობის, სცენიური მომხიბვლელობით უხვად დაჯილოებული დუდე და ამიტომაც თავისი საყვარელი არმანის როლი მას გადაულოცა. თვითონ მამის როლი იკისრა. დუდე ცას ეწია. სათაყვანებელი მსახიობის ნუცა ჩხეიძის პარტნიორობა ნუ გგონიათ ხუმრობა. რამდენიმე დღეში მთელი როლი გაიზეპირა და ყველა ნიუანსი

შეისწავლა. გასტროლს დიდძალი ხალხი დაესწრო. ნუცას მარგარიტამ კვლავ მოხიბლა ქუთათურები. მონუმენტალური იყო ალ. იმედაშვილი მამის როლში. დამსწრენი დღესაც იგონებენ ნ. ჩხეიძის და ა. იმედაშვილის დიალოგებს. დუდესაც წარმატება ხვდა. გამოჩენილ მსახიობებთან ერთად ტაში მასაც ეძღვნა.

მეორე დღეს ერთმა თეატრალმა, ექიმმა შეაჩერა დუდე, წარმატება მიულოცა, მაგრამ პატარა საყვედური მაინც უთხრა. „წარმოდგენა ძალიან მომეწონა, კარგი იყავით არმანის როლში — გარეგნობა, სცენიური მომხიბვლელობა ხელს გიწყობთ, მაგრამ სცენაზე თქვენმა არმანმა ერთხელაც არ აკოცა მარგარიტას.

— რატომ?

ეს ამბავი რომ გადმომცა, დუდემ დასძინა: ჩვენ, ახალგაზრდობა, ნუცას პირდაპირ ვაღმერთებდით, მისდამი მოკრძალება და თაყვანისცემა ალბათ უფრო ძლიერი იყო ჩემში, ვიდრე არმანის მარგარიტასადმი სიყვარული.

ალექსანდრე იმედაშვილი დიდი დისციპლინის ადამიანი იყო და დასის წევრებისგანაც ამას მოითხოვდა. საშას დუდე ერთერთ დისციპლინიან მსახიობად მიაჩნდა. სწორედ ამ ნაკლებმა დუდემ ერთხელ ამ მხრივ უღალატა საშას, რაც ალ. იმედაშვილმა თავის გამოუქვეყნებელ მეტად საინტერესო მოგონებებში მოგვითხრო:

„27 აპრილს აღდგომა დღეს ვდგამდი კომედია „სიძე-სიმამრს". დუდე ძნელაძე თამაშობდა „ზიპოს", მე ეს როლი ძალიან ხშირად მჭონდა ნათამაშევი. იმ დღეს სადილად ჩვენმა რეკვიზიტორმა დაგვპატიჟა. ცოტათი შევთვერით, მაგრამ ადრე დაეიშალენით. დ. ძნელაძეს გზაში ჩვენი გრიმიორი შეხვედროდა და სახლში წაეყვანა. ისიც დაეთრო და თვითონაც ძალზე დამთვრალიყო. მე თეატრში ცოტა დაგვიანებით მიველი. თანაშემწემ გადმომცა, დუდე ძნელაძე ძალზე მთვრალია და სძინავსო. გავბრაზდი და გასალანძღავად წავედი. ბევრი ვაღვიძე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. სხვა გზა არ იყო, მე უნდა მეთამაშნა. არავის არაფერი არ ეუთხარი და მოვითხოვე როგორმე გაეღვიძებინათ. როგორც იყო, გააღვიძეს. ვეკითხები:

— დუდე, შეგიძლია ითამაშო?

— შემიძლია, საშაჯან, შემიძლია.

— მაშ აბა წამოდი, წარმოდგენას ვიწყებ.

ყველანი შფოთავენ, მეხვეწებიან, მთვრალი არ გამოუშვა, სირ-

ცხვილია, ხალხი რას იტყვისო და სხვ. მისი პარტნიორი შ. გომელაური („ცანცარას" თამაშობდა) ლაშის გადაირია.

— ეს რასა ჰგავს,—მეუბნება,—როგორ შეიძლება მაგის გამოშვება ან მაგასთან როგორ უნდა ვითამაშო? ან შენ ითამაშე, ან სულ მოხსენი წარმოდგენა.

— ითამაშებს!—მე ბაირც ჩემსას გავიძახი.—დაე შერცხვეს. ახია მაგაზე. აბა, დაიწყეთ. ასწიეთ ფარდა.

— აბა, დუდე, როგორ ხარ, შეგიძლია?

— შემიძლია, საშაჯან, შემიძლია!

— მაშ დაიწყეთ!—დაიწყეს. სცენაზე შ. გომელაური ლაპარაკობს. დ. ძნელაძე მივიყვანე კართან და ვამხნევებ.

— აბა, დუდე, ყოჩაღად იყავი, სიმთვრალე არ შეგეტყოს.

დუდე ბარბაცებს. შ. გომელაური თავის მონოლოგს ამთავრებს. აი დუდე უნდა შევიდეს.

— მოემზადე, დუდე, მოემზადე—ვეუბნები და... უცებ ხელი ვკარი და მის მაგივრად მე შევედი. შ. გომელაურმა რომ დამინახა, გაკვირვებულმა თვალები დააჭყიტა და უნებურად ხმამაღლა წამოიძახა.

— ვაა, შენა ხარ—ზიპო?.. კინალამ ჩემი სახელი „საშა თქვა."

დუდე გაცხოველებით მუშაობს თეატრებში როგორც მსახიობი და ხშირად კიდევაც ხელმძღვანელობს კოლექტივებს. ჩვენს ხელთ მრავალი რეცენზიაა, გავიხსენებთ მხოლოდ რამდენიმეს.

1928 წელს დუდე ძნელაძის ხელმძღვანელობით სოხუმში გაზაფხულის სეზონი დაიწყო, სადაც დიდი ხანია ქართული სექტორი დახურული იყო. „სოვეტსკაია აბხაზია" თავის 1928 წლის 29 თებერვლის ნომერში წერს, რომ „ძნელაძის სახით სოხუმის ქართული დრამის სექტორმა მოიპოვა ნიჭიერი მსახიობი, რაც მთავარია, თანამედროვე მხატვარი —რეჟისორი, მისთვის უცხოა რუტინა". იგივე გაზეთი 28 აპრილის ნომერში წერს: „დ. ძნელაძის ხელმძღვანელობით გამართულმა სპექტაკლებმა დაგვარწმუნეს, რომ სოხუმში მუდმივი ქართული დასის არსებობა შესაძლებელია". ასეთივე შეფასებებია სხვა ქალაქებში მუშაობისას.

სამუშაო ბევრი, ამხანაგებთან კარგი დამოკიდებულება, საინტერესო როლები, მაგალითად, კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ დასში ქუთაისში „ცხვრის წყაროში" კომენდორი, „როგორში"—გოლა, „რელსები გუგუნებენში"—ტელესფორი. „ბეატრიჩეში" ახალგაზრდა პასტორი და სხვ.

მაგრამ დუდე მაინც არ არის კმაყოფილი და გადაწყვეტს მსახიობობას გამოეთხოვოს, თავის საყვარელ თეატრს სხვანაირად ემსახუროს. რა იყო ამისი მიზეზი? შევეცდებით ამის გამორკვევას.

რუსეთის გამოჩენილი ტრაგიკოსი მამონტ დალსკი ხშირად ამბობდა, სცენა რჩეულთა ხვედრია, მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭის ადამიანს აქვს უფლება ფეხი შედგას თეატრშიო. ვგონებ, ცდებოდა დალსკი. ამ გზას რომ დაადგნენ, მაშინ ბევრი თეატრი დაიკეტება, რადგან რჩეულნი თითზე ჩამოითვლებიან. მაგრამ არიან დალსკის მიმდევრები და მგონია დუდეც მათ რიცხვში მოხვდა. დუდეს თავისი მდგომარეობა თეატრში არ აკმაყოფილებდა, გრძნობდა, რომ იმედაშვილობას ვერ შეძლებდა და ვერც უშანგი ჩხეიძეს გაუტოლდებოდა. რჩეულთა რიგებში ვერ მოხვდებოდა და ამიტომ ირჩია საშუალო მდგომარეობის მსახიობის მძიმე ტვირთი მოეხსნა და თეატრისათვის უფრო სასარგებლო საქმე ეკეთებინა.

დუდემ ფრონტი იცვალა, ახალ პოზიციებზე დადგა და ამ დარგში თავის პატარა უბანზე ბევრი საქმე გააკეთა. საქართველოში ერთ-ერთი ჟანრის თეატრის ფუძემდებელი გახდა. პატარა ექსკურსი.

დუდეს ბავშვობიდანვე ეხერხებოდა სიმღერა და კარგი სმენაც ჰქონდა. ჯერ კიდევ ბათუმის დრამატულ დასში ყოფნისას ის ეგრეთწოდებული „ხრინწაძის ხროს“ წევრი გახდა. ეს პაროდიული და სახუმარო სიმღერათა გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ემანუელ აფხაიძე და კუკური პატარიძე, დიდის პოპულარობით სარგებლობდა. თუ არა ვცდები, ეს კოლექტივი რუსეთში არსებულ ძმების ზაიცევის გუნდის მიბაძვით შეიქმნა. სტუდენტობისას მოსკოვში ბევრჯერ დავსწრებივარ ზაიცევების გუნდის კონცერტებს და აღტაცებული დავრჩენილვარ. მათი პაროდიული, სახუმარო სიმღერები, ნამდვილი ოსტატობით შესრულებული, დიდი პოპულარობით სარგებლობდა. „ხრინწაძის ხრო“ დაიშალა. მისი მონაწილენი სხვადასხვა დრამატულ თეატრებში მოეწყვნენ სამუშაოდ. დუდეც განაგრძობს დასებში მოღვაწეობას ქუხპრემიერის ამპლუაზე. პარალელურად კინოშიც მუშაობს. კარგი გარეგნობის მსახიობს კინორეჟისორები ხშირად იწვევენ და პასუხსაგებ როლებს აკისრებენ. მაგალითად, „იბრაგიმ და გოდერძში“ — იგი გოდერძია, „ჯანყი გურიაში“ — გიორგი, „ლრუბლებს თავშესაფარში“ — ჯამრულ, „საკანი № 79“-ში — დუდე და ა. შ.

ერთხელ კიწოსტუდიაში დუდე თავის ძველ მეგობარს მ. ჰიაურელს შეხვდა. ამ უკანასკნელმა სთხოვა დუდეს დაეწყო მასთან ერთად მუშკოპის თვითმოქმედ კოლექტივში მუშაობა. დუდე დათანხმდა. კოლექტივი ნიჭიერი ახალგაზრდობისაგან იყო შემდგარი. გაჩაღდა მუშაობა, და მალე ამ კოლექტივის სკეტჩებმა, პატარ-პატარა შარჟებმა, მუსიკალურმა ნომრებმა დიდი სახელი მოუპოვეს მათ. ამ დასმა არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის კულტურის ცენტრში მოსკოვშიც ისახელა თავი. კოლექტივი სკეტჩებით აღარ კმაყოფილდება და კლასიკური კომედიების დადგმას შეუდგა. მოლიერის „სკაპენის ოინების“ დადგმა უკვე დიდი მოვლენა იყო. ამ სპექტაკლმა დაანახვა ყველას, რომ საქართველოში კარგი ნიადაგი აქვს მომზადებული მუსიკალური კომედიის თეატრის შექმნას.

თუ პირველ ხანებში დასს სტაციონარი არ ჰქონდა, სახელმწიფოს ბიუჯეტზე არ იყო დაკოპერაცია ეხმარებოდა მატერიალურად, მალე ეს კოლექტივი მუსიკალურ კომედიის სახელმწიფო თეატრად იქნა აღიარებული და ამჟამად დიდი მსახიობის ვასო აბაშიძის სახელს ატარებს.

მ. ჰიაურელი მთლიანად კინოში განაგრძობს მუშაობას. დასს უკვე მარტო დუდე ხელმძღვანელობს.

ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დ. ძნელაძემ ბევრი მუსიკალური კომედია დადგა და თავისი რეჟისორული უნარი და ფაქიზი გემოვნება გამოამჟღავნა. დ. ძნელაძეს მიერ დადგმულია კლასიკური ოპერეტებიდან „ნიტუში“, „მხიარული ქვრივი“, თანამედროვე ოპერეტებიდან—„ტრემბიტა“, და სხვ. მაგრამ რაც მთავარია დ. ძნელაძე ქართული ორიგინალური მუსიკალური კომედიების პირველი დამდგმელია. გავიხსენოთ „ხაჯარათი“, (მ. ჰიაურელთან ერთად) „სამთო სიყვარული“, და „თბილისის ცისქვეშ“. დუდე ძნელაძემ 25 წლამდე იმუშავა ამ თეატრში. როცა კი დაინახა, რომ თავისი მიზანი მუსიკალური კომედიის თეატრის შექმნისა მკვიდრ ნიადაგზე დადგა, მას საკმაო კადრები ჰყავდა, რომლებიც მის დაწყებულ საქმეს სათანადოდ გაუძღვებოდნენ დუდე დამშვიდებული მიდის თეატრიდან.

მთავრობამ დ. ძნელაძის მოღვაწეობა ღირსეულად დააფასა. მას მინიჭებული აქვს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოვებულია შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, ხანდაზმულობის გამო პენსიის მაქსიმუმი

აქვს დანიშნული. ყველა პირობა აქვს შექმნილი დაისვენოს. მაგრამ აბა რა მოასვენებს მას. იგი თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეა და დიდის სიყვარულით უძღვება ამ საქმეს.

დედას ხელიდან ლამპა გაუვარდა, როცა თავისი დუდე ულვაშგაპარსული დაინახა. ძველად ულვაში ხომ ნამუსის ემბლემად იყო მიჩნეული. დროთა ვითარებამ ასეთი შეხედულება დავიწყებას მისცა. მაგრამ ნამუსის შენახვა, პატიოსნად ცხოვრების გზაზე სვლა როგორც ჩვენი წინაპრების, ისე თანამედროვეთა ურყევი მორალია. დუდეს თავისი შემოქმედების გზაზე ბევრი დალხენა ჰქონია, ორომტრიალიც გამოუვლია, მაგრამ არასოდეს ნამუსის ქუდი არ მოუხდია, ნამუსისათვის არ უღალატნია. სწორედ მისმა განვლილმა ასეთმა გზამ ამაღებინა ხელში კალამი და ეს პორტრეტი შემახაზვინა.

# ნიკო ჭუმბაძვილი

1892—1942



ოპერის თეატრში ტევა არ არის. „აბესალომი და ეთერი“ ვის არ მიიზიდავს. მაგრამ ჩვეულებრივი საზეიმო განწყობილება რატომ არ არის? რად მოიღუშა ყველა! დირიჟორის პულტთან იქვანე ფალიაშვილი გამოჩნდა. საამო მელოდიები გაისმა დარბაზში. დამთავრდა უვერტიურა. რატომ არ გაისმის მქუხარე ტაში. სპექტაკლია თუ პანაშვიდი. ფარდა აიხადა. ეთერმა „დედინაცვლის“ არია დაასრულა. საცაა კულისებიდან უნდა შემოიჭრას მზეჰაბუკი აბესალომი. მაგრამ მის ნაცვლად სიბნელეში უჩვეულო რამ შუქი გამოჩნდა და ეთერთან გაჩერდა. ახ სადა ხარ ვანო შენებურად არ შემოსძახებ:

მე ბანი-ბანად გეძებდი.
შენ ბაღი-ბაღჩად გეძინა...

თვალზე მოსულ ცრემლს ვერ იკავებ და გაგონდება რომ:

საქართველოს ხუპუპ ჰალებს
ბულბული ჰყავს მკვდარი,
მის დახუპულ ლამაზ თვალებს
ამკობს წყვილი ცვარი.

და უსმენ ვანოს ნაცვლად მთელი სპექტაკლის მანძილზე ვიოლონჩელის ხმას. კოტე მარჯანიშვილმა ვანო სარაჯიშვილის დაკრძალვიდან 6 დღის შემდეგ მისი ხსოვნის აღსანიშნავად „აბესალომი და ეთერი“ უაბესალომოდ დადგა. ეს სპექტაკლი თეატრის ისტორიაში შევა როგორც დიდი მწუხრი, ხელოვნების გლოვა. ხალხი წუნარად დაიშალა. ყველას, ვისაც კი უყვარდა დიდი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, ერთი აზრი უტრიალებდა თავში, ნუთუ ტურფასა საბაღნაროს შემცვლელი არ მოევლინება. დახე თითქოს ამის რაღაც სიმპტომია. თეატრიდან გამოსვლისას ვესტიბიულში აფიშაა გაკრული, რომელიც გვამცნობს 26 ნოემბერს ზ. ფალიაშვილის „დაისში“ მალხაზის პარტიას შეასრულებს დებიუტანტი ნიკო ქუმსიაშვილი. მომაგონდა ჩემი ძველი ნაცნობი საგარეჯოს

საცდელი ბაღის აგრონომი [illegible] ნიკო ქუმსია-შვილი.

26 ნოემბერს ოპერის თეატრს ზღვა ხალხი მოაწყდა. უვერტიურა დამთავრდა. შეირხა ფარდა და კულისებიდან ზარივით წკრიალა ხმა გაისმა:

ჩემი ბედის ვარსკვლავი ხარ
შენ მზეო ამომავალო,
გამსჭვალა შენმა სურვილმა,
ვით შეშლილი დავალო.

დიახ ეს ნიკოა, მაგრამ დახე როგორ თავისუფლად მღერის, რა ხალასი ბგერებია:

ჰეი, თუ შენ, ტურფავ, ვერ გიპოვნე,
შუა დაღესტანში გავალო.

საამოდ გესალბუნება ეს ხმა, სიამის ჟრუანტელს გგვრის და მთლად გიპყრობს და როცა მსახიობმა ჩააწკრიალა:

შიგ ჯოჯოხეთში შევალო,

ტაში აგრიალდა.

შთაბეჭდილება თანდათან ძლიერდება. მოქმედება დასასრულს უახლოვდება. ვანოს საყვარელი არია „თავო ჩემო“ დაიწყო დებიუტანტმა. პირველმავე ბგერებმა მთლად დაგვიპყროთ. გათავდა არია. ერთ წამს მდუმარებაა დარბაზში და უცბად, თითქოს გრიგალი ამოვარდაო, ისე იქუხა ერთსულოვანმა ტაშმა. აღფრთოვანებულ შეძახილებს დასასრული არ ჰქონდა. შთაბეჭდილება ისეთი ძლიერი იყო, მომღერალმა ისე გაიტაცა მაყურებელი, რომ როდესაც მალხაზი სიკვდილის წინ ეთხოვებოდა მაროს და კვნესით მოთქვამდა:

გშორდები, მარო, ნუ დამივიწყებ,

ბევრი ცრემლად დაიფრქვა.

ყველამ იგრძნო, რომ ახალგაზრდა მომღერლის სახით ჩვენს ოპერის თეატრს საიმედო ძალა მოევლინა. მართლაც და ნიკო ქუმსიაშვილი წმინდა წყლის დრამატული ტენორი იყო. საუცხოო პალღებით და ფაქიზი სმამიზნედილო-

ბით. მისი ფოლადისებური ხმა გულიდან მომდინარეობდა და ნების მიერ წარმართავდა ყოველგვარ ნოტის ხმოვანებას. განცვიფრებდათ ნიკო ქუმსიაშვილის მიერ ყოველივე ფრაზის გამოკვეთა, თვითეული ბგერის მუსიკალური ქართული ჩუქურთმებით მოვარაყება. გხიბლავდათ ერთი სუნთქვით მისი ხმის ფილირება და ისიც მაღალი ნოტა ლა-ბემოლზე. აკი ამიტომაც ნიკო ასე ბრწყინვალედ ასრულებდა აბესალომის, მალხაზის, გერმანის, ოტელოს, რადამესის, კანიოს, ელიაზარის და სხვა პარტიებს. ამ პარტიებში ის ყველაზე სრულყოფილად ოტელოს მღეროდა. ჩვენ საოპერო სცენაზე ასეთი ოტელო არ გვინახავს.

განსაცვიფრებელი იყო ნიკო ქუმსიაშვილის ხმის იშვიათი გამძლეობა. მას დაღლა არ ეტყობოდა. პირიქით როცა გაათავებდა სიმღერას და შინ ბრუნდებოდა შეხვედრისას ხშირად იტყოდა ხოლმე:

— აი ახლა ხელახლა რომ მამღერონ, უკეთ შევასრულებ ჩემს პარტიასო.

შეიძლება ნიკოს ხმის დაუღლელობა ერთ-ერთი მიზეზი იყო მისი უდროოდ დაღუპვისა. არიან ისეთი მომღერლები, რომლებიც იმ დღეს როცა გამოსვლა აქვთ, შეფუთვნილი დადიან და არც ლაპარაკობენ. ან არასოდეს ზედიზედ არ იმღერებენ. ნიკო კი ხშირად პარასკევს თუ ოტელოს იმღერებდა, შაბათს „დაისში“ გვევლინებოდა, კვირას კი რადამესის პარტიას ასრულებდა. ამხანაგათვის ხომ ნიკო გაჰპირვების ტალკვესი იყო.

ყველა დამწყებ მომღერლისათვის ღიდი პატივია როგორც სეზონის გახსნისას ასევე მისი დახურვისას მთავარ პარტიაში გამოსვლა. 1934 წელს სეზონს საოპერო თეატრი „დაისით“ ხურავს. უკანასკნელი კვირის აფიშები გაიკრა. რეპერტუარი ისე წარიმართა, რომ ნიკო დაკავებული არ არის. ივნისის დასაწყისია. სოფლად გახურებული თიბვაა და მალე მკასაც უნდა შეუდგნენ. რაკი თავისუფალი იყო, ნიკომ თავის მშობლიურ სოფელ ორხევს მიაშურა. ოჯახს მუშაობაში უნდა მიეხმაროს. თუ ოპერის თეატრი სეზონს „დაისით“ ხურავს რუსთაველის თეატრი შალვა დადიანის „თეთნულდით“ აზთავრებს მუშაობას. „დაისში“ მალხაზის პარტია დაკისრებული აქვს ახალგაზრდა მომღერალს მიხეილ ყვარელაშვილს, როგორ უხარიან ჰაბუკს რომ სეზონის დახურვის პონაწილეა. მაგრამ ის ხომ აშავე დროს რუსთაველის თეატრის მსახიობია და პიესაში სადაც სასიმღეროა იქ პირველობა მას აქვს.

„ოთონულდისათვის" კომპოზიტორმა ი. ტუსკიამ ბევრი სასიმღერო ადგილები დაწერა და ყოველივე სიმღერის დამწყებია ახალგაზრდა სვანის როლის მოთამაშე მიხეილ ყვარელაშვილი. ნაუცბათევად დრამაში შემცვლელის გამოყვანა შეუძლებელია და ამიტომ რუსთაველის თეატრის დირექცია კატეგორიულად წინააღმდეგია გაათავისუფლოს ყვარელაშვილი, ხოლო მალხაზის პარტიის შემსრულებლები კი თბილისში არ არიან. ერთი თეატრიდან მეორეში სირბილით მ. ყვარელაშვილი მოიქანცა და გამოსავალს ვერ ნახულობდა. საღამოს ექვსი საათია. ნიკო ჭუმსიაშვილი გამოჩნდა. შეიტყო საქმის ვითარება და მიხეილი მონახა.

— ნუ ღელავ ბიჭო, დღეს შემთხვევით ჩამოველი სოფლიდან. ოჯახს თიბვაში ვეხმარებოდი... ცელი გამიტყდა და მის დასაყდეად ჩამოველი. აქ კი თურმე ერთი აურზაურია. შენ წადი ითეთნულდე მე კი ვიდაისებ ერთი კვირაა ხმა არ ამომიღია. თუ წაუწვრილე იცოდე შენი სულისა იყოს. ნიკომ იხსნა გაჭირვებისაგან ამხანაგი და ამით თავისი კაცური-კაცობა დაამტკიცა.

ნიკოს როგორც გულმართალს, ყოველთვის ახარებდა ახალგაზრდათა წარმატება. გამოცდილებიდან იცოდა რა მნიშვნელობა ჰქონდა დამწყები მომღერლისათვის დიდი ოსტატის გამხნევებას. განა თვითონ არ გამოსცადა ეს! რიაღნოვის სტუდიაში ყოფნისას ვანო სარაჯიშვილმა თავის ბინაზე მიიწვია ნიკო ჭუმსიაშვილი და მოუსმინა. უზომოდ გახარებულმა ვანომ ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა.

— ნიკო ჭუმსიაშვილის ხმით და ჩემი ტექნიკით მსოფლიოს დაიპყრობდა ადამიანიო—ამბობდა ვანო!

ნიკო მოწიწებით იხსენიებდა თავის პირველ მიმრქმელს ვანო სარაჯიშვილს და აღტაცებით იგონებდა მასთან პირველ შეხვედრას.

ნამდვილ ხელოვანთ ყოველთვის ახარებთ ცვლა. ნიკო ჭუმსიაშვილიც მიეკუთვნებოდა იმ პირთ, რომელთაც ყოველი ახალი მომღერლის გამოჩენა გულწრფელად უხაროდათ.

1935—36 წლის სეზონისათვის ოპერის თეატრის დირექციამ ავსტრიიდან მოიწვია დირიჟორი პაულ პელა, და მისი მეუღლე მომღერალი ელზა მიუსელი. თბილისში ჩამოსვლისთანავე პაულ პელამ და მისმა მეუღლემ სიმფონიურ კონცერტებში მიიღეს მონაწილეობა და დიდი წარმატებაც ჰქონდათ. თბილისის ქილიკებმა განგებ ვითომდა პელა ქალი იყო ასეთი ეპიგრამა შექმნეს.

Паул Пело приехала из Вена
Два концерта она дала в Стелла... და სხვ.

აი ამ პელამ მოამზადა პუჩინის ოპერა „ჩიო-ჩიო-სან". მადამ ბატერფლაის მღეროდა მისი მეუღლე ელზა მიუსელი, ხოლო პინკერტონის პარტია დაეკისრა პირველად ახალგაზრდა მომღერალს ქუმსიაშვილის მეგობარს მ. ყვარელაშვილს. ერთ-ერთ საორკესტრო რეპეტიციის დროს 1-ლი მოქმედების ფინალის დუეტია. მღერიან ბატერფლაი და პინკერტონი. დუეტის დამთავრებისას პელამ აჩქარებულად დირიჟორის ჯოხი პულტზე დააგდო, აიჭრა სცენაზე, გადაეხვია. მ. ყვარელაშვილს, დაუწყო კოცნა და „გუტ"; „გუტ" გაიძახოდა.

კულისებში პორტფელით ხელში დგას ნიკო ქუმსიაშვილი. ამ სცენის დანახვისთანავე შეიჭრა სცენაზე, გადაეხვია პელას და კოცნა დაუწყო. ძნელი იყო თქმა პელას აღტაცებით ვინ უფრო იყო გახარებული თვით მიზეზი ამისა, თუ მისი უფროსი მეგობარი ნიკო ქუმსიაშვილი.

ნიკომ თავისი ძალა სცადა ისეთ წმინდა ლირიკულ ოპერაში, როგორიც არის ვერდის „რიგოლეტო". მიუხედავად გარეგნული წარმატებისა, მაინც იგრძნობოდა რომ ჰერცოგის პარტია მის ვოკალურ მონაცემებს არ შეეფერებოდა. მხოლოდ სარაჯიშვილებს შეეძლოთ „მარგალიტის მაძიებლებში" ნადირის და ძლიერი დრამატული გერმანის პარტიის სრულყოფილად შესრულება. ჰერცოგის პარტიაში ნიკო ქუმსიაშვილს, გარდა ვოკალური სიძნელეებისა, სცენიური მონაცემებიც ხელს უშლიდა. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ნიკო სცენიურ მომხიბვლელობას მოკლებული იყო. „რიგოლეტოში" მის დებიუტს დავესწარი. ჯილდას და რიგოლეტოს სცენაა. ჯილდა უამბობს მამას, რომ ჰერცოგმა თავი გააცნო მას ღარიბ სტუდენტად. ჩემს გვერდზე მჯდომმა მეგობარმა წამჩურჩულა—ნიკო სტუდენტს კი არა შებერებულ დოცენტსა გავსო. ეს კალამბური ნიკოს ყურამდე მიეიდა და შეხვედრისას მომაძახა „დოცენტი ვარ, არა ბიჭო".

ნიკო ქუმსიაშვილი ფიზიკურად კუნთ-მაგარი, ათლეტური ჯანმრთელობის ადამიანი იყო, არასოდეს ავად არ ხდებოდა და არც თავს უფრთხილდებოდა. 1936 წელს თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა უკრაინის ქალაქ ხარკოვის დრამატული თეატრი „ბერეზილი". სტუმრების პატივსაცემად რუსთაველის თეატრმა ვერის

პარკში, იქ, სადაც ახლა საცურაო აუზია, მეგობრული შეხვედრა-ვახშამი მოაწყო. ნადიმს 800 კაცამდე დაესწრო. აქვე სტუმრად იყო ნიკო ქუმსიაშვილიც. მთელი ღამის განმავლობაში ნიკო დაუზარებლივ მღეროდა, როგორც სხვადასხვა ოპერებიდან არიებს, ასევე ქართულ რომანსებსა და ხალხურ სუფრულ სიმღერებს. მღეროდა შესანიშნავად. სტუმრები მოიხიბლნენ. ოვაციებს დასასრული არ ჰქონდა. მხიარულება გრძელდებოდა. ნიკო სადღაც გაჰქრა. ირიჟრაჟა. შორიდან მოისმის ურმული. ზარივით წკრიალა ხმამ გააპო ლამენათევ უამრავი ხალხის ჟრიამული. ეს ხომ ნიკოს ხმაა. ყველა ძაგიდიდან წამოიშალა და აივანს მიაშურა. ხედავენ ნიკო წევს ბაღში კარგა მოზრდილ აუზის პირას საბანაოდ გამზადებული და მღერის თავგამოდებით. აი დაამთავრა სიმღერა და აუზში გადაეშვა. ამოიყვანეთა. მოისმა „თავო ჩემო“ თავისი ფილირებით. ნაქეიფარი, ღვინით გახურებული ხალხი მთლად სმენად გადაიქცა. ნიკო წყლიდან არ ამოსულა ვიდრე მზემ პირველი სხივით არ აალივლივა აუზში მოდებული ჰავლი.. ნიკოს მაგალითს ახალგაზრდებმა მიბაძეს და აუზში გადაეშვნენ საბანაოდ. ნიკოს სიმღერამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა სტუმრებზე.

1932—33 წ. სეზონში სანდრო ინაშვილი და ნიკო ქუმსიაშვილი მიწვეულ იქნენ მთელი წლით ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. ლენინგრადში დიდი გამარჯვება ხვდა წილად ნიკო ქუმსიაშვილს. მის მიერ შესრულებულ დონ-ხოზეს და გერმანს რეცენზენტები აღფრთოვანებით შეხვდნენ. ლენინგრადში ყოფნისას ნიკომ დირიჟორ ვ. ა. დრანიშნიკოვის ხელმძღვანელობით მოამზადა „ოტელოს პარტია, რასაც ის ყოველთვის დიდის წარმატებით ასრულებდა.

ქართულ ხელოვნების დეკადაზე, რომელიც შედგა მოსკოვში 1937 წლის იანვარში, ნიკო ქუმსიაშვილს სხვა მომღერლებთან ერთად დიდი მოწონება ჰქონდა. „ვეჩერნაია მოსკვა“ თავის 1937 წლის 8 იანვრის ნომერში წერდა:—„...როდესაც პირველ აქტში დაბინდული მთების სიჩუმეში შორიდან მალხაზის სიმღერა მოისმის, იგი ღრმეს შთაბეჭდილებას ტოვებს. სიმღერა აგებულია „ურმულის“ ხალხურ ჰანგზე და თავისუფლად ყოველგვარი აკომპანემენტის გარეშე მორაკრაკებს. ეს არია, ისე როგორც მალხაზის მთელი პარტია, დიდ სიძნელეს წარმოადგენს მომღერლისათვის, მაგრამ მისმა შემსრულებელმა მსახიობმა ნ. ქუმსიაშვილმა სავსებით დაძლია იგი მაინც დამსახურებული არტისტის ნ. ქუმ-

სიაშვილის შესრულებით უეჭველად საუკეთესო ადგილი პირველი აქტის ბოლო არის. აქ ნ. ქუმსიაშვილი მაღალ ლირიზმსა და ნამდვილ გამომეტყველებას აღწევს".

ბედნიერია ნიკო—წარმატება სცენაზე, საყოველთაო აღიარება, ხალხის სიყვარული. მაგრამ დიდხანს როდი გაგრძელებულა ეს. ჯერ იყო და უდროოდ დაკარგა თავისი ცხოვრების თანამგზავრი. მეუღლის სიკვდილით მიყენებული ჭრილობა ჯერ ვერ მოეშუშებინა, რომ 18 წლის პირმშო შოთა გამოეცალა ხელიდან. ამას ზედ დაერთო ქალიშვილის როდამის მძიმე ავადმყოფობა. ბედმა თითქოს შეიბრალა ნიკო და ქალიშვილი განიკურნა. მეუღლისა და პირმშოს დაკარგვამ მთლად მოტეხა ნიკო. შვებას სიმღერაში ხედავს. ხმას დაღლილობა არ ეტყობა.

ვერდის „აიდაა". ჩვეულებრივად თავისუფლად სჭექს ნიკო. ფოლადის ხმა აესებს დარბაზსა და სიამის ჟრუანტელს გვრის ყველას. და უცბად უკანასკნელ საფინალო არიაში, თითქოს რაღაც სწვდა ყელშიო, სუნთქვა შეუჩერა, ხრიალი გაისმა. საბედნიეროდ სპექტაკლი მალე დამთავრდა და ბევრმა ვერც კი შეამჩნია მომღერლის მარცხი. ერთი თვე მკურნალობდა ნიკო. თავი კარგად იგრძნო და კვლავ სცენას დაუბრუნდა. მაგრამ პირველსავე გამოსვლისას მის ხმას ეტყობოდა ფორსირება, რაც მისთვის უჩვეულო ამბავი იყო. ნიკო ფარხმალს არ ყრიდა და ექიმებიც უფრო დაღლილობით ხსნიდნენ.

ოპერის თეატრმა ძერჟინსკის „წყნარი დონი" დადგა. მიუხედავად ბევრი დადებითი თვისებისა, წარმტაცი საგუნდო სიმღერებისა „От края до края", ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცთა სიმღერისა, ოპერას მაინც საგრძნობი ნაკლი ჰქონდა. ბევრი პარტია ისე იყო დაწერილი, რომ მომღერალს ყვირილი უხდებოდა. ნიკოს გრიგოლის პარტია დაეკისრა. რაც მეტისმეტად მაღალ ნოტებზე არის დაწერილი. სხვა დროს ქუმსიაშვილისთვის ასეთი პარტიის შესრულება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მაგრამ ახლა, როცა ხმა გაბზარულია, ადვილი როდი იყო დაბრკოლებათა დაძლევა. ამ ოპერის ერთ-ერთ ბატალურ სცენაში გრიგოლს მეტად მაღალ ნოტებზე აქვს სამღერალი, ლიბრეტოს მიხედვით გრიგოლთან უნდა მივიდეს შიშუკი და რაზმის განადგურების ამბავი აცნობოს. შიშუკმა ეს გააკეთა. გრიგოლმა შიშუკს პასუხი უნდა გასცეს და, რას ვხედავთ? სიმღერის ნაცვლად რაღაც ხრიალი აღმოხდა ნი-

კოს. ვაივაგლახით დამთავრდა სცენა. მომდევნო სცენაში გრიგოლი არ მონაწილეობდა. სასწრაფოდ ექიმს უხმეს. ნიკოს ყელში მენთოლი ჩაუშვეს და ვალერიანის წვეთებით გული გაუმაგრეს. ხმა აეღერდა, მაგრამ გაბზარვა, ხრიალი მაინც ემჩნეოდა. უკანასკნელ სცენაში ნიკომ სრულიად ვერ იმღერა, ხრიალით და ყვირილით დაამთავრა თავისი პარტია. ყველამ იგრძნო, რომ საყვარელ მომღერალს რაღაც უბედურება დაატყდა თავს. თითქოს მახლობელ ადამიანის პანაშვიდი დამთავრდაო ისე დაიშალა ხალხი. ერთიორი თვის მკურნალობის შემდეგ თითქოს მომჯობინდა ნიკო. იმღერა კიდეც, მაგრამ ვაი ამ სიმღერას. მალე იღლებოდა, ხშირად სუნთქავდა. ტემბრიც შეეცვალა; ხმა გაბოხდა, გაუშეშდა. სულ მალე ლაპარაკიც კი არ შეეძლო. წუხდა, ნერვიულობდა. რამდენიმე თვის შემდეგ მარჯვენა ყურის ძირას გაუჩნდა კვერცხის ოდენა სიმსივნე. დიაგნოზი საშინელი იყო--კიბო. ნიკოს არწმუნებდნენ საშიში არაფერია, მალე გაიელისო. ნიკო მკურნალობდა. საღამოობით შინ გული არ უდგებოდა და თეატრში მოდიოდა. უსმენდა საამო მელოდიებს და ბოღმას გულში იკლავდა. მის თვალზე მე ცრემლი არ მინახავს, ვაჟკაცურად იტანდა ყოველივეს. მთის ლაღ შვილებს ვაი და ვიში არ სჩვევიათ. მკურნალობა ორ წელიწადს გაგრძელდა. თბილისის, მოსკოვის და ლენინგრადის ონკოლოგები ბევრს ეცადნენ მაგრამ განწირულს ვერაფერი უშველეს.

მცხუნვარე აგვისტოა. ნიკო საავადმყოფოშია. სპეციალისტები თავს დასტრიალებენ ავადმყოფს და ცდას არ აკლებენ შეუმსუბუქონ უკანასკნელი დღეები. ქალიშვილი როდამი მამის სარეცელთან ათენებს მთელ ღამეებს. წარმტაც ბუნების წიაღში ნაწრთობ ვაჟკაცს მობეზრდა წამლების მიღება, დიეტა, რენტგენი და ათასგვარი მანიპულაცია. თხოვს მახლობლებს წაიყვანონ მთაში და თუ სიკვდილი უწერია თავის სოფელ ორხევში დაკრძალონ.

მშობლიური მთების დანახვამ ნიკო თითქოს გამოახედა. წამლები და დიეტა უკუგდებულია. მშობლიურ, პილპილიან ხინკალს გემრიელად შეექცევა ნიკო და ზედ წითელ ღვინოს გეახლებათ. ღვინო საამოდ უვლის ტანში და ვაჟკაცს სიმღერის გუნებაზე აყენებს, და გაისმის ოთახში მიბნედილი, ჩახლეჩილი ხმით:

ჩემი ბედის ვარსკვლავი ხარ,
შენ, მხეო ამომავალო ..

მოთქვამს ვაჟკაცი. როდამს ერუანტელი უვლის, ნაგრამ საყვარელ შამას როგორ აგრძნობინებს მწუხარებას. ნიკო კი თითქოს ბურანშია და განაგრძობს სიმღერას. აი მალხაზის უკანასკნელი ამონაკვნესი „გშორდები მარო ნუ დამივიწყებ“ და გათავდა ადამიანიც.

# ცეცილია წუწუნავა

1892—1955



სამმა დამწყებმა ავტორმა ცეცილია წუწუნავაზე მონოგრაფია დაწერა. შრომა სარედაქციოდ გადმომცეს. წიგნი მომეწონა. სიამოვნებით შეუდექი მუშაობას, მით უმეტეს, რომ ცეცილია წუწუნავას ნიჭის თაყვანისმცემელი ვიყავი. ცეცილიას ავტორებისაგან შეეტყო რედაქტორის ვინაობა და გამოეთქვა სურვილი მომლაპარაკებოდა ფრიად საჭირო საქმეზე. თეატრალურ საზოგადოებაში შევხვდით. მისმა თავმდაბლობამ პირდაპირ გამაოცა.

— ბატონო ალექსანდრე! გოგოებმა წამიკითხეს მონოგრაფია ჩემს შესახებ. ძალიან გთხოვთ იქ, სადაც ქებაა შეარბილოთ მასხრად ასაგდები არ გავხდე.

დავამშვიდე და პირობა მივეცი ყოველივე რიგზე იქნება, გენიოსთა რიცხვს არ მიგაკუთვნებთ და თქვენს ადგილს მოგინახავთ მეთქი.

რამდენ მსახიობს უსაყვედურნია, რომ რეცენზიაში დიდ ოსტატად არ დამისახავს, ცეცილია კი, პირიქით, იხვეწებოდა, ნუ შემაქებთო. ცხადია აქ ბეღავნდებოდა ჰეშმარიტი ოსტატის დამახასიათებელი თვისება—თავმდაბლობა.

ცეცილიამ სისტემატურად დაიწყო სიარული თეატრალურ საზოგადოებაში, მაგრამ არასოდეს არ უკითხავს თავის მონოგრაფიის ამბავი. ხშირი სტუმრობა იმით იყო გამოწვეული, რომ აინტერესებდა თავისი ძმის ალიოშა წუწუნავაზე გამზადებული წიგნის ბედი. აქ კი მეტად მომთხოვნელი იყო. გამომცემლობის მიერ არჩეული რედაქტორი დაიწუნა და კატეგორიულად მოითხოვდა წიგნი სხვისთვის გადაეცათ სარედაქციოდ. რედაქტორის შერჩევა კარგა ხანს გაგრძელდა. ცეცილიამ თავისი გაიტანა. გამომცემლობამ მისი კანდიდატურა მიიღო. როგორც შეიტყვეთ ცეცილია ამ რედაქტორის ხშირი სტუმარი გახლდათ და წიგნის ავტორის თვითეული სტრიქონის ხელშეუვალობას მედგრად იცავდა.

ცეცილიაზე მონოგრაფიის ბეჭდვა დაიწყო. როგორც რედაქტორმა, მსატვარს დავავალე ყდაზე ცეცილიას სურათი დაეხატა.

ახალგაზრდობის სურათი ვერ იქნა ვერ მოვატანინეთ ცეცილიას, როცა კი შევხვდებოდი, მეუბნებოდა, დამავიწყდაო, რა საჭიროა და სხვ. წიგნის ავტორებმა თვითონვე შეარჩიეს სურათი. ყდა სანაქებო გამოვიდა და ყველას მოეწონა. თვითონ ცეცილია? დიდხანს უყურებდა ყდაზე გამოხატულ სურათს. უეჭველია, მოაგონდა თავისი ახალგაზრდობა და ჩვეული ღიმილით წარმოთქვა:

— ეს დაჯღანული დედაკაცი ლიწა კავალიერისათვის დაგიმსგავსებიათ. ეს ალბათ მხატვრის ოინია. ვინც მიცნობს რას იტყვის.

დავარწმუნეთ რომ ეს მისი ახალგაზრდობის ფოტო სურათია. მხატვარმა მხოლოდ პატარა რეტუში გაუკეთა. დავამშვიდეთ. ბოლოს ისევ თავისი ძმის მონოგრაფიის ამბავი გაიხსენა და მოგვმართა:

— აი ალიოშას წიგნის ყდაც ასე უნდა გააკეთოთო. დავპირდით, დავაიმედეთ და გახარებული გავაგზავნეთ შინ.

40 წელიწადზე მეტ ხანს იმუშავა სცენაზე ცეცილიამ და ამ ხნის განმავლობაში მის მიერ შესრულებული როლების რიცხვი ორმოცს—ძლივს აღემატებოდა. წელიწადში ერთი როლი მეტად მცირეა, ისიც ნახევარზე მეტი ეპიზოდური. მაშ რით აიხსნება, რომ ამ პატარა როლების შემსრულებლის შემოქმედება კვლევის საგანი ხდება, მონოგრაფიები იწერება.

ეს აიხსნება ამ მსახიობის ნიჭიერებით, მისი უდავო ოსტატობით.

ცეცილია წუწუნავა იმ მსახიობთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც შესწევთ უნარი ერთი პატარა ფრაზით, ერთი ჟესტით დაუვიწყარი სახე შექმნან.

განა ახლაც არ გაგონდებათ ცეცილიას ფრაზა „შემოიარეთ ხოლმე ჩვენთან“ ე. ტოლერის პიესაში „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“. ამ ერთ ფრაზას ისე ამბობდა, რომ წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ამ სიტყვებს ყველა იმეორებდა. თვით კოტე მარჯანიშვილი ხშირად ცეცილიას ამ სიტყვებით მიმართავდა ხოლმე. ამ პატარა ეპიზოდურ როლში ცოტა სიტყვიერ მასალით მსახიობმა შეძლო ფრაუ კილმანის ფუქსავატობისა და სულიერი სიცარიელის მხატვრულად წარმოსახვა.

განა ასევე დიდ შთაბეჭდილებას არ ახდენდა ცეცილია წუწუნავა კ. კალაძის „როგორში“. ამ პიესაში ცეცილიას პატარა ეპიზოდი ჰქონდა დაკისრებული, სულ ორ სიტყვას იძახდა „ჩემი ჯვარი, ჩემი ჯვარი“ და ამას ისეთი მხატვრული სრულყოფით განასახიერებდა, რომ მეორედ პიესის სანახავად ამ ეპიზოდის გამო

მიეღიოდით თეატრში. ამავე ავტორის „ხატიჯეში" თამაშობდა მათხოვარს—ბოშა მკითხავ ქალს და ორი სამი ფრაზით შთამბეჭდავ სახესა ქმნიდა.

პირდაპირ მხატვრულ შედევრად უნდა ჩაითვალოს ცეცილია წუწუნავას მიერ ლირსა პოლიკარპეკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერში."

ყვარყვარე თუთაბერი კაკუტას არჩევანს უწუნებს და აღნიშნავს, ქალს შვილი არ ეყოლებაო. უნდა გენახათ, როგორ ისმენდა ლირსა ამ სიტყვებს და მორცხვად წარმოსთქვამდა: „როგორ არ მეყოლება". ეს ადგილი მთელი დარბაზის ხარხარს იწვევდა.

„ნინოშვილის გურიაში" ცეცილია ასრულებდა მაჭანკლის სუსანას როლს. მსახიობმა ამ პერსონაჟს ისეთი დამახასიათებელი თვისებები გამოუნახა, ისეთი ნიუანსები, რომ ეს პატარა როლი წინაპლანზე წამოსწია.

ლავრენტი არდაზიანის მოთხრობის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის" ინსცენირებაში ცეცილიას კნეინა ხორეშანის თითქმის უსიტყვო როლი ჰქონდა დაკისრებული, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მეტად საინტერესოდ გადაწყვეტილ სპექტაკლში ცეცილიამ უაღრესად დამახასიათებელი სახე დაგვიხატა. მარჯანიშვილის თეატრში „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი" კარგა ხანია აღარ იდგმება, ბევრი პერსონაჟი დავიწყებას მიეცა, მაგრამ კნეინა ხორეშანი კი ახლაც თვალწინ მიდგას. ამ სპექტაკლის მნახველი ახლაც ცხოვლად იხსენიებს ხორეშანის თქმას: „ცაცა, ცუცა, ა где ნუცა". მეჯღანუაშვილთან ბალზე ცეცილიას მაზურკა, არაგვიშვილების ბინაზე ქაღალდის თამაში მეტად შთამბეჭდავი იყო. უყურებდით ცეცილიას, სიცილისაგან თავს ვერ იკავებდით და თანაც ნატრობდით ნეტავ დიდხანს გაგრძელებულიყო მსახიობის სასწაულთმოქმედება.

არიან მსახიობები, რომლებიც საუცხოოდ თამაშობენ ეპიზოდურ როლებს, იშვიათ მხატვრულ სახეებს ქმნიან და როცა მათ მთავარ როლებს, აკისრებენ, აქ უკვე ძალა არ ყოფნით და თითქოს საჭანელი შემოაკლდათო, პური დაკუტებული გამოდის—პერსონაჟები ერთფეროვანი.

ავიღოთ მაგალითად, ცეცილიას ანა ანდრეევნა გოგოლის უკვდავ „რევიზორში". მსახიობმა გოროდნიჩის მეუღლის უდავოდ საინტერესო სახე შექმნა, მაგრამ მხატვრული სრულყოფით და აქტიორულ ოსტატობით ეს თავისთავად მეტად საინტერესო პერსონაჟი ისეთი არ იყო, როგორც ცეცილიას შეეფერებოდა.

როცა შეეხება „კაცია ადამიანში" დარეჯანის სახეს, აქ იგრძნობოდა როლის დეტალურად დამუშავება, სახის სწორად გააზრება, გარდასახვაც, მაგრამ მეტყველებაში ჩანდა ნაძალადევობა.

სამწუხაროდ ჩვენ არ გვქონდა შემთხვევა გვენახა ცეცილია ნინო ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავეში" სალიხეს და დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირში" კაროჟნას როლებში.

ცეცილია წუწუნავას საქართველოს ფარგლების გარეთაც იცნობდნენ კინო სურათებით. კინოში იგი ხშირად უფრო პატარა ეპიზოდურ როლებს თამაშობდა, მაგრამ თავისი ნიჭის მეოხებით მეტად შთამბეჭდავ სახეებს ქმნიდა. არიან ისეთი მსახიობები რომლებიც საკმარისია გამოჩნდნენ თუ არა ეკრანზე მყის მთელი დარბაზის ყურადღება მიიპყრონ. ცეცილია ამ ბედნიერ მსახიობთა რიცხვს ეკუთვნოდა.

ცეცილია წუწუნავას სალიხე ნინო ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავეში" და კარლო გოგოძის და ვ. კარსანიძის „დაგვიანებულ სასიძოში" ელისაბედი ისეთი სახეებია, რომელთა დავიწყებაც არ შეიძლება.

„ვინ არის დამნაშავენის" მოსკოვის ეკრანებზე ჩვენებისას მწერალი მარიეტა შაგინიანი წერდა: „მე არასოდეს დავიჯერებ, რომ ეს ქალი ცხოვრებაში შლაპას ატარებდეს. ის ალბათ ტიპაჟიდან არის აღებული". იმდენად ბუნებრივი იყო ცეცილია სალიხეს როლში, რომ მწერალს ის მსახიობი არ ეგონა.

ცეცილიას შესწევდა უნარი რაგინდ პატარა უმნიშვნელო როლიც არ უნდა ჰქონოდა, შეეძლო დიდ სახეში გადაეზარდნა, შესამჩნევ სცენიურ პერსონაჟად წარმოედგინა ჩვენთვის.

ამ მხრივ ცეცილია ემსგავსებოდა, რასაკვირველია არა იმ მასშტაბით, მცირე თეატრის გამოჩენილ მსახიობს ოლღა სადოვსკაიას. ხშირად გვქონია ბედნიერება გვენახა ეს მსახიობი მცირე თეატრში სრულიად უმნიშვნელო როლში და ისე ღრმად ჩაჭედილა იგი მაყურებელთა გონებაში, რომ დიდი როლების მოთამაშენი დავიწყებას მისცემიან.

ყველა რეჟისორი დიდ ხელოვან კოტე მარჯანიშვილიდან დაწყებული ცდილობდა დაეკავებინათ ცეცილია პიესაში, რაც სპექტაკლის გამარჯვების საწინდარი იყო.

როცა კი შევხვედრივარ ცეცილიას არ მახსოვს როდისმე თავის აქტიორულ ოსტატობაზე კრინტი დაეძრას, რაც სამწუხაროდ იშვიათი მოვლენა არის. თავი ისე ეჭირა, გეგონებოდათ რადგა-

ხაც ხშირად პატარა ეპიზოდურ როლებს თამაშობსო, ნართლაც პატარა მსახიობი არისო.

ცეცილიაზე მონოგრაფია დაიბეჭდა. თეატრალურ საზოგადოებაში მოვიდა და გვთხოვა ერთი ოციოდე წიგნი მიშოვნეთო. ავტორებმა წიგნები მიართვეს, ძმის, გამოჩენილ რეჟისორ ალიოშა წუწუნავას სიკვდილის შემდეგ, მე ამ დღეს პირველად დავინახე ცეცილიას სახეზე ღიმილი.

ჩემო დათიკო, ბატონო ალექსანდრე, მოგვმართა ჩხეიძეს და მე ცეცილიამ...

— აბა როგორც მე დამდეთ პატივი, ალიოშას წიგნიც ასევე კარგად უნდა გააკეთოთ.

აღუთქვით, დავპირდით და გავახარეთ.

ცეცილიას ხომ საკუთარი ოჯახი არ ჰქონდა, მხოლოდ ძმაზე ალიოშა წუწუნავაზე ამოსდიოდა მზე და ის კი დაკარგა.

მაგრამ არა, როგორ არ ჰქონდა ოჯახი. თეატრი ეს ხომ მისი მამის რაჟდენ წუწუნავას ოჯახის ყველა წევრის წმიდათა-წმიდა იყო.

მარტო ცეცილია-ღა დარჩა.

არც ის უღალატებს თავის ოჯახის წევრების ტრადიციას სიკვდილამდე ემსახუროს ხელოვნებას.

გახარებული ამ რწმენით ჩადიოდა ცეცილია ხელოვნების მუშაკთა სახლის კიბეზე წიგნებით ხელში ავტორების თანხლებით.

ერთი კვირის შემდეგ კი მარჯანიშვილის თეატრიდან ტელეფონის ხმამ გვაცნობა სახარი ამბავი. მოულოდნელად ცეცილია გარდაიცვალაო.

# ნინო ალექსი-მესხიშვილი

1896—1955



ვიდრე მღვდელი ჯვარისწერის რიტუალს შეუდგებოდა დიაკვანმა ნეფე და პატარძალი იხმო და ქორწინებათა დავთრის შევსება დაიწყო. ჯერი მიდგა მოწმეებზე. გამოირკვა, რომ საჭირო იყო ოთხი მოწმე—ორი ქალისა და ორიც ვაჟის მხრიდან. ჩვენ კი სამნი ვიყავით. დაუწყეთ ხვეწნა და ღრეჯა—ეკმარნა სამნი. გაჯიუტდა. აბა ჩვენი გულისათვის ღმერთს ხომ არ აწყენინებდა? გამოუვედი მეოთხე კაცის მოსაძებნად. იქვე გნეზდნიკოვსკის შესახვევში რუს სტუდენტს წავაწყდი. გავაცანი საქმის ვითარება და ვთხოვე შველა. დამთანხმდა. ჯვარისწერა დაიწყო. ნეფე ესტატე ინასარიძე. დედოფალი ბარბარე მესხიშვილი, მოწმენი გაიოზ ბერელაშვილი, ვანო სურგუნოვი, ახლად გაცნობილ კოლეგა იური სოკოლოვი და ამ სტრიქონების ავტორი ფეხით გაევემართენით დოლგორუკოვის ქუჩისაკენ საქორწინო ტრაპეზის მისაღებად.

პატარძლის მშობლები ჯვარდაწერილებს კარშივე შეხვდნენ. დალოცეს. ნეფეს ჩვენებურად თეფში გაატეხინეს. ჯერი ჩვენზე მიდგა. წარვუდექით მასპინძლებს. სათაყვანებელი ადამიანის ლადო მესხიშვილის ახლო დანახვამ მთლად დამაბნია. ლადო მეც გადამეხვია და მაკოცა. რა ბედნიერი წუთი იყო ეს ჩემთვის. გესმით ლადომ გადამკოცნა და მეგობრად მიგულა. ამ დღეს ბედი მწყალობდა. სუფრის მეთაურობაც მე დამაკისრეს. ლადოს გაცილებაც მე მხვდა წილად. ის მეუღლესთან გაყრილი იყო (თუმცა სიკვდილამდე ერთმანეთის დიდი პატივისმცემელნი და გულითადი მეგობრები იყვნენ) და ცალკე ცხოვრობდა. ამ დღიდან მე ახალი ნათესავები შევიძინე—მოსკოვში მყოფი ყველა ქართველი სტუდენტისათვის სათაყვანო ოჯახის მეგობარი მეც გავხდი. და ეს პატარა პორტრეტიც ამ ოჯახის ერთ-ერთ თვალსაჩინო წევრს ნინო მესხიშვილს ეძღვნება.

მოსკოვის სამხატვრო თეატრმა მთელ მსოფლიოში სახელი გაითქვა. მართალია მის რიგებში ნაკლებად მოიძებნებოდნენ შცირე თეატრის მშვენებათა—მარია ერმოლოვას, ოლღა სადოვსკაიას,

ალექსანდრე ლენსკის, ალექსანდრე სუმბათაშვილის მსგავსი მსახიობნი, მაგრამ სამაგიეროდ ამ თეატრის მიზანდასახულობა, მისწრაფება უფრო პროგრესიული და დემოკრატიული იყო. ახალი ძველს შეეჯიდა და ძლია. თეატრის მესაჭეობა მანამდე მივიწყებულ რეჟისორს დაეკისრა, მხატვარს თავისი სათანადო ადგილი დაეთმო. კომპოზიტორიც ჩაება ამ შეხმატკბილებულ მუშაობაში. ანსამბლი განმტკიცდა. თეატრი აგიტაციის ძლიერ კერად გადაიქცა. მისი შეუცნებითი მნიშვნელობა გაიზარდა. სამხატვრო თეატრის მთელი კოლექტივი, ენთუზიაზმთა ეს რაზმი, დიდის სიყვარულით და თავდადებით ეკიდებოდა თავის საქმეს. აქ თქვენ ვერ იხილავდით სხვა თეატრებში არსებულ პრემიერთა ყოყლოჩინობას, პირადი ამბების წინა პლანზე დაყენებას. აქ შრომა მეფობდა, მას ჰიმნს უმღერდნენ და ადიდებდნენ. მაგრამ ყოველივე შრომა ხომ საპიროებს დასვენებას. დასვენებას გართობაც სჭირდება. და აი, სამხატვრო თეატრის კოლექტივი დროგამოშვებით აწყობს თავის წევრთათვის მხიარულ საღამოებს ეგრეთწოდებულ „კაპუსტნიკებს". პირველი ოფიციალური ფასიანი „კაპუსტნიკი" თეატრის გაჭირვებულ მსახიობთა სასარგებლოდ 1910 წლის 9 თებერვალს მოეწყო. ამ საღამოზე დადგეს ოფენბახის ოპერეტა „მშვენიერ ელენეს" პაროდია რომელსაც დირიჟორობდა ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო. მენელაის ვ. კაჩალოვი ასრულებდა, მშვენიერი ელენეს—კნიპერ-ჩეხოვა, პარისს—ი. მოსკვინი. ამ საღამოზე ალისა კოონენმა და ბოლესლავსკიმ შეასრულეს აპაშების ცეკვა, რომელსაც დირიჟორობდა ცნობილი კომპოზიტორი ს. ვ. რახმანინოვი.

მეორე განყოფილებაში ბალაგანი მოეწყო. კლოუნის როლს ასრულებდა ი. მოსკვინი. გაიმართა ჰიდაობა თედორე შალიაპინის, ვ. კაჩალოვის, ლ. სულერჟიცკის და ვ. გრიბუნინის მონაწილეობით. ბალაგანის დირექტორის როლს კ. სტანისლავსკი ასრულებდა.

ამ „კაპუსტნიკზე" თავი ისახელა, როგორც კონფერანსიემ სამხატვრო თეატრის პატარა მსახიობმა ნიკიტა ბალიევმა. მისი კონფერანსი იყო მახვილგონიერი. პოლიტიკურად მეტად მძაფრი და თანაც მხატვრული. აი ამ „კაპუსტნიკებმა"—საძირკველი ჩაუყარეს არტისტულ კლუბ-კაბარეს, რომელსაც „ლეტუჩაია მიშა" (ღამურა) ეწოდა. ამ კაბარეში სპექტაკლების შემდეგ თავს იყრიდნენ სამხატვრო და სხვა თეატრების მსახიობები და ხელოვნების მუშაკები. დარბაზში სავახშმო მაგიდები იდგა. წინ ესტრა-

და იყო მოწყობილი. ვახშმობისას ნ. ბალიევი ართობდა სტუმრებს თავისი მოსწრებული თქმებით, ხუმრობით და სხვადასხვა ნომრებით. კონფერანსიე ყველა მოვახშმეს იცნობდა, იცოდა მათი რეპერტუარი და იმდენს იზამდა ხოლმე, რომ ესტრადაზე აჰყავდა თვითეული მათგანი და მონაწილეობას აღებინებდა. ბაგალითად, თუ შალიაპინის მოსმენა დიდს ანხიმინის თეატრებში არც ისე ადვილი მოსახერხებელი იყო (ბილეთებს ერთი კვირით ადრე პირდაპირ იტაცებდა ხალხი), ამ „ლეტუჩაია მიშში“ შეგეძლოთ სრულიად უფასოდ მოგესმინათ როგორც შალიაპინი, ისე სობინოვი და სხვა გამოჩენილი მომღერლები. ერთი კი იყო—„ლეტუჩაია მიშში“, პირველ ხანებში მაინც, თუ თეატრებთან რაიმე კავშირი არ გქონდათ, არ შეგიშვებდნენ. პროგრამა მარტო სტუმრებით ვერ შეივსებოდა. შედგენილ იქნა სპეციალური პატარა დასი, რომელშიც მიწვეულ იქნა ადაშევის დრამატულ კურსებდამთავრებული ნინო მესხიშვილი. კონფერანსიე ბალიევი, კორშის თეატრის მსახიობი ბორის ბორისოვი და ნინო მესხიშვილი—აი ამ სამეულზე იყო დაყრდნობილი მთელი პროგრამა. ადვილი როდია ისეთი რჩეული მაყურებლები გყავდეთ, როგორიც იყვნენ თევდორე შალიაპინი, ლეონიდ სობინოვი, ალექსანდრე სუმბათაშვილი, ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო, კ. სტანისლავსკი, ვ. კაჩალოვი, ი. მოსკვინი და მრავალი მათი მსგავსნი, გისმენდნენ თითქმის ყოველ საღამოს, არ ბეზრდებოდეთ და მკუხარე ტაშით გაგიხალისებდნენ. მერე რეცენზენტები? ისიც როგორი ულმობელი კრიტიკოსები. მარტო ერთი კუგელსკი (ალექსანდრე კუგელი არ გეგონოთ) რად ღირდა. მის ბასრ კალამს ბევრი მსახიობისათვის ძილი დაუფრთხია. კრიტიკოსები ერთხმად აღიარებდნენ, ნინო ალექსეევა-მესხიევას (ალექსი-მესხიშვილი) იუმორესკები ყველას ხიბლავს თავისი მესრულებითო. კომპოზიტორები, პოეტები ახალ-ახალ ნომრებს უწერდნენ ნინო მესხიშვილს და ამით თავიანთ პოპულარობას ზრდიდნენ.

დასში იყვნენ სხვა მსახიობებიც, მაგალითად, თვით ხელმძღვანელის მეუღლე ნიჭიერი დეიკარხანოვა, მაგრამ ნინოს ვერც ერთი ქალი ვერ უტოლდებოდა. პირველსავე წელს ნინო უკვე სახელოვან მსახიობთა რიცხვში მოექცა.

1914 წელს კოტე მარჯანიშვილის „თავისუფალი თეატრის“ ნანგრევებზე იშვა ახალი კოლექტივი „მოსკოვის დრამატული თეატრის“ სახელწოდებით.

თუ კოტე მარჯანიშვილის ისტორიაში არნახულმა სახელოვანმა სინთეტიკურმა თეატრმა ანტრეპრენიორი სუხოდოლსკი აზარალა, სამაგიეროდ კომერციულ საწყისებზე დაარსებულმა თეატრმა მისი გული გაახარა. თეატრი სალაროს დამპურებელი პიესებით იკვებებოდა. ვინ მოთვლის რამდენჯერ დაიდგა ლეონიდ ანდრეევის „ის, ვინც სილებს იღებს“ (ცირკის კლოუნის ცხოვრებიდან) ან „რომანი“. დასი საკმაოდ ძლიერი იყო და დიდ მეტოქეობას უწევდა კორშის თეატრს. საკმარისია დავასახელოთ ისეთი მსახიობები, როგორიც იყვნენ ი. პევცოვი, ნიკოლოზ რადინი, ბორის ბორისოვი, მარია ბლუმენტალ-ტამარინა, ნაროკოვი, მაშინდელი კინოვარსკვლავი მოზუხინი და სხვ. „ლეტუჩაია მიშს“ პირდაპირ მოსტაცეს ნინო მესხიშვილი და ამ დასში ჩარიცხეს. ნინოსთან ერთად მიწვეული იყვნენ მისი უმცროსი და ბარბარე და მათი სახელოვანი მამა ლადო მესხიშვილი. მაგრამ ლადო კინოში ისე იყო გადატვირთული, ისეთი წარმატება ჰქონდა, რომ ხანჟონკოვი და სხვა მეპატრონეები ერთმანეთს ეცილებოდნენ და შესანიშნავ მსახიობს ხელიდან არ უშვებდნენ. დები მესხიშვილები მოსკოვის დრამატული თეატრის თვალსაჩინო მსახიობები გახდნენ.

ნინო მესხიშვილის მიერ კოსოროტოვის „სიყვარულის ოცნებაში“ და „ოქროს შემოდგომაში“ გახსახიერებულ როლებს მოსკოვის საზოგადოება დიდის მოწონებით შეხვდა.

ძველად ანტრეპრენიორებისათვის ყველაზე მომგებიანი ოპერეტა იყო. დიდი შემოსავალი ჰქონდა პოტოპჩინას მონაწილეობით ეგრეთწოდებულ ნიკიტსკის თეატრში ოპერეტას. ამ ოპერეტას კონკურენტი გამოუჩნდა. სოდოვაია-ტრიუმფალნაიას მოედანზე ძმათა ნიკიტინების ცირკის გვერდზე ეგრეთწოდებულ ზონის თეატრში მეორე საოპერეტო დასმა დაიწყო მუშაობა. საბელოვან პოტოპჩინას ვარსკვლავი ესვენებოდა. ზონის თეატრს ისეთი მსახიობები გამოუჩნდნენ, იმათთან მეტოქეობა იოლი როდი იყო. მარტო ერთი ნ. მოხახოვი რად ღირდა. საკვირველი ნიჭის პატრონი იყო. იშვიათი მენელაი „მშვენიერ ელენეში“ მარჯანიშვილის „თავისუფალ თეატრში“, ოპერეტის ეს საუცხოო კომიკოსი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადადის ლენინგრადის დრამაში და ტრაგედიული როლების განსახიერებით თეატრალების აღფრთოვანებას იწვევს. მისი გოდუნი ხომ ლავრენიოვის „რღვევაში“ აქტიორული შედევრი იყო.

ოპერეტის მეორე ვეშაპი გახლდათ ბარიტონი ვაეიჩი. პირადად

მე ოპერეტაში ასეთი ლამაზი და ხელგრძნობიერი ბარიტონის შემდეგ არავინ მინახავს. როგორც მსახიობი ხომ საეჭვო იყო. არასოდეს არ დაიმახსოვრებდა მისი ზანგების მეტი ოპერეტაში ერთი მხიარულობის. ის ასეთ მსახიობებთან გამოდიოდა ნინო მესხიშვილი და დიდი მოწონებაც ჰქონდა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ნ. მონახოვს, ვალიას და ნინო მესხიშვილს ანტრეპრენიორი ერთნაირ ხელფასს აძლევდა. 1913-დან 1925 წლამდე ნინო მესხიშვილს არ შეეხვეწებინა და ამიტომ არ შემიძლია ვთქვა, როგორი წარმატება ჰქონდა მას კიევის დრამაში და ლენინგრადის კომედიის თეატრში.

გულღიად შეხვდა რუსთაველის თეატრი ნინო მესხიშვილს ქართულ სცენაზე მის სადებიუტოდ სანდრო ახმეტელმა დადგა დ. ლიპსკეროვის პიესა „ყარმენსიტა". საზოგადოება ბუნებრივად მიეგება მსახიობს. ნაწილობრივ ეს აიხსნებოდა იმით, რომ ნინო დიდი ლადოს შვილი იყო. გამოგიტყდებით — ნინოს ყარმენსიტაში ვერ დამაკმაყოფილა. რასაკვირველია შესრულებაში იგრძნობოდა კულტურა, გამოცდილება, ტემპერამენტი, მაგრამ ერთი ისეთი ნაკლი ახლდა მსახიობს, რომ მთაბეჭდილებას აქარწყლებდა. ნინოს საუცხოო, მშვენიერი ხმა დაკარგოდა. მსახიობს თუ ხმა ხელს არ უწყობს, ისე გამარჯვება საეჭვოა.

ესტრადაზედაც პოპულარული გახდა ნინო. მისი „იმე ბეჩა" და სხვა ნომრები ხალხმა ზეპირად იცოდა, მაგრამ მაინც სად ნინოს იუმორესკები მოსკოვში 1915—1916 წელს და სად ნიჟიერი, მაგრამ ხმაწასული მსახიობის „ბეჩა" და სხვ. ნინო გრძნობდა, რომ ის ისეთი აღარ იყო, როგორიც მსახიობის კარიერის დაწყებისას. მაგრამ ყოველივეს იტანდა. სანუგეშებლად ჰყავდა პირმშო იური ალექსი-მესხიშვილი (დედის გვარი დაირქვა), რომელმაც გრიბოედოვის თეატრში მუშაობისას საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, როგორც ნიჭიერმა მსახიობმა.

სამამულო ომი საბჭოთა კავშირის გამარჯვებით დამთავრდა. ომის გამო საქართველოში ევაკუირებულნი მოსკოვს დაუბრუნდნენ. იური მესხიშვილმა თავის საყვარელ ვახტანგოვის თეატრს მიაშურა. ნინო და ბარბარე მესხიშვილებიც მოსკოვს გაემგზავრნენ. იურის წარმატებების ამბავმა ჩვენამდე მოაღწია. და უეცრად, მოულოდნელად იური გარდაიცვალა. ნინომ მუშაობა ვეღარ შეძლო. ჩაიკეტა ოთხკედელშუა. ოთახი მშობლების, მეუღლის და იურის სურათებით აავსო. მთელ დღეს ამ სურათებს ესაუბრებოდა. ტიროდა დედა, იმდუღრებოდა და სიკვდილს ნატრობდა.

1918 წლიდან მოსკოვი არ მენახა. ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები იქ გავატარე. მიყვარდა გულღია, სტუმართმოყვარე ბევრის მნახველი მოსკოვი. ვიცნობდი ძველ მოსკოვს თავისი დიდი მოედნებით, კრემლით, საუცხოო თეატრებით. მიყვარდა თოვლით შემოსილი მოსკოვი ჟღარუნა მარხილებით, ზაფხულში მობიბინე ვორობიოვის მთებით. მოსკოვში ხომ ჩვენი სახელოვანი alma mater-ი (უნივერსიტეტი) იყო, სადაც გვასწავლიდნენ თავისუფლებისადმი ლტოლვას და ადამიანის დანიშნულებას—ხალხს ემსახუროს. ვნატრობდი კვლავ მენახა განახლებული, ახალი სამყაროს ცენტრი, საყვარელი მოსკოვი. ეს ოცნება ამისრულდა. თეატრალურმა საზოგადოებამ 1955 წელს მოსკოვში მიმავლინა. ჩასვლისთანავე ნინო მესხიშვილს ვეწვიე. ბინაზე დრამატურგი ანა აგლაძე დამხვდა. გადმომცა ნინო ონკოლოგ პროფესორთან არის კონსულტაციაზე, თანაც დასძინა—კიბო დადგენილიაო. ესღა უნდოდა საცოდავ ნინოს. გამოვტრიალდი. იმავე ქუჩაზე ნინო შემხვდა. შევთანხმდით მეორე დღეს სამ საათზე მივსულიყავი მის ბინაში. ჩემს დასთან ერთად სრულ სამ საათზე ნინოსთან ვიყავით. თურმე სადილი გაემზადებინა. სადილი ქელეხს უფრო ჰგავდა. კონსულტაციის დასკვნა მაჩვენა—ავთვისებიანი სიმსივნე. სადილი ჯერ არ დაგვემთავრებინა, რომ საშინელი ტკივილი აუვარდა. დავაწვინეთ. ლაპალუპით ცრემლი სდიოდა და იძახდა: იური, იური, იურის სურათი კი გადიდებული უტყვად გამოიყურებოდა.

გამომგზავრებისას ტაქსი მის ბინასთან შევაჩერებინე. ნინო ზეზე დაგვხვდა.

— აბა ნახვამდის, საყვარელო მეგობარო!

— მშვიდობით, ჩემო კარგებო. მშვიდობით!—გვეხვევა, გვკოცნის და თან ცრემლად იფრქვევა.

ერთი თვის შემდეგ ნინოსაგან წერილი მივიღე. არა, ამას წერილს როგორ ვუწოდებ. ეს იყო განწირული ადამიანის ხმა სამარიდან.

არ გაუვლია დიდხანს, რომ ნინოს გარდაცვალების ამბავიც მოვიდა.

# შალვა ღამბაშიძე

1898—1955



სცენის დიდოსტატს რეპეტიცია აქვს. მის რეპეტიციაზე ვინ გაბედავს ამოსუნთქვას, გაფაჩუნებას. ჩურჩულს და მოძრაობას... რეჟისორის უშრეტი ფანტაზია მოქანდაკესავით ძერწავს მიზანსცენებს. ვინ მოთვლის რამდენჯერ გაამეორებინა მსახიობს ერთი და იგივე ადგილი. სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. რეჟისორი უკმაყოფილოა. განსაკუთრებით არ მოსწონს პათეტიკური ადგილები. ბგერებში რაღაც სიყალბეს გრძნობს. რეჟისორი თვითონ თამაშობს. ტექსტი პირდაპირ გადაულეკა და მოითხოვს გამეორებას. მსახიობებმა სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. მოთმინების ფიალა აივსო, და აფეთქდა ხელოვანი. ყველა შიშის ზარმა მოიცვა. იციან თავიანთი მასწავლებლის კოტე მარჯანიშვილის ხასიათი. ერთი თუ ქუდს წამოაელო ხელი— მორჩა, გათავდა, მყისვე რომელიმე მატარებელში ჩაჯდება და ვინ უწყის საით გაემგზავრება აი მოაბლოვდა ასეთი წუთიც. რეჟისორმა რეპეტიცია შეწყვიტა. ხანგრძლივი პაუზაა. ყველა სულგანაბულია. ზოგი შიშისაგან ცახცახებს. ვინ გაბედავს სიტყვა დაძრას. სიჩუმე ისევ კოტემ დაარღვია. საყვედურებით აივსო მსახიობები და განუცხადა, რომ მას არ შეუძლია ასეთ პირობებში მუშაობა და სხვ... კვლავ სიჩუმეა. ყველა თავჩაქინდრულია და უცბად შუა დარბაზიდან მოისმის ხავერდოვანი ხმა:

— ბატონო კოტე, თქვენი ჰირიჩეთ! გვაპატიე! ეს ფრაზა ისე ითქვა, თითქოს ცელქობაზე მოასწრეს მშობლებმა ონავარ ბავშვს და ის კი პატიებას სთხოვს.

კოტემ შეხედა ახოვან დიდ ბავშვს, გაეღიმა, თითქოს დაბურულ ცას ღრუბლები მოეფანტაო, ისე გაუნათდა სახე. დამშვიდდა. შეწყვეტილი მუშაობა განახლდა.

შალვა ღამბაშიძე ისეთი გულწრფელი, ბავშვიეით ჭკვინდა და უშუალო იყო, რომ შეეძლო ერთი ფრახით, ერთი თავისი შეხედვით მოენადირებინა ადამიანის გული და შეენელებინა აღელვება.

ბავშვის ნიშანდობლიეი თვისებაა სიცოცხლის გრძნობა ამ

თვისებით უხვად იყო აღჭურვილი შალვა ღამბაშიძე, როგორც ცხოვრებაში, ისე სცენაზე.

სცენაზე სიმართლის შეგრძნობა მსახიობისათვის გამარჯვების პირველი საწინდარია. ალექსანდრე გერცენი, აღტაცებული იყო რა მიხეილ შჩეპკინის აქტიორული ოსტატობით, წერდა, ის ყველაზე ნაკლებად თეატრალური იყოო, და ამაში ხედავდა მის სიდიადეს. იყო უბრალო სცენაზე, ადამიანური, დაჯერებელი— ეს ადვილი როდია. შალვა ღამბაშიძე კი თავისი უბრალოებით, მხატვრული ზომიერებით პირდაპირ ხიბლავდა მაყურებელს.

შალვა ღამბაშიძე ისეთი ბუნებრივი იყო სცენაზე, რომ თვით ისეთ როლებშიც, სადაც აქტიორისათვის საჭიროა ტიტანური ძალა, ვულკანისებური ტემპერამენტი, დამაკმაყოფილებელი იყო. მაგალითად, ოტელოში, მიუხედავად იმისა, რომ შალვა ღამბაშიძის მსახიობის მოსაცემები ტრაგიკული როლებისათვის ხელსაყრელი არ იყო, იგი დამაჯერებელ სახეს ქმნიდა. ამ შემთხვევაში შალვა ემსგავსებოდა იმ მომღერალს, რომელიც მოკლებულია ხმის სიძლიერეს, მაგრამ თავისი მუსიკალობით და აბსოლუტური სმენის მეოხებით ძნელად დასაძლევ ოპერებშიც კი სიამოვნებას განიჭებთ.

ჩვენ გვინახავს შალვა ღამბაშიძე ოტელოს როლში და არ გვინანია. ყოველი მისი ფრაზა გულიდან იყო აღმომხდარი და მაყურებლის სმენას ესალბუნებოდა. რა ვუყოთ, რომ თავდავიწყებამდე არ გიტაცებდათ, არ გბოჭავდათ. ის არ ცდილობდა იმაზე მეტი მოეცა, რაც ჰქონდა, არ „თამაშობდა“ და მოჩვენებით ტემპერამენტს ყვირილითა და ხელების გაშლით არ გვიჩვენებდა. სიმართლით და სიყვარულით წარმოგვისახავდა მავრის თავზე დატეხილ უბედურებას.

სიმართლე და სიყვარული შალვა ღამბაშიძის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო.

ჯერ კიდევ ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოსწავლე იყო შალვა ღამბაშიძე, თეატრისადმი სიყვარული რომ აღეძრა. იმ პერიოდში ქუთაისის სცენას ამშვენებდნენ ლადო მესხიშვილი, ნინო ჩხეიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, გიორგი არადელი-იშხნელი და სხვ. ქუთაისის ახალგაზრდობა ისე იყო გატაცებული ქართული თეატრით, რომ როცა დისციპლინის დარღვევისათვის დასიდან დაითხოვეს გიორგი არადელი-იშხნელი, მოსწავლეები გაი-

ფიცნენ და მოითხოვდნენ ამ მსახიობის უკან დაბრუნებას. შალვა ღამბაშიძე, დოდო ანთაძე, უშანგი ჩხეიძე და სხვები მეთაურობდნენ გაფიცულ მოსწავლეებს. დასიდან დათხოვნილმა გიორგი არადელ-იშხნელმა რუსულ ენაზე დადგა ა. ოსტროვსკის „ტყე“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ლადო მესხიშვილი, მიხეილ გელოვანი და სხვ. ამ სპექტაკლზე მიეცათ მოსწავლეებს საშუალება გამოეთქვათ თავიანთი დიდი სიყვარული დაჩაგრული მსახიობისადმი. 1914 წლის 4 დეკემბრის ნომერში გაზეთი „ახალი ივერია“ წერდა:

„2 დეკემბერს ქალაქის თეატრში გ. არადელ-იშხნელმა გამართა წარმოდგენა. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა. მოწაფე ახალგაზრდობამ მას მიართვა ვერცხლის საწერელი და კალმისტარი. აგრეთვე მას მიართვეს ვერცხლის სათუთუნე და ევროპის ომის ასპარეზის დიდი რუკა. წარმოდგენის გათავების შემდეგ გ. იშხნელს დიდი ოვაციები გაუმართეს. მოწაფეებმა. იგი გარეთ, თეატრის წინ, გრიმითა და ტანისამოსით გამოიყვანეს და ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვეს“

1954 წელს გამოვიდა ამ სტრიქონების ავტორის მონოგრაფია „გიორგი არადელი-იშხნელი“. შალვა ღამბაშიძეს, როგორც მეგობარს გავუგზავნე წიგნი. სრულებით არ ვიცოდი, რომ იგი მონაწილე იყო იმ დიდი ოვაციებისა, რაც მოუწყეს ქუთაისის მოსწავლეებმა „ჰამლეტის“ სპექტაკლზე ლოჟაში მყოფ დასიდან დათხოვნილ გ. იშხნელს (იხ. გაზეთ „ახალი ივერიის“ 1914 წლის 23 ნოემბრის ნომერი), არც ის ვიცოდი, რომ შალვა გაფიცულ მოსწავლეთა ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. როდესაც შევხვდი შალვას, სიტყვას ვერ პოულობდა მადლობის გადასახდელად.

— რა მსახიობი იყო გიორგი, რა მსახიობი; გაიძახოდა აღფრთოვანებით შალვა. თეატრალური საზოგადოების შემოქმედებითი კაბინეტის გამგის თხოვნაზე მონაწილეობა მიეღო გ. იშხნელზე გამოცემული წიგნის შესახებ გამართულ დისპუტში არა მარტო თანხმობა განაცხადა, არამედ მოხსენების გაკეთებაც იკისრა. აგვე დღეებში, „კომუნისტის“ რედაქტორს ეწვია და სთხოვა სხვისთვის არ დაეევალებინათ რეცენზიის დაწერა. ამ პერიოდში შალვა უცბად ავად გახდა და მალე დაასრულა კიდეც თავისი ლამაზი ცხოვრება. როგორც მისმა მახლობელმა ადა-

ბიანმა გადაწყვეტა, ბაგიდაზე დარჩენოდა კარგა მოზრდილი წერილი სათაურით „საამაყო მსახიობი გიორგი არადელი-იმხნელის". წერილს გაეცანი. უდროოდ დაღუპული მსახიობისადმი რა სიყვარულით იყო გამსჭვალული თვითეული ფრაზა. შალვა ღამბაშიძის ამ თითქმის დამთავრებული წერილის ყოველ სტრიქონში იგრძნობა ავტორის დიდი სიყვარული თეატრისადმი, ადამიანისადმი. შალვას მდიდარ მემკვიდრეობაში ეს დოკუმენტი იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ნამდვილ მსახიობებს გულწრფელად უყვართ ყოველი ოსტატი—წინაპართა რიგებიდან არის თუ მათი თანაბედროვეა.

როგორ ახარებდა შალვას ჩვენი ახალგაზრდობის წარმატება. მახსოვს მისი აღფრთოვანებული რეცენზია რუსთაველის თეატრის ერთ-ერთ დადგმაზე, რომელშიც უმთავრესად ახალგაზრდა მსახიობები თამაშობდნენ. იმ დღეებში, როცა ეს რეცენზია დაიბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში", თეატრალურ საზოგადოებაში ერთ-ერთმა მსახიობმა თითქოს ხუმრობით უთხრა:

— შალვა ჩემო, სხვებს აქებთ, ჩვენ რაღა დავაშავეთო! როგორ აენთო შალვა:

— რუსთაველელები განა ჩვენები არ არიან, გადამთიელები ხომ არ არიან! ეწყინა ამ დიდ ბავშვს უტაქტო ხუმრობა.

შალვასათვის ყველა ძვირფასი იყო, ვინც კი მის ქვეყანას ემსახურებოდა.

შალვა ხალხმა დიდი ნდობით აღჭურვა და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად წარგზავნა. უნდა გენახათ, რა თავდადებით შეუდგა თავისი ამ წმინდა მოვალეობის შესრულებას. მხურვალე მონაწილეობას იღებდა შალვა საზოგადოებრივ საქმიანობაში. თეატრალური საზოგადოების დაარსებიდან მისი პრეზიდიუმის უცვლელი წევრი იყო. შალვას ლექსიკონში არ არსებობდა სიტყვა „არა მცალია", „ვერ მოვალ". არც ერთ სხდომას არ დააკლდებოდა და ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა პრეზიდიუმის საქმიანობაში. მისასალმებელი სიტყვის თქმა იყო საჭირო— შალვა ყოველთვის მზად იყო, სადმე დელეგაცია უნდა გამგზავრებულიყო—შალვა არასოდეს არ გაიპრანჭებოდა და მყისვე თანხმდებოდა.

თეატრალურმა საზოგადოებამ გადაწყვიტა სვანეთში სამეცნიერო ბრიგადის გაგზავნა. გაძნელდა ღირსეულ კანდიდატთა შერჩევა. უგზოობა აშინებდა ბევრს, ზოგი კიდევ თვითმფრინავით ვერ

ბედავდა მოგზაურობას. ამ გაწაბაწიაში რომ იყო სამეცხიერო კაბინეტის ხელმძღვანელი, გამოჩნდა შალვა და თახხმობა განაცხადა გამგზავრებულიყო სვანეთში. ურჩიეს, ბალალი წნევა გაქვთ, ვაი თუ სვანეთმა ცუდად იმოქმედოსო. შალვა მაინც გაიძახოდა, უეჭველად წამოვალო. ოთხი დღის შემდეგ შალვას შევხვდი ქუჩაში. ყურებზე ბამბები ეკრა.

წურბელები მოვიკიდე, წნევა ხელოვნურად დავწიე და ახლა გულდამშვიდებით გავემგზავრები, ორი კვირის გარანტია მაქვსო. ამბობდა და თან იცინოდა.

ვიცოდით, რომ შალვას გული ჰქონდა დაავადებული, ბალალი წნევა ჰქონდა, მაგრამ არასოდეს არ დაიჩივლებდა ეს მუდამ მხიარული, გულმართალი და სიცოცხლით სავსე ადამიანი. პირიქით, ჩვენ, მოწუწუნეებს, გვამხნევებდა ხოლმე. სვანეთში მოგზაურობამ კარგად იმოქმედა. დაბრუნებისას აღტაცებით გვიზიარებდა თავის შთაბეჭდილებებს ამ ლამაზი კუთხის შესახებ.

ბევრის ბუნებაა პირში ქება და ზურგსუკან აუგი. რამდენი ცნობილი ადამიანის კილვა გამიგონია, ვინ აღნუსხავს, რამდენი ავტორიტეტის გამაწბილებელი აბზავი მოშისმენია, მაგრამ შალვა ლამბაშიძეზე კარგის მეტი არაფერი გამიგია.

ამ გულმართალ ადამიანს დიდად უყვარდა თავისი ქვეყანა, ოჯახი და ხელოვნების ის კერა, რომლის გულწრფელი მსახურიც იყო. რომ გეკითხათ, რომელი მათგანი უფრო უყვარდა, მე მგონია, პასუხის გაცემა გაუჭირდებოდა და ასეთ კითხვას უტაქტობად მიიჩნევდა. აბა გავიხსენოთ, მოტიქტიკე ბავშვს როცა ეკითხებიან, დედა უფრო უყვარს თუ მამა. თუ ბავშვი გონიერია, ერთი კითხვით ამოსწურავს ამის პასუხს, იტყვის ორივენიო. ასევე რომ შეჰკითხებოდით შალვას, ვინ უფრო უყვარს — თავისი ქვეყანა, თავისი ქალიშვილი ნანა თუ თეატრი, გიპასუხებდათ ღიმილით საბრალო, სამივე, გენაცვა.

იშვიათი მეოჯახე და მოსიყვარულე მამა თეატრის ასევე თავდადებული მსახური იყო. დიდი როლი ჰქონდა დაკისრებული თუ პატარა ეპიზოდი, ყველას ერთნაირი სერიოზულობით ეკიდებოდა და გაიმსჭვალებოდა იმ პერსონაჟის ცხოვრებით, რომელსაც წარმოგვისახავდა.

რამდენი სახე ცოცხლდება ჩვენს მეხსიერებაში. ღამბაშიძის ციერ ოსტატურად განსახიერებული. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

შალვა ლამბაშიძის საყვარელ როლად უხდა ჩაითვალოს დე-სილვა კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტაში“. ძველი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, დე-სილვა წმინდა წყლის რეზონიორია. ლამბაშიძის ნიჭის თავისებურებას და მის არტისტულ მონაცემებს მეტად მოუხდა ეს როლი. ბევრი მსახიობი მინახავს დე-სილვას როლში და როგორც საქართველოში ლადო მესხიშვილის ურიელს ოდნავაც ვერავინ გაუტოლდა, ასევე შალვა ლამბაშიძის დე-სილვამ დაჩრდილა ძველად ამ პერსონაჟის საუცხოო განმასახიერებელნი ვიქტორ გამყრელიძე, ვალერიან შალიკაშვილი, სოსო ივანიძე და სხვები. დე-სილვა მეტად დინჯი, გონიერი და შორსმჭვრეტელი პიროვნებაა. იგი თალმუდის მედგარი დამცველია, თუმცა არ არის ისეთი ფანატიკოსი, როგორიც, მაგალითად, ბნელეთის მოციქული დე-სანტოსი. დე-სილვა გრძნობს, რომ ურიელი უძლურია შეარყიოს რელიგია, და ამიტომ ისე ცოფმორეული აფთარივით არ ებრძვის ურიელს, როგორც სხვა რაბინები. თავისი სიმშვიდით, სიდიადით მაყურებელში თანაგრძნობასაც იწვევს დე-სილვა. ასეთი გაგებით განასახიერებდა ამ პერსონაჟს შალვა ლამბაშიძე და ამით ავტორის შთანაფიქრს არ ღალატობდა. ამ ბრწყინვალედ დადგმულ სპექტაკლში, სადაც მარჯანიშვილის დიდმა ნიჭმა ძლიერად გაშალა ფრთა და საყოველთაო აღტაცება გამოიწვია მთელ საბჭოთა კავშირში, შ. ლამბაშიძეც ელვარებდა.

თავისი დიდი სიმართლით და მხატვრული ზომიერებით აღწევდა შალვა ლამბაშიძე იმას, რომ დე-სილვას სახე მაყურებლის გონებაში მტკიცედ მკვიდრდებოდა. შეუდარებელი იყო შალვა ლამბაშიძის არჩილი „ჩატეხილ ხიდში“: არჩილის სახეში იგრძნობოდა ილია ჭავჭავაძის სიდიადე. როგორი სისრულით და მხატვრული ზომიერებით გადმოგვცემდა ილიას ტექსტს. ერთი პატარა ეპიზოდი მთელი სპექტაკლის გვირგვინი იყო. მაყურებელს გული სწყდებოდა, რომ საამო წუთები — არჩილისა და კესოს საუბარი დიდხანს არა გრძელდებოდა.

შეუდარებელი იყო ლამბაშიძე „ნინოშვილის გურიაში“ ტარიელ მკლავაძის როლში. თავზეხელაღებული, ლოთი-ფოთი, ჩხუბისთავი, მკლავზე მაყურებელი, ქინიანი, ახოვანი და მშვენებით სავსე ისე სრულყოფილად იყო მოცემული მსახიობის მიერ, რომ უკეთესის წარმოდგენა შეუძლებელი იყო. ხავერდოვანი ხმა, შესანიშნავი დიქცია, უზადო ქართული მეტყველება, რაც მთავარია, სცე-

ნიური მომხიბვლელობა საშუალებას აძლევდა შალვას სცენაზე გამოსვლისთანავე დაეპყრო მაყურებელი.

რა წარმტაცი და მომხიბლავი იყო. მაგალითად, ისეთ მეტად პირობითს სპექტაკლში, როგორიც იყო „არსენას ლექსი". აქ შალვა ღამბაშიძე გვევლინებოდა, როგორც ტექსტის მკითხველი და თავისი მეტყველებით ალექსანდრე იმედაშვილს უტოლდებოდა.

შალვა ღამბაშიძე ისეთი ბუნებრივი, ისეთი გულწრფელი აქტიორი იყო, რომ ყალბ მელოდრამატულ პიესებშიც კი დამაჯერებელ სახესა ქმნიდა.

თავისი ალნაგობით ნ. გოგოლის უკვდავი კომედია „რევიზორი" მუსიკალურ პარტიტურას მოგაგონებთ. შესრულებისას საკმარისია ერთი ყალბი ბგერა, რომ მუსიკის მთლიანობა დაირღვეს, შთაბეჭდილება გაქარწყლდეს. როდესაც უყურებდით შალვა ღამბაშიძის გოროდნიჩის, ამ მხრივ არავითარ შიშს არ გრძნობდით. ეს როლი საიმედო მსახიობის ხელში იყო, გონიერ მსახიობს სცენიურ ნიჭთან ერთად გარეგნული მონაცემებიც ხელს უწყობდა შეექმნა სკვოზნიკ—დმუხანოვსკის შთამბეჭდავი სახე. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ შალვა ღამბაშიძე ამ სპექტაკლის გვირგვინი იყო. აკი ამიტომაც გაზეთი „პრავდა" თავის 1952 წლის 28 აპრილის ნომერში წერდა: „სპექტაკლის წარმატების მთავარი საწინდარი მთელი აქტიორული ანსამბლის შეწყობილ თამაშში, უწინარეს ყოვლისა შ. ღამბაშიძის მიერ გოროდნიჩის როლს ოსტატურ შესრულებაში მდგომარეობს... მთელი სპექტაკლის მანძილზე მსახიობი ცოცხლობს გმირის სიცოცხლით, გადმოგვცემს ამ სცენიური ხასიათის ნაირ-ნაირ იერს".

რუსული დრამატურგიის მეორე კლასიკური ნაწარმოების „ვაი ჭკუისაგან" ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის ფამუსოვის განსახიერება აღარ დასცალდა შალვა ღამბაშიძეს. აი სად გაშლიდა მისი ნიჭი ფრთას. ამ როლზე ოცნებობდა იგი, მისი არტისტული ბუნებისათვის ფამუსოვი ზედგამოჭრილი იყო. შალვა ღამბაშიძეზე დიდი დიაპაზონის მსახიობები გვინახავს შეუფერებელ როლში და გვინატრია მალე დამთავრებულიყო სპექტაკლი, ბოლო მოღებოდა მაყურებელთა ტანჯვას. შეუფერებელ როლში შალვაც გვინახავს, მაგრამ არასოდეს არ გვინატრია სპექტაკლის დასრულება. იმიტომ, რომ შალვა უხვად იყო დაჯილდოებული სცენიური მომხიბვლელობით და სცენაზე გამოჩენისთანავე იპყრობდა მაყურებელს. იგი ყოველთვის მეტად ბუნებრივი იყო, ბუნებრიობა და სცე-

ნიური მომხიბვლელობა კი გამარჯვების ერთ-ერთი საწინდა-რია.

დიდი წარმატებით სარგებლობდა შალვა ღამბაშიძე როგორც კინომსახიობიც. ბუნებრიობა, არტისტული უნარი, მოძრავი სახე, ტემპერამენტი ყველა — ეს საშუალებას აძლევდა შალვას შთამბეჭდავი სახეები შეექმნა.

ქართული საბჭოთა თეატრის რეფორმატორი დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი წერდა: „როდესაც ვლაპარაკობ მსახიობზე, მხედველობაში მყავს პროფესიონალი, თავისი ხელობის ოსტატი, რომელსაც აქვს მსახიობის შემოქმედების ტექნიკა, და არც ერთ წუთს არ ვგულისხმობ დილეტანტს. ჩემში საბოლოოდ განმტკიცდა ის აზრი, რომ თეატრისათვის საჭიროა მსახიობი და არა სცენისმოყვარე, მით უმეტეს კინოსათვის მსახიობი და მხოლოდ მსახიობი. მე იმიტომ ვჩერდები ამ აზრზე,— განაგრძობდა მარჯანიშვილი,— რომ ხშირად ვხვდები იმ იდეის დამცველთ, რომელთაც სურთ პასუხსაგებ როლზე ისეთი ადამიანების მოწვევა, ვისაც შესაფერი გარეგნობა აქვს. ქალების შესახებ არაფერს ვამბობ, ეს უკვე ჩვეულებად გადაიქცა. საკმაოა ლამაზი იყო, რომ მაშინვე კინოგმირი გახდე. ასეთივე ექსპერიმენტები ხვდათ ვაჟების როლებსაც. წარმოვიდგინოთ, რომ კინორეჟისორს თავისი სცენისათვის სჭირდება კუზიანი ადამიანი. ეს საკმაოა იმისათვის, რომ სურათის დამდგმელმა დაუწყოს ძებნა ამ კუზიანს ქალაქში, სრულიად დაავიწყდეს როლის შინაგანი თვისებები, არტისტული განცდა, რომელსაც ეკრანი დიდი გრძნობიერებით გადმოგვცემს" (ჟურნალი „ხელოვნება" 1925 წ. № 4, გვ. 10). აშით აიხსნებოდა, რომ შეუდგა თუ არა ფილმ „სამანიშვილის დედინაცვლის" დადგმას, კ. მარჯანიშვილმა ყველა პასუხსაგები როლი მსახიობებს დააკისრა. მათ რიცხვში იყო შალვა ღამბაშიძეც, მიუხედავად იმისა, რომ ეს სურათი შალვა ღამბაშიძის დებიუტი იყო, მან ბეკინას დაუვიწყარი სახე შექმნა.

მეორე ფილმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შალვა ღამბაშიძემ ეს იყო „ქალი ბაზრობიდან". შალვამ ფერმერის შვილის მეტად კოლორიტული სახე შექმნა და ოსტატი კინომსახიობის სახელი დაიმკვიდრა. ყველა რეჟისორი ცდილობდა შალვა ღამბაშიძე მიეწვია თავის ფილმში, რაც წარმატების უდავო საწინდარი იყო.

1955 წლის მაისის დასაწყისია. თეატრი პრემიერისათვის ემზა-

დება. რეპეტიციები გახშირდა. შალვას შილერის „მარია სტიუ-არტში“ დუბლიორი ჰყავს, მაგრამ ის მაინც არც ერთ რეპეტიციას არ აკლდება. მიუხედავად ავადმყოფობისა. მან სიტყვა მისცა რეჟისორს, რომ პრემიერაზე მიიღებდა მონაწილეობას. 11 მაისს მარჯანიშვილის თეატრს ბღვა ხალხი მოაწყდა. შალვა სადარაჯოზეა. გაიკეთა გრიმი და სპექტაკლის დაწყებას ელოდება. მეგობრები ხედავენ, რომ შალვა ხასიათზე არ არის, სუნთქვა უჭირს, გარინდებული ზის თავის საპირფარეშოში და წამდაუწუმ გულზე ხელს იდებს. ვერაინ უბედავს შეეკითხოს, თუ რა ემართება. მეოთხე მოქმედებაში რემარკის მიხედვით გრაფ შრუსბერი უნდა დაიხაროს. შალვამაც ყოველივე ეს გააკეთა, მაგრამ წელში ძლივს გაიმართა. ძალების რა დაძაბვა დასჭირდა, რომ სპექტაკლი დაემთავრებინა. ეს იყო მსახიობის უკანასკნელი გამოსვლა სცენაზე. 13 მაისს შალვა უკვე საავადმყოფოში მოათავსეს.

18 მაისს, ოთხშაბათ საღამოს მარჯანიშვილის თეატრში ტევა არ არის. ვინ იცის, რამდენჯერ დადგმულა „მაია წყნეთელი“, მაყურებელი კი არ აკლდება. სრულ 8½ საათზე სპექტაკლი დაიწყო. დარბაზი სმენად გადაიქცა. მსახიობები ოსტატობას არ იშურებენ. სცენაზე მოქმედი პირნი იტანჯებიან, პაექრობენ, ერთმანეთს ებრძვიან, კვნესიან, ტირიან და იცინიან. ფარდა დაეშვა. ტაბზე მსახიობნი სცენაზე გამოდიან და მადლიერ მაყურებელს ღიმილით თავს უკრავენ. კულისებში კი როცა ბრუნდებიან, ცრემლად იფრქვევიან. ეს ბუნებრივია—დღეს დილით ხომ მათი საყვარელი მეგობარი შალვა ღამბაშიძე გარდაიცვალა.

# ბოლოთქმა

ამ წიგნის ტიპის ჩემს „სცენის ოსტატებს“ მისმა რედაქტორმა შალვა დადიანმა წინასიტყვაობაში „კროკი“ შეარქვა და ამ ერთი სიტყვით განსაზღვრა მისი ჟანრი.

კროკი ხომ სურათის მოხაზულობას ეწოდება. ადგილმდებარეობის სახელდახელოდ შედგენილ გეგმას.

წინამდებარე „თეატრალური პორტრეტებიც“ ასევე სახელდახელოდ შედგენილი ესკიზები, სილუეტები უფროა, ვიდრე ამა თუ იმ მსახიობის შემოქმედების ღრმა ანალიზი. აქ ვერც ბიოგრაფიულ დეტალებს იხილავთ. ჩვენ ასეთ გზას განგებ ავუხვიეთ გვერდი პატარა მოცულობის ესკიზში და თუნდაც პორტრეტში როგორც უნდა ეცადოთ, მაინც ვერ შეძლებთ ამა თუ იმ მსახიობის შემოქმედების სრულ ანალიზს. ბიოგრაფიული დეტალებიც წიგნს დაამძიმებდა, თხრობის სტილსა და მანერას დაარღვევდა.

მაშ რა მიზანი გვქონდა, როცა მოვკიდეთ ხელი ამ ჟანრის ნაშრომს? ეს სხარტად განმარტა „სცენის ოსტატების“ რედაქტორმა, როცა წერდა: „ასეთი „კროკი“ არ არის სრულყოფილი, მას შემდეგში მოელის დამუშავება სპეციალისტებისაგან. მაგრამ განზრახული ნაგებობის თუ შემოქმედების სურათს მაინც იძლევა და ამ შემთხვევაში „ლიტერატურული პორტრეტების“ სახით, სხვა არა იყოს რა, ინტერესს იწვევს მკითხველებში ამა თუ იმ პიროვნების კიდევ უფრო დაახლოებით გაცნობისათვის“.

ამ წიგნში 23 კაცის პორტრეტია. აქედან ოთხი ნარკვევის ხასიათისაა. ავტორი მათი მომსწრე არ არის და შთაბეჭდილებებს ვერ მიმართავდა. დანარჩენები ჩემთვის უველა ნაცნობია და ზოგი მათგანი ახლო მეგობარიც.

„პორტრეტებში“ მხოლოდ სამია ცოცხალი მსახიობი შეტანილი (ისინი, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობა ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაიწყეს).

შემდეგში განზრახვა გვაქვს ცალკე გამოვაკვეყნოთ საბჭოთა პერიოდის სცენის მუშაკთა პორტრეტები. ამიტომაც ჩემი სურვილია კვლავ შევხვდე ჩვენს ფაქიზი გემოვნების მკითხველს. მაგრამ მარტო ჩემი განზრახვა არ კმარა. საჭიროა ამ წიგნმა მკითხველებსაც აღუძრას ასეთი შეხვედრის სურვილი. მიღწეულია თუ არა ეს—ამის განსჯა მე არ შემიძლია.

დასასრულ იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა თეატრმცოდნეები და სიტყვის ოსტატები ასეთი ტიპის ლიტერატურულ ნაწარმოებთა შექმნასაც მოჰკიდებენ ხელს და, შემეცნებით მნიშვნელობასთან ერთად, მათს მხატვრულ დონესაც აამაღლებენ.

# ს ა რ ჩ ე ვ ი


| | |
|---|---|
| | 83 |
| სილა სანდუნოვი | 3 |
| გიორგი დეანაძე | 23 |
| ბაბო ავალიშვილი | 37 |
| ვასო აბაშიძე | 45 |
| ავქსენტი ცაგარელი | 57 |
| ლადო მესხიშვილი | 65 |
| შაქრო საფაროვი | 77 |
| დავით აწყურელი | 87 |
| გრიგოლ ჩარკვიანი | 95 |
| ილია ზურაბიშვილი | 103 |
| აფიშორი პაპიკა | 115 |
| იოსებ იმედაშვილი | 121 |
| გიგო იორდანიშვილი | 133 |
| ელო ანდრონიკაშვილი | 141 |
| სანდრო ყალაბეგაშვილი | 147 |
| ნიკო გვარაძე | 155 |
| ვიქტორ მატარაძე | 167 |
| შაქრო გომელაური | 177 |
| დუდე ძნელაძე | 189 |
| ნიკო ქუმსიაშვილი | 201 |
| ცეცილია წუწუნავა | 213 |
| ნინო ალექსი-მესხიშვილი | 221 |
| შალვა ღამბაშიძე | 229 |
| ბოლოთქმა | 240 |

Алексей Буртикашвили
ТЕАТРАЛЬНЫЕ ПОРТРЕТЫ
(На грузинском языке)
Издательство „Хеловнеба"
19 Тбилиси 58

| | |
|---|---|
| რედაქტორი | ნ. ყიასაშვილი |
| მხატვარი | გ. ბაქრაძე |
| ტექრედაქტორი | თ. მამფორია |
| კორექტორი | ლ. ივანისელი |
| კონტრ. კორექტორი | მ. ჩიხრაძე |

გადაეცა წარმოებას 21/VIII 57 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/II 58 წ. ანაწყობის ზომა 6X9,5, ქაღალდის ზომა 60X84, ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 18,25.

ფასი 12 მან

შეკვეთა 2426 ეე 01835 ტირაჟი 4000

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სტამბა, გორკის ქუჩა № 3